


114
1982/3



ISSN 0182-4499
საქართველოს ენციკლოპედია

ენციკლოპედია



11

1982



ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი



ენათმეცნიერება

სსრკ კავშირი
1982 წლის
2025 წლის

საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაკთა

წიგნის № 58-0

№ 11

ნოემბერი, 1982 წ.

საქართველოს საზოგადოებრივი მეცნიერების აკადემიის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

სსრკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის შინისტრატა საბჭოს მიმართვა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს	3
საინფორმაციო ცენტრი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ	6
ამხანაშ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა	8
ამხანაშ კ. უ. ჩერნომუს სიტყვა	10
იური ვლადიმერის და ანდროპოვი	12

კ რ თ ჯ ა, კ ო ჯ ი ა

გალაქტიონი — 90	
გალაქტიონ ტახიძე — ლექსები	13
მეხინე ხარაძე — წვეთები სიღიადისა	21
მისიელ ღუდონი — გალაქტიონი	21
მთარ თაქთაქიშვილი — გალაქტიონის მუსიკა	22
მღვთაძა ავაშუაძლი — უპირველესი მარსკვლავი	23
არჩილ ძიმიჯური — უკვდავება	24
ვიტალი კოროტიანი — მთელი სამყარო	25
ვარლამ ჰატრუსიანი — ქართული კომედიის ამიყანი	26
მზარ კვიციანი — შინი ლურჯა ცხენები. ლექსი	27

1783 გეორგიევსკის ტრაქტატი 1983

ანუკ სალუვაძე — წიგნი შიშისა, კონორომანი, გაგრძელება	28
ლადო სულაბერიძე — ლექსები	65
ვისნი ხარაწაული — სიტყვების უმთავრესი გამოც. ლექსი	67
ვიტორი კეზაშვილი — რად არა მცემდინან. მოთხრობა	70

(იხ. მეორე გვერდი)

სსრკ-60 წელი

პრიბოლ პრეზიუმე — ვ. ი. ლენინი — საბჭოთა მკვლევარობის სახელმწიფოს
შემქმნელი 108

პრტიკა და კუბლიცისტია

ილიზაბა ჯავლიძე — გალაკტიონის ერთი ლექსის ინტერპრეტაციისათვის 116
ვიტორი კვალაიანი — გალაკტიონი — ქართული ფოლკლორისა და ისტორიის
მხატვრული ინტერპრეტატორი 125
ილიზა ჯანაშიაძე — იმედის უკვლავება 129

ხელმწიფე

სსრკ — 60
ვლადიმერ მგვიტი — სული მკრანისა. თარგმანი შირონ ზერგინაძე 137

მეცნიერება

გურამ შარაძე — შენიშვნები ილია შავთავაძის მხატვრული კრების
კრიტიკისათვის 152

შინაარსის მიმოხილვა

ვალერიან ითონიშვილი — კავკასიის ხალხთა ჩვეულების ისტორიიდან 163
მ. ალავერდი — არა სტრუქტურული ერთეული 166
მურმან თაყაიშვილი — თეოლოგი თეოლოგის მძებნიდან 171
პაატა კახაშვილი — გაუფხვნილი მოსაზრების ჯამთარსი 174



მთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაძე

ს ა რ ე დ ა ტ ო რ ი კ ო ლ ე გ ი ა :

პრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამბუშაძე (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერუ-
ლაძე, მ. გიგინეიშვილი, ა. გომიაშვილი, ა. კალაძე, მ. ლეგინიძე,
მ. მრალაშვილი, ვ. ნატროშვილი, მ. კახიკორია (პ/მგ. მდივანი), ნ. წუ-
ლინსკირი, ვ. წულუკიძე, მ. ზილაძე, ბ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე,
ბ. ჯივლაძე.

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის,
სსრ კავშირის შიდა საგარეო ურთიერთობის,
სსრ კავშირის მინისტრთა საგარეო**

მ ი მ ა რ თ ვ ა

კომუნისტურ პარტიას, საგარეო საზღვრებს

17471

ქვეყნის ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა ლენინის დიადი საქმის ერთგული განმგებლობი, მგზნებარე პატრიოტი, გამოჩენილი რევოლუციონერი და მშვიდობისათვის, კომუნისტებისათვის მებრძოლი, თანამედროვეობის უთვალსაჩინოესი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ლ. ი. ბრეჟნევის მთელი მრავალმხრივი მოღვაწეობა, პირადი ბედი განუყოფელია საბჭოეთის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპებისაგან. კოლექტივიზაცია და ინდუსტრიალიზაცია, დიდი სამამულო ომი და ომის შემდგომი აღორძინება; ყამირის ათვისება და კოსმოსის კვლევის ორგანიზაცია — ყოველივე ეს მუშათა კლასის სახელოვანი შვილის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ბიოგრაფიის ნიშანსვეტებიცაა. ყველგან, სადაც უნდა გაეგზავნა იგი პარტიას, ლეონიდ ილიას ძე თავდადებით, მისთვის ჩვეული ენერჯითა და სიმტკიცით, გახედულებითა და პრინციპულობით იბრძოდა მისი დიადი იდეალებისათვის.

ამხანაგ ბრეჟნევის სახელს, მის დაუცხრომელ მუშაობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტებზე საბჭოთა ადამიანები, ჩვენი მეგობრები მთელ მსოფლიოში სამართლიანად უკავშირებენ პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმების თანამიმდევრულ დამკვიდრებას, სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფას. იგი ბრძნულად წარმართავდა პარტიის ლენინური შტაბის — მისი ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს საქმიანობას, გვიჩვენებდა ერთსულოვანი კოლექტიური მუშაობის უნარიანი ორგანიზაციის მაგალითს. მას ეკუთვნის უთვალსაჩინოესი როლი განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე პარტიის ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების კურსის განხორციელებაში და რეალიზაციაში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში.

პ. შარტინის საბ. საბ. სსრ
19840824093.17 საგარეო



წარუვალია ლეონიდ ილიას ძე ბრევენევის დამსახურება საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი პარტიის პოლიტიკის — მშვიდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის, დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების, იმპერიალიზმის აგრესიული ხრიკების მტკიცედ უკუგდების, ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილების პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში. დიდა მისი წვლილი მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირებაში, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარებაში.

სანამ ლეონიდ ილიას ძის გული ძველდა, მისი ფიქრები და საქმეები მთლიანად ექვემდებარებოდა მშრომელი ადამიანების ინტერესებს. მშრომელთა მასებთან იგი მუდამ იყო განუყრელად დაკავშირებული. კომუნისტთა, ყველა კონტინენტის ასობით მილიონი ადამიანის შეგნებაში იგი იყო და დარჩება ლენინური იდეურობის, თანამიმდევრული ინტერნაციონალიზმის, რევოლუციური ოპტიმიზმისა და ჰუმანიზმის განსახიერებად.

მძიმეა ჩვენი დანაკლისი, დიდა ჩვენი მწუხარება. ამ გლოვის უამს საბჭოთა კავშირის კომუნისტები, ყველა მშრომელი სულ უფრო მჭიდროდ ირანუბნებენ სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის, მისი ხელმძღვანელი ბირთვის გარშემო, რომელიც ჩამოყალიბდა ლეონიდ ილიას ძე ბრევენევის კეთილნაყოფიერი გავლენით. ხალხს სჭერა პარტიის, მისი მძლავრი კოლექტიური გონებისა და ნების მთელი გულით უკერს მხარს მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან: ლენინის დროა, ოქტომბრის დროა. რომლითაც მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი მოვიპოვეთ, საიმედო ხელშია.

პარტია და ხალხი შეიარაღებული არიან სკკპ XXIII—XXVI ყრილობების მიერ შემუშავებული კომუნისტური აღმშენებლობის დიდებული პროგრამით. ეს პროგრამა განუხრელად ხორციელდება. პარტია კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს წარმოების ინტენსიფიკაციის, მისი ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების, სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის შესრულების საფუძველზე ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. პარტია კვლავაც ყოველნაირად იზრუნებს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის კავშირის განმტკიცებისათვის, საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობის, სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის განმტკიცებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა იდეოლოგიური წრთობისათვის.

უცვლელია საბჭოთა ხალხის ნება მშვიდობისადმი. არა ომისათვის მზადება, რომელიც ხალხებს თავის მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეთა უმიზნო ხარჯვას უქადის, არამედ მშვიდობის განმტკიცება — აი ხვალინდელი დღის შექურვარსკვლავი. ამ კეთილშობილური იდეით არის გამსჭვალული ოთხმოციანი წლების სამშვიდობო პროგრამა. პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მთელი საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა.

ჩვენ ვხედავთ საერთაშორისო ვითარების მთელ სირთულეს. იმპერიალიზმის აგრესიული წრეების ცდებს ძირი გამოუთხარონ მშვიდობიან თანაარსებობას, უბიძგონ ხალხებს მტრობისა და სამხედრო კონფონტაციის გზისაკენ. მაგრამ ეს ვერ შეარყევს ჩვენს მტკიცე გადაწყვეტილებას დავიცვათ მშვიდობა. ყოველ ღონეს ვიხმარებთ, რათა სამხედრო ავანტიურების მოყვარულებმა საბჭოთა ქვეყანას მოუმზადებდეს არ მოუსწრონ, რომ მოტენციურმა აგრესორმა იცოდეს: მას გარდაუვალად ელის გამანადგურებელი საპასუხო დარტყმა.



საბჭოთა კავშირი, რომელიც ეყრდნობა თავის ძლიერებას, იჩენს უდი-
დეს სიფხიზლესა და თავდაპირველობას, უცვლელ ერთგულებას თავისი საგა-
რეო პოლიტიკის მშვიდობისმოყვარული პრინციპებისა და მიზნებისადმი, შე-
უპოვრად იბრძოდებს იმისათვის, რომ კაცობრიობას თავიდან ააცილოს ბირ-
თვული ომის საფრთხე, იბრძოდებს დაძაბულობის შენელებისა და განიარა-
ღებისათვის.

ამ ბრძოლაში ჩვენთან ერთად არიან მოძმე სოციალისტური ქვეყნები,
ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლები, ყველა
კონტინენტის მშვიდობისმოყვარე ქვეყნები, მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადა-
მიანი. მშვიდობის პოლიტიკა გამოხატავს კაცობრიობის ძირეულ საარსებო
ინტერესებს, და ამიტომაც მომავალი ასეთ პოლიტიკას ეკუთვნის.

საბჭოთა ხალხს პარტია მიაჩნია თავის ნაცად კოლექტიურ ბელადად,
ბრძენ ხელმძღვანელად და ორგანიზატორად. მუშათა კლასის, მშრომელი
ხალხის სამსახური პარტიის მთელი საქმიანობის უმაღლესი მიზანი და აზ-
რია. პარტიისა და ხალხის ურყევი ერთიანობა იყო და არის საბჭოთა საზოგა-
დოების უდრეკი ძალის წყარო. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია
თვლისჩინივით უფრთხილდება მშრომელთა ნდობას, დღენიადაგ განამტკიცებს
თავის კავშირს მასებთან. ხალხი პრაქტიკულად დარწმუნდა, რომ ჩვენი პარ-
ტია მოვლენების ყოველი შემობრუნების დროს, ყოველი განსაცდელის დროს
თავისი ისტორიული მისიის სიმალღეზე რჩება. ღეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის
ხელმძღვანელობით შემუშავებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტი-
ის საშინაო და საგარეო პოლიტიკა კვლავაც თანამიმდევრულად და მიზან-
დასახულად განხორციელდება.

ლ. ი. ბრეჟნევის ცხოვრება და მოღვაწეობა მუდამ იქნება კომუნის-
ტური პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი ერთგული სამსახურის შთამაგო-
ნებელი მაგალითი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ
კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
გამოთქვამენ რწმენას, რომ კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი გამო-
იჩენენ მაღალ შეგნებასა და ორგანიზებულობას, ლენინური პარტიის ხელ-
მძღვანელობით თავდადებული შემოქმედებითი შრომით უზრუნველყოფენ
კომუნისტური მშენებლობის გეგმების შესრულებას, ჩვენი სოციალისტური
სამშობლოს შემდგომ აყვავებას.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1982 წლის 12 ნოემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის კოლექტიურს დავალდებით პლენუმი გახსნა და სიტყვა წარმოეთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის კოლექტიურს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წევრებმა ლეონიდ ილიას ქმ ბრეჟნევის ხსოვნას კატივი სცეს წუთიერი მწუხარე დუმილით.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა და პროგრესულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამორჩენილი მოღვაწე, მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლი.

ლეონიდ ილიას ქმ ბრეჟნევა, რომელიც ლენინური კომუნისტური პარტიის წევრი იყო 50 წელზე მეტ ხანს, აქედან 18 წელს — მისი ხელმძღვანელის პოსტზე, უდიდესი წვლილი შეიტანა პარტიის რიგების მოწოდებულობის, საბჭოთა კავშირის კოლექტიური, სოციალურ-ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში. უაღრესად დიდია მისი როლი მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებაში, ლეონიდ ილიას ქმ ბრეჟნევის სახელი, რომელთანაც უშუალოდ არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ცხოვრების დიადი მიღწევები — ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვება დიდ სამამულო ომში, ჩვენი საფორტოს სახალხო მეურნეობის ომის შემდგომი აღდგენა, კოსმოსის კვლევა, შველა წარმატება საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკის, მაცნეობისა და კულტურის განვითარება.



ში, საშუალოდ შევიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ჩვენი დიდი საშრობლოს ისტორიაში.

ცენტრალური კომიტეტის კლენუმის მონაწილეებმა ღრმა თანაგრძნობა გამოუცხადეს განსვენებულის ნათესავებსა და ახლობლებს.

ცენტრალური კომიტეტის კლენუმმა განიხილა სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის არჩევის საკითხი.

ცენტრალური კომიტეტის კოლიტიბუროს დავალებით სიტყვა წარმოთქვა სკკ ცენტრალური კომიტეტის კოლიტიბუროს წევრმა, სკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა კ. უ. ჩარნეცკომ. მან წამოაყენა წინადადება, რომ სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აირჩიონ ამხანაგი ი. ვ. ანდროკოვი.

სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად კლენუმმა ერთხმად აირჩია ამხანაგი იური ვლადიმერის ძე ანდროკოვი.

შემდეგ კლენუმმა გამოვიდა სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ი. ვ. ანდროკოვი. მან გულითადი მადლობა მოახსენა ცენტრალური კომიტეტის კლენუმს დიდი დროისათვის — სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის კოსტეა არჩვიისათვის.

ამხანაგმა ი. ვ. ანდროკოვმა აღუთქვა სკკ ცენტრალურ კომიტეტს, კომუნისტურ პარტიას, რომ მთელ თავის ძალ-ღონეს, ცოდნასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას მოახმარს სკკ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახული კომუნისტური მშენებლობის პროგრამის წარმატებით შესრულებას, მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფას სსრ კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების უმადგომი განმტკიცების, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მშვიდობის დამკვიდრების ამოცანების გადაწყვეტაში, მთელი წინიწერი საშინაო და საგარეო კოლიტიკის გატარებაში, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევის დროს ხორციელდებოდა.

ამით კლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

ამხანაგ მ. ვ. ანდროპოვის სიტყვა

ამხანაგებო!

ჩვენმა პარტიამ და ქვეყანამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს, შეწყდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამორჩენილი მოღვაწის, მგზნებარე კომუნისტის, საბჭოთა ხალხის ერთგული შვილის — ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გულის ძველა.

გარდაიცვალა თანამედროვეობის უდიდესი პოლიტიკური მოღვაწე, ჩვენს რიგებს გამოაკლდა ამხანაგი და მგზობარი, დიდსულოვანი და დიდბუნებოვანი, გამგები და კეთილმოსურნე, გულისხმიერი და ღრმად პუშანური ადამიანი, საქმისადმი უსაზღვრო ერთგულება, უკომპრომისო მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და სხვებისადმი, ბრძნული წინდახედულება პასუხსაგებ გადამწყვეტილებათა მიღებაში, პრინციპულობა და გამბედაობა ისტორიის მკვეთრ ცვლილებათა ჭაშს, ადამიანებისადმი უცვლელი პატივისცემა, გულისხმიერება და ყურადღება — აი ის შესანიშნავი თვისებები, რომლებსათვისაც აფასებდნენ და უყვარდით ლეონიდ ილიას ძე პარტიასა და ხალხს.

გთხოვთ ნუთიერი დუმლით პატივი სცეთ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ნათელ ხსოვნას, ლეონიდ ილიას ძე ამბობდა, რომ მისი ცხოვრების თითოეული დღე განუყოფელია იმ საქმეებისაგან, რომლებსთაც ცხოვრობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მთელი საბჭოთა ქვეყანა. და ეს მართლაც ასე იყო.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, დიდი

სამამულო ომი და ომისშემდგომი აღდგენა, ფაშისტების ათვისება და კოსმოსის კვლევა — ყველა ეს დიადი ნიშანსვეტი საბჭოთა ხალხის შრომისა და ბრძოლის გზაზე, ამავდროს კომუნისტ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ბიოგრაფიის ნიშანსვეტებია.

ლეონიდ ილიას ძის სახელთან და საქმეებთან განუხრელად არის დაკავშირებული დიადი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ძლიერების ზრდა და ყოველმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის აქტიური მონაწილეობა ჩვენს ეპოქაში კაცობრიობის წინაშე მდგომი ისტორიული ამოცანების გადაწყვეტაში, მსოფლიოში ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესის მთელი ძალისა სოლიდარობის განმტკიცება, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი მარად ემასსოვრება მაღლიერ კაცობრიობას როგორც თანამიმდევრული მგზნებარე და დაუცხრომელი მებრძოლი ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, იმ მსოფლიო ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, რომელიც კაცობრიობას შუქქმნა.

კარგად ვიცით, რომ მშვიდობას იმპერიალისტებს ვერ გამოსთხოვ. იგი უნდა დაიცვათ მხოლოდ საბჭოთა შეიარაღებული ძალების ურყევ ძლიერებაზე დაყრდნობით. როგორც პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელი, როგორც სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლეონიდ ილიას ძე ნიადგა უთმობდა ყურადღებას იმას, რომ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ყოფილიყო.

აქ, ამ დარბაზში, შეიკრიბნენ ისინი, ვინც შედის ჩვენი პარტიის შტაბში, რომელსაც თერამეტ ნელს უცვლელად ედგა სათავეში ლეონიდ ილიას ძე თითოეულმა ჩვენგანმა იცის, რამდენი ძალ-ღონე შეაღია და სულის მგზნებარება ჩააქსოვა მან ერთსულოვანი, კოლექტიური მუშაობის ორგანიზაციის, იმას, რომ ეს შტაბი კვალავდეს უტყუარ ლენინურ კურსს. თითოეულმა ჩვენგანმა იცის, რა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ლეონიდ ილიას ძემ იმ ჯანსაღი მორალურ-პოლიტიკური ატიმოსფეროს შექმნაში, რომელიც დღეს ახასიათებს ჩვენი პარტიის ცხოვრებასა და საქმიანობას.

ლეონიდ ილიას ძის სახელთან დაკავშირებულია მარქსიზმ-ლენინიზმის დასაცავად ჩვენი პარტიის პრინციპული ბრძოლა, განვითარებული სოციალიზმის თეორიის შემუშავება. კომუნისტური მშენებლობის ყველაზე აქტუალური ამოცანების გადაწყვეტის გზების განსაზღვრა. მის მოღვაწეობას მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში სამართლიანად მისცეს უმაღლესი შეფასება მოძვე პარტიებმა, ჩვენმა საზღვარგარეთელმა კლასობრივმა ძმებმა, სოციალიზმისათვის, კაპიტალის უღლის წინააღმდეგ, დიდი კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის ჩვენმა თანამებრძოლმა ამხანაგებმა.

ლეონიდ ილიას ძე ბრენენვის სიცოცხლე შეწყდა მაშინ, როცა მისი აზრები, მეცადინეობა მიმართული იყო ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების იმ უდიდესი ამოცანების გადაწყვეტისადმი, რომლებიც განსაზღვრეს სკკპ XXVI ყრილობამ და ცენტრალური კომიტეტის მომხდველი პლენუმებმა. ამ ამოცანების შესრულება, ლეონიდ ილიას ძე ბრენენვის ხელმძღვანელობით შემუშავებული ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო-პოლიტიკური კურსის თანამიმდევრული განხორციელება, ჩვენი უპირველესი მოვალეობაა. და ეს იქნება ჩვენს

რიგებს გამოკლებული ხელმძღვანელებს დათელი ხსოვნის საუკეთესო პატივისცემა.

დიდია ჩვენი მწუხარება. მძიმეა ჩვენი დანაკლისი.

ამ ვითარებაში თითოეული ჩვენგანის, თითოეული კომუნისტის ვალაია კიდევ უფრო მჭიდროდ შეაკავშიროს ჩვენი რიგებში, კიდევ უფრო მტკიცედ დაირაზმოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, თავის პოსტზე, თავის ცხოვრებაში რაც შეიძლება მეტი გააკეთოს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის, მშვიდობის განმტკიცებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

საბჭოთა ხალხი უსაზღვროდ ენდობა თავის კომუნისტურ პარტიას, ენდობა იმიტომ, რომ მისთვის არ ყოფილა და არც არის სხვა ინტერესები, გარდა საბჭოთა ადამიანების საარსებო ინტერესებისა. გაამართლო ეს ენდობა — ნიშნავს იარო წინ კომუნისტური მშენებლობის გზით, იღვწოდე ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებისათვის.

ჩვენ, ამხანაგებო, გვაქვს ისეთი ძალა, რომელიც გვებმარებოდა და გვებმარება უმძიმეს მომენტებში, რომელიც საშუალებას გვაძლევს გადაეწვიტოთ ურთულესი ამოცანები. ეს ძალაა ჩვენი პარტიული რიგების ერთიანობა, ეს ძალაა პარტიის კოლექტიური სიბრძნე, მისი კოლექტიური ხელმძღვანელობა, ეს ძალაა პარტიისა და ხალხის ერთიანობა.

ჩვენი პლენუმი დღეს იმისათვის შეიკრიბა, რომ პატივი სცეს ლეონიდ ილიას ძე ბრენენვის ხსოვნას და უზრუნველყოს იმ საქმის განგრძობა, რომელსაც მან თავისი სიცოცხლე შეაღია.

პლენუმმა უნდა გადაწყვიტოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის არჩევის საკითხი.

ვთხოვ ამხანაგებს, გამოთქვან აზრი ამ საკითხზე.

ამხანაგ კ. უ. ჩერენკოს სიტყვა

ქვირვასო ამხანაგებო!

სოლიტბიურომ დამავალა გამოვსული-ყავი ცენტრალური კომიტეტის ამ რიგგარეშე პლენუმის მონაწილეთა წინაშე.

ჩვენს ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმს ნამდვილად საგანგებო ხასიათი აქვს. ქვეყანა და პარტია დიდად დამსუნხრებული არიან. გარდაიცვალა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

საბჭოთა ხალხმა დაკარგა გამოჩენილი ხელმძღვანელი, რომელიც თითქმის ორი ათწლეულის მანძილზე მეთაურობდა პარტიასა და სახელმწიფოს, მთელ ძალღონესა და უდიდეს ნიჭს ახმარდა საბჭოთა ადამიანების ბედნიერებას, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის საქმეს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ კაცობრიობამ დაკარგა მშვიდობის, თავისუფლებისა და სოციალური პროგრესის იდეალებისათვის დიდი, ჭეშმარიტად დაუცხრომელი მებრძოლი. ჩვენ, საბჭოთა კომუნისტებმა ჩვენმა ძმებმა სოციალისტურ ქვეყნებში, ჩვენმა თანამებრძოლებმა მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში დაკარგეს ლენინის საქმის ნიჭიერი განმგრძობი, ადამიანი, რომლისაგანაც ვსწავლობდით მშრომელთა ინტერესებისადმი უსაზღვრო ერთგულებას.

ენით უთქმელია ჩვენი მწუხარება ამ დანაკლისის გამო, მაგრამ ამ გლოვის ფაშს დიდ ნუგავს გვცემს ყველასათვის ძვირფასი ლეონიდ ილიას ძის ცხოვრების გაკვეთილები.

ლეონიდ ილიას ძეს სრულად პქონდა მომადლებული ნიჭი მთლიანად ეცხოვრა საზოგადოების ინტერესებით, ხალხის ინტერესებით. ასე იყო ყოველთვის, ჭაბუკობის წლებიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

ლეონიდ ილიას ძემ კარგად იცოდა, რომ მარტო კეთილი სურვილები ლიტონი სიტყვებია. არ კმარა გამოთქვა სწორი აზრები, საჭიროა განამტკიცო ისინი ზუს-

ტი ორგანიზატორული მუშაობით, გასაგები და მისანდომი გახადო მშრომელთა ფართო მასებისათვის. მას უყვარდა ადამიანები. იგი ენდობოდა ადამიანებს.

ლეონიდ ილიას ძე ვაგაკური სულის ადამიანი იყო. მან დაამტკიცა ეს არა მარტო დიდ სამამულო ომში, რომელიც განვლო პირველადან უკანასკნელ დღემდე, ვაგაკობას ერთხელაც არ უღალატია მისთვის მთელი ცხოვრების გზაზე. იგი დიდად, მეტად დიდად აფასებდა თითოეულ ამხანაგში გამბედაობას, პრინციპულობას, სიმტკიცეს ყოველგვარი განსაცდელის წაშლას.

ლეონიდ ილიას ძის გვერდით ყოფნა, მისი მოსმენა, მისი მახვილი გონების, გამჭრიახობის, სიცოცხლის ტრფილის თვალნათლივ შეგრძნება იყო საკლა ყველა ჩვენგანისათვის, ვისაც წილად ხვდა ბედნიერება მის მხარდამხარ ემუშავა.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი ფასდაუდებელ მეგობარობას გვითმობს. ჩვენი 18-მილიონიანი პარტია ერთიანი და შეკავშირებულია. საბჭოთა ხალხს უსაზღვროდ სწამს პარტიის სიბრძნისა. ჩვენი ცხოვრების ნორმები გახდა მომთხოვნელობა და პატივისცემა კადრებისადმი, ურღვევი დისციპლინა და გაბედული სასარგებლო ინიციატივების მხარდაჭერა, შეურიგებლობა ბიუროკრატიზმის ყოველგვარი გამოვლინებისადმი და მუდმივი ზრუნვა მასებთან კავშირის განვითარებისათვის, საბჭოთა საზოგადოების ნამდვილი დემოკრატიზმისათვის.

ეუფრთხილდებოდეთ და ვავითარებდეთ ხელმძღვანელობის ამ სტილს, თვალისჩინივით ვიცავდეთ ყველაფერს, რაც თავისი სიტყვითა და საქმით ლეონიდ ილიას ძემ გვიანდერძა, — ჩვენი ვალია მისი ხსოვნის წინაშე, ჩვენი ვალია პარტიისა და ქვეყნის წინაშე. მტკიცე სანდოარი იმისა, რომ ასე იქნება, არის პარტიის

ხელმძღვანელი ბირთვი, მისი ცენტრალური კომიტეტი, პოლიტიბიურო, რომელიც ჩამოყალიბდა ლეონიდ ილიას ძის გადაწყვეტი მიზანმიმართულად.

პოლიტიბიუროს სახელით მიიღა გამოცემა უღრმესი რწმენა, რომ ჩვენი პლენუმი მთელი ქვეყნის, მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყოფს, რომ პარტია კვლავაც მტკიცედ იელის ლენინური კურსით, რომელიც თანამედროვე ეტაპზე მკაფიოდ და სრულად არის გამოხატული სკკპ XXIII-XXVI ყრილობების გადაწყვეტილებებით. ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რომლის შემუშავებასა და შესრულებაში უდიდესი წვლილი შეიტანა ლეონიდ ილიას ძე ბრენევემა, განხორციელდება მტკიცედ, თანამიმდევრულად და მიზანდასახულად.

ჩვენი ორიენტაციები იყო, არის და იქნება ხალხის კეთილდღეობა და ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნება.

ჩვენ გვაქვს ვრცელი, კარგად ანონიდანონილი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა. ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს, ასეთია პარტიის მოთხოვნა. ეს კინიშნავს, ინდუსტრიული და აგრარული სექტორების ტექნიკურ განახლებას, მართვის სრულყოფას და, რა თქმა უნდა, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, მისი ნაყოფიერების ზრდას. ამ ბაზაზე განუხრელად განვითარდება ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკა, გაუმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა. ამავე ბაზაზე განმტკიცდება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა.

ჩვენ გვაქვს ოთხმოციანი წლების ვრცელი, კონკრეტული სამშვიდობო პროგრამა. იგი შეესაბამება ხალხის მისწრაფებებს. დაძაბულობის შენელება, ჭანჩარალება, კონფლიქტური სიტუაციების დაძლევა, ბირთვული ომის საფრთხის აღკვეთა — აი ამოცანები, რომლებსაც ვისახავთ. ჩვენ გვინდა საიმედო უშიშროება ჩვენთვის და ჩვენი მეგობრებისათვის, მსოფლიოს ყველა ხალხისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო!

ყველა ჩვენგანს, ალბათ, შეგნებულნი აქვს, რომ მეტად ჭირს იმ დანაკლისის შევსება, რომელსაც ლეონიდ ილიას ძის გარდაცვალების გამო განვიცდიით. ახლა ორკეცად, სამკეცად უფრო საჭიროა კოლექტიურად გაუძღვეთ პარტიის საქმეს. ყველა პარტიულ ორგანოში ერთსულოვანი, ერთობლივი მუშაობა უზრუნველყოფს

შემდგომ წარმატებებს როგორც კომუნისტურ მშენებლობაში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენს საქმიანობაშიც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურომ განიხილა შექმნილი ვითარება და დამავალა პლენუმს შეეთავაზო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აირჩიოს ამხანაგი იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი. საჭიროდ არ მიმაჩნია გაამბოთ მისი ბიოგრაფია. იური ვლადიმერის ძეს კარგად იცნობენ პარტიასა და ქვეყანაში როგორც ლენინური პარტიის საქმისათვის თავდადებულ, ერთგულ კომუნისტს, როგორც ლეონიდ ილიას ძის უახლოეს თანამებრძოლს.

იური ვლადიმერის ძეს აქვს საშინაო და საგარეო პოლიტიკის, იდეოლოგიის დარგში მრავალმხრივი საქმიანობის გამოცდილება. იგი იყო კომკავშირული ხელმძღვანელიც და დიდი პარტიული მუშაკიც, დიპლომატიც. იგი საკმაოდ გაისარჯა სოციალისტური თანამშრომლობის განმტკიცებისათვის, ჩვენი სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

ლეონიდ ილიას ძე დიდად აფასებდა მის მარქსისტულ-ლენინურ მრწამსს, პარტიულობას, ფართო გონებრივ პორიზონტს, მის შესანიშნავ საქმიან და ადამიანურ თვისებებს. პოლიტიბიუროს ყველა წევრს მიაჩნია, რომ იური ვლადიმერის ძემ კარგად შეითვისა ხელმძღვანელობის ბრუნველისეული სტილი, ხალხის ინტერესებისათვის ბრუნველისეული ზრუნვა, კდრებისადმი ბრუნველისეული დამოკიდებულება, მტკიცე გადაწყვეტილება მთელი ძალებით წინააღმდეგს აგრესორთა ხრიკებს, დაიცავს და განამტკიცოს მშვიდობა.

იური ვლადიმერის ძისათვის დამახასიათებელია პარტიული თავმდაბლობა, სხვა ამხანაგების აზრის პატივისცემა და კოლექტიური მუშაობისადმი მისწრაფება. პოლიტიბიუროს ერთსულოვანი აზრით, ამხანაგი ანდროპოვი ღირსია ცენტრალური კომიტეტის წდობის, პარტიის წდობის.

ძვირფასო ამხანაგებო! თავს ვხრით რა ლეონიდ ილიას ძის ნათელი ხსოვნის წინაშე, ჩვენ საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ დაუცხრომლად განვაგრძობთ ჩვენს აღმშენებლობით მუშაობას. ყველაფერი, რის დამთავრებაც ვერ მოასწრო ლეონიდ ილიას ძემ, ყველაფერი, რაც მისი ხელმძღვანელობით დასახა პარტიამ, აღსრულდება.

იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი

იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი დაიბადა 1914 წლის 15 ივნისს რკინიგზელის ოჯახში სტავროპოლის მხარის სადგურ ნაგუტსკიაში. აქვე უმაღლესი განათლება. სკკპ წევრია 1939 წლიდან.

თექვსმეტი წლის კომკავშირელი იყო, როცა ი. ვ. ანდროპოვმა მუშად დაიწყო მუშაობა ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკის ქალაქ მოზდოკში. შემდეგ მისი შრომითი ბიოგრაფია გაგრძელდა ეოლგის სახაოსნოს გემებზე, სადაც მეზღვაურად მუშაობდა.

1936 წლიდან ი. ვ. ანდროპოვი კომკავშირულ სამუშაოზეა.

იგი არჩეული იყო იაროსლავლის ოლქის ქალაქ რიბინსკის სახაოსნო ტრანსპორტის ტექნიკუმის კომკავშირული ორგანიზაციის განთავისუფლებულ მდივნად. მალე დააწინაურეს სრულიად საქავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგის თანამდებობაზე ქალაქ რიბინსკის ეოლოდარსკის სახელობის გემთსაშენში. 1938 წელს იაროსლავლის ოლქის კომკავშირულებმა ი. ვ. ანდროპოვი აირჩიეს სრულიად საქავშირო აღკკ იაროსლავლის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად. 1940 წელს ი. ვ. ანდროპოვს ირჩევენ კარელიის აღკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად.

დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე ი. ვ. ანდროპოვი კარელაში პარტიზანული მოძრაობის აქტიური მონაწილეა. 1944 წელს, ფაშისტ დამპყრობთაგან პეტროზავოდსკის განთავისუფლების შემდეგ ი. ვ. ანდროპოვი პარტიულ სამუშაოზეა. მას ირჩევენ პარტიის პეტროზავოდსკის საქალაქო კომიტეტის მეთორ მდივნად. 1947 წელს კი კარელიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეთორ მდივნად.

1951 წელს ი. ვ. ანდროპოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით გადაყავთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში და ნიშნავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსპექტორად. შემდეგ კი ქვეგანყოფილების გამგედ.

1953 წელს პარტიამ ი. ვ. ანდროპოვი დიპლომატიურ სამუშაოზე გააგზავნა. რამდენიმე წელს იყო იგი სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში.

1957 წელს ი. ვ. ანდროპოვი დააწინაურეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგედ.

პარტიის XXII და მომდევნო ყრილობებზე ი. ვ. ანდროპოვს ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრად.

1962 წელს ი. ვ. ანდროპოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად აირჩიეს.

1967 წლის მაისში ი. ვ. ანდროპოვი ინიშნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ. იმავე წლის ივნისში იგი არჩეულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატად.

1982 წლის მაისში ი. ვ. ანდროპოვი აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

1973 წლის აპრილიდან ი. ვ. ანდროპოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრია.

იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი სსრ კავშირის მთელი რიგი მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

ყველა პოსტზე, სადაც კი პარტიის ნებით იღვწოდა ი. ვ. ანდროპოვი, ვლინდებოდა მისი ერთგულება ლენინის, პარტიის დიადი საქმისადმი. იგი მთელ თავის ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას ახმარს პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელებას, კომუნისტური იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლას.

სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის ი. ვ. ანდროპოვს — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს — 1974 წელს სოციალისტური შრომის-გმირის წოდება მიენიჭა. იგი დაჯილდოებულია ოთხი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციისა და წითელი დროშის ორდენებით, სამი შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

ბალახტიონი ტაზიკა

დროშები ჩქარა

გათენდა. ცეცხლის მზე აენთო, აცურდა...
 დროშები ჩქარა!
 თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
 ვით დაჭრილ ირმების გუნდს — წყარო ანკარა...
 დროშები ჩქარა!
 დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს,
 ვინც თავი გაწირა, ვინც სისხლი დაღვარა.
 მათ ხსოვნას ჭვეყანა სანთლებად აინთებს...
 დროშები ჩქარა!
 დიდება, ვინც კიდეც გვაბრძოლებს იმედით,
 ვინც მედგრად დახვდება მტრის რისხვა-მუქარას...
 გათენდა! შეერთდით, შეერთდით, შეერთდით!
 დროშები, დროშები... დროშები ჩქარა!

ლურჯა ცხენები

როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი,
 ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში!
 არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი
 ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე.
 მდუმარების გარეშე და სიცივის თარეში
 სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწყუხარეა.
 ცეცხლი არ კრთის თვალეზში, წევხარ ცივ სამარეში,
 წევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია.
 შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
 უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან.
 სიზმარიან ჩვენებით — ჩემი ლურჯა ცხენებით
 ჩემთან მოესვენებით, ყველანი აქ არიანი!

იჩქარიან წამები, მე კი არ მენანება,
 ცრემლით არ ინამება სამუდამო ბალიში.
 გაქრა ვნება-წამება, როგორც ღამის ზმანება,
 ვით სულის ხმოვანება ლოცვის სიმხურვალეში.
 ვით ცეცხლის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი
 ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები.
 ყვავილნი არ არიან, არც შვება-სიზმარია,
 ეხლა კი სამარეა შენი განსასვენები.
 რომელი ცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის შენს სახელს?
 ვინ გაიგებს შენს ძაბილს, ძაბილს ვინ დაიჭერებს?
 ვერავინ განუგეშებს საოცრების უბეში,
 სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს.
 მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა,
 მშრალ რიცხვების ამარა უღაბნოში ლელდება,
 შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
 უსულდგმულო დღეები ჩნდება და ქვესკნელდება.
 მხოლოდ ნისლის თარეში, სამუდამო მხარეში,
 ზევით თუ სამარეში, წყველით შენაჩვენები,
 როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,
 ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები.

ათოვდა ზამთრის ბაღებს

ათოვდა ზამთრის ბაღებს,
 მიჰქონდათ შავი კუბო,
 და შლიდა ბაირალებს
 თმაგაწეწილი ქარი.
 გზა იყო უღაბური,

უსახო, უპირქუბო.
 მიჰქონდათ კიდევ კუბო...
 ყორნების საუბარი:
 დარეკე! დაუბარე!
 ათოვდა ზამთრის ბაღებს.

სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში

დედაო ღვთისაჲ, მზეო მარიამ,
 როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
 ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
 და შორეული ცის სილაჟვარდე.
 შემოიღამებს მთის ნაპრალები,
 და თუ როგორმე ისევ გათენდა,
 ლამენათევი და ნამთვრალევი
 დაღლილ ქალივით მივალ ხატებთან.
 ლამენათევი და ნამთვრალევი
 მე მივეყრდნობი სალოცავ კარებს,
 შემოიჭრება სიონში სხივი
 და თეთრ ოლარებს ააღლვარებს.

და მაშინ ვიტყვი: აჰა, მოვედი
 გედი დაჭრილი ოცნების ბალით,
 შეხედე, დასტკები ყმაწვილურ ბედის
 დაღლილ ხელებით, წამებულ სახით!
 შეხედე! დასტკები! ჩემი თვალები,
 წინათ რომ ფეთქდნენ ცვრებით, იებ
 ლამენათევი და ნამთვრალევი
 საესეა ცრემლთა შურისძიებით.
 დასტკები! ასეა ყველა მგოსნები?
 შენს მოლოდინში ასეა ყველა?
 სული, ვედრებით განაოცები
 შენს ფერხთქვეშ კვდება, როგორც
 პეპელა.

სად არის ჩემთვის სამაგიერო, საბედნიერო სად არის სული? ვით სამოთხიდან ალიგიერი, მე ჯოჯობებით ვარ დაფარული. და როცა ბედით დაწყველილ გზაზე სიკვდილის ლანდი მომეჩვენება, განსასვენებელ ზიარებაზე ჩემთან არ მოვა შენი ხსენება.

დავიკრეფ ხელებს და გრილი ღამეები გამაქანებენ სწრაფი ცხენები, ღამენათევი და ნამთვრალევი ჩემს სამარეში ჩავესვენები. დედაო ღვთისავე, მზეო მარიაჲ, როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი, ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია და შორეული ცის სილაყვარდე.

მას გახელილი დარჩა თვალები

მზეო თიბათვის, ყოფნა უმზეო მზე მიიცივალა ღია თვალებით! ის მიიცივალა რალაც უმწეო და საოცარი გარდაცვალებით! მას გახელილი დარჩა თვალები, ოჰ, გახელილი დარჩა თვალები! ის უცხო მხარეს გარდაიცივალა და გახელილი დარჩა თვალები! და ეს თვალები საღამოთა ხმას უსმენდნენ ტანჯვით და მოკრძალებით მას გახელილი დარჩა თვალები, ოჰ, გახელილი დარჩა თვალები! რა ხდება იქით, საიდან ისმის მგლოვიარეთა ქნართა: „მშვიდობით“? უტერად სწყვეტენ სიმები სიცილს უამინდობით... უამინდობით! საიდან ისმის ჩუმი ვალობა და უღონობა სუნთქვის შემწყდარის, წამების წუნარი წარმავალობა და მოგონება ძვირფასი მკვდარის?

მიდის ზაფხული... ბალში, მდელიოში სისინებს სიო, შრიალებს ნეშო, მე ისევ აქ ვარ... საქართველოში! რისთვის, ძვირფასო, რისთვის, ნუგეშო? და ეს თვალები სერაფიმთა ხმას უსმენდნენ ტანჯვით და მოკრძალებით მას გახელილი დარჩა თვალები, ოჰ, გახელილი დარჩა თვალები! მივალ, მიმყვება მე შენი ცქერა და ხვერდებზე ეცემა ჩრდილი, ყველგან უჩინრად ტირის, ცერერა, თვალები ცივი და გახელილი. ღირდა თუ არა სხვა სიცოცხლეზე ოცნება ჩუმი და ფერმიხდილი? მე გზა არ ვიცი უახლოესი — ერთადერთი გზა არის სიკვდილი. მას გახელილი დარჩა თვალები, ოჰ, გახელილი დარჩა თვალები! ის უცხო მხარეს გარდაიცივალა და გახელილი დარჩა თვალები!

მშვიდობიანი სიმღერა დავის

იფინებოდა ზღვების საბურთა ტალღათა შორის ნავთა მშოსავეთ, გამოჭროლება ზეინაბური და სილაყვარდე უღაბნოსავით. იფინებოდა ნათელ დღესავით ალურსიანი შუქის ფერება, გადაკარგული და ნათესავი ძვირფასი დების ხმით ამღერება.

იმ ხმით ნათქვამი თეთრი გედები, უმსუბუქესი ნისლით ფარული, ისმოდა, როგორც შორი ედები და მხარეები ლეგენდარული. საღამოს ქარში ჰქროდა გონება, ღრუბლებში ჰქროდა ფერი ფარების ისმოდა ჰიმნი და მოგონება ჩემი ომების და გადარჩენის.

იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვავილებს!

ვარსკვლავების თოვლი ცას შელეკია.
მესმის რულში, როგორც ყრუ ელეგია,
მატარებლის დამალავი ხმაური,
რაღაც მღვრიე, რაღაც არაქაური.
მე ვიგონებ ვნებას სიყმაწვილის დროს,
მე ვიგონებ ატმებზე მთვარის ჩრდილებს,
იმ ატმებს გაუმარჯოს,
იმ ატმის ყვავილებს!

ყველაფერი სიზმარივით გათავდა,
რასაც გული სიყრმით დამიხატავდა.
მესმის რულში, ერთხელ ვაიბზარა რა,
მატარებლის: რა-რა-რა-რა, რა-რა-რა.
არა — არას, მე ვისმენდი მხოლოდ ჰოს.
მე ვიგონებ ატმებზე მთვარის ჩრდილებს,
იმ ატმებს გაუმარჯოს,
იმ ატმის ყვავილებს!

სარკმელიდან — მთების უბეში ნიავს
არვინ ეტყვის: იყავ, ნუ გეშინია!
იყო ღამე, იყო უდაბნოეთი,
ოდეს მშვიდი და უცნობი ჰოეტი
თვითებულ ჩრდილს შეეხაროდი, თითო რტოს,
და ვიგონებ ატმებზე მთვარის ჩრდილებს.
იმ ატმებს გაუმარჯოს!
იმ ატმის ყვავილებს!

თოვლი

მე ილიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ზიდიდან ფენა,
მწუხარე გრინობა ცივი სისოვლის
და სიყვარულის ასე მოთმენა.
ძვირფასო, სული მეყება თოვლით,
დღეები რბიან და მე ვებრდები!
ჩემს სამშობლოში მე მოველე მხოლოდ
უდაბნო ლტოვად ნახავერდები.
ოჰ, აეთია ჩემი ცხოვრება! —
იანვარს მოამედ არ ვეძნელები,
მაგრამ მე მუდამ მემახსოვრება
შენი თოვლივით მკრთალი ზელები.
ივირფასო, ვხედავ... ვხედავ შენს
ზელებს,
ულონოდ დაბრილს თოვლთა დაფნაში
იელებს, ჰქრება და კვლავ იელებს

შენი მანდილი ამ უდაბნოში...
ამიტომ მიყვარს იისფერ თოვლის
ჩვენი მდინარის ხიდიდან ფენა,
მწუხარე გრინობა ქროლია, მიმოვლის
და ზამბახების წყებად დაწვენა.
თოვს! ამნაირ დღის ხარებამ ლტოვი
და დაღალული სიზმრით დამთოვა.
როგორმე ზამთარს თუ გადავტოვი,
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!
არის გზა, არის ნელი თამაში...
და შენ მიდიხარ მარტო, სულ მარტო
მე თოვლი მიყვარს, როგორც შენს ხმაში
ერთ დროს ფართული დარდი მიყვარდა.
მიყვარდა მაშინ, მათრობდა მაშინ
მშვიდი დღეების თეთრი ბროლება,



მინდვრის ფოთლები შენს დაშლილ
 თმაში
 და თმების ქარით გამოქროლება.
 მომწყურდი ეხლა, ისე მომწყურდი,
 ვით უბინაოს — ყოფნა ბინაში...
 თეთრი ტყეების მომყვება გუნდი

და კვლავ მარტო ვარ მე ჩემს
 თოვს! ამნაირ დღის ხარებამ ლურჯი
 და დაღალული ფიფქით დამთოვა.
 როგორმე ზამთარს თუ გადაეურჩი,
 როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!

ქარი ჰქრის...

17471

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,
 ფოთლები მიჰქრის ქარდაქარ...
 ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის,
 სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?...
 როგორ წვიმს, როგორ თოვს, როგორ თოვს,
 ვერ გბოვებ ვერასდროს... ვერასდროს!
 შენი მე სახება დამდეგს თან
 ყოველ დროს, ყოველთვის, ყოველგან!..
 შორი ცა ნისლიან ფიქრებს ცრის...
 ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის!

ქარი მოგონებათა

აგვისტო თბილი, სამხრეთის ქარი
 შენს ლაყვარდოვან მანდილში ჰქროდა,
 ისმოდა შორით „რაშო-და-შოდა“
 და კრიალებდა მზიანი დარი,
 როგორც ოცნება უშორეს დროთა.
 თითქოს ქალწულმა პირველად სცოდა
 და სინანულის დაგუბდა ღვარი...

ზღვა იყო წყნარი.
 თითქოს ფენობა ზურმუხტის რტოთა,
 ცის დასავლამდე უსიზმროდ მდგარი,
 უსმენდა ჩანგებს და მოელოდა,
 შორს, ძალიან შორს მოჩანდა ქარი.
 მე შენ გკოცნიდი და გული თრთოდა
 ზღვა იყო წყნარი.

ოგნივსით

ეზოს ახსოვს ყოველ წუთის
 შარავნა და გადაღმა.
 ისევ იქ დგას ჩრდილი თუთის,
 ცაცხვები კი ეაღსამა.
 და ტირიფიც მალღარ მტევნით,
 სასაცილო ტირიფი,
 გადახრილი ზედმიწევნით,
 მსუბუქი და ირიბი.
 დაფენილი თითქოს ომში —
 ფშანია თუ ქალტამი? —

ველად ყრია ლურჯი კომში
 და ცისფერი ატამი.
 ალუბლები. ისევ ჰქრის
 სევდიანნი სიონი
 და სახელად რიონს ჰქვი,
 ისევ იგი რიონი.
 ისევ ჩნდება მწყერით ველი,
 ღალღა თვალს ეცეცება,
 ღამლამობით მოღის მგელი
 და საქონელს

პ. შარდინის სტბ. სპმ. ს.
 სტახელმწიფო რედაქცია

დარჩენილი მინდვრად ჩალა,
დანისლული კობიტი...
განადგურდა მეფის ჭალა,
ჩრდილი შემოდგომითი.
ომნიბუსო, მახსოვს შენი
შარაგზებზე ქლარუნი,

ძველი დაბა ახალშენი
და ქვეტიკირის წყარონი.
ბარს ედები, ცას ედები,
წყალს, დაღარულს დამბებით,
მოგაქვს თეთრი გაზეთები
მუდამ ძველი ამბებით.

ი. ა.

ქალაქში, მტვერში წაიქცა ბავშვი
ნუკრის თვალებით, თმით—მიმოზებით,
და მწუხარების მალენიავეში
მოფრინდნენ ლურჯი ანგელოზები.

შეშლილი სახით კიოდა ქუჩა,
შორს კი მზე დარჩა და მშობლის კერა!
მზეზე ჰყვავოდა სოფლად ალუჩა
და გაისმოდა დების სიმღერა.

გაგონდება თუ არა
კარალეთის დღეები,
მთების ლურჯი კამარა —
უცხო სამოთხეები?
კიდევ შეგრჩა თუ არა
მხიარული თვალეები?

თუ დრომ გადაუარა
და ჩაუქრო ალები?
მივდიოდით მხარდამხარ
და დრო გვეუარესა,
აწ არ ვიცი, სადა ხარ
და რომელსა მხარესა.

რევოლუციურ საქართველოს

რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს,
უდიდესს თავის ნებისყოფით, გმირულს უღარესს,
თვალწინ გადაშლილ გარდატეხათ უდიადეს აზრს,
მრავალი ათას მტკიცე ძაფით დაკავშირებულს,
აღფრთოვანებას მასებისას, მილიარდიან
ძლიერ ტალღებად რომ მიღელავს ახალის ძალით,
უსასტიკესი დაეინებით რომ ალებს კარებს
მილიონების უფართოეს ჰორიზონტებთან,
ნგრევას, ო, ნგრევას, დაუნდობელ ნგრევას ძველისას,
კარჩაეკტილი ცხოვრებიდან — გავიდეთ მზეზე,
უღმობელ ტრიალს ისტორიის მედგარი ბორბლის,
რევოლუციურ საქართველოს,
ნახტომს უდიდესს, უზარმაზარს, განსაცვიფრებელს, —
რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს,
ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას!



მხოლოდ გული...

მხოლოდ გული, ოპ, გული!
ახსოვს დიდი ხანია,
რომ იქ დღეა ორგული
და იქ ალაზანია.

მხოლოდ გრძნობამ, ოპ, გრძნობა!
მოგონება შორისა —
ოცდაორი აგვისტო
ცხრაას ოცდაორისა!

უკანასკნელი მატარებელი

ცხოვრების ეტლის სადარებელი
საცაა გავა მატარებელი,
მიემგზავრება იმედი ჩემი,
სიცოცხლის ჩემის გამდარებელი.
ვიცი, ამ წასვლას რაც ეწოდება, —
რა საჭიროა ეხლა ვოდება.
მატარებლისგან როს მიმიღია
ან თანაგრძნობა, ან შეცოდება?
მატარებელი თვლემს, როგორც ლავა,
მატარებელი ხუთ წუთში გავა,

ვინც სხვება აცილებს, დროა ჩასვლისა,
მატარებელი ხუთ წუთში გავა.
აჰა, დაიძრა რკინის ბორბლები,
მევსდევ ვაგონებს, მახრჩობს გრძნობები.
გემშვიდობები სამარადისოდ,
სამარადისოდ გემშვიდობები!
ნეტავ ასეთი რად მერგო ბედი, —
ყოველქამს ვკარგო თითო იმედი,
გამოსალმების ხელოვნებისთვის
ნუთუ არვინ არს პოეტის მერი?

ვნარ ვინმე მესხი მელექსე

ვწერ ვინმე მესხი მელექსე,
რაც კი მივლია მე გზები,
ჯერ ლექსი მწვავდა, მერე მზე,
ჯერ მზე და მერე ლექსები.
იყოს ნაკვეთი შაირი,
როგორც ნასროლი ისარი,
ხან სროლა ქუხილნაირი,
ხან რხევა სამაისარი,

ხან საცენსარი დაირი,
ხან ჩანგი მოდაისარი.
ის არი სუნთქვა, ჰაერი,
მთელი სიცოცხლე ის არი.
შმაგი, ვით ვეფხვი დაჭრილი,
მშობლიურ მთა და ველებზე
ვარ ოცნებისთვის გაჭრილი
მე, ვინმე მესხი მელექსე,

მე კავკასიის ქედები მთხოვენ

მე კავკასიის ქედები მთხოვენ,
მე მთხოვენ მუსიკა თერგის ხმაურის
ვუსმინო ყაზბეგს — ხევის ბეთხოვენს
აგუგუნება კაიშაურის.
მე მშობლიური არაგვი მიჩქევს,
წინასწარ ვიგრძნო, ვიცოდე მარად,

ქართველის გული თუ რისთვის ირჩევს
ომში სიცოცხლე ჩათვალოს არად.
იმ დღეებს ძეგლი უნდა აუგო.
უნდა აღმართო წყებათა წყება,
ვით აღმართა შენთან, ძაუგო,
გამარჯვებათა ჩვენთა დაწყება!

ქაბათა ქაბა ნიკორწმინდას

მაჭეს შქერდს მიდებული
 ქნარი, როგორც მინდა,
 ჩემთვის დიდებული
 სხივი გამობრწყინდა.
 მკვიდრად ააშენა,
 ვინაც ააშენა
 და ცხო დააშვენა
 დიდი ნიკორწმინდა.

გზნებით დამპარგავი
 გრძელულ ჩუქურთმებით,
 ქარგით დამპარგავი
 ნაზი შუქურთმებით.
 ნეტა ვინ აზიდა,
 ან როგორ აზიდა,
 რა ხელმა აზიდა
 მალა ნიკორწმინდა!

რა განძი გვქონია,
 რა მზხე, რა მდიდარი,
 ელერს ქვის პარძონია,
 დარობს რამდი დარი.
 კარგად გამოაქვეთა,
 ვინაც გამოაქვეთა,
 სიბრძნით გამოაქვეთა
 მძლავრი ნიკორწმინდა.

აქ რომ თაღებია, —
 სვეტთა შეკონება, —
 ისე ნაგებია,
 სიზმრის გეგონება.
 ნეტა ვინ ააგო,
 რა ნიჭმა ააგო,
 რა მადლმა ააგო
 სვეტი — ნიკორწმინდა!

გრძნობ, ვით დიადია
 თორმეტი სარკმელი,
 ხაზებში ანთია
 ცეცხლი მისარკმელი:
 ნეტა ვინ აანთო,
 რომ გრძნობით აანთო
 და წლებს გადაანთო
 ნათლად ნიკორწმინდა!

ხვეულთ დიადება
 ეხედავ — რა უხვია,
 დრომ მას დიადება
 კრძალვით შეუხვია.
 ნეტა ვინ მოქაარგა,
 და როცა მოქაარგა,
 შიგ მოქაარგ-მოქაარგა
 გზნება — ნიკორწმინდა!

მკვეთრი და მოქნილი
 ხაზთა დასრულება
 არის ამოღქმნილი
 ნატურის ასრულება.
 ეს ის სიმკვეთრეა,
 ეს ის სიმდიდრეა,
 რაითაც მკვიდრია
 ძეგლი — ნიკორწმინდა.

შვენის სულმნათისად
 ასელა ეროვანი:
 ყელი გუმბათისა
 მალალეროვანი,
 ცამდის აღერილი,
 ნებით აღერილი,
 სათნოდ აღერილი
 გშვენის, ნიკორწმინდა!

მზერა ქართულია
 სივრცის დაუნჯებით,
 თვალი გართულია
 ფრთიან ფასუქუნჯებით.
 ფრთები, ფრთები გვინდა,
 კიდევ ფრთები გვინდა,
 გვინდა დავეუფლოთ
 სივრცეს, ნიკორწმინდა!

შენ, ფრთამოღულუნეს
 ეამთა სიმალღეზე,
 ჩვენი საუკუნე
 გიცავს უახლესი:
 მძლავრი ხელოვნება,
 ხალხის ხელოვნება —
 ბრწყინავს საქართველოს
 ქებად ნიკორწმინდა!

ფელოზა სიდიადისა

ამ ზაფხულს გალაკტიონის მშობლიური სოფელი ქუევიში და ეზო-სახლი მოვიწახუდეთ. უბრალო, ღარიბი იმერელი გლეხის ქოხი რომ ენახე, შიგნით — შუაღვეცხლით, გარეთ — აიენით, „მოქარგული“ რიკული რომ ამშვენებს, გალაკტიონისადმი თავყვანისცემის გრძნობა კიდევ უფრო გამიღრმავდა.

იმ გარემოში ბევრი რამ დავინახე თითქოს „გალაკტიონის თვალით“.

არ არსებობს საგანი, მოვლენა, გრძნობა, განცდა, რომელიც არ დაენახოს გალაკტიონს და არ მოერგოს მის შესამკობად ქართული ენის საუნჯიდან ამოღებული სიტყვა. გადაე-ფურცლავ გალაკტიონის ლექსთა კრებულს და აღმოვჩნდები ნაცნობ ახლობელ გარემოში, თითქოს „გახელილი თვალუბრით“ ვუცქერი „პატარძალივით მდგარ“ ატმის ხეს, თუ „ელ-ვარე და ლომფერი ოქტომბრის“ დადგომას, როცა ფიქრებთან ერთად „ფოთლები მიჰქრებიან ქარდაქარ“.

თუ, ვთქვით, მიწერია გალაკტიონის ლექსების დავინფუბა, რაც თავისთავად წარმოუდგენელია, ვერ გავიმეტებდი დასავინყებლად „ნიკორწმინდას“. ეს ლექსი ლოცვა და ღაღადისია, რომელიც ყოველ დღით გსურს წარმოთქვა. და ვერ იტყვი, რაა აქ უფრო მძლავრად გამოხატული — ადამიანის შემოქმედი ხელის ქებათაქება თუ სამყაროს სიდიადის წუღობა.

მიხაილ დუდინი

გალაკტიონი

რამდენადაც დიდია პოეტი — მით უფრო დიდია ტრაგედია მისი სულისა, რომელიც ასხივოსნებს მომავლის რწმენას.

გალაკტიონ ტაბიძე თავისი დროის საკუთარი არსის სიღრმეებში წედომით სამუდამოდ დარჩება ჩემთვის გამოცანად.

ის ძალიან რთული პოეტია.

მის სულში რუსთაველის ბრძნული ნაღველი ცხოვრობდა და მოჩანდა უძიროდ ღურჯი ცა ბარათაშვილის უპასუხოვად დატოვებული სიყვარულითა.

მის სულში გვერდი-გვერდ ცხოვრობდნენ ფრანსუა ვიიონისეული კადნიერება და არტურ რემბოსეული განჭვრეტა ცხოვრებისა, დაუცხრომლობა შაიაკოვსკისა და ქვშემა-რიტად პუშკინისეული დაუნდობელი გულმართლობა ბლოკისა, რამეთუ:

Заглушить рокотание моря

Соловьиная песнь не вольна.

ის დიდხანს იტანჯებოდა — ეძებდა მისეულ სამყაროს, სადაც შეძლებდა შეუთავსებლობათა შორის კონტრაქტი დაემყარებინა.

ხანდახან ის კიდევ ახერხებდა ამას.

და ეს არის ალბათ მისი ბედის ყველაზე დიდი სასწაული, ამოუხსნელი საიდუმლო გალაკტიონის გაუკვდავებული ძიებებისა, რამაც დაანათესავე იგი მსოფლიო ცხოვრებასთან. ეს არის სიყვარული საქართველოსი და მისი ძველისძველი სიმღერებისა.

გალაკტიონ ტაბიძე ვერ თავსდება ჩვეულებრივად წარმოდგენილი პოეზიის ჩარჩოებში. იგი უჩვეულო და მარტოსულია თავისი გზის განუყოფლობით (სიყვდილითაც კი!), რომელსაც მიყავს იგი ადამიანთა დღესასწაულისაკენ.

გალაქტიონის მუსიკა

გალაქტიონის ლექსი რომ საოცრად მუსიკალურია, ეს საყოველთაოდ ცნობილია და ამ თვისებებით ის ბარათაშვილისა და აკაკის ლექსს ენათესავება.

გალაქტიონის პოეზიაში ჩემს ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ზეგარდმო ნიჭით მომადღებული პოეზია ახალგაზრდობიდან ჩემი სულის განუწყრელი ნაწილი იყო, მაინც დიდხანს შორიდან ვუტრიალებდი მას. ფარულად გღერდებოდა ჩემში ეს ლექსი, ვიდრე არ გამოიკვეთა მუსიკალურ ფრაზებად და მელოდებად. პერიოდი, როდესაც გალაქტიონის ლექსების ჩემს ვოკალურ ციკლზე ვმუშაობდი, ბუნდოვნად მახსოვს, ვინაიდან მაშინ მხოლოდ ამ პოეზიაზე ვცხოვრობდი. ისეთი გრძნობა შექონდა, თითქოს ამ მუსიკას მე კი არა, სხვა წერდა. იმ ბედნიერ დღეებში ჩემს ირგვლივ გალაქტიონის ლექსის გარდა ყველაფერი გაქრა.

რა საიდუმლოებას შეიცავს გალაქტიონის ლექსი?

რიტმულ-მელოდური მიმოქცევებით გალაქტიონი გამოუცნობ სამყაროს უახლოვებს კონკრეტულ ცნებებს, აიგავებს მათ. გავიხსენოთ: „მე და ლა-მე, მე და ლა-მე“ აქ ცნება „მე“ ლექსის მელოდური და რიტმული საშუალებებით გაიგივებული და შერწყმულია გამოუცნობ საიდუმლოებებით სავსე „ლა-მე“-სთან. პოეტი თითქოს არამატერიალურ საგნად აქცევს კონკრეტულ ცნებებს.

ხშირად ამბობენ, რომ შუბერტის მუსიკას ადამიანი ბუნებაში შეჰყავს, როგორც მისი ნაწილი. გალაქტიონთან კი საქმე გვაქვს პიროვნებისა და ბუნების შეუღლებასთან და ამას თვალნათლივ ვხედავთ, როცა ის ამბობს:

„ჩვენ ორი ვართ ქვეყანაზე: „მე და ლა-მე, მე და ლა-მე!“

ამიტომ არის, რომ ამ ლექსის ტრაგიკული აღსარების განწყობა, მარტოობა, რომელზედაც ასე სახიფათოდ ლაპარაკობს პოეტი, მაინც სინათლის სხივებში იკითხება.

გალაქტიონის ლექსებში არა მარტო მუსიკალურ განწყობას, არამედ მუსიკის კონკრეტულ ფორმასაც ამოიკითხავ.

შეშლილი სახით კოდა ქუჩა,
შორს კი მზე დარჩა და მშობლის კერა!
მზეზე ჰყვოდა სოფლად ალუჩა,
და გაისმოდა დების სიმღერა.

ნათლად ჩანს ამ ლექსის მუსიკალური განვითარება — საშინელი ორომტრიალიდან სიკვდილის ფრთებით შორიდან მოტანილი დების სიმღერამდე. ყველაფერი ეს სიმბოლურია და ამავე დროს საოცრად კონკრეტული. ქუჩის კვილი, ღერჯი ანგელოზების ფრენა, ნაზი და ალუჩისფერი, შორით მოსმენილი გალობა.

ასეთი მაგალითი გალაქტიონში უთვალავია. სიცოცხლის ბოლო წუთამდე მადლიერი ვიქნები დიდებული პოეტის უკედავი პოეზიისა და ვერასოდეს ვერ დავივიწყებ მის სევდიან, ყოვლისმცოდნე და ყოვლისაშტან ბავშვურ ბუნებას.

გალაქტიონი ადამიანის სულის მესაიდუმლე და მისი თავისუფლებისათვის მუდამოხე მებრძოლი იყო.

მიხარია, რომ მის ლექსებზე დაწერილ სიმღერებს მღერიან ყველგან, რომ ჩვენმა სახელოვანმა მომღერალმა ირინე არხიპოვამ მთელი ფირფიტა უძღვნა მას.

და ბოლოს ვიტყვი, რომ გალაქტიონის გენიალობასთან შედარებით, ის ჯერ არც თარგმნილია საკადრისად და არც პოპულარული საქართველოს გარეთ, და რომ ყველაფერი, რაც გალაქტიონის პოეზიის ირგვლივ ხდება, მხოლოდ პირველი საფეხურია მისი შეყვანისა.

უპირველესი პარსკვლავი

ქალაქში, მტვერში წაიქცა ბავშვი
 ნუკრის თვალებით, თმით მიმოზვებით
 და მწუხარების მალენიაჟში
 მოფრინდნენ ლურჯი ანგელოზები.

მე არ ვიცი პოეტური ვერსიფიკაციის თვალსაზრისით რა დონეზეა ეს ლექსი გალაკტიონის შედევრების გვერდით, მაგრამ ჩემთვის ეს პოეტური ხატი ვიზუალურად ულამაზესი ფრესკის იდენტურია ფაქტურის ფერით. სიტყვები: მწუხარების მალენიაჟში, ლურჯი ანგელოზები ნუკრის თვალებით, თმის მიმოზვებით ისეთივე ესთეტიკური ემოციური ძალით მოქმედებს ჩემზე, როგორც ყინწვისის ფრესკა, შუბერტის „ავემარია“ თუ ბოტიჩელის „გაზაფხულის ალეგორია“.

მეც ჩემველი დამოკიდებულება მაქვს გალაკტიონის პოეზიასთან. ჩემთვის იგი სულს უფაქიზესი მხატვარია, შინაგანად დახვეწილი, ნმინდა, მაღალესთეტიკური და მუსიკალური.

დედაო ლეთისა, მზეო მარიაო,
 როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი
 ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
 და შორეული ცის სილავეარდე.

იშვიათია მეორე პოეტი, რომელიც ასე მძაფრად გრძნობდეს ფერს მთელი თავისი სიხაესით, სიღრმით, ტონალობით, ნიუანსებით, ალბათ ბევრ დიდ ფერმწერს შემურდებოდა გალაკტიონის მიერ დანახული და ნაგრძნობი ხატება მშობლიური მიწისა „გინახავს შენ ფერი დაბინდულ ქლიავის, ეს ჩემი სამშობლოს მთებია“, ან ასეთი იმპრესიონისტული სურათი: „მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის ქაღალდებივით ხიდიდან ფენა“. ალბათ მე მკრეხელობად ჩამეთვლება უფრო მეტი საუბარი გალაკტიონის პოეზიაზე, ვგრძნობ ისედაც ღრმად შევიჭერი ლიტერატორ-კრიტიკოსთა სფეროში. მაგრამ იმდენად ძლიერი და თვალში-საცემია დიდი პოეტის თვალთ ხილული სამყარო, იმდენად ფერწერულია და კოლორითით სავსე მისი ყოველი შედევრი, უნებლიედ გიჩნდება სურვილი ილაპარაკო პოეტზე, როგორც ფერმწერზე, მხატვარზე.

დადიოდა პოეტი ჩვენს დედაქალაქში სახეზე მწვანად შესამჩნევი ღიმილით და თავისი გამჭოლი მზერით საკუთარი სულის სარკეში ნათელ სხივად ირეკლავდა ყოველივე ღამას, მშვენინერს, პირველად ქმნილს, ამაღლებულს.

დადიოდა პოეტი. უდიდესი პოეტი პოეტთა შორის, პოეტი მუსიკოსი, პოეტი მხატვარი-ხუროთმოძღვარი ფერთა და აზრთა გამრიგესთან სულთ ნიღნაყარი და თავისი მძიმე სხეულით სტოვებდა გზაზე უთვალავ ფერთა მსუბუქ უსასრულობას.

ქართულ პოეზიაში, და არა მარტო ქართულში, იშვიათია სხვა პოეტი ასეთი სავსე მუსიკალობით, ფერით, შინაგანი თავისებურებით, ეროვნული მზით და „ფერადი ქარებით“ გაჯერებული.

მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა
 ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები.

მას უკონდა უფლება შედარებოდა გრაალს, ხამამალა ეთქვა: „ენუხვარ ერთად ერთი ვარ და ზეცაზე სწერია ჩემი გზა და ახალი ღაღის კართაგენები“ ან „ჩემთვის დღესაკით არის ნათელი რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა“.

გალაკტიონის იგი ქართული პოეზიის უდიდესი და უპირველესი ვარსკვლავია, რომლის ნათება მხოლოდ ახლა იწყება მსოფლიო პოეზიის ცაზე.

უკვდავება

ჩემი თაობის ახალგაზრდობამ ცხოვრების ბოპოქარი, კარტეზილიანი, მღვდლმარე პერიოდი გამოიარა. ჩვენს ქვეყანაში ხორციელდებოდა დიდი სოციალური ძვრები, განუსაზღვრელი იყო ენთუზიაზმი, მისწრაფება ახლისადმი; მიმდინარეობდა ხელოვნების სრულიად ახალი ფორმების ძიება. აღორძინდა ქართული თეატრი, შეიქმნა ქართული კინო, ფრთებს შლიდა ქართული ლიტერატურა. გვყავდა სათაყვანებელი მხატვრები, მუსიკოსები, მომღერლები, მსახიობები, მწერლები: ზაქარია ფალიაშვილი, მოსე თოიძე, ლადო გუდიაშვილი, ვანო საარჯიშვილი, კოტე მარჯანიშვილი, უშანგი ჩხეიძე, ვერეკო ანჯაფარიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ნიკო ლორთქიფანიძე, იოსებ გრიშაშვილი. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა გალაკტიონ ტაბიძეს. მისი პოეზია ქართული ხალხის გენიის გამოვლინება იყო; მასში შერწყმული იყო ჩვენი ერის სინაზე და ვაგაკობა, კაცთმოყვარეობა და ბოროტებისადმი შეურიგებლობა, სამშობლოს სიყვარული და მტრის ხიბუღელი, მუსიკალობა და რომანტიზმი. ყველაფერი ეს, გადმოცემული ახალ ფორმებში, გვიტაცებდა ჩვენ — ახალგაზრდა თაობას. გალაკტიონ ტაბიძე ჩვენი რაინდი იყო.

ბევრი უძილო ღამე გაგვიტარებია ხელოვნებისა და პოეზიის სიყვარულით.

შბოლოდ ღამემ, უძილობის ღრის საკვლეში მოკამყამემ,
იცი ჩემი საიდუმლო, ყველა იცი თვთრმა ღამემ.

ყველა ჩვენგანის შესაძუმლე კი თვით დიდი პოეტი იყო — იგი გვაყვარებდა სიცოცხლეს, მისი ლექსები უმღეროდა სიყვარულს, სიცოცხლეს, სულიერ უკვდავებას.

...და არ არსებობს ქვეყანაზე თვით უკვდავება,
თვით უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ.

მე ყოველთვის მაცდებდა გალაკტიონის ლექსების მუსიკა. ჩემი სპეციალობა — სამთო ინჟინრობა, ცხოვრების პროზად მიგვანდა (თუმცა სამთოელის მოღვაწეობა, ჩემი აზრით, რომანტიკა და გმირობაა) და გალაკტიონის ლექსებში ვნახულობდით ჩვენი ახალგაზრდული განცდების ასახვას, გამოთქმულს უმაღლესი პოეზიის ენით. მახსოვს, 1938 წელს ქიათურაში ვატარებდით სამრევლო ცდებს ახალი მანქანის გამოცდაზე. მე და ჩემი მეგობარი ლეო ხუციშვილი (დაიღუპა სამამულო ომში) გალაკტიონის წიგნის გარეშე არ შევდიოდით მალაროში და მანქანის აუტანელ ხმაურში, როდესაც საშუალება გვძლევოდა, ვკითხულობდით „მე და ღამეს“, „მიანწინდის მთვარეს“, „ღურჯა ცხენებს“, „მესაფლავებს“, „ათოვდა ზამთრის ბაღებს“ და სხვა შედეგებს, რომელთა დიდი ნაწილი ზემოადავით.

ჩემი ქალიშვილი, ნანა, რომელიც სამოცდაათიანი წლების დასაწყისში საქართველოს ტელევიზიის მუსიკალურ რედაქტორად მუშაობდა, დიდხანს აშხადებდა გადაცემას „გალაკტიონი და მუსიკა“. გამოძინებდაო, შთხზა ჩემმა ქალიშვილმა, რადგან ნოტივეში ამღერებული გალაკტიონის ლექსები ხშირად ნაკლებად მუსიკალურია, ვიდრე თვით ლექსი. მართლაც, განა შეიძლება უფრო მუსიკალური გახდეს მრავალი ლექსი დიდ პოეტისა, თუ მას მუსიკის ენით ააღვრებთ? ჩემი ნანა ისე ნავიდა ჩვენგან, რომ თავის სანუკვარ ოცნებას ვერ შეასხა ფრთები, ვერ მოასწრო მისი განხორციელება. ახლაც კი შენახული მატყს გალაკტიონის ტომები ნანას მიერ დანიშნული გვერდებით.

მე ბედნიერი ვარ, რომ რამდენჯერმე შეეხედი ბატონ გალაკტიონს. პირადად — მასთან საუბრის საშუალება მომეცა 1938 წელს. ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი, სოლოლაკში ვცხოვრობდით, კიროვის ქუჩის დასაწყისში დავინახე სათაყვანებელი პოეტი, რომელიც შენუხებულნი სახით იდგა და თავის თავს ესაუბრებოდა. გამეულე-გამომვლულები რატომღაც ყურადღებას არ აქცევდნენ. მე გაზედვე მასთან მისვლა და გამოლაპარაკება. მან ჯერ ეჭვის თვლით შემომხედა და ვინაობა გამომიკითხა, შემდეგ კი ერთად გავუყვიეთ გზას მახარაძის ქუჩისაკენ. „რა ნაგოკითხავს, ბიძიკო, შენ ჩემი?“ როდესაც ვუპასუხე და რამდენიმე ლექსი აკანკალებული ხმით ზემოადავით ნავუკითხე, იგი მომეფერა და სახლში მიმინვია, ჯერ კიდევ დაუბეჭდავ ლექსებს ნაგოკითხავო. ეს იყო უბედნიერესი დღე ჩემთვის, დღე, რომელსაც ადამიანი არასოდეს არ დაივიწყებს. შემდეგში მე ბევრჯერ შევხვედრივარ



გალაკტიონს მწერალთა სახლში, აკადემიაში, როდესაც იგი შემოვიდოდა აკადემიის სახლში, თითქოს ყველაფერი ნათებოდა. იჯდა თავისთვის ჩუმად, თავისი მორცხვი კეთილი ღიმილით და ყველა ჩვენგანის ყურადღება მისკენ იყო მიმართული. ჩვენი გამოჩენილი მეცნიერები, არაჩვეულებრივად მოკრძალებულნი იყვნენ დიდ გალაკტიონთან. ნამდვილი პატრიარქი ჩვენი ერისა, ასეთი მახსოვს გალაკტიონ ტაბიძე, როგორც სულიერად, ასევე გარეგნობით.

რა შემზარავი იყო ცნობა მისი დაღუპვის შესახებ, როგორ გლოვობდა მთელი ჩვენი დედაქალაქი, მთელი რესპუბლიკა მის დაკარგვას, რა განუწყვეტელი ნაკადი იყო ხალხისა რუსთაველის პრესბუქტზე მისი დაკრძალვის დღეს, უცრემლო არავინ იყო, ვგლოვობდით ყველანი, დავტიროდით უდიდესი პოეტის ცხედარს; მიაცილებდა მას მთანმინდისაქენ მისი უკვდავი სტრიქონები:

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,
ფოთლები მიჰქრის ქარდაქარ,
ზეთა რიგს, ზეთა ჯარს რკალად ზრის
სადა ზარ, სადა ზარ, სადა ზარ.

პიტაღორის კოროტირი

მთელი სამყარო

ნება მიბოძეთ უფრო შორიდან დაეინყო. საქართველო ბევრად უფრო ადრე შევიყვარე, ვიდრე გავიცნობდი და შევიყვარებდი გალაკტიონ ტაბიძეს. მე იგი პირადად არასოდეს არ მინახავს, მაგრამ, როცა კი ჩამოვარდებოდა საქართველოს შესახებ საუბარი, მუდამ წარმოვიდგენდი პოეტს, რომლის სახელიც სამყაროს, გალაკტიონას მაგონებდა.

მიკოლა ბაგინი მიყვებოდა საქართველოს შესახებ, მიყვებოდა პატარა-პატარა ლეგენდებს ამ გასაოცარ ადამიანზე და მეც ვცდილობდი წარმომედგინა მისი სახე. დიდი ქართული პოეტები, რომელთაც ვიცნობდი, იყვნენ ერთობ მიწიერი ადამიანები — გიორგი ლეონიძე, უზარმაზარი, გლეხური ტორები რომ ჰქონდა და კოლა ბრუნინიონიციტ ეშმაკურად უელადობდა თვალები, პომეროსიციტი დაბრმავებული სიმონ ჩიქოვანი; აი, ისინი, რომელთა ნაცნობობის პატივი მქონდა. გალაკტიონ ტაბიძე მათთან ერთად და, ამავე დროს, როგორც ცალკე იყო ყოველთვის. მას სახელით იხსენიებდნენ ისე, როგორც ვაგას ანდა აკაკის, ისე როგორც ჩვენი, უკრაინაში შეეჩვენოს და უკრაინკას ეიხსენიებთ, ამ მიმართებაში არაფერია ფამილარული. გალაკტიონს ელაპარაკებოდნენ, როგორც ადამიანსა და ერთდროულად, როგორც რაღაც მიუწვდომლისა და ამაღლებულის სიმბოლოს — ასე ელაპარაკებიან ღმერთს სოფლელი მოხუცები. იგი იყო სავსებით რეალური: დროდადრო მიაიმბობდნენ, ზოგთან როგორ ქეიფობდა, რა სადღეგრძელოებს ამბობდა, სხვებთან დილაშეუ როგორ კითხულობდა ლექსებს, ამასა და ამას დაეხმარია, ამაზე კი გაყიდა... გალაკტიონ ტაბიძის ვტალონობა განააკუთრებით უცხო თვალისათვის იყო შესამჩნევი — ბევრნაირი საქციელი გალაკტიონით მოწმდებოდა, მასთან დამოკიდებულებით საზღვრავდნენ ადამიანურ რეპუტაციას, მის სიტყვებს იმახსოვრებდნენ და ერთმანეთს უყვებოდნენ. არსებობენ პოეტები, რომლებიც ვვანან სიმღერების ანდა ლექსების წიგნებს. გალაკტიონ ტაბიძე იყო მთელი სამყარო, რომელშიც მღეროდნენ, კითხულობდნენ ლექსებს, საუბრობდნენ სამშობლოს შესახებ, იგი იყო დიდი და ბრძენი ადამიანი.

ვიმეორებ, რომ ბევრად უფრო ადრე, სანამ გავიცნობდი მის ლექსებს, რა თქმა უნდა თარგმანში, სამყარო ჩემს ირვვლივ სავსე იყო გალაკტიონით. საქართველოში ჩამოსვლისას მე ესუნთქავდი მისით, თითქოს ეს იყო პოეზიის ჰაერი და ამავე დროს ამ ჰაერით უჭინარი. მე არასოდეს არ მინახავს გალაკტიონი. ხშირად უთქვამთ ჩემთვის, რომ გალაკტიონ ტაბიძის თარგმანა ძნელი საქმეაო, მე მესმის ეს იმიტომ, რომ ძნელია თარგმანა შეეჩვენოსიცი და ტრინისიცი. ჩემი შვილები საქართველოში არ ყოფილან და ჩემთვის ძნელია უკრაინული ენით მთელი სისავსით ვაგრწმობინო მათ თქვენი მინისა და ხალხის სიყვარული, ის, რაც ჭეშმარიტია, სარკის ანარეკლით ბევრ რასამე ჰკარგავს ხოლმე სხვა ენაზე გა-

დატანისას. როდესაც თქმულებებში პოეტი თავისი ხალხის სიმბოლოდ იყენებდა, მისი მიზანმიმართული გადმოცემა მხოლოდ მისი მშობლიური ენის, მისი მშობლიური წყლის, რძისა და პურის საშუალებით ყველა დანარჩენთან ერთად, რაც აქვებს სმენას და მხედველობას. არის ისეთი მცენარეები, რომელთა გამრავლება შეიძლება არა მხოლოდ ნერგებით ან თესლით, არამედ ფოთლის ნაწილითაც, რომელსაც გადარგავენ უცხო მიწაზე. გალაკტიონ ტაბიძე შეიძლება გადაირგას სხვა ნიადაგზე, მხოლოდ სამშობლო მიწის უზარმაზარ პელტთან ერთად. იმ მიწასთან ერთად, რომელზეც იგი დააბიჯებდა და რაღაც გადმოეცა სიკვდილის შემდეგ. ჩვენ ერთგმნით და ეცემთ გალაკტიონ ტაბიძეს უკრაინულად, მაგრამ მე შესძის, რომ მისი ადევნატური თარგმანი ჯერჯერობით არ არსებობს და არც ყოფილა. ჩვენ მას ისევე დაივუბრუნდებით, ხელახლა ვთარგმნით და გამოვცემთ...

როდესაც ჩაედივარ ქუთაისში, მეგობრებს ვთხოვ, მაჩვენონ ის ადგილი, სადაც ცხოვრობდა და სწავლობდა გალაკტიონი; როდესაც ავდივარ მთაწმინდაზე, თავს ვუხრი გალაკტიონს, მიმაქვს ყვავილი მის ძეგლთან და ვფიქრობ, ქვასა და ლითონშიც კი მარადიულ ცეცხლად ანთია მისი სული. გალაკტიონის დაბადების დღეს მე ოკეანის გაღმა მივლინებაში მყოფი შევხედები და ახლა ვფიქრობ, რამდენი საუკუნე უნდა ეარსება და რამდენი კეთილშობილი საქმე მოემოქმედა ხალხს. რომ მის ნიაღში დაბადებულყოფი გალაკტიონ ტაბიძე — ამ ქვეყნად ბევრი ვერ მოიწონებს თავს ამ რანგის ბუმბერაზი ადამიანი.

მე ვილაპარაკებ გალაკტიონ ტაბიძის შესახებ ყველგან, სადაც კი შევძლებ, მე ნავიკითხავ მისი ლექსების თარგმანებს ხმამაღლა და შევეცდები, რომ ხვალ ეს თარგმანები უფრო უკეთესი გახდეს; თუ კი ოდესმე ვისწავლი ქართულ ენას, ეს იქნება იმ სურვილის გამოც, რომ გავესაუბრო გალაკტიონ ტაბიძეს.

კიევი

15. IX 82.

პარდვას პეტროსიანი

ქართული პოეზიის ამირანი

გალაკტიონ ტაბიძე ეკუთვნის იმ პოეტთა პლეადას, რომელთაც მადლიერი თანამემამულენი უდიდეს პოეტს უწოდებენ. ის, როგორც ყველა დიდმა პოეტმა, გალაკტიონ ტაბიძემ თავისი ხალხის კულტურის ისტორიის ჯაჭვის რგოლები ერთმანეთს დააკავშირა და ჩვენამდე მოიტანა ნიკოლოზ ბარათაშვილისა და აკაკი წერეთლის პოეტური ცეცხლი, შეძლო ქართული პოეზიის გაყვანა მსოფლიო ლიტერატურის ფართო ორბიტაზე. გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში, მის პოეტურ პიროვნებაში, თითქოს აკუმულირებულია დიდი ქართული პოეზიის საუკუნეები. უფრო მეტიც: გალაკტიონმა თავისი უდიდესი ნიჭის წყალობით შეძლო ამ საუკუნეების პოეტურ კულტურასა და საუკუნეებით გაბრწყინებულ პოეტურ ტრადიციებში გამოეტარებინა დღევანდელი დღე, მისი სათაყვანებელი საქართველოს ახალი განთიადი.

პოეტმა ნოვატორმა გალაკტიონ ტაბიძემ განაახლა ქართული ლექსი. ეს იყო ძირეული განახლება, რომელიც იკვებებოდა მშობლიური მიწის მაცოცხლებელი წვენი. მაგონდება მისი სომეხი თანამომის ელაშე ჩარენცის სტრაქოზები:

სიმღერას ბადებს მიწა

და არა ხმა და სიტყვა...

ეს სიახლე ძირეული ფესვიებიდან მოდის და არა უბრალოდ ფოთლებისაგან, რომელიც შეადგენს პოეზიის ხის ვარჯს.

ღრმა აზროვნების პოეტი გალაკტიონ ტაბიძე ჩვეულებრივად კი არ ფიქრობს ლექსის ფორმაზე, ეს არის აზრისა და პოეზიის, მუსიკისა და სიტყვის სინთეზი.

გალაკტიონ ტაბიძესთან, ჩემის აზრით, თითქმის აბსოლუტურად ერწყმის პოეზია და ცხოვრება — პოეტური ცხოვრება, ცხოვრებისეული პოეზია...

პოეტისათვის პოეზიის გარეშე არსებობა შეუძლებელია.
გალაკტიონის პოეზიაში ეს ყოფნა იქცევა უოფიერებად...

სული გვეკონდეს უსპეტაეც თოვლისა!
მეგობრებო, სიკვდილამდის მეკნება,
მხოლოდ ერთი სიხარულის შეგნება:
პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

დანუბული ადრეული ტრაგიკული რომანტიზმიდან (რაც ძალზე ახლობელია ავ. ისააკიანისა და ვ. ტერიანისათვის) გათავებული უკანასკნელი ლექსების ბრძნული სინთეტიზმით გალაკტიონ ტაბიძე ერთგული რჩება თავისი კრეაქოსი.

მომავალი უნაზესი ლირიკოსი, გულისხმიერად „უსმენდა ბუნების მელოდიას“, მინის გუგუნსა და მებრძოლ ლოზუნგებს მძვინვარე ხალხისა, რომელიც მიდიოდა ძველის, დრო-მოჭმულის საიერიშოდ.

გათენდა! ცეცხლის მზე აენთო, აცურდა...
დროშები ჩქარა!

გალაკტიონ ტაბიძის პოეზია დიდი ხანია გასცდა საქართველოს საზღვრებს. იგი ახლობელია სომეხი მკითხველისათვისაც, რომელიც დღეს დიდი გალაკტიონის ლირიკულ და ფილოსოფიურ შედეგებს მშობლიურ ენაზე კითხულობს, ანდა რუსი პოეტების ბრწყინვალე თარგმანებით ეცნობა.

1932 წელს გალაკტიონ ტაბიძე სომხეთს ეწვია... და სამუდამოდ დარჩა იქ, დარჩა სომეხი პოეტების მოგონებებში, დარჩა მათ ლექსებში. იგი დღესაც ცხოვრობს სომხეთში, ხალხში, რომელმაც შეიყვარა ტრაგიკულად ნათელი ლირიკა დიდი გალაკტიონისა. მისი „ლურჯა ცხენები“, „ქალაქი ნყალქვეშ“, „ნიკორწმინდა“... და როგორც თავად ბრძანა გალაკტიონ ტაბიძემ, ლირიკას სიკვდილიც კი ვერ მოერევა.

და ცოცხლობს ლირიკა. ცოცხლობს და კვლავაც იცოცხლებს საუკუნეებში ქართველი ხალხის დიდი შვილის გალაკტიონ ტაბიძის პოეზია.

ერევანი
5. 10 82.

ამზარ კვიტიანი

შენი ლურჯა ცხენებით...

გარეთ კვლავინდებურად
ცრემლიანი მარტია...
კედლებს ძაძა ებურათ:
გულო, რა დაგმართია...

იცი ამ ვზის უკანება, —
ვარდისყვარი ტარია;
ცივად რომ იკლაკნება,
სიკვდილის ამბორია.

რას გამოსცემს ხმა შენი
ანუ ხელი რას ახლე...
სიზმრის თვლებით ნაშენი
გადაქანდა სასახლე.

წახველ ჰენებ-ჰენებით,
მოგვეა ქარი ფერადი.
შენი ლურჯა ცხენებით,
შენი ეფემერთი.

სხვა ჭურღმულებს უნათე,
გაეც სამაგიერო.
ჩავლილ საუკუნეთა
მოლანდებავ ციერო.

ბრძენო, სულით თბოლო,
შუბლი ვისგან გტყენია...
ცეცხლო დაუნდობელო,
შფოთიანო გენია.

ანზორ სალუქვაძე

წიგნი წივისა

ქინორთხანი

ალექსანდრა და სვიმონი

23.

გორის ციხე ჭერ კიდევ დილის ნის-
ლში იყო გახვეული, როცა ჩაუშმა გახ-
ვითქული ცხენი საალმე ჭოკთან მდგარ
გუშაგებს მიუგდო და კარავში შესული
მანუჩარს მდაბლად მიესალმა: მეჭმედ
ფაშა და ჰედიმ ჰასანი თათბირად გიზ-
მობენო, — მოახსენა მორჩილად.

მანუჩარმა ხელი აიქნია, ანიშნა: რაცა
თქვი, აკი შევისმინე, ეხლა თავისუფა-
ლი ხარო!..

კარვიდან გამოსული ჩაუში კვლავ
ცხენს მოევლო და თავდაღმართში დაე-
შვა.

— აღსრულდა!.. მეფე სვიმონმა თბი-
ლისისკენ მიმავალი მოწინავე სპა ნა-
ცარტუტად აქცია! — უთხრა ოსმალ-
თაგან მარტო შთენილმა მანუჩარმა თავ-
ვის ერთგულ კაცს, სალუყაზ ჭაყვებს და
ლიმილით დასძინა: — სათათბირო რა-
ღაა?.. ვიცი, მეჭმედ ფაშას ეხლა ერთი
სურს, თავისი სიბრძივე სულთანის წი-
ნაშე როგორმე მხოლოდ მე დამაბრა-
ლოს... სალუყაზ ჩემო, ჭერი შენზეა,
მაგ თათბირის დროს, ორმოცდაათის
სამცხლის მხედრით მეჭმედ ფაშას კა-
რავთან დადექ, თუ ჩემი ყიფინა გესმას,

შველად დაიძარ. სიტყვით რომ ველა-
რას მომიგებენ, მოკვლად მომივლენ...
ოსმალთ ტლუა, მაგრამ გუმანი მაინც
უტყუარი აქვს...

— შენ რა შუაში ხარ? — გაოცდა
ჭაყელი.

— ეგ ლმერთმა იცის. — ჩაილაპა-
რაკა სამცხის პატრონმა.

მანუჩარი და სალუყაზ ჭაყელი მეჭ-
მედ ფაშას სათათბირო კარავს მხოლოდ
ნაშუადღევს მიუახლოვდნენ...

მანუჩარი კარვიდან რამდენსამე ნა-
ბიჯზე ჩამოქვეითდა, იარაღი გუშაგებს
მიაბარა და კარებისკენ ქვეითად გას-
წია.

ჭაყელმა ცხენები ნებაზე მიუშვა, კა-
რვის შორი-ახლო წინასწარ მიმოფან-
ტულ თავის ერთგულ ხალხს თვალით
სათითაოდ ჩამოუარა და ურმის ჩრდი-
ლში „უდარდელად“ მიესვენა.

კარავში მყოფნი მანუჩარს ჩვეულებ-
რივის პატივით მიეგებნენ.

სამხედრო საბჭო სრულად შეკრები-
ლიყო. თავში მეჭმედ ფაშა იჯდა, მის
ხელმარცხნივ ჰედიმ ჰასან ფაშა დაბრ-
ძანებულიყო, ხოლო მარჯვენა მხარე,
წესისამებრ, მანუჩარისთვის დაეტოვე-
ბინათ.

— სვიმონ მეფის მიერ გამოძევებული ოსმალო ტყვეები მუხრანის ველზე ალაპის რისხვითა და ჩვენის უთაობით წაგებულ ბრძოლას ასეთნაირად ჰხატავენ, — დაიწყო ჰედიმ ჰასან ფაშამ, — შეჟღამისას მძინარე ლაშქარს მტრის ცხენოსანი რაზმები ზურგიდან შემოესივნენ. გულშეგება ნიშნის გაღებაც ველარ მოასწრეს, ეტყობა, ისინი მოისართა მიერ წინასწარ იყვნენ დაზოცილნი. როგორცა ვხედავთ, ქართველთა მთავარი მიზანი ჩვენის ლაშქრის სრულად მოსპობა და ხაზინის ხელში ჩაგდება ყოფილა. ამიტომაც ქართველებმა ტყვეებს მხოლოდ იარაღი აპყარეს და გამოძევებულთ, დაჭრილნიც თან გამოატანეს... ქართველთა მიერ ოტებული ოსმალთა ლაშქრის მცირე ნაწილმა, ტყვეთა ვარაუდით, თბილისს მიაღწია. ლაშქრის ნახევარზე მეტი მოისპო. ხაზინა, სანოვავე და ცხენ-იარაღი ქართველებს დარჩათ. მოწინავე ლაშქრის სარდალთაგან ჩვენამდე არვის მოუღწევია. ტყვეები ადასტურებენ, რომ მოწინავე ლაშქარში მყოფი კახთ-ბატონის ელჩი ომან ჩოლოყაშვილი მტერს უბრძოლველად დანებდაო.

ჰედიმ ჰასანმა დაასრულა.

— მოწინავე სპის გაცამტვერებისა და შირვანს მდგარი ჩვენი ლაშქრისთვის გადასაცემი ხაზინის ქართველთა ხელში ჩაეარდნის მიზეზი მხოლოდ ერთია — ყალბი ცნობა სვიმონ მეფის ლორეს დგომისა! — თქვა მეჰმედ ფაშამ და მანუჩარს შეხედა.

მანუჩარმა დუმილი არჩია.

— რა სჯობს, თბილისამდე ბრძოლით მიღწევა თუ სტამბოლიდან ახალი ბრძანების მიღებამდე აქ გამაგრება? — იკითხა კვლავ მეჰმედ ფაშამ.

— აქ გამაგრება. — თქვა ჰედიმ ჰასანმა.

— არა. — შეეწინააღმდეგა მანუჩარი, — აქ გამაგრება თბილისის დათმობას ნიშნავს. თბილისის დათმობა კი — შირვანს მდგარი ჩვენი ჯარების სტამბულიდან მთლიანს მოწყვეტას... შიში ლარების საქმეა!..

— უშიშობა — ბრძოლებში მარცხის მიზეზია.

მეჰმედ ფაშამ ხელი შემართა. მოკამათებებს სიმშვიდისკენ მოუწოდა.

— დედაშენი სადაა? — ჰკითხა მანუჩარს ხმადაბლა.

— ეგ მისი საქმეა. — გამომწვევად მიუგო მანუჩარმა.

— ლორის შვილი... — ჩაილაპარაკა ჰედიმ ჰასანმა.

— ჩუ მეთქი! — შეახსენა მეჰმედმა მანუჩარმა მწარედ ჩაიციანა.

— ჩვენ სამში ვინც მალე მოკვდება, სულთნის წინაშე დამნაშავეც იგი იქნება. — თქვა მშვიდად.

— რა სჯობს მეთქი, — კვლავ იკითხა მეჰმედმა, — თბილისამდე ბრძოლით მიღწევა თუ...

— აქ გამაგრება! — აღარ დააცალა ჰედიმ ჰასანმა.

— არა! — კვლავ მოჭრა მანუჩარმა.

— ასეა თუ ისე, დიდი სულთნის რისხვა არცერთს არ აგვკდება. — ფრთხილად ჩამარცვლა მეჰმედ ფაშამ და მანუჩარის უჩუმრად ჰედიმ ჰასანს თვალთ მშვიდად ყოფნა ანიშნა. — მე, მეჰმედ ფაშა თბილისისათვის ბრძოლაში საქვეყნო სირცხვილს სიკვდილს ვამჯობინებ... აპყარეთ ჯარი, დაე, აღსრულდეს ნება ალაპისა!

მეჰმედ ფაშა წამოდგა. წამოდგა მანუჩარიც. იგრძნო, ვილაცამ სახელოზე დაქაჩა. ჰედიმ ჰასანმა ხმალი იშიშვლა...

მანუჩარი უკუ იქცა. ძაღლებო! — იღრიალა და მოქნეულ ხმაღს მის ახლოს მდგომი მეჰმედ ფაშას მოადგილე უფარა. ჰედიმის ხმაღმა მანუჩარის ნაცვლად იგი გაჰკვეთა. ამასობაში მანუჩარმა დაბნეულ სარდალს მარცხენა ხელით თავსაბური მოჰგლიჯა. მარჯვენათი ხმალი გამოსტაცა და იქვე მდგარი რომელიღაც ოსმალოს ისეთი ძალით შემოუქნია, რომ თავიდან მუცლამდე ჩაატანა. ამის მერე ჰედიმ ჰასანიც დასკრა და მეჰმედ ფაშასაც რამდენიმე კრილობა მიაყენა... ამ დროს სალუყაზ ჯაყელი და მისი ერთგულნიც შემოც-

ვიდნენ, სამცხის პატრონს გზა გაუყავეს, კარვიდან მშვიდობით გასულნი ცხენებს ზედ მოევლნენ...

24.

ყურშიტ ჩერქეზმა ნაღდგომეცს ალექსანდრე კახთა მეფის უმცროს ვაჟიშვილს, შვიდი წლის კონსტანტინეს, მოსაკითხად ყაბარდოული კვიციანი ჰაკი ჩამოუყვანა. უფლისწულის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. ძუძუთა კვიცს კისერზე ეხვეოდა, ჰკოცნიდა, ეალერსებოდა. დაჩაირებული ჰაკიც იქვე იდგა, ლორთქო ბალახს წიწქნიდა, დროდადრო ბრიალა თვალს კვიცისკენ გამოაპარებდა. პატარა კონსტანტინეს ეგონა, დედაცხენი იმასა ჰფიქრობს, მის პაწიას არაფერი დაუშაოო და დედის გასაგონად კვიცს ენას უჩლექდა:

— არა, კვიცუნავ, გეფერები... რომ გაგზრდი, ჰუნეთა მეფედ გაკურთხებ... დედილასაც გვერდით გიყოლიებ, არ მოგაცილებ... მამი, მო, ნახე, ეგე, როგორი ძუა აქვს..

კახთ-ბატონი ალექსანდრე და მისი სასურველი სტუმარი ყურშიტ ჩერქეზი კვიცთან მოალერსე ბალღს თვალს არ აცილებდნენ...

— მეშინია, შენმა საჩუქარმა შვილი მეჭინიბედ არ მიქციოს. — ჩაიცინა მეფემ.

— ეგ რა საჩუქარია. — უხერხულად შეიშმუშნა სტუმარი.

იუჩჩეს.

— იუჰანისა რა ჰქმენ? — ჰკითხა კარგახნის დუმილის შერე კახთ-ბატონმა ყურშიტს.

— არც რა. — ნაღვლიანად უპასუხა ჩერქეზმა, — მუსაბეკი უარზეა, ამბობს, არრა ფულად ვაჭარს არ დავთმობა.

— რათათ, რა სურს? — ჩაეკითხა მეფემ.

ჩერქეზმა მხრები აიჩჩია:

— ითაბანს ითხოვს, თილიძეს. შემოგითვალა: გამოსასყიდი შენ დაგჩჩეს, მე ის მხატვარი მომეციო:

— ვინ მხატვარიო? — მკვირნიც მკვირა ალექსანდრემ.

— თუშის ბიჭია, ითაბანი, გვარად თილიძე. — განუშეორა ყურშიტმა.

— სად არისო?

— აქა ყოფილა... შთიდან საჩუქრად ქორწილისთვის კურატები ჩამოულავეს... თურმე შენს სარძლოს, ქეთევანს შეთვისებია, ძმად შეჰფიცვია... მუხრან-ბატონიანთ კარის ეკლესია რომ მოუხატავს, მაშინ... ეხლა შენს ნახვას ლამობს... ამბობს: თუ მეფე არ გამგზავნის, მუსაბეკთან მე თვითონ წავალო...

— რა ქარაგმებით მეუბნები, ქრისტიანო!.. დალაგებითა თქვი... მუსაბეკმა რაო, მხატვარი რად მინდაო?

— იუჰანთან ერთად მუსაბეკს თურმე მაგ მხატვრის საცოლვე მოუტაცებია, ის ქალი დღემდე თავისთანა ჰყოლია... ამბობენ, თავზე მეტად შეიყვარაო. — შეძლებისდაგვარად განუშარტა ჩერქეზმა.

მეფე შეფიქრიანდა.

— რომ გაგზრდი, ჰუნეთა მეფედ ვაკურთხოთ, არა, მამი? — კვლავ ყურადღებას ითხოვდა კვიცთან მოალერსე უფლისწული.

— ჰო, შვილო. — დაუყვავა ალექსანდრემ. შერე პატარა კონსტანტინეს სევდიანად მიაშტერდა, — უცოდველი ყველაფერი კარგაო, — ჩაილაპარაკა და ფიქრში წასული კვლავ ყურშიტ ჩერქეზს მიუბრუნდა, — რუსთ ხელმწიფეს მემკვიდრე შვილი მოუქლავსო, მართალია?

— მართალია, ყაბარდოს ყოფნისას ალყაზ-მურხამაც ეგა თქვა. — დაუდასტურა ყურშიტმა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— შამხალმა რაო? — კვლავ ჰკითხა მეფემ.

— შამხალიცა სწუხს, ხედება, რომ სულთანს რუსეთს ასტრახანის წართმევას უპირებს. ამბობს, თუ ეგრე მოხდა, მაშინ ჩემიცა და კახთ-ბატონის საქმეც წასულია — სულთანს ველარც შაჰი და ველარც ეშმაკი ველარაფერს დააკლ-

ბსო!.. ეგეცა თქვა: ეხლა კვლავ ყაზ-
ვინისკენ მიბრუნება გვმართებს, ოსმა-
ლოს ხელ-ფეხი ერთად უნდა შევეუ-
რათ, რუსთ ხელმწიფეს ცოტა აჯანი
მივსცეთ, თუ ირანმა როგორმე ოსმა-
ლო კვლავ შეავიწროვა, ჩვენც შევბას
ვიგაძნობთ, მერე ეგებ რუსმაც იმძლა-
ვროს, თერგზე ისევ მეციხოვნე სპა ჩა-
აყენოს და დარუბანდის გზაც გახსნა-
სო...

— ბარემ კარგია, მაგრამ ვიდრე ეგ
მოხდება, ირანი თავისას იქმს, ეხლაც
საუდიეროს ხარკსა და მძევალსა
მთხოვს... სახარკე იმდენია, ვერც და-
თვლი... იუჰანის გარდა მაგ ფულს ვე-
რაინე შემივსებს. — შუბლი შეიკრა
ალექსანდრემ.

მძევლის ხსენებაზე ჩერქეზმა კვლავ
კვიციანს მოალერსე პატარა კონსტან-
ტინეს გახედა, კახთ-ბატონის კმუნვის
მიზეზს მხოლოდ ეხლა-ლა მიხვდა.

— ის მხატვარი აქა ყოფილა. — შე-
ახსენა ფრთხილად.

— არა. თუშის ბიჭს სასიყვდილოდ
მე არ გავგზავნი. — მტკიცედ თქვა მე-
ფემ.

25.

ტყვე იუჰანს წვერი წელამდე ჩამო-
ზრდოდა, ჩაცვენილ თვალებში სევდა
ჩასდგომოდა. დღენიდაგ ბნელეთის ვი-
წრო საარკმელთან იდგა, საპყრობილეს
ეზოსა და ეზოსგადაღმა ღელისპირს გა-
სცქეროდა, სადაც ტანდაბალი, კოკლი
რაჯა, სახელად ბადაი, ზამთარ-ზაფხულ
თავგადახოტრილ ლეკის მართვეებს გე-
შავდა. წვრთნას უთენია იწყებდა: ბა-
ლებს ჯერ თოშიან წყალში გაჰბანდა,
დედიშობილებს წელს ფალასით მაგ-
რად შეუკრავდა, მუცელს უჭორებდა
და მხარ-ბეჭს ულალებდა. სელზე და-
ჩოქილი ნაშამს გადახდიდა, მერე ჯირი-
თსა და ხმალ-ხანჯლის ხმარებას ასწავ-
ლიდა, აკეპნაევებდა; თოფის სროლასა
და მტრის ცხენდაცხენ დაშუბებაში ავა-
რჯიშებდა. ნაკეპნაევებ ხმალ-ხანჯლებსა
და სატევრებს რიყის ქვებზე ალესვი-
ნებდა, ჭვიშით აფერინებდა, გაფერილს

ენით ალოკვინებდა, — უფრო მჭრელი
გახდებოდა, — შთააგონებდა...

ბნელეთში ორნი იყვნენ — იუჰანი
და ხოლიგა. ცალთვალა თუში.

ხოლიგა იუჰანზე ბევრად ახალგაზრ-
და იყო, მაგრამ დილეგში გდებისგან
ფითრისფერი იმასაც დასდებოდა, თმა-
წვერი საზარლად გაპურტყვნოდა... კუ-
თხეში იწვა... ლილინებდა...

სარკმელს მინებებული იუჰანი წლო-
ბით ნაჩვევ სურათს ახალივით შეჰყუ-
რებდა, ათასჯერ ნაფიქრალს კვლავაც
ისევ ფიქრობდა და დროდადრო მწა-
რედ ილიმებოდა...

ხმა:

— კოკლსა ნუ აქებ რაქსა,
გუნება მისი ბნელია;
სულ მიწას ჩასცქერს პირკუბრი,
სახე აქვს რკინის ფერია.
ტანად მკირვა, დაბალი,
გაწყდომავზე აქვს წელია,
ავზე ავია რჭულდალი,
იარაღს უჭევს ხელია;
ლოცულობს თავის ალაშსა,
მუხლქვეშ უფა სელია.
ბევრი დაზარდა ობლები,
მაგრა შეუკრა წელია, —
სწორი გამაჰყვეს მხარ-ბეჭი,
არ დასციინდეს მტრია!..
თოშიან წყალში გაჰბანდა, —
ჯანი ექნებათ მთელია;
ასწავლა შუბის ტრიალი,
ხმალი, თოფი და ცხენია!
ლომისა საფერ დაზარდა, —
ტყვია იციან ცხელია;
სატევარს ენით გაპლოკენ, —
გახდება უფრო მჭრელია!..

ბნელეთის კართან სამი გახვითქული
მხედარი მოვარდა. ჩამოქვეითდნენ.
ცხენიდან ნაბადში გახვეული, ცოცხალ-
მკვდარი ჭაბუჯი გადმოილეს. კარს ურ-
დული აპყარეს და სულთმობრძავი დი-
ლეგში შეაგდეს. კარი კვლავ ჩარაზეს
და წავიდნენ.

ხოლიგამ მძიმედ დახუნდული ფეხები
ძლივს აითრია, კუთხეში მიდგმულ თუ-

ლეს სწვდა, მომაკვდავს წყალი აკურ-
რა.

იუჰანმა ჩაიჩოქა, თავი წამოუწია,
ბაგზე გულ-ღვიძლიდან ამონადენი სი-
სხლი მოსწმინდა, მოასულიერა...

— რა გქვია?

— ითაბანი...

ბეროდის ქალი თალაღე, მუსაბეცის
დედამ შამსათმა და სამმა მოახლემ სა-
განგებოდ მორთეს, საქალებოდან დარ-
ბაზში ამოიყვანეს და შირვანული ძვი-
რფასი ხალიჩებით მოფენილ ტახტზე
დააბრძანეს. შამსათმა მოახლეები დაი-
თხოვა, თალაღეს გვერდით მიუჯდა;
უალერსებდა, ჰკოცნიდა, თმასა ლა მან-
დილზე ეფერებოდა...

— ნუ, ქალო... ნუ, ანგელოსო!..
ნურც შეიღს მიკლავ და ნურც თავს
იტანჯავ... ბედი კალთაში გიტრის, —
შენთან მქენ, შენთან: მამყოფეო...
თვალ-მარგალიტში ჩაგხატავ; სიცოცხ-
ლეს სიამით აგოცებ, ფირდუსის ღირ-
სო!.. ოქროს დღეს მოგცემ... ღამით
შუქის საბანს დაგხურავ... შეილებს და-
გიზრდი... უარი არა თქვა, თოვლიანი
მთის ცისკარო... ჩემი მუსა თავს აღარ
ინდობს, მეშინია ავი არა ჰქმნას, რამე
არ ივნოს... სიბერე არ გამიმწაროს...

თალაღე მორჩილად იჯდა, დუმდა —
ხმას არ იღებდა. შამსათს საიდუმლოდ
გარეთ გამოსვლა ანიშნეს. წამოდგა.
ისევ მიეფერა თალაღეს, აკოცა.

— ნუ, თუშის ქალოო! — შეევედრა
და თვალკრემლიანი დარბაზიდან გავი-
და.

წამსზეით დარბაზში ორი მსახური შე-
მოვიდა, ნაირ-ნაირი აბრეშუმი და ფარ-
ჩა-ატლასი შემოიტანეს, თალაღეს
მკლავ-კალთაზე დაუფინეს, აწონებდ-
ნენ, უხმოდ უქებდნენ...

მუსაბეცი ფარული სარკმლიდან უკ-
ვრეტდა ყოველივეს. თალაღემ უარის
ნიშნად თავი გაიქნია. მსახურებმა ძღვე-
ნი ტახტს მიაფინეს და გაშორდნენ.

ახლა სხვა ორი მსახური შემოვიდა.
თან სტავრა, ქარგულობა და ბეწვეული
შემოზიდეს.

სტავრა-ბეწვეულს სამკვეთელი მოეხ-
ყვა...

სამკაულს — ოქრო-ვერცხლი...

ოქრო-ვერცხლს — თვალ-მარგალი-
ტი... ყოველივე ამით გამოდგა!..

ცოტა ხნის მერე დარბაზში თვით
მუსაბეცი შემობრძანდა სანეფოდ ჩაც-
მულ-დახურული, ხელბეჭდიანი, სირმა-
იარაღით მოკაზმული, ლამაზი, სვე-
ძლიერი მართლაც ღვთის ფოცხვერს
ჰგავდა!

დაიჩოქა...

თალაღე უნებურად წამოდგა.

ფარულ სარკმელთან მოდარაჯებულ
შამსათ-ხანუმს სუნთქვა შეეკრა.

— არა! — მტკაცედ თქვა ბეროდის
ქალმა.

შამსათს გული შეუწუხდა.

მუსაბეცს მკვდრისფერი დაედო,
ელაღ უღვაშქვეშ ბოროტი ძარღვი
აუთამაშდა. კვლავ მუხლზე დარჩა —
მოფიქრების დრო დაიტოვა...

— არა, ა.ა-მეთქი! — კინალამ გატ-
ყდა ქალი.

კარი კივილმა შემოხეთქა — გამწა-
რებული დედა წიოდა, მსახურებს ხე-
ლიდან უსხლტებოდა, თუშის ქალს შე-
ითნის ნაშობსა და, შეიღის მკვლეღს
ეძახდა, მის ფრჩხილებით დაგლეჯას
ლამობდა, ხელებს ასავსავებდა...

მოახლეებმა, მსახურებმა და მუსაბე-
ცმა ძლივს გაიყვანეს...

თალაღე მარტო დარჩა. არ შერხეუ-
ლა. იდგა, სისხლდაწრტიღს ჰგავდა...

კარი კვლავ გაიღო. დარბაზში ჩალ-
მიანი მოხუცი ხოჯა შემოვიდა, თან
ვერცხლის სინით სტავრა გადაფარებუ-
ლი უცნაური საგანი შემოიტანა; თალა-
ღეს წინ შედგა, გაირინდა. მოხუცი უხ-
მოდ იბზოვდა, ქალს სინისთვის სტავრა
აეხადა...

დრო თითქოს შეჩერდა და გამარა-
დისდა... თალაღემ ხელი სინისკენ წაი-
ღო, სტავრა მოგლიჯა: სინზე ითაბანის
მოჭრილი თავი იდო!

იმ ღამით იუჰანს თვალი არ მოუხუ-
ჭავს. უთენია სარკმელს მისდგომოდა,



დაჯანღულ მთებს უმზერდა, კოჭლი რა-
ჯას და მისი შეგირდების გამოჩენას
ელოდა.

მაღე ხოლიგამაც გაიღვიძა.

— უცნაური რამ ხდება, ბიჭო-ხო-
ლიგავ, აღარც რაჯა ჩანს და აღარც მი-
სი მართვე-ბალები. — დაახვედრა
იუჰანმა ახალგამოღვიძებულს.

— როგორა? — სარკმელს მიუჩოჩ-
და ხოლიგაც.

— რა ვი? — მხრები აიჩეჩა იუჰან-
მა.

მედილეგემ კარკვეშ ორი ჯამი წვნი-
ანი შექამადი და წყვილი ქერის კვერი
შემოაცურა.

— რა ხდება, ისალა, რა ამბავია? —
შეესიტყვა იუჰანი.

— ცუდი ამბავი, ვარპეტ იუჰან, ცუ-
დი... წუხელ-ღამ ტყვე თუშის ქალმა
თავი მოიკლა. ამბობენ ცელს წაესაყ-
ლაო. — უპასუხა ქოსა ისალამ.

იუჰანმა თავი ჩაქინდრა. აღარც ხო-
ლიგას უთქვამს რამე. დაღესტნის მთე-
ბზე კვლავ შავი ჯანდი იწვა.

ხმა:

— ბერძნის ქალი ვიყავი,
მაღლა შევიჩა თავი მე;
კარს ჯარად მიდგენ მთხოვარნი,
თუშის ნაქები ემანი მე;
იმათში ერთი ვარჩივ.
ერთს დავეუვენე დარი მე! —
ვეშხადე საქორწინოდა,
ვით ქრისტეს წესი არი, მე;
ველოდი შაბათ დილასა,
რომ დამეწერა ჯარი მე;
შეღამისას შევიხსენს
ღვეებმა კოშკის კარი მე;
მომიკლეს ბერი შამაო,
იმასთან საშნი ძმანი მე;
ცეცხლს მისცეს ჩვენი სახლ-კარი,
თავს დამაქციეს ცანი მე!..
გამომიყვანეს საბრალო,
ნაქები თუშის ქალი მე;
გადამავლიეს მთის წვერი,
კრემლით ვასველე გზანი მე;
გადამიყვანეს დაღესტანს —
ღვეის მებზევა რძალი მე;

ფირდუსის ლალი შემარქვეს, ქარქინეშლი
შეძახეს ლამაზმანი მე; ბიგაშლიონთეშ
ჩემი გამხადეს კაბები,
ფარჩით მომირთვის ტანი მე;
საქმროც იქ ამომირჩიეს,
ღვეის ფოცხვერი ეღალი მე;
ამასაც აღარ დამჭერდნენ,
ღვე გამოთენეს შავი მე —
სპილენძის სინით მომართვეს
ჩემი ნარჩვეის თავი მე!..
მომნათლეს როგორც უნდოდათ,
ცხენის შალოცეს ჯვალი მე;
იმდენი ჭირი მომეკრძეს, —
ღვიც არ მეყო ძალი მე;
გამიწყრა შავებ-გოორგი, —
ცელს თავი დავაკალი მე!..
ეხლა შავეთს ვარ საბრალო,
ვერ მოგაწვდინეთ ხმანი მე;
თუ ვინმე მისმენთ მოწყალე,
ესა მაქ სათხოვარი მე;
ჩაუხტით უნცთაუღლებსა,
მტრის ამომყარეთ ჯარი მე!..

26.

მუხრან-ბატონიანთ სასახლეში საქორ-
წილო სიმღერა გუგუნებდა.

— კმუნვით რადა ხარ, სულო ჩემო?
— სხვათა უჩუმრად ჰკითხა აშოთანმა
საყდრიდან მობრუნებულ; უკვე ჯვარ-
დაწერილ ქეთევანს და მზიარულ მყ-
რიონს ტალავერში ღიმილით შეუძღვა.

— ითაბან-მხატვრის ამბავი მაძენეს,
მამავ-ბატონო, — ჩუმაღვე უპასუხა
ქეთევანმა, — იმ ვაჭარს დასახსნელად,
კახთ-ბატონის უკითხავად წასულა თუ-
რმე ბეჩავი...

— რა ეხლა გამცნეს! — გაწყრა აშო-
თანი.

— საყდარსა შინა, მისივ ფრესკების
შემხედვარემ, თვით მოვიციოთხე. — სი-
მართლით აუხსნა ქეთევანმა და კრემლ-
ნარევი სევდიით დასძინა, — მახსოვს,
შემპირდა: შენს ქორწილში ჩვენებური,
თუშური სიმღერა უნდა ვთქვათო მე და
თალალემ... ავი თქვეს კიდევ...

— ვაი და ვაი, რომ თქვეს! — დანა-
ღვლიანდა აშოთანიც.

ნეფე-დედოფალი, კახთ-ბატონის ძე დავითი და აშოთან მუხრან-ბატონის ასული ქეთევანი სუფრის თავს დასხეს.

ხელმარჯვნივ მეფე სვიმონი დაუბრძანეს. ხელმარცხნივ — მეფე ალექსანდრე. მეფეებს გვერდით დედისიმედი და აშოთანი მიუსხდნენ. მომდევნო ადგილები უფლისწულებმა და დედოფლებმა დაიკავეს...

ბაღნი მათნი: სვიმონ მეფის ძე — ცხრა წლის ლუარსაბი, პატარა კონსტანტინე და სხვანი, ტალავერს გარე გაფანტულიყვნენ. უდარდელად ლაღობდნენ, ნავარდობდნენ, ქრიამულობდნენ...

სუფრა წილენელმა ეპისკოპოსმა კირონმა აკურთხა:

— სადა უცოდველი სიყვარული არს, მუნ ეშმაკისა მანქანება უხმარ იქმნების; სადა წმიდა სიყვარული არს, მუნ სატანის საცთური განქარდების... სადა პატიოსანი სიყვარული არს, მუნ ბალიერისა მზაკვარება ვერა დაადგრების; სადა სრული სიყვარული არს, მუნ ჯოჯობეთისა სახელი აღიხოცების, არამედ ანგელოსთა ცისათა მოიცივან. მთავარანგელოსთაგან მოიზღუდვიან, სერობინთაგან შეიჭურვიან, ქერობინთაგან შეითვისებინ: ზეციერი განეშადებინ, სასუფეველი კარს განუღებს, სიყვარულის მჭადგებელნი მოციქულნი წინა მოეგებებინ, კაცთმოყვარეობისათვის ჭვარცმულსა ქრისტეს თანა მიიყვანენ, სიყვარულისათვის ძისა დამკვლელსა მამასა სახიერსა ათაყვანებენ და წმიდათა თანა მოდასედ ჰყოფენ! — დაასრულა წილენელმა ეპისკოპოსმა...

პური გატეხეს.

— მეფე სვიმონის ახდენილი სიზმრის თამალობა დისშვილსა ჩემსა, სამცხის პატრონს, მანუჩარს უნდა ვავალო! — განაცხადა აშოთანმა.

სიზმრის ხსენებაზე ყველას გაეცინა.

— დასტური გვითქვამსო. — ბრძანეს მეფეთა.

მანუჩარს ყანწი მიართვეს.

— მოიკათ, კაცო, ამ ღვთით დალოცვილ დღეს ჩემი თამალობა ვით იქმნე-

ბის?! სხვა თუ არაფერი უფლისწულებმა მამდე ურჯულოდ ვიყავ... მასსოვს, ერთმა მოარულმა მწირმა გზად სალამიც აღარ მომაგო... წუხელ-ღამ მამა კირიონი რომ არა, ალბათ იმ მყრალ ლექს ვერა მდინარე ვერ წარმრეცხავდა. ეხლა კი წმინდა ვარ, მაგრამ... — ცალყბად იუარა თამალობა, პატივით დიდად ნაამებმა სამცხის პატრონმა და ყანწი შესავსებად იქვე მდგარ მერიქიფე ახაურიშვილს გაუწოდა.

ხელადაში მდგარი ღვინო ყანწის ტუჩზე არაკრავდა...

— აქ ალექსანდრეს გარდა ყველანი ნასპარსალი და ნოსმალარი ვართ! — იხუმრა სვიმონმა.

— ჩვენ რას გვერჩი, დალოცვილო?!

— ხუმრობითვე შეესიტყვა აშოთანი.

— ვეუო, ამას დამიხეთ, მეც ნახირ-ნახირო... თქვენ ვინა ჰყრიხართ... მე აკი მეფეებზედ ვთქვი! — მიუღო სვიმონმა.

ახარხარდნენ. შვილის თამადად კურთხევით დედისიმედიც ფრიად კმაყოფილი ჩანდა. დარიც მშვენიერი იდგა.

— ეპ, სვიმონ ჩემო, — აღმოხდა ალექსანდრეს, — ერთი სიზმარი მეცა ვნახე, მაგრამ შენებრ საამო ვერა... ვითომ ჩვენს შვილებს — ლუარსაბსა და კონსტანტინეს შაპი მძევლებად გვთხოვდა...

— ეგ, მეცა ვნახე. — ჩაილაპარაკა სვიმონმა.

ყაზვინისკენ მიმავალ ქარავანს თან ასიოდე საგანგებოდ შეიარაღებული მხედარი მიჰყვებოდა.

ხალიჩებით გამართულ ურემზე, ჩარდაბქვეშ ორი უფლისწული იჯდა — ლუარსაბი და შვიდი წლის პატარა კონსტანტინე. ურმისთვის ყურშიტ ჩერქეზის ნაჩუქარი კვიციანი ჭკვი გამოებათ, ბუძეთა კვიცი ცხენს კუდში მისდევდა, მიუენტრუშებდა...

მომდევნო ურემი ტყვეობიდან ითაბანის დახსნილ იუპანს ეკავა. იგი ტყვეებზე მიწოლილიყო და მანძილის გასართველად, ჩვეულებისამებრ ხმადაბლა ღლინებდა...

ქართული კაცი ჰგელსა ჰგავს,
 კახელი კაცი ტურასა...
 კახელი კაცის ჳირიზე,
 ჩაარაკაკებს კულასა...

— უკან როდის-ღა დაბრუნდები, ალა
 იუპან? — ჳკითხა მეურმემ ვაჳარს.

— არც როდის, ისპაჳანს სიძე და ქა-
 ლიშვილი მივის, მინდა სული იმათ ხე-
 ლში დავლიო.

უფლისწულებს ეძინათ...

ქარავეანი გზას განაგრძობდა და საქა-
 რთველო მცხუნვარე მშით გადარუჳულ,
 გადახატრილ მთა-გორებს ეფარებო-
 და...

27.

მეფე ალექსანდრე სარკმელს მოსცი-
 ლდა, მეუღლის სარეცელთან შედგა...

— ნუ გეშინის, ყველაფერი უფლის-
 გან არისო. — შეგონებით უთხრა ავად-
 მყოფს და საყნიდან გასულმა აჳიმაღ
 ხმობილი იოაკიმე ბერიც თან გაიყოლა.

— ლეთისმშობელო წმიდაო ქალწუ-
 ლო, შეავედრე მოყვასნი შენნი ძესა
 ვნებულსა სიყვარულისათვის კაცთა და
 მამასა სახიერსა, რომელნი სუფევთ ცა-
 თა შინა და იხსენ სულნი ჩვენნი წარ-
 წყმენდისაგან!.. — ამოიკენესა მოახლის
 მხოლოდშთენილმა თინათინ დედოფა-
 ლმა და სასომიხიდილმა თვალნი უილა-
 ჳოდ მილულა.

მეფის საკანში ორნი იყვნენ.

— რაა? — ჳკითხა ალექსანდრემ მკუ-
 რნალ ბერს.

— გულთაყრა, მეფევ-ბატონო... დე-
 დათა ბუნება ფაჳიზ არს... მოახლემ მი-
 თხრა: წუხელ-ღამ, ძილში, სპარსეთს წა-
 რგზავნილ კონსტანტინე უფლისწულსა
 და უსჯულთთა მიერ ქართველთათვის
 წარკვეთილ თავებს ახსენებდაო. — უჳა-
 სუხა იოაკიმ ბერმა და მკირე ხნის ფი-
 ქრის მერე დაუმატა: — წამალი ესე
 არს: სიმყუდროვე, სმენა ფსალმუნთა
 და ამბავთა ოდენ საამოთა... დედოფლის
 გასაგონად აეს ნურას იტყვიან და ნუცა
 წყრომითა ვინმეს მოიხსენიებენ... კარ-

გი ეუბნონ და კარგი ახილგე...

— ჳმ... — მწარედ ჩაიციხა მეფემ.

— ერთხანს იყუჩა. მერე ბერს ხელი
 ჳკიდა, სარკმლიდან ლეთისმშობლის კა-
 ლთასავით უხვი და ბედნიერი აღაზნის
 ველი დაანახა, კვლავ მოაბრუნა, — მომ-
 ყევო! — უბრძანა და ტალან-ტალან ტა-
 რებით სასახლის ჳურღმულში ჩაიყვა-
 ნა...

დილეგის კარი გახსნა...

სიბნელეში, ლია კარიდან შემოსულ
 მკრთალ შეჳზე ძირს დაყრილი აღამი-
 ანთა მოკვეთილი თავები წარმოუჩინა...

— ლმერთო! — აღმოხდა ბერს...

პირჳვარი გადაისახა, ალექსანდრეს
 მოხედა...

მეფის თვალეში მწუხარება ამოიკი-
 თხა...

— დედათა ბუნება ფაჳიზ არსო, სი-
 მართლეა, — ხმადაბლა თჳვა ალექსან-
 დრემ, — რაც ბუნებაა, ყველაფერი
 წყობილ ჳანგივით სრულია და ლვითუ-
 რია, მაგრამ გონებაი კაცთა ბოროტე-
 ბით აღვსილა და ჳოჯოხეთის კუბრი-
 ვით ბუყბუყებს... სატანისაგან ხელყო-
 ფილი, აწ, ლეთისაკენ აღარ ისწრაფვის...
 შურსა და სიავესა შინა დგა... ვითარცა
 წყალნი ჳაობისანი მხოლოდ უემურსა-
 ლა აღმოაცენებს და კვლავ არყოფილი-
 საკენ ილტვის...

— ეს რაღაა? — შიშით ჳკითხა ბერ-
 მა და კვლავ მოკვეთილ თავებს მიხედა.

— ოსმალომ შირკანს სპარსთა ლაშ-
 ქარი სძლია. — მიუგო მეფემ. მერე დი-
 ლეგის კარი კვლავ ჩარაზა და უკან გა-
 მობრუნებულმა გზადაგზა განაგრძო, —
 გამარჳებულმა ფაშამ, სპარსთა ლაშ-
 ქარში მყოფ ქართველებს თავები მოჳ-
 კვეთა, გამომიგზავნა და ჩავუსის პირით
 ეგრე მათუჳა: შენც იგივე გელის! ბედნი-
 ერი ფადიშაჳის მოხარე თუ ხარ, შენს
 ხილხს სპარსთა ლაშქარში რაღა უნ-
 დაო!.. მაგრამ ეს თავები დედოფალს არ
 უნახავს, არც რა მათ შესახებ სმენია...
 ამ დილით, უთენია მოიტანეს... დავმა-
 ლე... დაღამებას ველი, ლამით აჳაურო-
 ბას განვარიდებ, ფარულად დავფლავ...
 შენც მხოლოდ მისთვის გაგიმბილე,

რომ პარაკლისი უჩუმრად გადაეუხადოთ...

— დიდ არს ძალა შენი, უფალო! — იოაკიმე ბერმა პასუხად მხოლოდ ესლა თქვა.

ჭურღმულიდან ამოვიდნენ. ალაზნის ველზე მაისის წვიმას გადაერბინა. სივრცეში ცისარტყელა იდგა.

28.

...წმიდა გიორგის კარზედა

ზე აღვად ამოსულია;

ზედა დასხმია უურძენი,

საჭმელად შემოსულია!

იმის ნახვევი ჭალ-ვაფი

შავადა შემოსილია...

პატარა ნანილი სამკურნალო ბალახებს ჰკრეფდა, მხარილივ გადაგდებულ ჩანთაში აგროვებდა. მგზავრობისაგან დაღლილი, მთარული მწირი ხის ძირას მიმჭდარიყო, რინდად ქცეული არე-ბუნებას შერწყმოდა, მთელის არსებით შეერთებოდა... ფიქრობდა, ნაფიქრალს უნებლიედ სიტყვებად მარცვლავდა, თავისთვის ჩურჩულებდა...

— რცხილები აკი ერთადა დგანან, წიფლებიც ერთად... ასკილი და მოცხარი კიდევ ერთად და ერთად... არ ქიშპობენ, არ იბრძვიან, ერთმანეთს საკვდავად არ იმეტებენ... მზეცა ჰყოფნით, პაერიც, წყალიცა და მიწაც...

მწირი დადუმდა. ამოიოხრა. მერე შუბის ტარიდან დასალიერისკენ გადახრილ მზეს მზერა განარიდა, წამოდგა და წასასვლელად განმზადებულმა ნანილს გახედა...

— ვაზი ვინ შექმნა, პაპი? — ჰკითხა ნანილმა.

— ღმერთმა, შეილო. — უპასუხა მწირმა.

— თხა?

— ეშმაკმა.

— მგელი?

— მგელი ღმერთმა...

— მონადირე?

— მონადირე ეშმაკმა შექმნა, შეილო.

ნანილს გაეცინა.

— რად იცინი? — ჰკითხა მწირმა.

— რა ვი...

მწირმა ხელჯოხი მოიმარჯვა, გზას დაადგა. სახე ნაამები ჰქონდა, ეტყობოდა, დიდად ახარებდა ბაღის სიცილი.

— ქრისტე-ღმერთი ხო მარტო ჩვენა გვწამს, პაპი?

მწირმა პასუხი შეაგვიანა.

— ხო მარტო ქართველებსა გვწამს? — ჩაეკითხა გოგონა.

უეცრად მათი ყურადღება ცენტა ფლოქვების თქარუნმა მიიქცია. ველზე უცნაური ცენონსები გამოჩნდნენ. არც სპარსნი იყვნენ, არც — თურქნი, არც — ქართველნი. ველი გადასჭრეს, თვალს მიეფარნენ...

შემკრთალი ნანილი მოხუცს მიეკროდა. მწირმა პირჯვარი გადაისახა...

— ვინ იყვნენ, პაპი?!

— არა ვიცი რა, შეილო... ეგეც ვერ ვცანი, ცხადი იყო, თუ მოჩვენება... ციურ მხედრობას უფრო ჰგავდა, დროშაზეც უფლის ჭვარი უჩანდათ...

— მოჩვენება კი არა, ცხადზე ცხადი იყო, პაპი... ეგე, ცხენებმა როგორი კვალი დასტოვეს...

მეფე ალექსანდრე მართალია აღელვებული იყო, მაგრამ თავი მაინც ზედმიწევნით მშვიდად ეპირა. სამეფო პალატში შესულმა პირდაპირ ტახტს მიაშურა, ზედ მტკიცედ დაჭდა.

მეფეს ერთ მხარეს ძენი მისნი: გიორგი, ერეკლე და დავითი დაუდგნენ. მეორე მხარეს — დიდებულნი, იოაკიმე ბერი, ყურშიტ ჩერქეზი და სხვანი.

ფრიად უჩვეულო სტუმარს პალატში ბერძენი ზუცესი კირილე შემოუძღვა...

— საქართველოს მონადგომთა გზათა და კახთა სამეფოს შესაცნობად რუსი ხელმწიფისაგან კეთილად მოვლენილი მეთოფეთა ასისტავი, ტოლმაჩი რუსინ ეგნატე დანიელისძე. — განუცხადა პალატში მყოფთ კირილე ზუცესმა.

მეთოფეთა ასისტავმა ქედი მოიხარა.

— წყალობა და მასპინძლობა მითქვამს! — ბრძანა მეფემ.

დანილოვმა მადლი მოახსენა.

— ეს ეამია, რაც დიდის ხელმწიფის, ივანე ვასილის ძის აღსრულება შენით შევიტყვეთ და მწუხარებითა უსაზღვრითა აღვივსენით. ისიც შენითვე შევიცანით, რომ ტახტს ურყევსა და უძლეველსა აწ აღსრულებული დიდის ხელმწიფის საყვარელი ძე, ლეთისმოსავი თევდორე ივანეს ძე დაედგინა და კვლავ იმედითა უჭრობითა აღვიჭურვენით, რამეთუ ზრახვანი მამისა და ძისა ისევე უწყვეტ არს, ვითარცა სხივნი მნათობისანი. — კვლავ ბრძანა მეფემ და დაღუმდა.

დანილოვმა ბიჯი წინ წარდგა, მეფე აღექსანდრეს რუსთხელმწიფის დაღუჭული გრაგნილი მიართვა და მორიდებით კვლავ უუქცა.

— ეს არს წიგნი მოკითხვისა ხელმწიფისა მეფისა და დიდი მთავრისა სრულიად რუსეთისა, ვლადიმირისა, მოსკოვისა, ნოვგოროდისა; მეფისა ყაზანისა და ასტრახანისა, და მრავალთა სხვათა ქვეყანათა ხელმწიფისა და მფლობელისა აღმოსავლეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის მხარეთა თევდორე ივანეს ძისა. — თქვა დანილოვმა და იქვე დასძინა, — ხელმწიფე მზადაა, კახთბატონი და მისი ქვეყანა ურწმუნოთა ძალადობისგან დაიცვას...

29.

ოქტომბრის ცივი, ქარიანი ამინდი იდგა, როცა როდიონ პეტრეს ძე ბირკინის ეტლი ალაყაფთან გაჩერდა...

სადესპანო უწყების მესვეური აზნაური ანდრეი შჩელკალოვი სარკმელს მოსცილდა, ოთახში შემოსულ სადესპანო უწყების მოხელეს, აზნაურ ბირკინს დასაჯდომად სკამზე მიუთითა, თავადაც გვერდით მიუჯდა და მაჯიდასთან მორჩილად მდგარ გადამწერ-მდივანს საუბრის დაწყება ანიშნა.

მდივანმა წინასწარ მომზადებული თაბახი მოიმარჯვა, — ამაწლის სექტემბრის ოცდამესამე დღეს მიღებული არხის შესახებ მოგახსენებთ, — თქვა და თაბახს ჩახედა. — ასტრახანის ვოევოდა,

როსტოველი თავადი თევდორე ივანეს ძე ლობანოვი გვაუწყებს, რომ საქართველოსკენ მიმავალი გზებისა და ქართველთა ქვეყნის გასაცნობად ალექსანდრე კახთბატონის კარზე ჩვენს მიერ წარგზავნილ მეთოფეთა ასისტავს, ტოლმაჩ რუსინ დანილოვს, ასტრახანს თან ჩამოჰყვენენ სრულიად რუსეთის ხელმწიფესთან და დიდ მთავართან მეფე თევდორე ივანეს ძესთან წარმოგზავნილი კახთბატონის ელჩები: იოაკიმე მღვდელი, კირილე ხუცესი, ჩერქეზი ყურშიტ-ალა და მათი ხუთი მხლებელი პირი, რომელთაც მოსკოვისკენ თან გამოვავლეთ სემეიკო სლუზოვი და იგივე რუსინ დანილოვი. როგორც ცნობილია, — განაგრძო მდივანმა, — მოსკოვს ჩამოსული ქართველი ელჩები, ჩვენის სურვილით, დაბინავებულ იქნენ ხოზნიკოვთან, ალექსისეულ კარზე. ელჩებს მიეჩინათ თევდორე ბალამუტოვი, სემეიკო სლუზოვი და დანილოვი რუსინ ეგნატეს ძე.

მდივანმა დაასრულა.

— მიღება ღირსეული უნდა იქნეს, ოღონდ არა მხოლოდ ქართველთათვის განკუთვნილი!... — ხმადაბლა, მაგრამ ხაზგასმით ჩაილაპარაკა შჩელკალოვმა. იგი დაღლილი ჩანდა, იქნებ უძინარიც. — ამიტომ უმჯობესია, — სვენებით განაგრძო მან, — რომ ქართველი ელჩების მიღებას სხვა ელჩობის მიღებაც დავამთხვიოთ... თუნდაც ყირიმელთა. — ბირკინი ყურადღებით უსმენდა სადესპანო უწყების მესვეურს, ცდილობდა, შეძლებისამებრ ღრმად ჩაწვდომოდა მის ყველა სიტყვას. — ჩემის მოთხოვნით თურქთა დესპანის მიღებას ხელმწიფე ოქტომბრის მეცხრე დღისთვის გადასდებს. — განგებ მარცვლავ და სათქმელს შჩელკალოვი. — ცხრა ოქტომბერს დილით თევდორე ივანეს ძე ჯერ ყირიმელებს მიიღებს, მერე ქართველებს... ქართველთა ელჩობას მეფეს მე თვით წარვუდგენ; ქართველთა სასარგებლოდ მეფის სამებულ სიტყვისადაც მე თვით წარმოვსთქვამ. კახთბატონის თხოვნაზე პასუხის გაცემას მეფე პერ-

მისისთვის გადადებს, ამჯერად მხოლოდ ელჩებისათვის ბოძებული მოწყალებით დაკმაყოფილდება. სასურველია, რომ მეფისგან გამობრუნებული ყირიმელთა დესპანი ქართველებს გზად შეეახვედროთ. ეს ფანდი, იმედია, ახსნას არ მოითხოვს... იმ შემთხვევაში, თუ ქართველთა ელჩები გვეითხავენ, ყირიმელთა ესოდენ ღირსეული მიღება რას უნდა მივაწვიროთ? უპასუხეთ, რომ მიღება არა მათთვის, არამედ მხოლოდ ერთ-მორწმუნე ქართველებისთვის არის განკუთვნილი და, რომ მეფის მოუცლევლობის გამო, ყირიმელნი ოდენ ხელსაყრელი შემთხვევით ვასარგებლეთ-თქო. ეცადეთ, ამ ამბავში თვით ყირიმელნიც შეაქვეთოთ... გარდა ამისა სასურველია, ყირიმელებთან გზად შეხვედრისას ქართველებისთვის მიჩენილ ხალხს და თვით ქართველ ელჩებსაც თავი გამომწვევად ეჭიროთ, და თუ ყირიმელებმა მათი დატუქსევა ან შეურაცხყოფა სცადეს, ჩვენი მეთოფეები და მცველები, ყირიმელთა დასანახად, მხარს ქართველებს დაუჭერენ, ოღონდ, რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ მათის ნებით მოხდება და არა ჩვენის მითითებით...

— გასაგებია. — ჩაილაპარაკა სადესპანო უწყების მოხელემ.

— და კიდევ, — განაგრძო შჩელკალოვმა, — კაბთ-ბატონის ელჩნი მოსკოვს, ზამთრისა და უგზოობის გამო, აპრილამდე დარჩებიან. ეს დიდი დროა. თითქმის ნახევარი წელიწადი... ამ ხნის განმავლობაში შენ უნდა შესძლო საქართველოს საკითხის სათანადო შესწავლა და საპასუხო ელჩობის მომზადება...

შჩელკალოვი დადუმდა.

ბირკინი მიხვდა, რომ საუბარი დამთავრებული იყო.

ოქტომბრის მეცხრე დღეს იოაკიმე მღვდელმა, ხუცესმა კირილემ, ყურშიტ ჩერქეზმა და მათმა მხლებლებმა, რომელთა შორის წოწრეანთიც უკრია, დილის წირვა აღესპის კარის ეკლესიაში მოისმინეს. მერმე საყდარი განუტევეს

და რუსთ ხელმწიფესთან შესავედრებას საელჩო პალატისკენ დაიძრა...

— ამბობენ, მიტროპოლიტ დიონისეს დედოფლის მონაზვნად აღკვეცა და მისი ძმის, გოდუნოვის დამცრობა უნებებიაო. მართალია? — ჰკითხა ყურშიტმა ბალამუტოვს.

— ამბობენ. — მხრები აიჩეჩა ბალამუტოვმა.

— იმასაც ამბობენ, — განაგრძო ყურშიტმა, — ვითამ მეფე თველორემ ეგ საქმე გოდუნოვის სასარგებლოდ გადასწყვიტა და ამა თვის ცამეტს მიტროპოლიტი დიონისე ნოვგოროდს, ხუტიონის მონასტერში ბერად თვით აღიკვეცებაო, ხოლო მის მოხურჩულე კრუტიცის არქიეპისკოპოსს ვარლამ პუშკინს ნოვგოროდის ანტონის მონასტერში დაამწყვდევენო?

— ეგ კი მართალსა ჰგავს. — ჩაიცივნა ბალამუტოვმა.

ქართველებმა ერთმანეთს გადახედეს.

ეტლები ფროლოვის კარიბჭესთან შედგნენ.

კარიბჭიდან საელჩო პალატამდე მეთოფეთა ასეულები ჩამწყრივებულიყვნენ, ხოლო კიბეები და ქანდარები საგანგებოდ მორთულ ბოიართა შვილებს ეკავათ. ქართველ ელჩებს კარიბჭესთან თვით ბირკინი დახვდა.

— ვწუხვარ, მაგრამ მცირე ხნით შეყოვნება მოგვიხდება, რადგან ხელმწიფის საელჩო პალატში გადმობრძანებას უნდა დაველოდოთო, — მოიბოდიშა მან და სტუმრებს წინ წარუძღვა.

— იყოს. ნებაი ღეთისაო! — ჩაილაპარაკა იოაკიმე მღვდელმა.

მეფე თევდორე ივანეს ძე იმ დროისათვის უკვე საელჩო პალატში ბრძანდებოდა სამეფო რეგალიებით სრულად აღჭურვილი, ტახტზე მედიდურად იჯდა და მდიდრულად მორთულ-მოკაზმულ ყირიმელ დესპანს ვასაოცარის მონღომებით მისჩერებოდა. თუმცა ეს უკანასკნელი, როგორც სხვათა სახეებიდან ჩანდა, მაინცდამაინც საცნაურსა და დი-

დად საგულისხმოს არაფერს ამბობდა. კრელად მოხატული თაღოვანი პალატი იმ დღისთვის საგანგებოდ გამოწყობილი ბოიარებით, აზნაურებით, სახელმწიფო მოხელეებით და საუწყებო პირებით იყო სავსე.

— ხანს სურს შეგახსენოთ, რომ კახანი დონისანი აზოვ-ქალაქს კვლავაც უმოწყალოდ ავიწროვებენ. — განაგრძობდა ადრე დაწყებულ საუბარს ყირიმელი დესპანი. — დონიდან და სამარადან ცხერის წყლებამდე ქურდულად ჩამოსულნი ცხენებსა და ხვასტაგს გეტაცებენ... ატამანი იან იარიშევსკი ყირიმის ულუსებს შარშან თავს ორჯერ დაესხა, ორმოცი ათასი თავი ცხვარ-ძროხა და შრავალი კაცი წაგვგვარა... გარდა ამისა სულთანმა ხანს საყვედური შემოუთვალა: განა დერბენდის დახსნას ხაზინა იმისთვის შევალე, რომ ჩემი ხალხი თერგზე მოთარეშე კახაკებმა ძარცვონო!.. ხანმა ბრძანა: სულთანი მეტს აღარ მოითმენს, დიდძალ ჯარს დასძირავს და სხვა ქალაქებთან ერთად თვით მოსკოვის დალაშქვრასაც არ მოერიდებაო. ამიტომ თერგსა და სუნჯაზე ციხეების ჩადგმას აპირებს, ამბობს: ვიდრე ურუს-ხელმწიფე კახაკებს ალაგმავდეს, მე სხვა გზა აღარა დამრჩენია რაო...

— სულთანმაც და ყირიმელმა ხანმაც რახანია იციან, რომ დონზედ ხელმწიფისგან ლტოლვილი, ავაზაკი და ქურდბაცაცა კახაკები ცხოვრობენ. — შეაწყვეტინა ანდრეი შჩელკალოვმა. — და, რომ ისინი, ზაპოროჟიელ ჩერქეზებთან ერთად აზოვ-ქალაქს ხელმწიფის დაუკითხავად ავიწროვებენ და არც ხელმწიფის მიერ წარგზავნილ ხალხს უყვრებენ რამეს... შესაძლოა, თუ კი ხანთან თანხმობით ოდესმე საამისო პირობა შეიქმნა, ხელმწიფემ დონზე თავის ლაშქარი გაგზავნოს, ქურდ-ბაცაცა კახაკები დაატყვევოს და სათითაოდ საღრჩობელაზე ჩამოჰკიდოს, ხოლო დანარჩენნი დონიდან შორს გადაასახლოს. ისე, რომ დონზე სრულიად აღარავინ დარჩეს!.. ხოლო, რაც შეეხება ციხეებს, თერგზე მათ ჩვენ თვითონ ავაგებთ

და მეციხოვნე ჯარსაც დავგვადგინებთ, რომ აზოვიდან დერბენდისკენ მიმავალმა სულთანის ხალხმა გზად არავითარი შევიწროვება და დაბრკოლება აღარ განიცადოს. მითუმეტეს, რომ თერგზე ციხეების ჩადგმას, თქვენსა და ყაზარდოელ ჩერქეზთა გარდა, რომლებიც თავს კარგა ხანია რუსთ-ხელმწიფის ქვეშევრდომებად თვლიან, კახთ-ბატონი ალექსანდრე და თვით შამხალიც კი გვთხოვს.

— არც ჩვენ და არც დიდი სულთნის ერთგული შამხალი ან კახთ-ბატონი ურუს-მეფისაგან თერგზე არავითარ ციხის ჩადგმას არ მოითხოვს! — შეუსწორა ყირიმელმა დესპანმა.

— მოითხოვენ! — მტკიცედ ჩაუბრუნა აქამდე მდუმარედ მჯდარმა გოდუნოვმა.

— საბუთი! — ჩაიციხა დესპანმა.

— საბუთი კახთ-ბატონის ელჩობა გახლავს. — მიუგო შჩელკალოვმა.

— სად არის ეს ელჩობა?.. ალაჰმა იცის, რომ ყოვლისშემძლე ფადიშაჰი ღალატსა და განდგომას არავის აპატიებს. — თქვა დესპანმა.

— ეგ ფადიშაჰის საქმეა. — ჩაილაპარაკა გოდუნოვმა.

დესპანმა მეფეს შეხედა.

— სხვა? — ღიმილით ჰკითხა მეფემ.

— თქვენი და ფადიშაჰის დღეგრძელობის გარდა სხვა არაფერი! — თავი დაუკრა დესპანმა. მიხვდა საუბარს აზრი აღარ ჰქონდა.

გოდუნოვს გაელიძა.

საელჩო პალატიდან თავქვე მომავალ პირგამეხებულ ყირიმელ დესპანსა და მის მხლებლებს, კახთ-ბატონის ელჩები კიბეზე შემოხვდნენ. ქართველებმა პირის არიდება და უსალმოდ მხრისაქცევა სცადეს...

ყირიმელებმა სულთნის მოხარკე ალექსანდრე მეფის ელჩთა ასეთი საქციელი დიდ შეურაცხყოფად და გამოწვევადაც კი მიიღეს...

— ღორები!
— შეითნის შეითხნილები!

ერთი ყირიმელთაგანი კირილე ხუცესს წვერშიც კი სწვდა...

არც ქართველებმა დასთმეს.

აძიფილავდნენ...

მცველნი და დაბალი ხარისხის მოხელენი, ნაბრძანებისამებრ, ქართველებს გამოეჭომავენენ...

— შეხედეთ, ძალიშვილმა ხუცესს წვერები დააგლიჯაო! — დაიძახა ვილაყამ.

ქანდარაზე ჩამწყრივებულმა აზნაურთა და მოხელეთა შვილებმა ყიფინა დასცეს:

— ბეი ელო!..

— ბეი ბუსურმან!..

— ნე დატი პაგანნოჟ დო სტარცა ხრისტიანსკოჯო რუკუ დოტრონეტი!.. საქმე გაკირდა. მიზანი მიღწეული იყო.

— რას სჩადით! — დასვექა უცებ ბირკინმა...

ჩხუბში მეთოფენი ჩაერივნენ, მოულოდნელობისაგან შემცბარი ყირიმელნი იქაურობას სასწრაფოდ გაარიდეს...

კახთ-ბატონის წარგზავნილნი, ჩანაფიქრისამებრ, ხელმწიფეს საელჩო უწყების მესვეურმა აზნაურმა ანდრეი შჩელკალოვმა წარუდგინა.

— ქართველი ელჩები: იოაკიმ მღვდელი და ამხანაგი მისნი, — თქვა მან, — წარმოგზავნილნი კახთ-ბატონის ალექსანდრის მიერ, ლოცვად უფლისა და თაყვანისცემად ხელმწიფისა მეფისა და დიდისა მთავრისა თევდორე ივანეს ძისა სრულიად რუსეთისა, ვლადიმირისა, მოსკოვისა, ნოვგოროდისა, მეფისა ყაზანისა და ასტრახანისა და მრავალთა სხვათა ქვეყანათა ხელმწიფისა და მფლობელისა აღმოსავლეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის მხარეთა...

დაასრულა შჩელკალოვმა და თავი მიწამდე დახარა. ქართველებმაც იგივე ჰქმნეს. საპასუხოდ თევდორე ივანეს ძე არ წამომდგარა...

— კახთ-ბატონი ალექსანდრე ხომ ჩანმრთელადააო? — იკითხა მხოლოდ.

— რომ წამოვედით ჩანმრთელად

ბრძანდებოდა და იმედიაგადასრულდა ლობით, ახლაც ჩანმრთელი და უვნებელი იქნებაო. — უპასუხა კირილე ხუცესმა.

მეფემ გოდუნოვს გახედა. გოდუნოვი მშვიდად იჯდა, სახე კმაყოფილი ჰქონდა. ბოიარები, აზნაურნი და მოხელენი ქართველთა ელჩობას ყურადღებით ათვალიერებდნენ...

იოაკიმე მღვდელმა ბიჯი წინ წარსდგა და ხელმწიფეს კახთ-ბატონის დაბეჭდილი გრაგნილი გაუწოდა.

გრაგნილი შჩელკალოვმა ჩამოართვა, გაშალა:

— ქრისტეს რჩეულო მფლობელო ქვეყნისაო, ლეთისგან დადგენილო და ლეთისგანვე შეყვარებულო, ლეთის მსახურო და ლეთით გვირგვინოსანო სკიპტრისმპყრობელო; მეფობითა უძლიერესო და მეფეთა შორის უმნათობესო; ხელმწიფეო თევდორე ივანეს ძე კახეთის მეფე ალექსანდრე თაყვანისა გცემს, რამეთუ წარმოუჩინე კაცი გზავნილი შენი რუსინი ეგნატე დანიელის ძე სიგელითა შენითა, რისთვისაც განხარებული სიხარულითა დიდითა მმადლობს უფალსა, რამეთუ ეამსა ამასა ზედა საქრისტიანო უსჯულოთა და ლეთისმგომბელთაგან ტანჯვასა უსაზღვროსა და ურევასა საშინელსა შინა დგა. ვითარცა წმიდასა წიგნთა შინა წინასწარმეტყველებითა სულისა წმიდისა ღირსთა მამათაგან წერილ არს, მიიღე თაყვანისცემა ესე და შეიფარე მეფე ალექსანდრე და ქვეყანა მისი საქრისტიანო, ხელდებითა ხელმწიფურითა შენითა და დაიცავ იგი აგარიანთა და ურწმუნო თურქთა იწროობისა და იავარქმნისაგან.

ვიდრე ანდრეი შჩელკალოვი არხას ბოლომდე ჩაიკითხავდა, იოაკიმე მღვდელი და ამხანაგი მისნი მალტლის ყურადღებით ზვერავდნენ პალატსა საელჩოსა და მყოფთა იმასა შინა...

წაკითხულით მეფე დიდად ნასიამოვნები ჩანდა. კმაყოფილი იყო გოდუნოვიც. ბოიარნი და აზნაურნი ერთმანეთს ეჭურჩულებოდნენ, შჩელკალოვის შემ-

დგ სიტყვა საელჩო პალატის მდივანს მიეცა.

— მდივანმა თაბახი მოიმარჯვა:

— წყალობისამებრ ზელმწიფისა მეფისა და დიდისა მთავრისა თევდორე ივანეს ძისა, ქართველ ელჩთათვის მიჩენილ ხალხს დაევალოს სამეფო ხაზინიდან უზრუნველყოფნა იოაკიმე მღვდელი და კირილე ხუცესი ორ-ორი შაურით ვერცხლისა დღიურად: ყურშიტ ჩერქეზი ერთი და კიდევ შესამედი ექვსაფულიანი თ დღიურად: სამი დანარჩენი კაცი ექვს-ექვსი ფულითა ასევე დღიურად, ხოლო ორნი ოთხ-ოთხი ფულითა. სასმელად ელჩებს დღეში სამსამი ფიალა ღვინო თვითთელს, თაფლი წმინდა, ნახევარი გობი შინაური და ერთი გობი ეოლოსა. დანარჩენ ხუთ კაცს ორ-ორი ფიალა ღვინო, გობი თაფლი და თითო კასრი ლუდი, ხოლო საცხოვრისათვის და საშზარეულოსთვის ერთი საზიდარი შეშა ყოველდღიურად.

მდივანმა დაასრულა. მეფე წამოდგა.

— ესოდენ უხვი წყალობისათვის მადლი მოგვიხსენებიაო. — თავი დაუჯრა იოაკიმე მღვდელმა ზელმწიფეს.

დანარჩენებმაც იგივე მოიმოქმედეს. მიღება დასრულებული იყო.

30.

შობის წინა კვირა არნახელი თოვითა და ქარბუკით დაიწყო. უამინდობამ ისედაც მიღეული დღის ნათელი მთლად დააუძლურა — დასცა. დაჯინა, დაჩაჩანაკა და მათხოვარა ბრყიყვივით აბუჩად აგდებული სარკმელშიაც აღარ შემოახედა. ქვეყანას წყვდიადი დაჰპატრონებოდა. ჩამომდგარიყო ნაბუნობი — შხის ხელახალი მოქცევის გამო.

ხოზნიკოვთან. აღექსისეულ კარზე, სადაც მასპინძლებმა კახთ-ბატონის ელჩებს გამოსაზამთრებლად ბინა დაუდეს, გულისწამლები მოწყენილობა სუფევდა. ერთი-ღა იყო — შობა დღის მოლოდინში მზარეულებს საქმე გასჩენოდათ. იმათ მაკადინს, ქართველთათვის საგა-

ნგებოდ მიჩენილი კაცი, პრისტავი ზელმწიფისა ლამეტოვი შესვეურობდა.

პაპი შეშას ჩეხავდა. ოფლად გაღვრილი ნაჯახს გამეტებოთ იქნევდა. ნაპობა წინეარში გორებად დგამდა. ეკვი არ იყო, ჯათას გულს ატანდა. თორემ, ამდენი შეშა ვის რაში უნდა დასჭირვებოდა?

— გეუო, პაპახა, კმაია.. ჯანი თუ არა, ნაჯახი მაინც შეიცოდებ. შე ვაცისშობლავ, შენა.. — ლიმილით შეეხმინა ბალამეტოვი.

— რაო, პაპახაო? — გაეცინა ყურშიტა ჩერქეზს...

— რაის-ღა ვიქმ... სიძარბოთით უთქომთ, თავს ზეით ძალა აღარა სჭრისო... ბევრი ვეცადებ. მაგრამ ჩემის პაპობისა რომ ვერა შევასმინებ, ბედს დაკვევ და ფათახობასაც. თავად ზედავ, იოლად შევეურიგდი. — ჩაილაპარაკა წოწრეანთმა. თან კვიელსმოკიდებულნი ნაჯახი ძალუმად აიტაცა. ბოქნევისთანავე პაერში შეაბრუნა. გრდემლა ჩირკს ყუით დაანარცხა და ორად გაპობილ ჩიუტ ნამორს, ეგეც შენაო. — დააყოლა.

ყურშიტა ჩერქეზმა შესაწვავად გამზადებულ ნასუქ ბატს დანით ეურტუმო აახლიჩა. ქონადა მწადსო. — მოიბოდიშა და ლიმილიანმა, უღუო, გულალალი ქილიკით განაგრძო: — ცოდოა... ჩვენს ხუცესს მოყინული ხელი უნდა გავუღღუო... ნანობს: საყდრიდან მომავალმა ყრმობა გავიხსენებ, იოაკიმე ბერი ფარულად ვაგუნდავე და უფალოც მისთვის განმირისხდაო...

გაეცინათ.

სამზარეულოში ქართველთათვის მიჩენილი მეორე პრისტავი, ასტრაბანელი სემეიკო სლუხოვი შემომავადა. ვეება გახლდათ, მოუქნელი... ფუტკრებთან ნაბრძოლ დათვივით ბურდლუნებდა, ნამქერწყარილი ქურქი კარებშივე გინებით მოიშორა. ქეჩებიც იქვე დაიფერთხა და დახლთან მდგარ სახარჯო ლუდა კასრიდანვე ხარბად დაეწაფა.

— რაო, სად კიყავო? — მოუთმენლად ჩაეკითხა ბალამეტოვი.

— ეშმაკის დასთან და დედასთან ვიყავი! — ჩაილულულა სლუზოვმა. მართლაც იქ ნამყოფს ჰგავდა — ნატრევი-იყო, ნაწველები, ნაჭახირალი... სული რომ მოიბრუნა, ლუდიანი კასრი მზარეულ ბიქს მიანება, სკამი მოიზიდა, დაჯდა. — უზმოზე, ჩემდა ჭირად დუქანში შევეთრე, — ამოიხვნეშა, მერმე იქ მყოფნი მოათვალიერა და, რაკი, დანარჩენებსაც ბალამუტოვივით მოუთმენლობა შესწამა, თავი უმაღლვე დაიფასა, ქეჩები გაამხადეთო, — ისურვა.

უყოყმანოდ გახადეს.

სლუზოვმა გათოშილი ფეხები ცეცხლს მიუშვია, იმას ვამბობდიო, — განაგრძო. დუქანში რომ შევედი, ჩამოვკეჭი, პირსაც ვავილობ და, ეგება, რაიმე ჭორს გულიც კი გადავტანო-მეთქი, ვფიქრობდი... არა, მაინც ვინ იყო? საიდან გაჩნდა?! ნამდვილად გრძნეულსა ჰგავდა!.. ვამბობარ ჩანდა, ხმელხეხერა... გევონებოდათ, სიცოცხლე რაა, ისიც მთლიანად მარხვაში გაუტარებიაო. დუქანში შემოსულმა უპოვართა მთელი ბრბოც თან შემოიყოლა... წამსზეით იქაურობა რალაცნაირი მოწითალო ორთქლითა და უცნაური სიმყრალით აივსო... თეთრი წვერი ჰქონდა, თვალებს ბნედიანივით აბრიალებდა. გაჰკიოდა: უფალმა ჩვენზე ხელი აღიღო, საცაა მეფესაც და გოდუნოვსაც მოჰკლავენო!.. წარმოშობით ვიტებსკელობას იჩემებდა, გვარწმუნებდა: სამსული ვარ, ერთდროულად სამს ალაგას ცეცხოვრობო!.. სულმოუთქმელად ქადაგებდა... შიგადაშიგ, ლიტვაში მყოფ თავის მესამე სულს ესაუბრებოდა, ანდრეი შუისკისა და შჩენკალოვის შეთქმულებაზე ლაპარაკობდა. ამბობდა: საზღვარს იქეთ ვახვეწილმა მიხეილ გოლოვინმა შუისკის დავალებით ჰოლშის კოროლს რუსეთზე ლაშქრის დაძვრა ურჩია და თან ისიც შეაგონა: ნუ ფრთხილობ... სადაც ფეხს დადგამ, ყოველივე შენად დაიგულე, რამეთუ ბოიართა შორის შუღლი და კინკლაობა რახანია ყველას მობეზრებული აქვს და არა სულიერი შენს წინააღმდეგ ხელს აღარ აღმა-

რთავსო. ეგეცა თქვა, რომ ბრბოლში კოროლს, სტეფანე ბატორს, თვით რომის პაპი და ბართლომეს ლამის მთავარი მესვეური, ანტონიო პოსევინიოც გვერდით უდგანანო!.. ქადაგებას რომ მორჩა, გაშეშდა, ქარის ზუზუნს მიიყურა... მერე, თითქოს ციდან რალაც ხმა ჩამოესმათ, კრუნჩხვამ აიტანა... აღსრულდაო! — აღმოხდა და აცახცახებულმა თვალეზი რატომღაც მე მომპაყრო: აი ეგ არის დამნაშავე, ყველა უბედურება მაგისგან მოდისო! სანამ თქვენ ჩემს ქადაგებას ისმენდით, შუისკი და მისი გალუშილი მეინახენი ბორის თედორესძეს მიუხტენ და გოდუნოვი მოჰკლესო!...

— დიდება შენდა, უფალო! — პირჯარი გადაისახა ბალამუტოვმა.

ყურშიტა ჩერქეზმა პაპაის გადახედა...

— გახელებული ბრბო ჩემსკენ დაიძრა. — განაგრძო სლუზოვმა, — რას სჩადით-მეთქი! ვიყვირე, მაგრამ უკვე გვიან-ლა იყო... გონს რომ მოვეგე, მელუქნის ცოლი ვიციან... — პერანგით დაბადებულხარო, თავს დამტრიალებდა დარია ოსიპოვნა. ღმერთმა გააბაროს მისი მოწყალე სული!.. თურმე, სანამ ცოფმორეული ბრბო, ჩემს ასო-ასოდ აყუწვას ლამობდა, დუქანში მეთოფეები შემოცვენილან... ქადაგი გაუკოჰავთ, მარხილზე დაუკრავთ... მერე დანარჩენებსაც დარევიან და მათრახების ტულაშენით, ყველანი ლუბლიანკისკენ გაურეკავთ... მე რას მერჩოდნენ მეთქი, უკითხე დარია ოსიპოვნას, რა ვიციო, — მიპასუხა, — ხალხში ხმაა დარხეული: შუისკი და გოდუნოვი ქართველთა გამო წაეყიდნენო... თუ შუისკიმ გაიმარჯვა, გოდუნოვის მომხრეებსა და ქართველთა ელჩებს ერთიანად კოცონზე დასწვავენო... ავწრიალდი, სიმართლე გითხრათ, სიმწირისაგან ცივმა ოფლმა დამასხა, მაგრამ ქალს აღარაფერი ვაგრძნობინე... შინ რომ ვბრუნდებოდი, მეეტლემ დამამშვიდა, მითხრა: შუადლისას კრემლის კედელთან გოდუნოვის მომურნე ექვს ბობოლა ვაჭარს სა-

ჯაროდ თავები წარკვეთეს, ხოლო ხალხს, შუისკის მოსკოვიდან გაძევება და მეფე თევდორეს დასტურით, გოდუნოვის მორჩილება უბრძანესო, უფალმა უწყის, რა მართალია და რა — ტყუილი, — დაასრულა სლუზოვმა.

ბალამუტოვმა შვებით ამოისუნთქა... მომძლავრებული ქარბუქი წინკარს მოასკდა, მოეხალა, ფრთა მოსდო, კლანჭ-წინკარტი ჩასჭიდა, ენინანდ ჩაებლაუჭა — სახურავი კინალამ ააცალა...

— ქორწილია, კუდიანს ათხოვებენ... — ჩაილაპარაკა სამზარეულოს ბნელ კუთხეში თივაზე მიგდებულმა რუსინ დანილოვმა და ძილის გასაგრძელებლად გვერდი მოხერხებულად შეინაცვლა.

სლუზოვმაც მალეინად დაამთქნარა. ნაგვემსა და შიშმინართმევს რულმოკიდებული ჭროლა თვალები სიზმარეთისკენ გადაუყირავდა...

— მართალია? შუისკებმა გოდუნოვს მნათედყოფილი მალიუტა სკურატოვის სიძეობა დაცინვით წასაძახეს და გუშინდელი მონა ანუ ნათათრალი უწოდესო? — იკითხა ყურშიტ აღამ.

— მართალსა ჰგავს. — უპასუხა ბალამუტოვმა. — გოდუნოვების წინაპრად ხალხი ურდოელ თავადს, ჩეთ-მურზას ამბობს... თურმე ეგ ჩეთე საჩაიდან მოსკოვს ჯერ კიდევ დიდი ივანე კალიტას დროს მობრძანებულა და მისდამი ერთგულების ნიშნად კოსტრომაში ღვთისმსასოებელ მამათა სავანე დაუარსებია...

— ჭორია! — შეაწყვეტინა რუსინ დანილოვმა და წამომჯდარმა წირკლთან ერთად წარბსშერჩენილი თივის ბულუღიც მოიშორა. — ჭორია-მეთქი. — განაგრძო მანვე, — იპატიევის მონასტრის ბერთა მიერ შეთითხნილი უილაჯო ჭორი!.. ე, მაგ ზღაპრით კოსტრომელი ყვაე-მონაზვნები გოდუნოვების თავადურ წარმოშობას ამტკიცებენ... გრძნობენ, რომ ბორის თევდორესძე ტაბტისკენ იწვეს... მომავლისთვის ზრუნავენ, მლიქვნელობენ — ხელის მოთბობას ცდილობენ... ის კი აღარ იციან, რომ გოდუნოვთა წინაპარნი,

არც მონები და არც ნათათრალნი სოდეს ყოფილან!.. წარმოშობით ოდიტ-განვე კოსტრომელი მოსკოვის კარზე ადრეც ბოიარებად იყვნენ მიჩნეულნი... მათი უფროსი შტო, სობურთვნი, იმთავითვე აღზევდნენ!.. ხოლო გოდუნოვები და ველიამინოვები დაქენენ, დაემცრნენ, უბრალო ვიაზმელ მემამულეებად იქნენ და მძლეველთაგან დევნილნი აზნაურობასაც იოლად დაყაბულდნენ...

— ჩვენსაებრა ყოფილან... — ჩაილაპარაკა ფიქრსაყოლილმა წოწრენათმა.

— ეგ როგორაო?! — გაუყვირდა ყურშიტა ჩერქეზს.

— არც როგორ... ფარნავაზს აქეთ, ვიდრე გორგასლამდის, ჩვენც დიდნი ვიყავით, კუსხა და ჰერეთს ვთავადობდით, აღვანეთს ვფლობდით! — სევდიანად უპასუხა პაპაიძე.

ჩერქეზს ჩაეცინა...

— ეგრე ხო, დალოცვილო, ყველანი ედემ-სამოთხის მეფისნი — ადამისანი ვართ?! — თქვა მან.

— უფრო ღვთისანი და თიხისანი. — დაუდასტურა ბალამუტოვმა.

— მაედურისანიც. — ჩაურთო აქამდე თივაში მჯდარმა რუსინ დანილოვმა და კამათის დამთავრების ნიშნად ზეწამომდგარმა სამოსი დაიფერთხა.

— ფარნავაზი ვინლაა? — იკითხა ძილად მიქცეულმა სემეიკო სლუზოვმა.

— ჩვენი პირველი მეფე! — ამაყად მიუგო პაპაიძე.

— იცნობდი? — ცვლავ ჰკითხა სლუზოვმა და ხვრინვაც იქავე ამოუშვა...

პაპაი ეხლა-ლა მიხვდა, რომ ასტრახანელ პრისტავს, რახანია, ძილის ანგელოსები დაჰპატრონებოდნენ...

— ცნობით მე ვერა... მაშინ ჯერ ისევ ყმაწვილი ვიყავ. მაგრამ ყურშიტ აღაკი ნამდვილად სცნობდა... ამბობენ, შენი და იმ წელანდელი მედუქნისა არ იყოს, ორთავენი ერთ ტურფა დიაცსა ჰყვარობდნენო... — აღარც ერთს აღარ შეარჩინა წოწრენათმა.

დღე-ღამის გასაყართან ქარბუქი ლახვარნაკრავი გველშაპივით გამძვინვა-

რდა, ნამჭერიანი კუდი ძალუშად შოიქნია, წინჯარს დასცა, აღრევე მორყეული სახურავი ეხლა ერთბაშად ააგლიჯა, პაერში შეავლო, შეათამაშა... მერე კარ-კედელს მიანარცხა და ღობისძირას მიფენილს გაბოროტებული ზედ ფეხითაც შესდგა...

სტიქიონის ამგვარი უზნეობით გულმოსულმა ხოზნიკოველებმა ამინდბ შერიხხეს, ცის ქვეშ დარჩენილი შეშა სამზარეულოში ბუზღუნით შეზიდეს, შინ შეიკეტნენ, კარ-ფანჯარა და დარაბები საგულდაგულოდ ჩარაზეს, ჩაბუნაგდნენ...

ზემო სართულზე, ალექსისიელ მყუდრო დარბაზში, სადაც ქართველთა ელჩიონი ზამთრის გრძელ საღამოებს გაუთავებელ სჯა-ბაასსა, ლოცვასა და „საქმისა სიმცირის გამო“ გამართულ ლექსაობასა თუ ლაყობა-ჭილიკობაში ატარებდა, პაპაიმ კიდევ რამდენიმე სანთელი აანთო... ყურშიტა ჩერქეზი კირილე ზუცესს კვლავ მოყინულ ხელს უზელდა, ხოლო იოაკიმე ბერი ჩვეულები-სამებრ ახლაც ღუმელთან იჯდა, კალთამუხლებზე ქალაღის ფურცლები დაეფინა და მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „კალმის ნაცოდვილარს ჩასციციენებდა, სახელდახელოდ ნაჯღაბნს ჭეშმარიტებასთან აჯერებდა, ხოლო დროდადრო ხმამალლა იმადაც კითხულობდა, რათა ნაფიქრალი მოამეთა სამსჯავროზე გამოეტანა“...

— ხელმწიფე ესე უცნაურად სნეულსა ჰგავს... სუსტად აღნაგი, ვანა სიმყარით, არამედ აცა-ბაცად დააბიჯებს, ფითრისფერ პირზედ ნიდაგ უმიზეზო ღიმი წარმოუჩნდების... მარტად წყობილი გონებითაც უძალო ჩანს... ამბობენ, — სამეფო საქმეთა ვერ მიმხვდარი, ცრუ ნიშანთა იოლად მიმდევარიც ბრძანდებაო... — დუღუნებდა იოაკიმე ბერი...

— ე, მანდ არავინ გაგვიგონოს, თორემ ეგება კოკონს კი არა, ძელზე გასმასაც აღარავინ დაგვჯერდეს და ამ უღვთო ყინულებით შინისკენ სუ დედიშო-

ბილანი გაგვაყენონ! — პაპაიმ.

იოაკიმე ბერმა პაპაის ნათქვამი ყურსიქეთ გაატარა.

ფურცელი მონაცვლა, რამდენიმე სტიქიონი უხმოდ ჩაათვალეირა და კვლავ სხვათა გასაგონად განაგრძო:

— ზამთარი რუსეთს მძლავრი და სუსხიანი იცის. დაუდევარნი და უცნობარნი ვინ ცხვირს, ვინ ყურსა და ვინ კიდევ ფეხსა ან ხელს ხშირ-ხშირად მოყინავენ ხოლმე...

— ეგ კი უცილოდ შენზე ნათქვამსა ჰგავს. — გადაულაპარაკა ჩერქეზმა კირილე ზუცესს.

— ჰგავს და ჰგავდეს... არცა მწყინს... მე რო მკითხო, საყვარელო, ახზე უფრო ახიც არის, საკადრისად რომ ვერ ვაგუნდავე, იმაზედ... — ჩაიბუზღუნა ზუცესმა.

— საბოლოოდ სიცივემ, — განაგრძო იოაკიმე ბერმა, — ზომაზე მეტად ითავებდა, კრემლის წინ მიწა ყინვისაგან ორად გააბო, ოცი საყენი სიგრძისა და ოთხი მხრის სიგანე ნაპრალი გააჩინა... წოწრეანთი ჰკვირობს: ნაფურთხი ძირს დაცემამდე იყინებაო...

სიცილი აუვარდათ...

ამასობაში გრიგალმაც თავისი ჰქმნა — ცისქვეშეთი უზურზე მიასწორ-მოსაწორა და რაკი „საქმე“ მომთავრებული დაიგულა, ვალმოხდილ ოსტატივით ხელები დაიფერთხა, მოსვენებად მიიქცა — ჩადგა, ჩაჩუმდა, ჩაშოშმინდა...

დილიდანვე ლუღში ჩამბალი და ძილში ღრმად ჩაძირული გოლიათი სლუზოვი ბიჭებმა სკამიდან ასწიეს და სამზარეულოდან საწოლისკენ ტატივთ წაასვენეს...

— ე მანდ, ფრთხილადა ჰქენით, ეშმაკს ნუ ენდობით, არ დაავდოთ და იატაკიანად ქვესკნელში არ ჩაგვიტანოთ! — იხუმრა დანილოვმა.

— თან ნესტოებიც გულდაგულ დაუცავით, თორემ შავის ხვრინვისა რომ ვიცი, ეგება ამ სახლს აღარც სახურავი შეარჩინოს და წელანდელი ქარაშოტი

ნიავდაც აღარ მოგვაჩვენოს — აპყვა დანილოვს ბალამუტოვიც.

პრისტაეის ენაკვიმატობაზე ბიჭებს ჯერ ფხუეუნი წასკდათ, მერე ერთმანეთის წამხედურობით ხორხოციე აუვარდათ და „გაფრთხილების“ მიუხედავად მოსავეებულებმა მძინარე გოლიათი მაინც იატაკზე დასცეს...

კარს ვილაც მოეძალა — შემოუტია, მჭილები დასცხო...

სამზარეულოში მყოფნი გაფაციცდნენ...

იატაკზე გაშლართულმა სლუზოვმა შიშით მიმოიხედა...

ხმაურმა ზემო სართულშიც ააღწია...

ყურშიტ ჩერქები და წოწრეანთი სარკმელთან მიდგნენ — ეზოს გადახედეს...

ალაყაფთან, ჩირალდნების შუქზე ოციოდე მეთოფე მხედარი და სამცხენიანი ძვირფასი მარხილი შენიშნეს...

მარხილში ორნი ისხდნენ.

პაპაის შეტყობით ორივე დიდებული ბრძანდებოდა, მაგრამ ერთი მეორეზე ბევრად აღმატებული და ზემდგომი უნდა ყოფილიყო...

— ხელმწიფესა ჰგავს! — ჩაილაპარაკა წოწრეანთმა.

პაპაის ეჭვმა კირილე ხუცესი და იოაკიმე ბერიც ააფორიაქა... სარკმელს მისცვიდნენ, ეზოს გადახედეს...

ეზოში ბალამუტოვი და რუსინ დანილოვი თავბრუდახვეული ქათმებივით დაბორიალობდნენ, დაბნეულები ჩანდნენ... ჯერ ჭიშკართან მიჭირლ მსახურ ბიჭებს დაუცაცხანეს — ნაქორალ წიწილებივით აქეთ-იქით მიმოფანტეს. მერე ალაყაფი გახსნეს და ზედმეტის მოწიწებით მუხლმოკვეთილებმა „თავი დამართა სცეს“...

ჩამოქვეითებულმა მეთოფეებმა მარხილიდან სადარბაზომდე ფარდაგი დააფინეს...

— სწორედ რომ ხელმწიფესა ჰგავს!

— აწრიალდა წოწრეანთი.

იოაკიმე ბერმა პირჯვარი გადაისახა.

დარბაზში გაფითრებული სლუზოვი შემოვარდა...

— გოდუნოვი! — შეშფოთებით აუწყა იქ მყოფთ და კიბეებზე კისრისტებით დაქანდა.

კახთ-ბატონის ელჩებმა ერთმანეთს გადახედეს.

მოლოდინი დიდხანს არ გაგრძელებულა. წამსზეით ალექსისეულ მცირე დარბაზში ჯერ სადესპანო უწყების მოხელე, აზნაური როდიონ ბირკინი, ხოლო შემდეგ რუსეთის ფაქტიური მმართველი, ხელმწიფის საყვარელი ცოლისძმა, ბორის თევდორეს ძე გოდუნოვი შემობრძანდნენ...

დარბაზში მყოფნი მოსულთ თავდახრით დაუხვდნენ.

გოდუნოვმა იქაურობა მოათვალიერა, კართან გაშეშებულ ბალამუტოვსა და რუსინ დანილოვსაც მიხედა, მერე როდიონ ბირკინს რაღაც ანიშნა, „აქა მშვიდობაო“ ბრძანა და სავარძელში ჩაეშვა... დაღლილი ჩანდა — ნაწრომი, ნაჯაფარი, ძილგატეხილი...

მასპინძლებმა სალაშზე სალმითვე უპასუხეს.

— ღმერთი იყოს თქვენი მფარველიო! — სტუმრებს პირჯვარი გადასახა იოაკიმე ბერმა.

— დასხედით, ღვთის გულისათვის... ბორის თევდორეს ძეს თქვენთან ყოფნა და საუბარი სურს... უბრალო მგზავრებად მიგვიღეთ, რითაც გენებოთ, იმით გაგვიმასპინძლდით... — ღიმილით სთქვა ბირკინმა და კართან ატუხულ პრისტაეებს გახედა.

დანილოვმა და ბალამუტოვმა სამზარეულოს მიაშურეს.

პაპაიც მათ მიჰყვა...

— თქვენი საყადრისი ეგებ არცა მოგვეპოვება რა, მაგრამ ღვთით ბოძებულის გარდა, თუ ნიადაგ ჩვენს თქვენდამი უწრფელეს სიყვარულსაც იგულისხმებთ, იმედია, აღარც მერტისმეტად დაგვზრახავთ და თქვენის სტუმრობით ისედაც უბედნიერესთ ამით ასკეცად კიდევ უფრო გავკავებდნიერებთო. — მოწიწებით ჩაილაპარაკა იოაკიმე ბერმა. ყველანი დასხდნენ.

— უფლის ნებითა და ჩვენის წყალო-

ბით, — ხმადაბლა წამოიწყო გოდუნოვმა, — სადესპანო უწყებების მოხელემ, კავკასიის საქმეთა უმცროსმა განმგებელმა, აზნაურმა როდიონ დიმიტრის ძე ბირკინმა იკისრა რა გამოწველილით შეესწავლა ხელმწიფის, მეფისა და მთავრისადმი თაყვანისცემით მორთმეული კახთ-ბატონის „აჯა“ და ელჩთა მისთავან ჩვენამდე მოწვედნილი სიტყვიერი დანაბარები, ჩვენის დასტურით და ბოიართა რჩევით მან განუზრახა ხელმწიფესა, მეფესა და დიდ მთავარს თევდორე ივანეს ძეს შეეწყნარებინა ალექსანდრე კახთ-ბატონის ესე ვედრება, მოეღო მოწყალება და ეზრუნა კახეთის თავის მფარველობის ქვეშ მიღებისას თერგზედ ციხეთა კვლავ აგების და სხვათა მისთანათა შესახებ... რაზედაც ხელმწიფემ, მეფემ და დიდმა მთავარმა სრულიად რუსეთისამ სიტყვიერი დასტური დასცა...

— ღმერთო, დღეგრძელ ჰყავ ხელმწიფე, მეფე და დიდი მთავარი! — აღმოხდა კირილე ხუცესს.

— ამინ! — შეაშველეს აქეთ-იქიდან.

— ამავე მიზნით, — განაგრძო გოდუნოვმა, — ხელმწიფემ ისიც იხება, რომ სამშობლოში გაბრუნებულ კახთ-ბატონის ელჩიონს თან გააყოლოს ელჩიც თვისნი — აზნაური ბირკინი და პეტრე პიოვი, რათა ისინი ხელმწიფის, მეფისა და დიდის მთავრის „წყალობის სიტყვით“ წარსდგნენ კახთ-ბატონის ალექსანდრეს წინაშე და ჩვენს მიერ სავარაუდოდ შედგენილ „კახთ-ბატონის საფურცის წიგნზედ“ იმსჯელონ და მიიღწიონ საბოლოო თანხმობას, რის შემდეგაც ალექსანდრე კახთ-ბატონი ხელახალი ელჩობის საშუალებით კვლავ წარმოუდგენს ხელმწიფეს, მეფესა და დიდ მთავარს მის მიერ დასტურქმნილ „საფურცის წიგნს“ და სანაცვლოდ მიიღებს დიდი ხელმწიფის, მეფისა და დიდი მთავრისგან დასტურ დაცემულ „წყალობის წიგნს“ ოქროს ბეჭდით.

გოდუნოვი დადუმდა.

— კახში იმხად გახლავთ, მეუფეო.

— მოწინებით მოახსენა დარბაზის კართან ატუზულმა ბალამუტოვმა რუსეთის ფაქტიურ მმართველს.

31.

მეფე ალექსანდრე მთებში „ლაშქრობა-ნადირობად“ იღგა.

თენდებოდა. ვერც წვიმიანმა ღამემ და ვერც ტყისპირით მონაჭროლმა დილის ნიავემა აგვისტოს ზეატი ვერა და ვერ დააცხრეს, ვერ დააგრილეს...

თენდებოდა. სალუკო მთიდან ამოწვერილმა თაყარა მზემ, ცის ღურჯ საძოვრებს შერჩენილი ღრუბლის ფთილები, მგელნაცემ კრავებივით მიმოფანტა, აიწია, აცურდა, ამრიალდა, ცის გუმბათს მიეტანა და უხინჯო დღეს თავს უფლის გვირგვინივით წამოადგა...

თენდებოდა. მოდგა ჯარი ხელმწიფის კარსა... მრავალი დაგეშილი ძალლი ოქროს ჭინჭილებით ეჭირათ და ქორ-შევარდნისა, გაეზისა, სონლულ-თულუნისა თუ სხვა სანადირო მწყაზარ-ფრინველთა ანგარიში არ იქნებოდა... მოვიდა მეჭინბეთუხუცესი და თან ქალაბდრებიც მოიყოლია... დიდსა თუ მცირეს, ყველას თავთავისი ფრინველი და ძალლი მოჰყვებოდა... ბიზინებდნენ კარები სტავრისა, ქამხისა და ატლასისა... მინდორი იგი ფერად-ფერადი პალატებით ავსილიყო, ისეთი ალყა შეეკრათ, რომ თვალი ვერსაით მისწვდებოდა...

გათენებისას ნაგზაურმა მხედარმა მონადირეთა ჯებირი გაარღვია, სეფე-კარავთან მიჭრილმა, ცხენი გუშაგებს მიანება, მერე იარაღიც აიყარა და ხელმწიფის დაუყოვნებელი ნახვა ისურვა...

— ეამი არ ითმენსო! — დაივინა.

გზა მისცეს.

კარავში შემოსულმა ბქესთანვე დაიჩოქა.

მეფე ალექსანდრე სანადიროდ იმსებოდა.

— ჰააიე შენა?!

— შენა, შენი ჳირიმე...

ხელმწიფემ მსახურები უმაღვე მოი-

შორა. მარტოშენილი, პაპის მიუხე-
ლოვდა, წამოაყენა, მკერდში ჩაიკრა,
ტოლოვით ვადაცოცნა...

— იამბე, ვეუო, იამბე, დალოცვი-
ლოო! — უბრძანა მოუთმენლად.

— აწ განდა მოვკვდე, აღარას ვჩი-
ვი. — ცრემლი შეიწმინდა წოწრეანთ-
მა...

დასხდნენ.

— იამბე-მეთქი. — შეახსენა ხელმ-
წიფემ.

— საამბობი ბევრზე ბევრია, მეფევე
ბატონო... გაგიხარია, უფროვე საამო
სათხრობელი სპარბობს... გულმშვიდად
იყავ, რუსთ-ხელმწიფემ შენს „აქას“
ლამის დასტურიც დასცა...

— რაო, რა თქვა?

— ელჩნი მოგვაყოლა, შენთან თათ-
ბირი და პირობათა გამოწველივით და-
დგინება უბრძანა... დარიელზე გადმო-
სულნი ეხლა ანანურს დგანან... ნუგზარ
არაგვის-ერისთავმა დიდი მასპინძლობა
უყო, თუმც ათვი ისევ ძველებურად
ცალკერძ ეჭირა, რუსთ-ხელმწიფისგან
საგანგებო წიგნსა და წყალობას მოე-
ლოდა, აქაო და ხევ-მთიულეთში მეც
მეფედა ვარო...

კახთ-ბატონს ერისთავის წუნკლობა
არაფრად ეკაშნიცა.

— ელჩებმა რაღა მიუგეს? — შუბლ-
შეკვრით იკითხა მან.

— იყუჩეს... ორკოფობა ჰქმნეს, არც
მწეადი დასწევს და არც შამფური...
რუსი ფრთხილია... აკი, ალყაზ ჩერ-
ქეთ-ბატონმაც ის შეაგონა: არაგვის
ერისთავი რახანია თავნებობს, მეც
მტრადა მყავს და აღარც კახთ-ბატონ
ალექსანდრეს ეპუებო...

წამიერი სიჩუმე ჩამოვარდა.

— მერე? — კვლავ ჰკითხა მეფემ.

— მერმე ისა რომ, სამ დღეზე ზეით,
რუსთ-ხელმწიფის ელჩები აქ იქნებიან,
ჩქარობენ, კახეთის ხილვას ესწრაფი-
ან... ერისთავმა ქილიკით უჩურჩულა:
მეფე ალექსანდრე ძალიან გაგვისუქდა.
დღე-ნიადგა სუ იმასა ჩივის, ხალხი მო-
მიშრავლდა, ქვეყანა ბალ-ვენახებდად მი-
ქციეს და, მე საწყალს, სანადირო ადგი-

ლებიც აღარ შემარჩინესო... გვრე უთ-
ქომსო: „ახ, ნეტარძი ოხრად მექნეს კა-
ხეთი, რათა მაქვენდეს სანადირო მრავ-
ლადაო“...

გაეცინათ.

— ელჩებს ვინა და რაოდენი ახ-
ლათ? — იკითხა მეფემ.

— მსახურნი და ორმოცდაათი მეთო-
ფე ცხენოსანი, მეფევე ბატონო. — უპა-
სუხა პაპამ.

კახთ-ბატონი ჩაფიქრდა.

— დიძარ! — თქვა მცირე ხნის დე-
მილის მერე და პაპის ალერსიანი მზე-
რა მიიპყრო. — გრემს მიდი, სახლთ-
უხუცესს უბრძანე, ალექსანდრემ შემო-
გითვალა, ჩემი ზუთასი შემომრიდან ასი
თან იახლე, ელჩებს საზღვარზე შეხე-
დი, ბედაურები ძღვნად მიაგებე და
გზად არც ჩვენებური მასპინძლობა მო-
აკლო-თქო!

წოწრეანთი წამოდგა.

— რა ხანს იარეთ? — საბოლოოდ
ეს-ლა იკითხა მეფემ.

— სამ თვეს, მეფევე ბატონო.

32.

იღუმალეებით მოსილი გრემის ყელ-
მალალი სამრეკლო, მარიობისთვის ვარ-
სკვლავებით მოჭიქულ, უძირო ზეცას
ლანდივით შელეკოდა. ბაღრი, კაშქაშა
მთვარე დაქანათოდა ყვარლის მთებსა და
შილდა-საბუსის ლურჯად მოხასხასე სა-
ნახებს. საღდაც შორს ჳოტები საუბრო-
ბდნენ...

სახლთუხუცეს ომან ჩოლოყაშვილს
ხლებული რუსთ-ხელმწიფის ელჩები
— აზნაური როდიონ ბირკინი და პეტრე
პივოვი დურუჯ-მდინარეს ნაპირ-ნაპირ
მიჰყვებოდნენ სათავისკენ. უკვირდათ,
გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს მათ
პატივსაცემად გამართულ ლამის თევ-
ზაობას...

მებადურებს თეძოებამდე წყალში
ჩამდგარი წოწრეანთი მოთავეობდა.
დანარჩენები ხელს უწყობდნენ, ვის კა-
ლათი ეპყრა, ვის — ჳვაითი, ვის კიდევ
— ჳანგი ან ჩირალდანი... მთვარის შუქ-

ზე ბადიდან ამოყრილი თევზები ხანჯლის პირებივით ლაპლაპებდნენ...

— სიზმარსა ჰგავს! — ჩაილაპარაკა პეტრე პივოვმა.

უეცრად გრემის მხრიდან ვინმე მანდატურმა გახვითქული ფაშატი მდინარესთან მოაგდო. დაიხარა, სახლთუხუცესს ყურში რაღაც უჩურჩულა.

ჩოლოყაშვილი აფორიაქდა...

— ცხენი! — ბრძანა მოუთმენლად.

— რა მოხდა?! — ჰკითხა ბირკინმა.

— რა ვი?! — მხრები აიჩეჩა სახლთუხუცესმა. — გუშაგებს შაჰის მსტოვარი შეუპყრიათ... ამბობენ, რუსსა ჰგავსო...

სახლთუხუცესის სიტყვებმა ორივე ელჩი განაცვიფრა.

— დაუყოვნებლივ გეჩვენეთ! — დაჟინებით მოითხოვა პივოვმა.

ამასობაში ჩოლოყაშვილს ცხენიც მოჰგვარეს. სახლთუხუცესმა სტუმრებს ყური აღარ ათხოვა, ულაცს მოეგლო და მანდატურთან ერთად სასახლისკენ თავქვე დაეშვა...

ომან ჩოლოყაშვილს დილეგისკენ თვით მანდატურთუხუცესი წარუძღვა. ბნელ ტალანს გასცდნენ, საცალფეხო კიბე ჩირაღდნით ჩაინათეს, კარს რაზაურდული აპყარეს და ჭრიალით შეღებულს ჭედმოხრილნი წყვილიადში შეჰყვნენ...

დილეგში მჯდომ ტყვეს ჩირაღდნის შექმა თვალი მოჰკვეთა.

— რა გქვია? — ჰკითხა ჩოლოყაშვილმა.

— ფილიპო მქვია, მამით ანდრეევი ვარ. — მშვიდად უპასუხა დილეგში მჯდომმა.

— სადაური ხარ? — კვლავ ჰკითხა ჩოლოყაშვილმა.

— კიეველი ვარ...

— ილაპარაკე! — უბრძანა მანდატურთუხუცესმა.

— აკი შეათედ ვამბობ, კიეველი ვარმეთქი... ჯერე ოსმალთა ტყვე ვიყავ, ხოლო ამ ათიოდე წლის წინათ, ოდეს სულთანმა სვიმონ მეფის ქვეყანა და-

ლაშქრა, დრო ვიხელთე, ეშველდებოდნენ მარე და ოსმალთაგან ლტოლვილი ყიზილბაშთა ბანაკს შევეერთე... მერმე ყაზვინს დავედექ, შაჰ ზულაბენდეს თარჯიმანობას ვუწვევდი... ეხლა კი აქ ვარ, ამ ხაროში...

— კახეთს რად მოხველ? — ჰკითხა ახლა მანდატურთუხუცესმა.

— არც რად... ახალ შაჰს გამოვექეც...

სისხლიანია. მძვინვარებს... ძველ მოხელეთგან აღარავინ დაინდო, მთელი ყაზვინის მოედნები მარგილზე წამოგებული თავებით აავსო... იჭაური ყორნები ესლა მხოლოდ ადამიანთა თვალებით-ღა იკვებებიან...

— ურჯულო იქნები!..

— არა. ღმერთს ვფიცავ, ქრისტიანი ვარ... მართლმადიდებელი.

ტყვემ პირჯვარი გადაისახა. მანდატურთუხუცესმა ჩოლოყაშვილს გახედა. ჩოლოყაშვილი თავდახრით იდგა, ფიქრობდა...

იმავ დღეს დილით ნატანჯი და ნადილეგარი ტყვე კიეველი რუსთ-ხელმწიფის ელჩთათვის განკუთვნილ, საუცხოოდ მორთულ პალატში აჯდა... ნაშიმშილევი, პურ ღვინოს ხარბად მისძალეობდა, ხორცს ნადირივით კბილებით ხლეჩდა, სიამისაგან ხენგმოდა, თან ადრევე დაწყებულ საუბარსაც თავს არ ანებებდა და პალატში მყოფთ ველურივით მონაცვლეობით უთვალთვლებდა...

ომან ჩოლოყაშვილი, მანდატურთუხუცესი და რუსთ-ხელმწიფის ელჩები ყურადღებით უსმენდნენ.

— შაბათსა ერთსა შაჰზულაბენდეს ექვისს ათასის კაცით ხლებული სულთნის ელჩი მეჰმედ-ფაშა ეწვია, — განაგრძობდა ფილიპო ანდრეევი, — რათა ადრევე დადებული პირობის თანახმად ძე მისი, აბასი ოსმალეთის მძევლად წაეყვანა. ფაშამ არ უწყოდა, რომ მორჭმულ შაჰს ტახტი ეს-ეს იყო განეტყვებინა და ზედ შემკვიდრე თვისი აბას-მირზა დაედგინა. ახალმა შაჰმა ფაშა-მეჰმედი ღირსეულად მიიღო, ელჩო-

ბის მიზეზი ჰქონდა. „მამამან შენმან, ხუდაბენდემ, სულთანს საუკუნო ზავი დაუდო, გაუპირდა მძევლად ჩემს ძეს აბას-შირზას გაახლებ-ო... და, ჰა, მოვედით, რათა აღესრულოს პირობა ესე!“ — უპასუხა სულთნის ელჩმა. მაშინ აბასმა უთხრა: „მართალია, მშობელი ჩემი თქვენს სულთანს საუკუნოდ დაუზავდა და ჩემი მძევლად ხლები პირობაც დაუდო, მაგრამ ირანის ტახტზე ხელმწიფებდა ეხლა მე ვზოვარ და აღარ ვიცი რაღა ვიღონო, რამეთუ, არც ზავის და არც მამისა ჩემის პირობის დარღვევა მე არა მსურსო... ამიტომ, მოდი, ესე ვქმნათ, მძევლად ჩემს ნაცულად, ძმაი ჩემი უმრწემსი წაიყვანეთ... ოღონდ ეგრე ხალვათად არა! ექვსი ათასი მეომარი რას მიქვიან!“. ორი მაგდენი მაინც უნდა იყოსო. სულთნის ელჩმა შაჰ-აბასის ნაუბარი ბაჟალო ოქროდ მიიღო, ადგა, არზრუმს მდგარ ფერკათ-ფაშასთან მალემსარბოლი აფრინა — ამაღის გაორკეცება სთხოვა... ფერკათმა კვლავ ექვსი ათასი მეომარი წარმოუგზავნა, თან, ლაშქარს, მეჰმედ-ფაშას ვაჟი რამადანი უსარდლა. მაშინ კაბუტმა შაჰმა ცბიერება ჰქმნა — თორმეტი ათასი კაცი საგან შემდგარი ოსმალთა ჯარი ერთიანად მოასრეკინა. ზოლო მამა-შვილი ორივე დაატყვევა. ზორესნის ციხეში გამოჰკეტა და სულთანს შეუთვალა: „მამამან ჩემმან, შაჰმან ხუდაბენდემ, შენთან საუკუნო ზავი შეჰკრა და ჩემი მძევლად გამოგზავნაც ინება... დაე, აღსრულდეს ნება ალაჰისა!.. დღეს თუ არა, ხვალ სეფე-ქალაქს მე თავად მოვალ... ოღონდ არა ზავით. არამედ რისხვით! რათა სამართალი ვქმნა და აწ დაქცეული სპარსთა სამეფო კვლავაც ძველებურად აღვახოო!

კიეველმა დაასრულა.
— ღმერთმა ჰქმნას! — აღმოხდა როდონ ბირკინს.
მანდატურთხუცესმა ჩოლოყაშვილს გახედა...
— მაგას სპარსელი არ უნაბავს... ერთი ჩვენცა გვეითხოს — ჩაიღუღღღღღ თაისთვის.

ბირკინის აღტაცებამ კიეველს მოსწონდა...

— ეგრეც იქნება! — დარწმუნებით თქვა და უკანასკნელ, სამაძღრო ლუკმას ღვინოც ბლომად დაატანა. — ოსმალეთს ყოფნისა, ბურსაში ერთ მსოვან დერვიშს გადავეყარე. ბაზარში იჯდა, თვალკრემლიანს წიგნი გაეშალა, მოსთქვამდა, ხამამალა ქადაგებდა... სულთნის ტახტს დიდი დღე აღარ უწერია, ორი გაზაფხულიც და ისტამბულს რუსის ხელმწიფე დაიმონებსო... ჩემს თვალწინ აწამეს საცოდავი, ჩაქოლეს... ზლოკვივით მოჰკლეს...

გრემია სამრეკლოზე ზარები აგუგუნდნენ...

— გვობობენ. დროა! — წამოდგა ჩოლოყაშვილი. — უნდა ვიჩქაროთ... ანწუხისკენ, მთებამდე, დიდი გზა გვიდევს... მეფე ალექსანდრე შეღამებისპირს თათბირად გველოდება.

33.

ალექსანდრე კახთა მეფის სანადირო პალატში უამრავი სანთელი ენთო... მარეკ-ბაზიერებს მეფური ვახშამი გაეწყოთ — ზორცი ფრინველისაც უხვად იყო და ნადირისაც... სუფრის ერთ მხარეს მეფე იჯდა, ხელმარცხნივ უფლოსწულნი მისხდომოდნენ: ერეკლე, დავითი, გიორგი, ხელმარცხნივ — დარბაისელები: გორჯასპი, იასონი, შერმაზანი...

სუფრის მეორე მხარე რუსთ-ხელმწიფის ელჩებს ეკირათ. სახლთუხუცესი ომან ჩოლოყაშვილი, იოაკიმ ბერი, კირილე ხუცესი და ყურშიტ-ალაყ იქვე იყვნენ — ელჩებს მისხდომოდნენ და მათ ხაუბარს კვლავაც ურადლებით ისმენდნენ...

პალატში სანადირო განწყობა სუფევდა...

— თუკი, კახთ-ბატონი ალექსანდრე, მეციხოვნეთა პურითა და ზორავით შენახვას თანხმობით იტყვის, რუსთ-ხელმწიფე, მეფე და დიდი მთავარი, თვედორე ივანეს ძე, თერგზე ციხეს ამთავითვე ააგებს და თერგ-კახეთის გზასაც

მუნვე დაიჭერს. — მოწიწებულის ღიმილით ჩაილაპარაკა როდიონ ბირკინმა. ხოხობს წვედა, მხარ-ბარკალი აახლიჩა, გადაიღო...

— არცა სიშორის, არცა უგზობის და არცა ამოდენა მარავის უქონლობის გამო, ეგ არ იქნებინს. — იუარა მეფემ.

— მაშინ, — ფრთხილად განაგრძო ბირკინმა. — დიდი ხელმწიფე, მეფე და დიდი მთავარი, მეციხოვნეთა შენახვას ასტრახანის ვოევოდას დაავალეს, ხოლო კახთ-ბატონისაგან ოდენ ხაზინით დახმარებას იქმარებს. გაწეული ხარჯის საფასურად, კახთ-ბატონი ალექსანდრე, დიდ ხელმწიფეს, მეფესა და დიდ მთავარს თვედორე ივანეს ძეს, ყოველწლიურად მოსაკითხად ოქრონემსით ნაქარგ ორმოცდაათ ყიზილბაშურ ფარჩას და ოქროქსოვილ ათ ხალიჩას მიართმევს...

— მაგაზე კი ყაბულსა ვარ. — მაგრამ ეგ საქონელი ჩვენში არ მოიძევის, უწინაც ირანიდან გვექონდა... აწ კი, ირან-ოსმალთა უზავობის გამო, სავაჭრო გზა რახანია დახშულია და ამჯერად მხოლოდ ის-ღა ძალმიძს, რომ თქვენს ხელმწიფეს ჩვენებური საქონელი აბრეშუმი და ბედუარები მივიართვა.

— გარდა ამისა, — დასძინა პიეოვმა ბირკინის ნათქვამს, — დიდი ხელმწიფე, მეფე და დიდი მთავარი თვედორე ივანეს ძე, ოსმალთაგან კახეთის დასაცავად, თურგის ციხიდან მეთოფეთა ჯარს გამოგზავნის... ამ ჯარის დარიალზედ გადმოსაყვან საზრდოსა და ცხენ-უნაგორს, თვით კახთ-ბატონი ალექსანდრე იყისრებს და კახეთს დამდგარ ლაშქარსაც თავადვე შეინახავს.

— მაგაზედაც ყაბულსა ვარ. — მიუგო მეფემ.

— ეგ როდის იქნება? — ეპვიით იკითხა დავით-უფლისწულმა.

— მაშინვე, როცა თურგ-კახეთის გზას რუსეთი დაიჭერს. — განუმარტა პიეოვმა.

უფლისწულს ურწმუნოდ ჩაეცინა.

— გაგონარია, კარგი იყოს, მაგრამ, სანამ თურგსა და კახეთს შუა ოსმა-

ლოს მომხრე შამხალი დგამს, — მარტო დების! — ჩაერია საუბარში ჩოლოყაშვილი, — თურგი თურგად დარჩება, კახეთი კი — კახეთად... სახსარი მხოლოდ ერთი-ღა გახლავთ, რუსთ-ხელმწიფემ ჯერ შამხალი უნდა დალაშქროს და გზის გახსნასაც მერმე ეცადოს.

ომანისადმი თანხმობა მეფემ დღემილით გამოხატა.

ეს სხვებმაც შენიშნეს...

— ე, მაგ საქმით არა მარტო ლეკთაგან გვიხსნის, არამედ ზურგიც გვარიანად მობმული გვექნება და მოსკოვიდან აქობამდე მახვილად გამოწვდილნი სულთნის გველუშაპს, ლეთის ნებით, ორწილად გავკყოფთ. — მხარი მისცა ჩოლოყაშვილს გიორგი უფლისწულმაც.

— შამხალი ძლიერია, სულთნის წყალობითა და წაქეზებით ჯერ ისევ მხნედა დგას! — ჯიბრში ჩაუდგა დავითი.

— სადაო რაა? წერილ არს, მოთმინებითა შენითაო... — ჩაილაპარაკა პიეოვმა, — სიფრთხილე გემართებს, მთის ქვეყანასთან საქმის ომამდე მიყვანა რუსეთს ამჯერად სასურველად არ მიაჩნია...

— ეგრეა, შამხალიც გვარიანი ტურაა... ცალკერძ რუსეთს მორჩილებას პირდება, ცალკერძ სულთანს კალთებს ახვეს, მოდი, კახეთი დაიკყარ და მეც შენად დამიგულეო! — ღრძოდ ჩაეცინა სახლთუხუცესს...

— მცდარი ბრძანებაა!.. — შენიშნა ბირკინმა. — შამხლის ეგ დაპირება პირველად მესმის?!

— მცდარი რადაა?.. აკი გოდუნოვმაც ეგრე დაგვარიგა: ნუცა შამხალს და ნუცა ისტამბულს ჯერჯერობით ნუ განარისხებთ, მანამ ატყუეთ, სანამ რუსეთი ფეხს არ მოიდგამს და სულთნის წინააღმდეგ მხარს არ აგობამთო. — შეაშველა ჩოლოყაშვილს ყურშიტ ჩერქეზმა.

ელჩები შეცბნენ...

— კარგი მოტყუებაა, მე და ჩემმა ღმერთმა!.. ეგ ტყუილი, მეტი თუ არა, წლიურად ოცდაათი საპალნე აბრეშუმი მაინც მიჭდება! — გაეცინა მეფეს.

სხვებიც აპყვენენ...

მერიქიფეებმა დრო იხელთეს, ფი-
ლები ღვინით შეავსეს.

— ეხლა ისა მწადს, რომ სათქვენოდ
კვლავაც მოვისმინო დიდი ხელმწიფის,
მეფისა და დიდი მთავრის წყალობის
წიგნი, რაიცა ჭერე, მხოლოდ ვარაუდად
ითქმის და ჩემის საფიცრის დასტურად,
ოქრობეჭედდასმული, კვლავაც ხელახ-
ლა დაგვიბრუნდების, — ბრძანა ალექ-
სანდრემ.

პალატში სიჩუმე ჩამოვარდა.

რუსთ-ხელმწიფის ელჩებმა, როდიონ
ბირკინმა და პეტრე პივოვმა ეტრატი
გაშალეს...

— უწინარეს ამისა, ხალხი შენი: ბე-
რი იოაკიმე, კირილე ხუცესი და ყურ-
შიტ-ალა მოგვივლინე, წიგნით გვააჩე
და სიტყვითაც დააბარე, რათა შეგიწ-
ყალო, შენ და შენს ქვეყანას მფარვე-
ლობის ხელი დაესდო, თერგზედ ციხე-
ების აგება ებრძანო და შიგ ჩემი მეცო-
ხოვნენი ჩავაყენო. ჩვენ შენი აჯა ვის-
მინეთ, შენ, შენს შვილებსა და მთელს
შენს ივერთა ქვეყანას ჩვენი მეფური
მფარველობის ხელი ვსდეთ: თერგზე
ციხეების აგება ებრძანეთ და შიგ ჩვენი
ჯარი განვწესეთ. ხოლო შენი და შენი
ქვეყნის დაცვა ასტრახანისა და თერგის
სარდლებს ვუბრძანეთ.

წვიმდა... მონადირეთა ყოცონები რა-
ხანია მიმქრალიყვნენ...

მორენებსა და მთა-ჭიუხებს ბნელი,
უსახური ღამე დასწოლოდა...

ღვინობისთვის მიწურულს, როცა სა-
წნახელებში ჩამდგარი ბახუსი ვაზის
ლეთაებრივ ნაყოფს მათრობელა სასმე-
ლად აქცევდა, კახთ-ბატონი ალექსანდ-
რე ალავერდის ტაძარში იღვა და დარ-
ბაისელთა ბრწყინვალეობით გარემოსი-
ლი, უფლის წინაშე ჰირობას სდებდა,
რუსთ-ხელმწიფეს ერთგულებით ეფი-
ცებოდა:

— ამბორს ვყოფ ჭვარსა დიდისა ხე-
ლმწიფისა, მეფისა და დიდის მთავრი-
სა სრულიად რუსეთისა თევდორე ივა-
ნეს ძისა და შვილებითა ჩემითა, ირავ-

ლითა და დავითითა და გბმტმმმმმმმმ
დარბაისლებითა ჩემითა, იასონითა,
გორჯასპითა, შარმაზანითა, ზაალითა,
დავითითა და ანდერმანითა და სრუ-
ლიად სამეფოთა ჩემითა ვფიცავ და
ღვთის წინაშე ვაცხადებ, რომ მე, მეფე-
მან ალექსანდრემ დიდ ხელმწიფეს, მე-
ფესა და დიდ მთავარს სრულიად რუ-
სეთისა თევდორე ივანეს ძეს აჯით ვა-
ახლე ელჩნი ჩემნი: მღვდელი იოაკიმე,
ხუცესი კირილე და ყურშიტ-ალა, რათა
ჩვენსა ზედა წყალობა მოვლო და კახე-
თი თავის ხელქვეშ დაეჭირა და ჩემი და
ქვეყნისა ჩემის მტერთაგან დაცვა
ებრძანებინა: დიდმა ხელმწიფემ, მეფემ
და დიდმა მთავარმა სრულიად რუსე-
თისამ შემოწყალა მე, ქვეყანას ჩემსას
მფარველობის ხელი დასდო და თავის
სარდლებს ჩვენი მტერთაგან დაცვა უბ-
რძანა. ამიერიდან მე, მეფე ალექსანდ-
რე ჩემის შვილებითა და მთელის ჩემი
ქვეყნით მკვიდრად და წაუვლად ვიქ-
ნებით თევდორე მეფისა და მისი შვი-
ლების ხელქვეშ...

ქვეყანა ზეიმობდა...

რუსთ ხელმწიფის ელჩებს ჩამოყო-
ლილი მეთოფურნი და მსახურნი ელ-
ჩებისანი ხალხს სიყვარულით მიეღო —
ალხენდნენ, მაჭარსა და ნუგბარს თავა-
ზობდნენ...

ქვეყანა ზეიმობდა...

კახეთში მშვიდი, კირნახულით სავსე
გულუხვი შემოდგომა იდგა...

34.

დრომ თავისი ჰქმნა — ქვა გასცვითა
— მწირი მოახუცა, ძალღონე წარსტა-
ცა, ოდესღაც ყოვლისამტანი, კეთილებუ-
რი სხეული მოაშთო, დააქნო, მიხ-
რწნა — სარეცელს მიანება... სამაგი-
ეროდ ნაწილი ააყვავა — გაზარდა, ხო-
რციოთა და სულით აავსო, ანგელოსს
დაამსგავსა...

წევს მწირი თავის სადგომში — გა-
მოქვაბულში წევს... ლეიბად, მწოლ
ხავაწაფენილი, ორზო უგია, საბნად

— ფალასი ჰხურავს — ძველი, დაძინ-
ძილი ფალასი... ჯობი გვერდით უდევს,
არგანი — საბჭენი ჯობი, ქვეყნის მომ-
ვლელი ჯობი, ჯობი მყეფართა და ნა-
ღირთა მომგერიებელი...

— რომ მოვევდე, ეს ჯობი თერთმე-
ტი შვილის დედას დაურგე... პაპაის
ცოლს დაურგე... საფლავზე დაურგე...
დედის საფლავზე დარგული უმაღლე
აყვავდება, ტანს აიყრის, შეიფოთლე-
ბა, ალვად გადაიქცევა... ალვად ქცეუ-
ლი ოდესმე ცულის კერძი გახდება, ე-
თილის ხელით მოიჭრება, აკნებად და-
ილობება... — ჩიფჩიფებს მოხუცი.

ნანილი გამოქვაბულის პირთან დგას,
თმას ივარცხნის...

თენდება...

— სიზმარი ვნახე. — ამბობს ნანილი,
— სიზმარში ორი მუხა ვნახე... ორივე
ველად იდგა... ერთს მეხი დაეცა, წააქ-
ცია, ლაფში ჩაადგო... მეორე კაცმა მო-
ჭრა, ჰაბუცმა კაცმა, უფლისწულმა...

მოხუცს ცუდად ესმის.

— კაცმა მოჭრა მეთქი, ჰაბუცმა კაც-
მა, უფლისწულმა... — უმეორებს ნა-
ნილი.

— ორი მუხა ორი მეფეა, შვილო,
ერთი სვიმონია, მეორე — ალექსანდ-
რე... სვიმონს ოსმალთა წააქცევს, ალექ-
სანდრეს — შვილი მოჰკლავს, უმცრო-
სი შვილი... ქვეყნის ტირიც წაუღიათ,
ერთსაც და მეორესაც... შენ ეს ჯობი
წაიღე, თერთმეტი შვილის დედას დაუ-
რგე... პაპაის ცოლს დაურგე... საფლა-
ვზე დაურგე... — კვლავ ჩიფჩიფებს
მოხუცი.

— ეგ ხომ უკვე მითხარ... დავურგავ,
უსათუოდ დავურგავ! — ჰპირდება ნა-
ნილი.

— ჰო, შვილო, დაურგე... დედის სა-
ფლავზე დარგული უმაღლე აყვავდება,
ტანს აიყრის, შეიფოთლება... მეორე ე-
თილის ხელით მოიჭრება, აკნებად და-
ილობება... კვლავ ბალებს გაზრდის...

ნანილი გამოქვაბულის პირთან დგას,
თმას ივარცხნის...

წიგნით — გაფორმებული ხელშეკრულებით
და დედო საფუძვლად რუსეთ-საქართ-
ველოს ურთიერთობას მთელი შემდგო-
მი ხნის განმავლობაში. მოსკოვის სამე-
ფო კარი თანმიმდევრულად შეუდგა ამ
ხელშეკრულებით გათვალისწინებული
პირობების განხორციელებას. 1588
წელს თერგზე აგებულ იქნა ციხე-სიმა-
გრეები და შიგ რუსთა მეციხოვნე ჯა-
რი ჩადგა, დაიწყო სამხადისი ოსმალ-
თა მომხრე დალისტენილი შამხალის წი-
ნაღმდეგ ლაშქრობისთვის, რათა გახ-
სნილიყო გზა რუსეთსა და კახეთს შო-
რის. 1589 წელს რუსეთის მეფემ ოფი-
ციალურად დაადასტურა რუსეთსა და
კახეთს შორის მფარველობა-ხელდებუ-
ლების აქტის გაფორმება და კახეთის
მეფე ალექსანდრეს სათანადო „წყალო-
ბის სიგელი“ გამოუგზავნა.

რუსეთის ასეთმა გააქტიურებამ კავ-
კასიაში ოსმალეთიცა და ირანიც შეაშ-
ფოთა, მაგრამ თუ ოსმალეთი რუსეთს
პროტესტის ნიშნად ომიდაც დაემუქრა,
ირანის ახალი შაჰი აბას პირველი იმუ-
ლებული იყო საქართველოს რუსეთთან
დაკავშირებას დღემოთი შეხვედროდა,
მისი მთავარი საზრუნავი ამჟერად ოს-
მალეთის შემოტევის შეჩერება იყო.
1590 წელს მან მიადგინა ზავს ოსმალეთ-
თან და თავისი ქვეყნის საშინაო და სა-
გარეო მდგომარეობის გამოსწორებას
შეუდგა.

შაჰ-აბასს პირველმა დიდი მნიშვნე-
ლობის გარდაქმნები განახორციელა
ქვეყნის შიგნით და ირანის ბრძოლის-
უნარიანობა აღადგინა. ოსმალეთის წი-
ნაღმდეგ ახალ ომში იგი რუსეთისა და
ევროპის ქვეყნების ჩაბმასაც გეგმავდა,
ამიტომ კახეთის რუსეთთან დაკავშირე-
ბას იგი მოჩვენებითი „ქმყოფილებით“
შეხვდა, თუმცა ხელსაყრელ ამინდში
კახეთის კვლავ თავის ყმობაში მოქცე-
ვას არ დააყოვნებდა...

ამ დროს რუსეთსა და კახეთს შორის
ინტენსიური დიპლომატიური ურთიე-
რთობა გაიშალა. არაერთი ელჩობა ჩა-
ვიდა რუსეთიდან კახეთს, ისევე რო-
გორც კახეთიდან რუსეთს. მეფე ივე-

დორემ კახეთის საქმეები თავის ყოველსმემაღლე კარისკაცს ბორის გოდუნოვს მიანდო. 1594 წელს რუსეთის ჯარმა სარდალ ხვოროსტინის მეთაურობით შამხალზე შეტევა დაიწყო, მაგრამ ეს ლაშქრობა წარუმატებლად დამთავრდა...

1598 წელს მეფე თეოდორე უმეცვიოდროდ გარდაიცვალა და რუსეთის სამეფო ტახტზე ბორის გოდუნოვი ავიდა.

ამასობაში კი ამიერკავკასიაში დიდი მნიშვნელობის ამბები ხდებოდა. ქართლის მეფე სვიმონი ცდილობდა ისარგებლოს იმ დროებითი მშვიდობით, რაც ირანოსმალეთის 1590 წლის ზავს მოჰყვა და ქართველი ხალხის ძალები გააერთიანოს ოსმალთა დამპყრობლების წინააღმდეგ. მისი სამხედრო კავშირი კახეთის მეფესთან არ იყო საყმარისი. ოსმალეთს სამცხე დაემარტოებებოდა და იქ თავისი მმართველობის და სოციალურ-პოლიტიკური წყობილების დამკვიდრებას ენერგიულად ცდილობდა. იმერეთი კი შინაფეოდალურ ანარქიას მოეცვა და ამ დიდი ამბებიდან განზე იდგა. სვიმონ მეფემ დააპყლეთ საქართველოს ძალით დაკავება სცადა, რამდენჯერმე ილაშქრა კიდეც, მაგრამ მარცხი განიცადა...

35.

...დადიანთან მარცხანცილილი მეფე სვიმონი გორს იდგა, აუბედობისა და ეამთა დინებისაგან განგატეხილს უიმედობაჲც დასტყობოდა, სვამდა, თრიაქს ეძალებოდა...

იმ დღესაც ტაბლასთან იჯდა, გვერდით კახთ-ბატონის საიდუმლო გზავნილი, წოწრეანთი მოესვა, ღვინოს თავაზობდა...

— იმერნი ჩემთვის ავნი არიან... იმუხთლეს, დადიანს თანხმობა მისცეს: არ შეგებშით, განგებ გაგვეკევითო... ქმ, ვინც შეიტყო, ხმაჲ დროულად მომამედინა, მაგრამ არ ვენდე, არ დავიჭერე... არც ეკვი მქონდა, კინზე თუ ჩემზე თავ-

დასხმას გაბედავდა... დანდობილნი ჩემნი ზადდ დამეცნენ, გამაქციეს, სალარო, ბარგი და ზარბაზნები დაირჩინეს... — სინანულით ჩიოდა მეფე.

ჰაპაიმი აქამდისაც ყოველივე იცოდა, ამიტომ სდუმდა — თავდახრილს შუბლი მწუხარებით შეჰკროდა.

— ძმათა სისხლსა ვლერიო, — განაგრძობდა სვიმონი, — უპირობად ჰირიკ მრავლად მოგვეკრდა... აღარც საშველო რაიმე ჩანს... ჩემს სიძეს, მანუჩარს, არჩილის ძე ირაკლი ვაახლე, სახსარი ვთხოვე: იმერთ მიმუხანათეს, მანდედან ლაშქრით შენ ჩაუდექ, აქედან მე გადმოვალ თქო, შევეუთვალე... ჰა, ვზი და ველი, მაგრამ ჰასუხი აგვიანებს, სიძემდო ჭერაც არაფერი ისმის...

სვიმონი წამით დადუმდა. ფიალები შეავსო...

— ალამუთის ციხე ზო გახსოვს?... მაშინ ჯერ ისევე მხნედ ვიყავ, საქართველოს აღდგომა-გამოხსნაზედ ვოცენებოდი... არჩილიც, ცხონებული, მხარს მიბამდა... ღმერთმა გაანათლოს იმისი სული!..

შესვეს...

მეფეს ხველება აუტყდა, სული ძლივს მოიბრუნა...

— ციხეში ვდებამ და იქაურმა თრიაქმა მიწია. — თქვა, მერე ფიალები ხელახლა შეავსო, ვულისპირი შეიხსნა...

— ამოდ დაეშვრით მეცა და მეფე ალექსანდრეც... მე ხმაღს დავენდე, მეგონა მთელი საქართველო შემომიდგებოდა... კახთ-ბატონს კიდეც რუსთხელმწიფის იმედი ჰქონდა... ჰა, თორმეტ წელზე მეტია, რაც რუსის ხელდებით არის, მაგრამ ამანაც ვერაფერი გვარგო, ქვეყანა ტყვევან-არბევით გაოხრდა... აჲ, კიდეუაც დააყვედრეს, „რა გიშველა მოსკოველმა ქრისტიანმა ხელმწიფემ, რით აგაშენაო“... არა, აჲ ჩემგან ძველის გზის დაგდება და რუსეთისკენ გახედვა არ ივარგებს, ჰაერში ომის სუნი ტრიალებს, შაჰ-აბას ოსმალეთს უღრენს, ყაზვინს ჭარსა ჰკრეფს, დღეს თუ არა, ხვალ უსათუოდ სულთანზე დასძრავს, გაიმარჯვებს და აღარც რუ-

სეთის ერთგულებას გვაპატიებს... კახთ-
ბატონს ეხლაც მელიოზობი ინდობს,
აქო და რუსთან მეც ძმობითა ვარო...
გულში კი სხვაგვარად ჰფიქრობს!..
შენც ის არა თქვი, ბატონს უფლისწუ-
ლი შეუჩინა, სუ კრიჭაში უფვას და თუ
უყვლა, აღარც ტახტის წართმევას დას-
ჯერდებოა?..

— სიმართლითა ვთქვი, დავითი მე-
ფეს ყურს აღარ უგდებს, სიბერესა და
უძლურებას სწამებს. — ნაღვლიანად
დაუდასტურა წოწრეანთმა.

პალატში არჩილის ძე ერეკლე და ბა-
ტონიშვილი გიორგი შემოვიდნენ.

მეფე წამოდგა...

— მანუჩარმა რაო? — იკითხა მოუ-
თმენლად.

— საიმერეთოდ რა დრო არის, რო-
ცა არზრუმის ბეგლარბეგი ორმოცის
ათასის კაცით ჩემზედ დასძრეს და თავ-
რიზის ბეგლარბეგი ახტაჯაფარ-ფაშა
ასის ათასის კაცით თქვენზედ გამოგზა-
ვნესო! — სიფრთხილით მიუგო არჩი-
ლის ძემ.

მეფე გაფითრდა.

კარგა ხანს უსიტყვოდ იდგა...

— დრო არ ითმენს! — შეახსენა ბა-
ტონიშვილმა.

სვიმონმა სათრიაქე ყალიონი ხელში
ჩაიმსხვრია...

— დედოფალი გახიზნეთ, მეჯვრის-
ხევს დააყენეთ! — ბრძანა. მერმე ბა-
ტონიშვილს მიუბრუნდა. ჭიქურ მიად-
გა, მიაჩერდა, თვალი თვალში გაუყარა.
— საბარათიანოს გარდავალ, იჭაურ ლა-
შქარს შემოვიყრი... მთავარის ჭარით
შენ აქვე დარჩი... თუ ვერ მოგისწარ,
არ შედრეკ. საითცენაც ოსმალო შემო-
გადგეს, წინ ომი დაახედრე!..

შედაძებისას, სამასი მხედრით ხლე-
ბული მეფე სვიმონი ბორცვებს შორის
დაუზოგავად მიაჭროლებდა ცხენს.
ერეკლესა და პაპაიკ თან ახლდნენ. სე-
რზე რომ შედგნენ, მეფემ ბანაყის და-
ცემა ბრძანა...

— ლამისად აქ შევისხდეთ! — თქვა...

თქვა და თვალნიც დაეზინდნენ, მზერა

წაუხდა, წარბებს ზემოთ ცივმა ოფლმა
დაასხა... ცხენიდან გადაიჩრწა, გადაიზ-
ნიჭა...

— რა გვირს, მეფეო? — ხელი შეა-
შველა პაპაიკ.

— არც რა, აკი გითხარი ალამეთის
ციხეში ჯდომამ და იჭაურმა თრიაქმა
მიწია თქო. — სუსტის ღიმილით მიუ-
გო მეფემ. მერე თავს ძალა დაატანა,
ოფლი სახელოს შეაწმინდა, — აწ არ ლა
მიჭირსო. — ჩაილაპარაკა და არჩილის
ძეს მიუბრუნდა: — ვეუო, გულისყრა
რამე მცირედი მაქვს... წოწრეანთი გამ-
ყვება... ავეთისხევიც აქვება, სადმე ქოხს
ენახავთ, იქ დავდგებით... კოცონი
ააგეთ, ცხენებს მორიგეობით დაუდე-
ქით, საძოვარი და საცოხნი არ მოაყ-
ლოთ... გათენებამდის აყრილნი დამხე-
დით!..

— ეგრე ვიქმთ. — უპასუხეს აქეთ-
იქიდან.

მეფემ ცხენს დეზი ჰკრა, სოფლისკენ
დააქანა.

პაპაიკ მიჰყვა.

არჩილის ძემ მიმავალთ თვალი გაა-
ყოლა, არ ეამა მეფის შეუძლოდ ყოფ-
ნა, თავი გადოქნილა... ჩამოქვეითდა,
ცხენს უნაგირის აყრა დაუწყო...

სხვებმაც იგივე ჰქმნეს.

ბნელოდა.

მეფე და წოწრეანთი სოფლის განა-
პირად მდგარ ლარიბულ ქოხს მიადგ-
ნენ. ცხენებიდან ჩამოხტნენ...

— მასპინძლო! — გასძახა წოწრეა-
ნთმა.

ქოხიდან დედაკაცმა გამოიხედა...

— მობრძანდით, სტუმარი ღვთისაა.

— უპასუხა.

ცხენები ლომეს მიაბეს. ქოხში შევი-
დნენ.

— აქა მშვიდობა! — თქვეს.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ. —
მიუგო ქალმა.

ბალებს ეძინათ...

მასპინძელმა სტუმრები ცეცხლის
პირს დასხა.

— ვინა-ნი ხართ? — ჰკითხა. თან ტა-

ბლაც. მიუდგა, ვახშმისთვის თადარიგი დაიჭირა.

— დადიანისგან ძლეულნი ვართ... გადავრჩით და ქალაქებს ვუბრუნდებით. — მიუფო სვიმონმა.

პაპაის გაელიშა.

— მეფე რა იქმნა?.. სადა დგა ან ზო არა უჭირს რაო? — იკითხა ქალმა.

— მეფისა არა ვუწყით. — კვლავ სვიმონმა მიუფო.

რა ესმა დედაკაცსა სიტყვები ესე, დიდად ეწყინა, „ვაი, ჩემს მოსწრებასო“ — თქვა და ცრემლი წარმოსდინდა.

იყურეს.

— ეგება ჩემი ქმრისა იცით, კუტლა ჰქვიან, ქვლივიძიანთ შანშეს კუტლაი... ხმელ-მალაღია, წარბს ზეით ნახმლევი სჭირს? — კვლავ ჰკითხა ქალმა.

— არც ეგ ვუწყი. — ჩაილაპარაკა მეფემ.

— თუ ღმერთმა იპრიანა, მეფე მოარჩინა და ისევ მშვიდობით არის, ჩემი ქმარიც იმის ჭირის სანაცვლო იყოს და სხვანიც, რომელნიცა მყვანან! — ისურვა დედაკაცმა.

მეფემ სასოება იწვნია, გული ამოუჯდა... წამოდგა, რაც ფულად ოქრო და ვერცხლი ებადა, ყველა ტაბლაზე დაჰყარა...

— ადექ!.. თუ მეფეს ესრეთი მრევლი ჰყავს, შეჭირვების ქამს ძილიც არ ეფერება! — უბრძანა პაპაის.

დედაკაცმა მეფე მხოლოდ ეხლა და შეიციანო, იტყვიან, ძირს დაეცა, სვიმონის ფერხთა მთხვევა დააპირა...

სტუმრებმა აღარ დააცადეს, განერიდნენ, ქოხი დააგდეს და სიბნელეში გაუჩინარდნენ...

36.

ნაშუადღევს სვიმონ მეფის რაზმს გზად სიჩქარით შეუჯახავ ცხენზე ამხედრებული ქვათახვეელი ბერი შემოეყარა.

არჩილის ძემ ჰკითხა:

— უჯახავ ცხენზედ რადა ზი, საიდან

მოხვალ, ან საითქენ მიგიჩქარონ?

— ქვათახველის მონასტრით მოვალ, გორისკენ მივიჩქარი... მეფის ნახვა მსურს, მწყემსებმა ამბავი მოაგდეს, თავრიზის ბეგლარბეგი ახტაჯაფარ-ფაშა ასჯერ უშქარის ლაშქრით საკაზს აქეთ ალგეთს ჩამოდგაო!

უნებლიედ მეფემაც ყურად იღო ბერის საუბარი.

— წახდენის ღლე დგება, — ჩაილაპარაკა და ნათქვამს ფიქრიანად დასძინა: — ალგეთზედ ომი ქართველთათვის ავად დაცდილ არს... აწ ვერც გაღმართ ბარათიანთ, ვერც სომხითართ და ვერც ქართლის ლაშქარს დაველოდები... რამდენიცა ვართ, ურუმთ იმდენივე შევებმით. მტერს თბილისს მისვლას კი არ დავაცლი!

— ეგ ვით იქნების?! — გაუკვირდა არჩილის ძეს.

— იქნების, — ჯიუტად მიუფო მეფემ, — უფლის ნებით ყოველივე იქნების!.. შენ წა, ბარათიანთა მიღო, ჭარი შეჰყარე!.. სიჩქარითა ჰქმენ, ვინძლო მომისწრო და ომში აჯანი მომცე... გორს ამილახვარს გავგზავნი, თუ გავბელ, მერე მთავარ ლაშქარსაც შევიერთებ და ეგების, ღვთის წადილიც განგებით აღვარტლო!

— არა, მეფეო, სამასის კაცით მტერს ვით შეებმი? — შეესიტყვა ამილახორი.

— რად არ!?. თუ ჩვენ მგელს ვეგვანეთ, ზოლო ისინი ცხვართ ვაგვანეთ. უძალო ფარას ერთი მგელიც იოლად წაახდენს!.. როგორცა ვბრძანე, იმგვარად ჰქმენი! — ესა თქვა, ცხენს დეზი ჰკრა და რაზმიც თან გაიყოლა...

ბეჭობს გადასცდნენ — თვალს მიეფარნენ...

ძველ ადგილს სამხილა შემორჩნენ: ქვათახვეელი ბერი, ამილახვარი და ერეკლე... მერმე ამილახვარი გორისკენ დაიძრა, ერეკლე — ბარათიანთქენ. ბერი კი გაოგნებული იდგა, აღარ იცოდა, რა ელონა, როგორ მოქცეულიყო...

შელამებისას ოსმალთა ლაშქარმა ნახიდურის მინდორს მიატანა... კოცონნი

დადგეს და კარავნიც უთვალავი აღმართეს!..

მეფე სვიმონი სერიდან ურუმით უთვალთვალვდა...

— ვითომნოთ, ძილად მიქცევა დავაცადოთ... ჩვენც სული მოვიბრუნოთ. ცხენი შევასვენოთ, მერე ერთბაშად ავიყარნოთ, ქანარნი ვაჭივლოთ და უცნობლობისგან რეტდასხმულებს თავს ორის მხრიდან დავეცეთ!.. — უპირდებოდა მეფე პაპის.

ფერდობზე აღმა მომავალი ცხენოსნები გამოჩნდნენ... ქვათახეველი ბერები იყვნენ, ვის წალდი ეპყრა, ვის — ფიწალი, ვის კიდევ — კეტი ან საცელებელი...

ბერები სერზე მდგარ მცირე საყდართან ჩამოქვეითდნენ, სვიმონს მოეახლნენ, თაყვანი სცეს...

— შენს რაზმში მიგვიტვალე. — შევედრნენ...

მეფეს სასოების ცრემლი მოერიდა. წინ წამომდგარ იღუმენს ეახლა, მოეხვია, მკერდში ჩაიკრა... მერე მუხლი მოიდრიკა...

— შენდობა მიბრძანე! — ისურვა.

სხვებმაც იგივე ჰქმნეს, დანარჩენ ბერებსაც დაუჩოქეს და წესისა რჯულისაებრ განენდნენ მოძღვართა. ცოდვანი მოინანიეს, ეზიარნენ და თვალცრემლიანნი ერთურთსაც საუცუნოდ გამოეთხოვნენ...

ბოლნისის მხარეს ვეება ბადრი მთვარე ამოენთო...

37.

ნაშულამევეს, როცა ღრმა ძილში აღმებამდე ჩაძირულ ოსმალთა ბანაკს მთვარით მოსილი სასაფლაოს მდუმარება დაუფლვებოდა, მთელმარ გუშაგებს რამდენიმე ფრთხილი ლანდი უჩუმრად მიუახლოვდა, მიეპარა... ჯერ ერთი ამორიალდა, მერე დანარჩენებიც „ფარფატდნენ“ და გუშაგნი უხმაუროდ მოგუდეს...

ბორცვებთან მიკიოტის ხმამ მოატანა...

ნიშანზე მეფემ რაზმი დასძრა, ფეხით ატარა, ცხენები სადავით წამოაყვანიანა... უჩქამოდ იარეს, მოკლულ გუშაგებს გასცდნენ და მოწინავე კარვებს მიტანებულნი, ცხენებს შერეულა მოველენ... ყოყინა დასცეს, მძინარე ურუმით ანაზღვეულად მიუხტნენ...

ყოყინზე ბორცვებს გადაღმა განგებ დატოვებულმა მექანარებმა ქანართ „მიტევისა ჩაჰბერეს“, ააყივლეს, ისეთი ამინდი შეჰქმნეს, ვითამ ლაშქარი სხვაიც დიდი მოდიოდა.

ოსმალნი დაიბნენ, ბანაკი აირია. დამფრთხალმა ცხენებმა კარვები გადათელეს... ვინც ამხედრება მოასწრო, მომხდურებმა შუბები აძგერეს, ქვეითებს ხმლითა და სატევრით მიედევნენ, წაქცეულნი აღარ დახოცეს, მძლავრნი გამოარჩიეს, იმათ დაერივნენ...

პაპი მეფის გვერდით იბრძოდა...

— ჩემზე მეტს ნუ ჰზოც!.. ნუ მკობნი, გამაჯავრებ! — ხუმრობით შეუწყაა სვიმონი.

— მეფე ხარ, ვინ გიშლის, შენ მეტი ჰზოცე! — მიუგო წოწრეანთმა.

იმათი შემხედვარე, სხვებთან ერთად ქვათახეველი ბერებიც გალომგულდნენ... წალდ-ფიწალი ხმალ-შუბზე უკეთ იხმარეს... ურუმნი წალდოსნებს უფრო უფრთხოდნენ, ვერ ეცნოთ, ვერ მიმხვდარიყვნენ კაცი იყვნენ თუ ჩვენებანი?!

ქანართა ხმა თანდათან ახლოვდებოდა...

ახტაჯაფარ-ფაშამ ბანაკში შემოჭრილ „მეწინავე“ რაზმთან შებრძოლება ბართ-ფაშას მიანდო, თვითონ დიდძალი ჯარით ქანართა ხმებს მიჰყვა, „მთავარი ლაშქარის“ შესახვედრად დაიძრა...

იტიალა — ცის კიდევ იისფრად შეიფაქლა...

ოსმალნი მრავალნი იყვნენ...

უთანასწორო ბრძოლაში ქართველთა რაზმი თანდათან დაილია...

ცოცხლად დარჩენილნი მეფეს შემო-

უღვინე, სამარქაფო ცხენი „შურდანი“ მოპვეარეს... ჰკადრეს:

— გაგვშორდი... შენი სიკვდილი არ იქნებოს!..

ბრძოლით გართულმა სვიმონმა ყური არავის ათხოვა...

ურუმთა იმძლავრეს... საქმე მეტის-მეტად გაჭირდა...

— გაგვშორდი მეთქი! — იღრიალა სასოწარკვეთილმა ჰაპაიმ.

მეფე გონს მოეგო. ცხენი შეიცივლა — „ფალენიდან“ „შურდანიზე“ გადაინაცვლა. ვიღაც ოსმალს სარდალს შუბი მკერდში შეატოვა და ორისა კაციტ ხლებულ უეუქცა...

გაქცეულ მეფეს ბარათ-ფაშა თვით დაედევნა ველარც ჰაპაიმ შეაკავა მდევარი. მარტოშენილს მხარში ისარი აძგერეს. ცხენიც ქვეშ გამოუყლეს. ძირს დასცეს. გადათელეს...

ველზე სამ მხედარს ბარათ-ფაშა და სამჭერ ათასი ოსმალს მისდევდა!.. საფლობიანსა გზასა იწროსა ვიღაცამ უნებლიედ მეფის ცხენს ცხენი შეასგვრა... ცხენს მძღომი მეფე ტალახს დაეფლა...

ეცადნენ, მაგრამ ვერ გამოიყვანეს, ლიასქელი იყო. ცხენიცა და მეფეც შეიწემა...

მაშინ შეაკვდნენ ის ორნიც მტერსა... ლიაში მუხლებამდე ჩაფლული მეფე ისარს ისროდა. ახლო არავის იყარებდა...

ურუმთაც მშვილდნი მოზიდეს...

— არ ჰკრათ! — უბრძანა ფაშამ. — მეფე თუ ხარო? — ჰკითხა ლიაში ჩაფლულს.

სვიმონმა აღარ უპასუხა.

ბარათ-ფაშამ მეფე უპასუხოდაც იცნო. ღმერთს ახედა...

— დიდ არს ძალა ალაქისა! — აღაეღონა...

ამასობაში ყალბის ქანარით გაცრუებულ ახტაქაფარ-ფაშაეც მოადგა ლიას... ურუმნი ლაფს სრულად შემოერთებენ...

მეფეა!.. ლაშქარი აღარ შერჩომია და ისევ ამაყად ტალახში ჩაფლული

ისარს ისვრის?! — მოახსენებდა მისი მამა ახტაქაფარ თავიონის ბეგლარბეგს.

ახტაქაფარი სვიმონის სანახავად წინ წარსდგა. რა ნახა გაუცვირდა: — ამის მეტი კაცისაგან ეს არა ქმნილა, რომ ხუთსა ეამს ძალმიცემით ბრძოლა გარდებნადოს და ლაფში ჩაფლული კიდევ მშვილდს ეზიდებოდესო!?. არა, ამისი მოკვლა კაცთაგან უღირს არს!.. არავინ თოფი ან ისარი არა ჰკრათ!.. განდევით, ბელდარებს უხმეთ, ტალახი გასკრან და გზა გაუშრონ! — ბრძანა მან.

ვიღრე ბელდარები მოვიდოდნენ, ბარათ-ფაშამ სვიმონს ესრე ურჩია:

— ტყუილად ცდილობ. შენი ცოცხლად შეპყრობა გვინდა. თორემ თოფს გკრავენ და მოგვლავენო!..

— სიკვდილით ნუ მაშინებ, მე სიკვდილისთვის ვარ გაჩენილი! — გამოსძახა სვიმონმა.

ბარათ-ფაშას შერცხვა — იაზრა. შეშინებით ვერას გახდებოდა. ამიტომ სიტყვა დაიტკბო, ენა დაითაფლა...

— რაც დღეს შენა ჰქმენ. არც როსტომმა და არც გორგასალს ის არ უქნია! — შეაპარა...

მეფეს ჭაითნაური ეამა. ბრძანა:

— მამისა ჩემის მზემ, ცოცხალი ჯაფარ-ფაშას მეტს კაცს არ დავრჩები... შენ არ მეყოფი. მობრძანდეს და თავად დამიჩჩინოს.

— აჲი, აჲა ვარ... ეგ ჩემს ნაცვლად გეუბრებოდა. — გამოიჩინა თავი ახტაქაფარმა.

სვიმონს ჩაეცინა:

— ნეტაი დედაშენსა, რომ ჩემისთანა ნადირუა მონადირე შვილი უშობია!

— დედაჩემი დიადი მლოცველი იყო, ერთი ლამეა. ლეილეთურ გეჯას ეძახიან... ვინც იმ ლამეს ღვთის წინაშე ხვეწნას აღავლენს. ნატვრა გაუთავდების. დედაჩემმა ის ლამე ჰპოვა, ალაქს ჩემი გამარჯვება შეევედრა და შენი თავიც იმ ედრებითა მხვდა!.. შენ, ვითამ სონღული. მტრულზე გაქანებული ბადეს გაები. აჲი სპარსულის ლექსითაც უთქომთ: „მურღი ზი ერქ, ჩემ ბედაომ

ევთად თახმულ ბაითშოო!.. — შეაგონა ახტაქათარმა.

— რა გინდა ჩიტი მახეს გაეზას, უნდა მოთმინება იქონიოსო. — თავისთვის თარგმნა ბარათ-ფაშამ.

— რომ არ მოვითმინო, სიხელით რა გამომიეყო. — მიუგო მეფემ.

ამსობაში ბელდარებმა ტალახი გასჭრეს და სვიმონ მეფე სამშვიდობოს გამოიყვანეს.

პაპაიმ თვალი მწყემსების სადგომში გაახილა.

ნაბაღწახურული ტყავებზე იწვა გვერდით ვეება ნაგაზი მიჯდომოდა... ძალი კელავდა. წიწკის სარჩულოვით წითელსა და ხოიან ენას გულდაგულ ივრილებდა...

წოწრენათმა წამოწვეა სცადა, მაგრამ ვერ შესძლო. იაზრა:

ტანსა და სახეზეც ცხენთა ნაფლოქვარი სჭირდა. ისარნაკრავი მხარიც უზომოდ აწამებდა... თუმცა ჭრილობა ვილაცას უკვე მოეხილა, მოებანა, მალამო ცოდნით ეხმარა, ფალასით შეეხვია, მაგრად შეეკრა...

— წყალი! — ინატრა ნაგვემ-ნაისრალმა.

ნაგაზმა კაცივით გაუგონა, ადგა, კარს მიაშურა...

პაპაიმ თვალნი უილაჯოდ მილულა...

— არწისა მთანი დწითნა,
კალთანი ალგეთისანი...
ბევრი ჩაილა ცხენ-კაცი,
ბევრიც დასცივდათ ისარი... —

სევდიანად ღიღინებდა ვინმე მწყემსთაგანი. წამსზეთ ღიღინი შეწყდა...

სადგომში ორნი შემოვიდნენ — სარქალო და პატარა ბიჭი. პაპაის მიუცუცქდნენ. გამშრალი პირი გაუღებეს, ჭრილობაზე საფენი შეუნაცვლეს.

— მეფე რასა იქმს? — ძლივს გასაგონად იკითხა წოწრენათმა.

— იუზე, მეფეს არა უჭირს. — ანუგეშეს.

იმ ღამით პაპაი უიმედოდ იყო — სი-

ცხე მოსძალებოდა, შფოთავდა. ნიდაგ მიცვალბულ ეოლს ახსენებდა: — ჰაი, მზისავარო, თუ ჰხედ. საფლაგზე აკნეზბად მსხმოიარე ალუა რო ვლდა?.. მეც მალით მუალ, მანამ ჭარელ ზიდონი პნახე, უთხარი, ნუ სწუხ. ფანდურ წამაილ, ჩემ ჭმარ ბალღების ანბავ მოგიტანს თქო...

სარქალი და მწყემსი ბიჭი ცეცხლისპირს ისხდნენ, სულთმობრძავს ღამეს უთევდნენ.

— აჰი, რუსთ-ხელმწიფის შიშით, ოსმალო ვერც-რას გაპბედავსო? — ჰკითხა ყმაწვილმა.

— ეგ ჩვენზედ პბედავს. კახეთზედ მადა წამხდარი აქეს. — უპასუხა სარქალმა.

— მაშ. სვიმონ მეფემ რადლა დანახანა, რად არ ემშო რუსთა-ხელმწიფეს?

— რა ვი... რო მოესწრო, ალბათ ეძმობოდა კიდეც... მაგრამ იღბალი აღარ ეყო, ცუდ დროს უყვლეს...

— იღბალი რო ჰყოფნოდა, ხო ეძმობოდა!

— ეძმობოდა.

— რა იყო?

— ყველა ჭრისტიანი ხელმწიფე ღვთისა და ხალხის ნებაზე დგას... დღეს თუ არა, ხვალ ჩვენი მეფეც ხალხის ნებას მიხვდებოდა. ადგებოდა და რუსთ-ხელმწიფეს თავის კაცებს აახლებდა, ჭირში ვართ, მაღლი ჰქენ, საშველი დაგვაყენეო...

— აჰი ხალხის ნებას მიხვდომილიც იყო?

— იყო, მაგრამ მიღეთისა ერიდებოდა. ამაყი იყო, ეგონა ოსმალს მარტოიც იოლად გაუსწორდებოდა... თან რუსთ-ხელმწიფის ხათრიც ჰჭონდა, შეწუხებისა რცხვენოდა...

— ხალხმა რო სთხოვოს?

— ვის??!

— რუსთ-ხელმწიფეს.

— კაი ლა, გეყოფის!.. ცოტას თვალს მივლულავ... ძილი რომ მოგეძალოს, ხელი მკარ, გამაღვიძე... ე. მაგ კაცის უთვალოდ დატოვება არ იქნების, ვინ-

ქლო ეს ღამეც განგებით გაატაროს...
თუ გაატარა ხო კარგი, თუ არა და...

— თუ კი გაატარა, მაშინ?..

— მაშინ, ღმერთი მოწყალეა... ვინ
იცის, გადარჩეს კიდეც.

ამ სიტყვებზე სარქალი კუთხეში მი-
წვა, დასაძინებლად მიიღურსა.

ბიჭმა ნაღვერდული გაჩხრიკა, მისუს-
ტებულ ცეცხლს ჭოყრები შეუმატა და
სულთმობრძავს ყმაწვილური იმედით
გახედა.

38.

ისპაჰანის უმთავრეს მოედანზე, კაი-
სარიეს ანუ სამეფო ქარვასლის თაღ-
მალალ ალაყაფთან, რომელსაც ინგლი-
სელი ოსტატის ფესის მიერ შაჰ აბას
პირველის დაკვეთით გამართული საუ-
ცხოო ვეება საათი ამშვენებდა, აურა-
ცხელი მოსერიე გამოფენილიყო. მათ
შორის გადამთიელიც ბევრი ერია: —
ხვარაზმელი, ინდონი, იუდეველი, სო-
მენი, ბუხარელი, ჭართველი, ჩინე-
ლი, თურქნი და თათარნი. აგრეთვე
ევროპელებიც — ფრანგი, ინგლისელი,
პოლანდიელი, ესპანელი, იტალიელი...

მგლოვიარეთა გამოჩვენებით მოა-
რულ ქარავანს წინ ეჭვია სამხედრო
ალამდარი მოუძლოდა. მებაირახტრეთ
ალმები მწუხარების ნიშნად მალალ ჰო-
კებზე გულდაგულ დაეხვიათ, ცისფრად
შეღებილი კანაფით შეეკრათ, მაგრად
შეეკრათ — ფრთაშებორკილ კაბუე-
ტბივით დაეოკებინათ.

ალამდრებს საგანგებოდ დაწინილ-და-
ვარცხნილი ოთხი ტაიკი მოჰყვებოდა.
ცხენთაგან პირველს მიცვალებულის
მშვილდი მიჰქონდა, დანარჩენებს
იარაღი, სამოს-სამკაული... ხოლო,
ფრთა-ბუმბულით დამშვენებული უძ-
ვირფასესი თავსაბური, რომელიც აწ-
განსვენებული მისი პატრონის უბად-
ლო ბრწყინვალეაზე მეტყველებდა,
ქორზე მკდომ მსახურს ხელთ უდიდ-
სი პატივით ეპყრა.

ჭოროსანს ორი ქუღწოწოლა მოცეკ-
ვავე მოსდევდა, მოცეკვავენი ხტოდნენ,

როკავდნენ, წალმა-უკულმა მზარდობენ
დნენ...

მათ შერე პირსავსე სინებით ხელდა-
შშვენებული რვა მონა მოაბიჯებდა. სი-
ნებზე ცისფერ მუშამბებში გამოხვეუ-
ლი კონუსისდარი თავთავი შაქრები და
უამრავი ტკბილეული ეწყო.

მოდოდნენ შემუსკიენიც — ევენ-
ბითა და სპილენძის მცირე ფიალებით
გაწყობილ დაირებს ეშხიანად მოაფრი-
ალებდნენ ჰაერშივე მოხდენილად ხედ-
ნიდნენ, ხმაშეწყობილად აქლარუნებდ-
ნენ...

მესაკრავეებს თეთრადმოსილი სუ-
ფიჰანნი და ორმწკრივად განლაგებული
მომღერალთა გუნდი მოაცილებდა. უც-
ნაურად მოქანაობდნენ, „ლა ალლა ალ-
ლა ლასა“ და „ალლა ეკბარის“ ჰანგზე
უჩვეულოდ ტოკავდნენ, იზნიკებოდნენ,
წელში ლერწმბივით ტყდებოდნენ და
კვლავ აღმართულნი ისევ „ლა ალლა-
სა“ და „ალლა ეკბარს“ გაიძახოდნენ —
თავდავიწყებით გაჰკიოდნენ...

მომღერლებს ცალმხარულიადმოშიშ-
ვლებული სამი ღვთისმსახური მოჰყვე-
ბოდა. შუბლსა და მხრებზე საძივეს
მძიმე იარები აჩნდათ. იარებიდან სის-
ხლი სდიოდათ... სხვა მსახურებს, წით-
ლად მსხოიარე, სამი ვაშლის ზე მოჰ-
ქონდათ. ბეებს ტოტებზე მიცვალებუ-
ლის სამი ცოლის, სამი ნაწნავი და ფე-
რად-ფერავი ფრიალები ჰქონდათ ჩა-
მობმული...

თვით ნიცივალბულს რვა კაცი მოას-
ვენებდა. აქ შტს ბუხარული ბეწვით მო-
რდულ-მოციერებელი აბრეშუმის კაფ-
თანი ეფინა.

მოქონდათ სეარძელიც, რომელშიც
ცისფრად მოსილი ყმაწვილი იჯდა და
მუხლებზე განფენილ ალყორანს კით-
ხულობდა...

სულ ბოლოს, დიდებულებითა და
ხუთასი რჩეული მეომრით შემოჩეთი-
ლი შაჰის რთხვალა შანეშინი ანუ მო-
ძრავი სასახლე მოგორავდა. შანეშინის
ფანჯრებიც ცისფერი მარმამით შეეფა-
რდათ. იმფერევე ფაფონები შეენოდათ
შანეშინში შებმულ ცხენებსაც...

— მამი ჩემი, შეგვიდრე — დავით, ამაყი და მრისხანე გახლავს, ბრძანებულა... ხოლო გიორგი წინააღმდეგ დავითისა სათნოებითა და გულწვილობით იხსენიების. უხვი და მოწყალე, სახილველად მშვენიერ არს. ამიტომ ყვანიც უპირატეს მისად მიილტვიან, ვინემ დავითისად... აჳი მამასაც ჩვენსას შვილთა შორის გამოჩეული ჰყავს!.. თავადაც უწყვი, კახთ-ბატონის პირველ სადროშოს ადრე გიორგი სარდლობდა, ხოლო დავითი ბოდბელ ეპისკოპოსთან ერთად ოდენ მესამეს ედგა სათავეში...

შანეშინის სარკმელთან ბალიც-ხალიჩაზე მიწოლილი იმკამინდელი ირანის მბრძანებელი შაჰ-აბას პირველი, ყრობიდანვე თანშეზრდილ მძევალს, კახთ-ბატონის უმცროს ძეს, კონსტანტინეს გულსყურით უსმენდა. აბასი ტანად მორჩილი იყო, კანჭწყრილი. ნიადაგ ავადმზირალი, ექვიანი და პატივმოყვარე ჩანდა, ამასთან — ფრთხილი, მამაცი და მოგვივით გონიერიც...

— ჩემი იქ სტუმრობის მერე დავითს მომბრენი შეემატნენ. გიორგი ვეღარ შეეგუა მისი შემაგრებას. მამისა თვისისაებრ მელიობა ჰქმნა — ძველს გზას დაადგა — სახილვლად პირი კვლავ სტამბულისკენ მიიქცია. მაგრამ მალევე შეუტყვეს, მოაბრუნეს, ფიცზე შეაგდეს... შენის რჩევითა და შეგონებით მასთან უსისხლოდ მოარჩევს, ტახტი დავითს დაუნარჩუნეს, ხოლო გიორგი, ჩემის სიკეთისა არ იყო, საუფლისწულობედ დასვეს... კახთ-ბატონი დავითის დაუნდობლობას უმალვე მიხედა, ავადმყოფობა იფარა, სამეფო დროშა, გვირგვინ-სარტყელი და ხმალი საკუთარის ნებით დაადგო... შემონახვნდა...

— თუ იცო, რად მოკვდა მურშიდ-ყული-ხან, აღმზრდელი ჩემი? — შეაწყვეტინა შაჰმა.

კონსტანტინე შეკრთა.

— არა, მზის სადარო. — იცრუა უმაღლვე, თუმცა აშკარა იყო, ყოველივე აღრევეც საიდუმლოდ ჰქონდა გაგონილი. — მე მხოლოდ ის ვიცი, რაც ქვე-

ყნისა და ალაჰის წინაშე ბრძენად მძღვანელობდა. — შიდ-ყული-ხან არყის სმით მოკვდაო.

— დე, ალაჰმაც და ხალხმაც ეგრე იცოდეს!.. — ჩაილაპარაკა ირანის მბრძანებელმა, მერმე წამით ჩაფიქრდა და თვალმოჭუტულმა, მუხანათურის გულწრფელობით განაგრძო: — მაგრამ სიმართლე სხვაა... მურშიდ-ყული-ხან მე მოვკვალა!!

— არა, მზის სადარო! — აღმოხდა კონსტანტინეს.

— რად არ!? — გაიკვირვა აბასმა.

მძვეალი დაიბნა, საპასუხო სიტყვა ვეღარ მოიძია.

იყურეს.

— შენც კარგა გახსოვს, — ხმაში სიწინელი შეურია შაჰმა, — საბრალო, იმ თავითვე ჩემთვის იღვწოდა... ხელმწიფის ტახტი უდაბნოში შთენილ ხესა ჰგავს, მირზა კონსტანტინე! თუ შენიანთა სისხლით არ მორწყე, წყალს ვერსაიდან მიუსადაგებ... როს მამი ჩემი, ჰამზამირზა მამისა ჩემის ზედაბენდეს ტახტზედ ამაღლდა, მურშიდმა მოსვენება დაჰკარგა. შიშობდა: ირანის ახალი მბრძანებელი მისადმი ძველს მტრობას გაიხსენებს და აბასთან ერთად მეც სიკვდილს მომაგებსო... მართალიც იყო, ტახტს მოცილე არ უყვარს, ტოლბადალზე ხელმწიფება არ იქმნების!.. ეგ ჰამზამირზამაც იცოდა, მაგრამ დაახანა, უდროობის გამო შინაური საქმე მერმისთვის გადასდო... მისი ბედიც ეგ იყო... პირი შეეკარით, სამეფო დალაქს, ჰედის იღუმლად გაეფრიგდით, ჩემი აღზევების მერე დიდ მოწყალებას შევპირდით და მამი ჩემი ჰამზათ სამართებლით დაეკლვირეთ!.. მერე ყველაფერი იმ დალაქს დაეაბრალოთ, წყალობის ნაცვლად. შაჰის მკვლელი ხმლებით ავეუწყეთ და ხალხსაც მხოლოდ მისი ვერაგობა ვაუწყეთ.

აბასი დადუმდა.

— ნუ, მბრძანებელო... — ჩაილაპარაკა კონსტანტინემ.

— მურშიდ-ყული-ხან დიდ საიდუმლოს ფლობდა, გათამამდა, ნიადაგ ღლაპსა და ტახტზე მის დასმულს მი-

წოდებდა... ამიტომაც გავიმეტე — ავ-
ღმე და მიძინარეს, ბებუთი შიგ ხახაში
ჩავეცი!..

საზარელი სიჩუმე ჩამოვარდა.

— მაგ საიდუმლოს ეხლა მეცა
ველობ... — მწარედ ჩაიციხა მძევალმა
და მიმჭრალის ხმით დაუმატა: — მაგ-
რამ ის კი აღარ ვიცი, რად გამანდე!?.
ეგებ მზის სადარს მურშიდ-ყული-ხანი-
ვით ჩემი მოკვდინებაც სურს...

— არა, ეგ შენი ძმებისთვისა ვთქვი!..

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

— კარგად მისმინე, კონსტანტინე-
ხან, მეცა და ბორის რუსთ-ხელმწიფეც
თქვენს მეფე-მთავრებს დღენიდაგა
ურთიერთ შორის შედლისა და დაშლა-
დაქსაქსვის ბედითობას ვუთვალისწი-
ნებთ, ჩვენის მფარველობის ქვეშ ქვე-
ყნის აღდგენა-გამთლიანებას ვპირდებ-
ით... თუმც საქართველოს ოსმალთა-
გან გამოხსნა და ერთ მჭილად შექვერა
მხოლოდ ისპაჰანიდან უნდა დაიწყოს...
მაგრამ ის ვეღარ გამოვიგა, ქართველ
კაცს ჩემს თავს მაინც რუსი რად ურ-
ჩევნია!?.

— ვის რუსი ურჩევნია, ვის — ოსმა-
ლო, ვის კიდევ... — აღარ დაასრულა
კონსტანტინემ.

— თუ ვახსოვს, — განაგრძო შაჰმა,
— როცა სულთანმა სვიმონ მეფის და-
ტყვევება შეიტყო, ისტამბულის ქუჩები
ბაიროლებით მოართვევენა და ხალხს
სამდლიანი უქმე უბრძანა. მაშინ მე
ანატოლიაში სულთნის წინააღმდეგ
აჯანყებულთა მეთაურს, ყარა-იაზიჩის
ჩემი საიდუმლო მრჩეველი ვაახელ,
დიდძალ ფულსა და იარაღს შევპირდი,
სვიმონის დახსნა ვუბრძანე... ყარა-იაზი-
ჩიმ არზრუმს მდგარ ძეფეს გადაცმუ-
ლი ხალხი მიუგზავნა, ჩემის საბელით
ვაქცევა შესთავაზა, მაგრამ სვიმონმა
იუარა... რად?..

შეკითხვა პაერში გამოეკიდა.

— თვითონ განსაჯე, — განაგრძო
აბასმა, — მაშინ, როცა მე ელჩნი ჩემ-
ნი, შერლი ენთონი და ჰასან-მირზა
ქრისტიან ხელმწიფეებს: — გოდუნოვს,
საფრანგეთის კოროლს, ვენეტიკის

დოეს, გერმანიის იმპერატორს მმტყმევეთქქქ
ნის გრან დუქას და თვით რომის პაპ-
საც იმისათვის ვაახელ, რათა მათთან
ერთად, ოსმალთა აღსაგველოდ ჩემი
მახვილიც აღვმართო, განა მართებულ
არს, რომ კახთ-ბატონი კვლავ ქრისტი-
ანთა მტრად და მოსისხლედ მრაცხ-
დეს?..

— არა, მბრძანებელი. — მორჩილე-
ბით მიუტო მძევალმა.

39.

ალავერდის გუშმათზე ქედნები ისხ-
დნენ...

შემონაზვნებული მეფე ალექსანდრე
ავღმყოფობას დაეჯახნა. ეამსა უმე-
ტესსა ლოცვასა თუ სინანულისა გამო
რჯასა და მარტვილობაში ატარებდა;
ახლოს აღარავის იკარებდა; ოხრავდა,
გაჩენის დღეს იწყევლიდა.

იმ დღესაც მარტო იყო, ხატთან და-
ჩოქილს სისუბატე მორეოდა, წამოდგო-
მას ცდილიყო, მაგრამ ვეღარ ემძლავ-
რა, უილაჯობას პირქვე დაემხო...

— რად მცდი, დალოცვილო, საამისო
რა შეგცოდე? — უბრობდა უზმოდ,
ღვთის მისამართით. — მარტვი, რა არის
ბრალი ჩემი, რა ვქმენ უწმიდო? იქნებ
მხოლოდ ის, რომ სამწყსო ესე, არცა უი-
ზილობაშს და არც ოსმალს არ დავანე-
ბე!.. ან იქნებ ის, რომ რუსთ ხელმწი-
ფეს აჯით ვეახლე, ხელდება ვთხოვე,
ფიცი მივეცი, ვენდე, ვეფარე... ან იქნებ
ის, რომ საქართველოს გამოხსნა ვთხო-
ვე და ჩემი ქვეყნის აღდგომისთვის ეგ-
რე ვითმინე?..

ალავერდს მოახლოებულმა წოწრეა-
ნთმა ცხენი სადავით წამოიყვანა. კოჭ-
ლობდა, მოჩალუხობდა — ნალგეთარი
იარები კვლავაც ტანჯავდა, აწამებდა,
ზოზინ-ზოზინ უამდებოდა...

— მეფედყოფილს მაახლეო. — თხო-
ვა პირველსავე ბერს.

ბერი მზის საათს ჩამოსცილდა.

— ვინ ხარო? — ჰკითხა.

— ბედაურობის ქტრდი ვარო. — უპასუხა წოწრეანთმა.

ბერმა გაკვირვებით გამოხედა.

ილუმენის ყვირილზე სენაეში შეჭრილმა ბერებმა მეფედ-ყოფილი ალექსანდრე სარეკელზე დაასვენეს, წყალი აპყურეს, შეცოვებული თითები და საფეთქლები მოუსრისეს, პირით სააქაოსკენ მოაბრუნეს, მოასულეიერეს...

პაპიმ ცხენი უმაღლვე მიატოვა და სხვებთან ერთად ისიც სამონაზვნოსკენ გაქანდა...

მნათემ ზარს შემოჰკრა...

გუმბათზე მსხდარი ქედნები ერთბაშად აიშალნენ...

40.

— ცოდვას ნურას იქმ, ჩვენს შვილთა-შვილებს ეწვეისო. — შორჩილად ჰკადრა ქეთევან დედოფალმა მეუფე დავითს და ქმარი თვისი პალატის ბქემდე მიაცილა. — ფირდოუსისა გახსოვს: როს ხესა ჰრგავენ, ფესენი რომლისაც ოდენ სისხლით იკვებებიან, რა გინდა ხანიც დიდი გამოხდეს, მცენარე იგი მაინც შურისგების ნაყოფს მოიხსხამსო! — ესეც შეაგონა გამოთხოვებისას.

— აკი მოიხსა კიდეც! — მიუგო დავითმა.

ქეთევანს არ ეამა მეფის ნაუბარი, შეწუხდა, სახე სათნოებით შეუფიჭრიანდა.

დავითი ცხენს მოველო, დეზი ჰკრა, გალავნისკენ დასძრა და მხლებელნიც თან გაიყოლა...

იმ ღამეს ჭოეთის კლდოვან ციხეში, სადაც დავითის მიერ ტყვედქმნილი უფლისწული გიორგი და მოდასენი მისნი დამცირებასა თუ ბედის ორპირობას მოაზინებათ იტანდნენ, ენით აუწყურელი ცოდვა-ბრალი დატრიალდა — ციხისთავი იესე ანდრონიკაშვილი მანდატურებმა დაურიდებლად გამოაღვიძეს:

— მეფე მობრძანდაო! — შეწამოჰკრილა, სამოსელიც უმაღლვე მიაგებებს...

კლდისპირა ქონგურს მიმდგარი მეფე უფსკრულს ჩასცქეროდა, ნაბიჯების ხმაზე შემობრუნდა...

— შეთქმულნი მომგვარეთო! — უბრძანა მოახლოვებულ ციხისთავს.

მთვარიანი ღამე იყო...

მნათობთა აღმოსავალზე შეფენილი ცისკრის ვარსკვლავი მზის სიახლოვეს გუმანიტ გრძნობდა, ჰახჰახებდა, დედის მომლოდინე ბარტყივით უთმენლად ფრთხიალებდა...

ხელშეშორკილი უფლისწული გიორგი და მისი „ათორმეტი“ თანამოსერე უფსკრულისპირა ქონგურთან ჩამოწკრივს...

— მეცამეტე სადლაა? — იკითხა დავითმა.

ციხისთავმა დუმლით უპასუხა.

— მეცამეტე მეთქი!..

— ყურშიტა ჩერქეზი დილეგში აღარ დაგვხვდა, მეფე-ბატონო... ხანს უკან კი იყო... შორს ვერსად წავიდოდა... მდევარიც უმაღლვე დავადევნე, შეიპყრობენ და... — აღარ დაასრულა ანდრონიკაშვილმა.

დავითმა თვალით ხელჯოხიანი ეჭიბი მოსძებნა...

— გასწით, სად მიეწიოთ, იქ ჩააძაღლეო! — უბრძანა. მერე კვლავ იესეს მიუბრუნდა, — მეცამეტე შენ იქნებიო! — მოახალა ავად...

ციხისთავი გულმტკიცე გამოდგა, ხელები ზურგზე დაილაგა. შეთქმულთა გვერდით უსიტყვოდ დადგა.

ხელშეშორების მანდატურები ცხენებს მოახსდნენ, ციხიდან თავქვე დაქანდნენ...

— რა გწადის? — ჰკითხა გიორგიმ მას.

— ია, რაიც ჩემთვისა გწადდათ. — მიუგო დავითმა.

— მაინც?..

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— დღესა იმასა, — ფიქრიანად წა-



მოიწყო ბრალმდებელმა მეფემ, — მა-
მის დის შვილმან ჩვენმან, ხელმწიფე-
მან ქართლისა გიორგიმ, მოგვიკითხა და
ნადიმსა ზედა ტფილისს გვიწვია. მაშინ
განზრახე შენ, ძმამან ჩემმან, ზრახვაი
ბოროტისაგან უფრო უბოროტესი და
მიზეზითა ღვინისწყენითა ლხინს აღარ
მოხველ... მერმე ცბიერად გადგომილ-
მან რა მოვრალად დამიგულე, შემოი-
ფიცე ესენიცა და საკვდავად ჩემდა და-
უღვგრად ხელი აღმართე!.. ესმა რა ესე
ბარამ ჩოლოყაშვილს, კაცსა ღვთის-
მოშიშსა, წამოვიდა და ნადიმად მჭდარს
ყოველივე წვრილად გამანდო... მყის
აღვსდემ და მოველ კარავსა შენსა და
გინილე ვითარ იჭურვოდი და ესრე გი-
თხარ: იჭურვი სიკუდილ ჩემდა... ჰა,
ვარ წინაშე შენსა და რაი იგი ძალგის,
ჰყავს!..

დავითი დადუმდა.
— რაი გწადს მეთქი? — კვლავ ჰკი-
თხა გიორგიმ.

მეფემ არ უპასუხა. შუბოსნებს მიუ-
ბრუნდა, ხელი შეშართა. მაშინ დაიძრ-
ნენ შუბოსანნი და შუბის წვერნი უფს-
კრულის პირად მდგართ ბეჭებსშუა მი-
აბჯინეს...

შეთქმულთ უფსკრულისკენ მიაწე-
ნენ!..

უფლისწულს მიბჯინილ შუბს დავი-
თმა ხელი ჩაჰკიდა, შეაჩერა...

ერთნი უფსკრულში „ნებით“ გადაე-
შენნ. სხვანი ძალით გადაჰყარეს.

— მე რაისად და მაგვიანებთ?! მკა-
რით და გაათავეთ! — აღმოხდა უფლის-
წულს.

— არა! — მიუგო დავითმა, — თუ
კი ძმის ხელით სიკვდილი გიწერია, მერ-
მისთვის იყოს... ეხლა წა... გონით
იარე!.. ვინძლო სახვალისო ფიქრი მარ-
თებულ ჰქმნა და სისხლი შენშიერი და-
სადვრელად არ გაიმეტო!..

41.
მეფედყოფილი ალექსანდრე და აღ-
გეთთან ნაიარევი მისი სტუმარი, მრავალ-
ტანჯული წოწრეანთი ფიქრთგასა-
რთველად ალავერდელ მეურნე ბერებს
გვერდი-გვერდ მისხდომოდნენ, თან სა-

ქმშიაც შევლოდნენ — უფროსნი
რიანად მოზიდულ თუთის შოლტებს
ფოთოლთაგან დაშნებივით აშიშვლებ-
დნენ და თან ეკლესიათა „აღსაზევებ-
ლად“ რუსეთიდან მოკლენილ მხატ-
ვარ-ოსტატებსაც უთვალთვალდნენ,
ტადარში ზეალმართულ ხარაჩოებს ლა-
მურებივით რომ ჩამობმოდნენ და ეამ-
გადასული ფრესკების აღდგენა-აღორ-
ძინებისათვის იღვწოდნენ... შემონაზვ-
ნებული მეფე, მცირე უკეთესობის მი-
უხედავად, მაინც უნუგეშოდ გამოიყუ-
რებოდა — სუნთქვა უჭირდა — სიმზ-
ნევედაკარგულს, უღაჯობასთან ერ-
თად, სულიერი სიმბუნეც დასჩემებო-
და...

— სიმათლით უთქომს, — ჩიოდა
იგი, — ამოდ დავშვრით მეცა და მეფე
სვიმონიცა... ბედმან მსახვრალმან მე
მონაზვნობა, ზოლო იმ ბეჩავს იელი-
ყულეს ციხეში გდება და თვისტომთა-
გან განრიდებით მოშხამული სიბერე
არგუნა. ვაი, რომ ველარც რუსთ-ხელ-
მწიფემ იმდენი ვერა მისაშველა რა...
შინაურ ქიშპსა და გარეულს მტრობა-
ში ჩამდგარ გოდუნოვს თან უმოსავ-
ლობა და ნგრევა-შიშვილიც მიეძალა...
ჰა, შენაც ხედავ, მეზარბაზნეთა ნაც-
ლად ჯერჯერობით ოდენ ეს მეფუნჯე
ბერები მაახლა... ეგ იმასა ჰგავს. პატა-
რძალს რო ქმრის ჯერად ბებია ქალი მი-
უწვიონო; ნუ გეშინ, ნახე რა მშველელი
გყავსო!..

პაპის გაეცინა.

— ეგრეა, ქვეყნის აღდგომა-გამოხს-
ნაზე ფიქრში ლამის სიცოცხლე გამოი-
თავდა. — განაგრძობდა მეფედყოფი-
ლი, — რუსთ-ხელმწიფის ეშხითა და
ჩემის მელიობით ხან ოსმალო მოვალე-
რე, ხანაც — ყიზილბაში... მაგრამ სო-
ფელი აღარ მეყო. რაც შორი მეგონა,
ახლო ყოფილა, რაც ახლო — შორი!

ალექსანდრე დადუმდა.

— წადი, წოწრეანთო, შინ წადი...
ქმარა, რით ვერ სცან, რომ სააქათ დრო-
ყამი რახანია სანთელივით ჩამოიღვენ-
თა... საცაა ჩაგვიტრება კიდევ... ჩემის
სიკეთისა არ იყვენ, ცოდვა-მადლი შენც

ბევრი გიგემნია... აწ სულისათვის უნდა ვიზრუნოთ, ვინძლო უფალმა განწმენდილნი მაინც მიგვიღოს!..

მეფე კვლავ დადუმდა.

პაპი თავდახრით იჯდა, აშკარა იყო — გულში ღრმად ჩასწვდომოდა კახთბატონის ნათბარი.

— არა დღესათვის, არამედ ხვალინათვის ილოცეთ, ძმანო ჩემო, რამეთუ ხსნაი სულისაი ოდენ მერმისში არს, ხოლო მერმისი იგი, ეამსა განკითხვისა, შვილთაშვილებში მოგვეწვიეს. — ჩაილულულა ბერთა შუა მჯდარმა იღუმენმა და კალთაში დაგროვილ თუთის ფურცელს გოდორი მოუნაცვლა...

ესა ჰქმნა და ალავერდელ ბერაჲ ყურამდე ფლოქვების თქარუნმაც მოატანა — გალაუნის კარი დევნილმა მხედარმა შემოანგრია, შემოვარდა, თან ისრის ქარწყვიმა შემოიყოლა... ცხენმა ფეხი წაიკრა, წაიტეხა, პატრონი თავკისრით გადაიღო, დასცა, მიწაზე დაანარცხა... მღვეარამც მაშინვე მოატანა, ტაძრისკენ წაფორბილებულს ხელშეზინი დაადევნა, ვერ მიაწია... დევნილი ღვთის საზღს შეეფარა, გუმბათისკენ მიმავალ კიბეს მუხლ-იდაყვის ძგერებით შეაფრთხილდა, სულმოუთქმელად შეუყვია, ზეასული, ლამის იყო, უფლის კალთასაც მოებლაუტა, მაგრამ იღბალი აღარ იყო, ისარნაკრავი კიბიდან ძირს გადმოიღეს, ტაძრის იატაკს დასცეს, გულაღმა დაანარცხეს...

— ღოსპადი პაპილუი! — აღმოხდათ ხარაჩოებზე შემსხდარ ოსტატებს.

ყოფდა არნახული იყო — ტაძარში სისხლი დაიდვარა!.. — ღვთის რისხვით ზარდაცემული ბერები მიწას განერთხნენ...

— მოჰკლეს. — ჩაილაპარაკა პაპაიმ.

— ვინ მოჰკლეს? — ჰკითხა გაოგნებულმა კახთბატონმა.

— ყურშიტა მოჰკლეს.

პაპიცა და ალექსანდრეც ერთხანს უძრავად ისხდნენ.

სამრეკლოზე რისხვით ზარები აგუგუნდნენ.

მეფედყოფილი მთვარეულივით ნელა წამოდგა, წამოიშართა...

— რაღა ჰქენით? — მიაჩერდა მღვეართ.

— დავით მეფის ნებთა ვქმენით. — უპასუხა ეჭიბმა. — ეგრე გვიბრძანა, საცა წაეწიოთ, იქვე ჩააძლეთო!..

კახთბატონს სახე გაუქვავდა.

ეგრე იდგა ხანსა რამდენსამეს, მერმე განიბენენ ბაგენი მელისანი: — ღმერთო, მიუღოე იესა ჩემსა დავითს, რამეთუ წყველა მამისა ცხოველ არს, ვითარცა სასოება მარიამისა ჯვარცმულის მიმართ! — აღავლინა მეფემ.

ძირს განრთხმული ბერები წამით შეირხნენ, ქარწამონაქროლ ფერფლივით აფარფატდნენ და საზარი წყვეა-შეჩვენებით ზარდაცემულნი, კვლავ დედამიწას ჩაეკონნენ, თავქვე დაემხნენ.

— წყველა მამისა ცხოველ არს, ვითარცა სასოება მარიამისა ჯვარცმულის მიმართ მეთქი! — განიმეორა ალექსანდრემ.

ლადო სულავერიძე

დიმიტრი ყიფიანი

სექტემბრის ქარში,
ოქტომბრის მზეში
ცაცხვებს ელვარე ფერი ეცვლებათ.
და ბერდებიან ნელა ცაცხვები...
განგებამ მეტი მისცეთ შეძლება!

ჩერ კიდევ ვდგავართ შენეულ სახლთან,
ჩერ კიდევ ვდრტვინავთ ამ შენს
ცაცხვებთან.

წუხელი აწვდა ქარი და ცაცხვის
მწვანე სუნამოს მოფარეს აცხებდა.

ნისლი კი არ თრთის ბორჯღა რტოებზე,
ეს გაცრეცილი შენი კვართია.

ჩერ კიდევ ვდგავართ ჩვენ შენს
ცაცხვებთან,
ვგალობთ აკაკის ლოცვას „განთიადს“.

ამ ბებერ ველთან

ამ ბებერ ველთან შემომესმება
ცხენთა თქარუნთი,
ტორთა ხათქუნთი.
მე ის ცხენები მენატრებიან
ფაფარაშლილნი და გახვითქულნი.
ამ ბებერ ველს რომ ყური დაადო,
იმ ცხენთა გულებს გააქვთ დაგდაგი.

და თრთის ბალახი.
ამ ბებერ ველზე
გადაფენილი მწვანე ფარდაგი.
ეს ქარი, — მათი დანატოვარი, —
ჭმინავს და ისმის ცხენთა ქლოშინი.

მე ის ცხენები მენატრებიან
ამ ველზე ფაფარამიშლილმოშლილი.

მე მყოფნის ჩემი სიზმრის წუთები
სატანჯველადაც...
გასახარადაც...

ჩემს ანგელოზთან შესაყრელადაც.
ჩემს სატანასთან გასაყარადაც.
წუხელი ჩემი ელვაც ელავდა.
გასახარადაც.

ჩემი მახვილი კლდეებს ბზარავდა.
ისე დავლალე რეკვით ზარები.
კინალამ თვითონ ვიქვეც ზარადა.

მე მყოფნის ჩემი სიზმრის წუთები
სატანჯველადაც...
გასახარადაც.

ხმება კაკალი

ხმება კაკალი,
 მკერდს მიჯნურივით
 მიუყრავს რტოთი ნანგრევი საყდრის.
 ხმება კაკალი,
 ხმება კაკალი
 და ჩამქნარ ფოთლებს საყდარზე
 აყრის.
 წავსიან ქვებზე გახოხდა ზელიკი...

კაკალმა სისხლი ფესვში ჩაწრიტა, —
 საყდარი რტოთი ამოუჩრია,
 როგორც დაცლილი ბუდე არწიეთა.
 იქ რა ზეების შრიალი ისმის?
 იქ რა ბიბინებს?
 რაა, სამკალი?
 ძველი საყდარი ზედ მიყრდნობია, —
 კაკალი ხმება...
 ხმება კაკალი...

სააკაძის წაბლის ჩრდილში

ტაშისკართან ლზინი იყო
 და შევჩერდი ტაშისკართან.
 მთებს ცისკარი მოადგა და
 მთა და ბარი გაცისკარდა.

სააკაძის ცხრა ადლიან
 ბეჭზე წაბლის ჩრდილი გაწვა:
 — აწ ვართ ქართლში მოქართლენი,
 კვლავ ვიქნებით, რაკი აწ ვართ.

წაბლის ჩრდილში ლზინი იყო,
 შერე რა, რომ იყო ძველად. —
 ლიხს იქიდან გადმოვედი,
 ქართლი დამხვდა მაინძელად.

გამარჯვების ზარ-ქუხილში,
 ქედუზრელი ქართლის ნიშით,
 მეც ვიყავი,
 მეც ვილზინე
 სააკაძის წაბლის ჩრდილში.

ვის მოინატრებენ?

დიმიტრი ყიფიანის ასწლოვან ცაცხვებთან
 ბავშვების ყიყინი გახურდა, გაცხელდა.

ცაცხვების ჩრდილში მზის ჩქერი განელდა...
 ბავშვები გესტუმრნენ, სადა ხარ, ანეტა?!

წამოიზარდნენ და . . .

იკითხეს მოზარდებმა:

— პაეღე ინგოროყუა აღარ მოზრძანდება?
 ცაცხვებზე ზარები, ზარები ქეა ჩვენი,
 მაგრამ სად ბრძანდება ლეო ქიაჩელი?!

ახლა სხვა ბავშვები მომრავლდნენ ცაცხვებთან,
 იმათი ყიყინიც გახურდა, გაცხელდა.

ცაცხვებო, კვლავ ბევრჯერ აგარიერაყდებით...
 ვის მოინატრებენ ახალი ბავშვები?!

სიტყვების უქონლობის გამო

ნუ დამირეკავ, დედი,
დედი, ნუ დამირეკავ...
ჩემთვის ისე ძნელი არის თავის აწევა,
ტელეფონთან მისვლა,
შენი ხმის გაგონება...
ნუ დამირეკავ, დედი,
დედი, ნუ დამირეკავ.

რას გვშველის ჩვენ ეს საუბრები,
ძველი ფურცლები...
შეგონებები, დაწერილი ლამაზი ზელით,
წარსულის მითი
და ოდესღაც ნათქვამი ფიცი...
ნუ დამირეკავ, დედი,
დედი, ნუ დამირეკავ.

განა ჩიტს უკან უბრუნდება
თვისი სიმღერა!
მე ავადა ვარ, სისულელით, ჩემი ზნისაგან,
რადგან ყოველთვის, როგორც ოჭრო, მეზოგებოდა
ჩემი თავი — ჩემივ თავისთვის...
ნუ დამირეკავ, დედი,
დედი, ნუ დამირეკავ.

მე არ ვჩქარობ
დავეთხოვო ჩემს სისუსტეებს,
რადგან სანაცვლოდ
არვინ მომცემს უკეთესს, ვიცი,
და სიზმარსაც არა ვცვლი ცხადში...
ნუ დამირეკავ, დედი,
დედი, ნუ დამირეკავ.

მე მომესაჯა სიცოცხლე და
შეც მშვიდად ვიზდი,

ზრუნვა და წყენა კარის ზღურბლთან მელიოდებიან
 და მეც ვაპურებ, მაგრამ განა მშვიდი ვარ მართლა!
 ცხოვრება ჩემი საქმე არ არის...
 ნუ დამირეკავ, დედი,
 დედი, ნუ დამირეკავ.

შენ ის დრო გახსოვს,
 როს ისეთი ოცნება მქონდა,
 ასრულება და ახდენა რომ არ სჭირდებოდა,
 განა ვუნდივარ
 კვლავ გუბის წყლებს და ხეკაკუნებს...
 ნუ დამირეკავ, დედი,
 დედი, ნუ დამირეკავ.

ეს შენა გსურდა, რომ პოეტი ვყოფილიყავი,
 ეს შენ დამბადე მე პოეტად და რომ იცოდე,
 როგორი ძნელი რამ ყოფილა, რომ იქცე იმად,
 რისთვისაც გაჩნდი,
 რისთვისაც ხარ ამ ქვეყანაზე...
 ნუ დამირეკავ, დედი,
 დედი, ნუ დამირეკავ.

შენ ის დრო გახსოვს,
 როცა შენი გულის საამოდ
 ვუწერდი ლექსებს
 ჩვენი ფანჯრის მეწამულ მთვარეს...
 მაგრამ მე განა ის ლექსები გულს მიფონებდა?
 ნუ დამირეკავ, დედი,
 დედი, ნუ დამირეკავ.

მე ხომ ლექსი კი არ მინდოდა —
 რამე ისეთი,
 რომელიც ყველას ნუგეშსა და შვებას მოჰგვრიდა,
 შურს იძიებდა კაცი რითაც ამ ცხოვრებაზე,
 რითაც დაკარგულს შეივსებდა და ცრემლს დაცლიდა...
 ნუ დამირეკავ, დედი,
 დედი, ნუ დამირეკავ.

მე ვწერ მშვიერი ფურცლისათვის,
 გინახავს განა,
 რომ ეჭვი ახლდეს
 სარეცხ ფხვნილის სრულკმნილ რეკლამას,
 ჩემი საქმე კი ეჭვთან არის დაწყვილებული...
 ნუ დამირეკავ, დედი,
 დედი, ნუ დამირეკავ.

იმას ვცოტაობ, რომ ნერვები გამშიშვლებია
 და იმას ვნატრობ, რომ საერთოდ არ მქონდეს კანი,

რომ უფრო მძაფრად ვიგრძნო ქვეყნის ყველა წვრილმანი,
 ყველა ნემსი, ყველა წამწამი...
 ნუ დამირეკავ, დედი,
 დედი, ნუ დამირეკავ.

განა პოეტი არ შეჭამეს თვისმა ლექსებმა?
 რა მკვლელი უნდა იმას, მითხარ,
 რა მოშურნალი,
 როს ლუქმა-ლუქმა
 მიაქვთ ლექსებს მისი გულ-ღვიძლი...
 ნუ დამირეკავ, დედი,
 დედი, ნუ დამირეკავ.

შენს დედურ სიბრძნეს დაპყარგვია, ერთი ფურცელი
 და ვერ მპასუხობ,
 თუ ვინ მიმცა ოთხივ სტიქიას
 და ლექსის წერა დამაყისრა მკაცრი პირობით:
 რომ მწვანეზე არა ვთქვა „მწვანე“...
 ნუ დამირეკავ, დედი,
 დედი, ნუ დამირეკავ.

მე დავიკარგე
 მთელი ქვეყნის ყველა სახლისთვის,
 ყველა გულისთვის,
 ყველა მყუდრო ბალიშისათვის
 მე დავიკარგე
 და შორიდან ვხედავ ჩემს პერანგს,
 უპატრონოდ ქარში დარჩენილს...

და ნუ დამეძებ, ნულარ მანჯღრევე, მე ავადა ვარ,
 ერთი დღე, ერთი წელიწადი, ერთი სიცოცხლე
 ცოტა არიან იმისათვის, რომ სხვაგან ვიყო,
 მე შენთანა ვარ, შენთან ვიყავ,
 შენთან ვიქნები...
 ნუ დამირეკავ, დედი,
 დედი, ნუ დამირეკავ.

გიორგი კახალაძე

რად არა მცემლიან

მოთხრობა

დიდ დასვენებაზე ბონდო ბურჭლა სამასწავლებლოში დაბარებულივით გამოცხადდა. იგი აშკარად ნაწყენი, უფრო მეტიც, აღშფოთებული იყო. მას შემდეგ, რაც საკლასო ოთახები კაბინეტებად აქციეს, კარები გულდაგულ შეაკეთეს და საიმედო საკეტები დაუყენეს, ღურგალს საქმე მოუმრავლდა; თითქმის ყოველდღე უხდებოდა მოსწავლეების მიერ გაფუჭებული საკეტების გამოცვლა. სანამ მასწავლებელი აღმოაჩენდა, რომ საკეტის ჭეჭრუტანაში ასანთის ღერი იყო ჩატენილი, სანამ ღურგალს მოიყვანდა და კარს გააღებინებდა. კარგა ხანი გავიდოდა, ზოგჯერ გაკვეთილიც გაცდებოდა და მოსწავლეებსაც ეს უნდოდათ. ისინი დერეფანში დარბოდნენ, ხმაურობდნენ, მასხარაობდნენ, ზოგი ცდილობდა ბონდოს დახმარებოდა და ხელს კი უშლიდა. ხანდახან სწორედ შთი ენერგიული დახმარების შედეგად საკეტთან ერთად მთელი ფიცარი ხდებოდა გაჰოსაცვლელი. გაგწყვეტო, იყვირებდა ბონდო და მუქარით აღმართავდა ეჩოს ან ჩაქუჩს; დამფრთხალი ბავშვები მაშინვე გაიფანტებოდნენ, მაგრამ, როგორც კი ღურგალი საქმეს მიუბრუნდებოდა, ისევ შემოგხვეოდნენ წიწილებივით. იყო ერთი გნისი, აურხაური. ბონდო ჯერ კიდევ ახა-

ლგაზრდა კაცი იყო, მაგრამ ბოლო დროს ხშირად ავადმყოფობდა, ნერვები მუდამ აწეწილი ჰქონდა და ხმაურს ვერ იტანდა. ამიტომ არც არავის უკვირდა, რომ დიდ დასვენებაზე, როცა მასწავლებლები კაბინეტებს კეტავდნენ და პირველ საათულზე იკრიბებოდნენ, იგი მეტად ნაწყენი, შეშფოთებული სახით გამოცხადდებოდა სამასწავლებლოში, რომ მოსწავლეებზე ჩივილითა და საყვედურებით გული ეჩერებინა. შუა ოთახში გაჩერდებოდა თავისი ჩანთითა და ფეშტამლით, რომელზეც ჯერ კიდევ ეკიდა წერილი ნაფოტები და ბურბუშელა და, სიტყვაც რომ არ ეთქვა, სახეზე შეატყობდით, რა გაჭირვებაც ჰქონდა. ამ დროს სამასწავლებლოში ისედაც არ იყო ყურთასმენა და ახლა კიდევ უფრო გახურდებოდა კამათი, ატყდებოდა ყაყანი. ბევრი აშკარად აუბამდა ბონდოს მხარს: მართალია ეს კაცი, ბავშვები თავზე დაგვახდნენ, ასე მუშაობა აღარ შეიძლებაო.

ღირეკტორი იქვე იჯდა და კოსტა გოთუას ჭადრაკს ეთამაშებოდა. ამ დროს იგი დუმილს ამჯობინებდა, თუმცა სათქმელი მასაც სახეზე ეწერა: თქვენ რომ დაგიჯეროთ კაცმა, სკოლა თავზე გვენგრევა, არა და, როგორც სხვაგანაა, ჩვენთანაც ისეაო. „უნდა



მივიღოთ სასწრაფო, გადამწყვეტი ზომები! — დაბეჭივებით, მტყიცედ თქვა ქალბატონმა კაკალამ, გეოგრაფიის მასწავლებელმა, უკვე ორმოცდაათს მიღწევულმა, მაგრამ ახალგაზრდულად ყოჩაღმა, ენერგიულმა და დაუღალავმა.

დირექტორმა პეტრე ჯანიშვილმა სულა გააკეთა და ცერად გახედა კაკალას. კოსტამ მაშინვე უპასუხა. პეტრე კვლავ ღრმად ჩაფიქრდა. სკლის მშვიდად მოფიქრების საშუალება რომ ჰქონოდა, იქნება როგორმე დაეძვრინა თავი ხიფათიდან, მაგრამ ახლა ბონდოს ვერაფერს გააჩერებს, მან ბოლომდე უნდა თქვას თავისი სათქმელი. ქალბატონი კაკალა საფუძვლიანად გამოიკვლევს მიზეზებს, დასკვნებს გამოიტანს. „მოიწი, ბონდო ახლოს, მიშველო იქნება რამე, მიგებს კოსტა გოთუა“. ბონდო ახლოს მოვიდა, დაფას დახედა: „რამდენჯერ უნდა გამოვცვალო კარის საკეტი, ბატონო, პატივცემულო დირექტორო. ვერ ვასწრებ შეკეთებას და მოვა ისევ ვილაც, ჩატენის შიგ ასანთის ღერს, არ უნდა მეტი არაფერი. რომ მოკვდე, ვერ გაალებ. ვინაა მაინც, ვინ აკეთებს ამას, რომ დავინახო, გელაპარაკები, ჩემი შვილი იყოს, თუ გინდა, ჩავარტყამ ამ ქუშტარას, გელაპარაკები, და წავალ ციხეში... რაო? იგებსო? კოსტა იგებს, ბაგრატიჩი?... ეგ როგორ მოხდა, ვერ დავიჯერებ მაგას!“ ბონდომ ჩანთა იატაკზე დადო და შუბლი მოისრისა. „ვინააო? — იყვირა კაკალამ, — ვინაა და ყველა, ვისაც არ ეზარება. მივეუშვით თავის ნებაზე და ქვებს რომ არ ვეშენენ, მადლობა ვუთხრათ. რაღა დაგვრჩენია მეტი“. რა ენერჯია აქვს ამ ქალს, ფიქრობს პეტრე, არ ბერდება და არა. ხუთიოდე წელიც და პენსია ერგება, მაგრამ ეგ პენსიაში გავა? ამდენი ძალ-ღონის პატრონი? „კაკალა მასწავლებელი, — მშვიდად შეახსენა პეტრემ, — თქვენ მგონი დღეს მორიგე ბრძანდებით“. კაკალამ ვაკვირვებით გადმოხედა დირექტორს. წამით დაფიქრდა, იქნება მართლა მორიგე ვარ და დამეიწყებიაო. „რა ბრძანეთ? მორიგე?

არა, შეგეშალათ. მე ხვალ ვარტყამ... „ჰოო, ბონდო... განაგრძეთ მაშინ... ბონდოში“. „არაფერია, არ ღირს ზამბოდიშოდ“. „ეუ ცე ხუთი! — იყვირა დურგალმა, — ეუ ცე ხუთი და იგებთ, ბაგრატიჩი!“ „ბიჭოს? — გაუყვირდა კოსტას, — უყურე ამას, ცე ხუთიც არ სკოდნია?“ „საიდან, ბონდო?“ — დაინტერესდა ანდრო, ფიზკულტურის მასწავლებელი. „ბონდო ნიჭიერი იყო, — თქვა ლექსომ, სასწავლო ნაწილის გამგემ, — ბევრს სჯობდა თავის კლასში. კარგად მახსოვს. მერე მამამისის ხელობამ გაიტაცა და გული აიყარა სწავლაზე. „ფანჯარასთან განმარტოვებით იდგა ისტორიის მასწავლებელი გაიოზ ნაკაიძე. იგი მდუმარედ გადაპყურებდა სკოლის ეზოს. ეზოში მარტინ წყლიანი, ჭუჭყიანი თოვლი იდო. ბავშვები თავგამეტებით გუნდაობდნენ. გაიოზს კაკალა ამოუდგა გვერდით: „ასე დადიოდა, ა... ასე იხედებოდა, — კაკალას უყვარდა თავისი პირველი დირექტორის გახსენება, — მერე გარეგნობა? ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ იცოდე შენ. განსაკუთრებით დირექტორისთვის... უგალსტუკოდ? ნუ-რას უკაცრავად. რომელი მამაკაცი გამოცხადდებოდა სკოლაში უგალსტუკოდ... სამასწავლებლოში რომ შემოვიდოდა, ხმას გავკმენდლით ყველა, წამოვბტებოდლით. ვინ გაბედავდა მის წასვლამდე დაჯდომას. ხმადაბლა იტყოდა სალამს და გაიხედ-გამოიხედავდა, შეგვათვალეირებდა ასე, ა... შეგვაერი-ალეზდა ტანში. აი, კაცი. რასაც იტყოდა, ბეჭდიანი იყო. არცერთი სიტყვა ზედმეტი. ეეს? ეს სულ აქ ზის. ვერც ვაარჩევ სხვისგან. კაცს არ უნდა ეტყობოდეს, დირექტორი რომაა? ზის და კოსტა გოთუას ჭადრაკს ეთამაშებდა. რის თამაში. იის? თამაში კი არა... ელეთ-მელეთი მოგვდიოდა ყველას, დიდსა და პატარას, ეზოში ფეხს რომ შემოდგამდა“. „არა თუ? — თქვა ბონდომ, — მამაჩემს რა ვუთხრა, თორემ მეც კე ვიქნებოდი ერთი ვაყვაცი ამ ქვეყანაზე. კი, ნამდვილად. რა დამიშა-

ვა? მათრახით რომ არ მცემდა, ბატონო, ის დამიშავა. ერთხელ მაინც შემოერთყა, გელაპარაკები, სამახსოვროდ. სულ თავზე მისვამდა ხელს, ჩემო მოსწრებულო, ჩემო ვაჟაკოო... ვაჟაკი ვარ ახლა მე?" „როგორ, ვაჟაკობა ვაკლია, ბონდო, შენ?“ შეაწყვეტინა ლექსომ. „ვაჟაკი კი არა, თხლე ვარ... დიდი ბოდიში ამ სიტყვისათვის. ერთი ამხანაგი მყავდა, ჩემთან იჯდა მერხზე, როსტომა ნიორაძე, კი გეხსოვებათ. ვინ არ იცნობს ახლა როსტომას. წიგნი გამოსცა ამასწინათ, პროფესორია კაცი. მე რომ ერთს გადავავლებდი თვალს გაკვეთილს, იგი თხუთმეტჯერ წაიკითხავდა და, თუ დამიჯერებთ, მე ვპასუხობდი მასწავლებელს უკეთესად. მარა ცხოვრებაში მაინც მაჯობა კაცმა... რით, არ იკითხავთ? ორიანს რომ მიიღებდა, მამამისისგან იმ დღეს გვარიანი ცემა-ტყევა ჰქონდა გამოწერილი. ისე ურტყამდა, ისე გაიმეტებდა, სიგრძეს სიგანედ მოუქცევდა. ან მოკვდი, ან ისწავლეო. მერვეში რომ გადავედი და ორიანებიც რომ მომიბრავლდა, მამაჩემმა მითხრა, მაგისტვის დროის კარგვა რა ვაჟაკობააო, ჩემთან წამოდი, ხელობა ისწავლეო. წამიყვანა და შემსვა ლოჯეზე. მე, სულელი, ვამაყობდი, კაცი ვარ და კაცურ საქმეს ვაკეთებმეთქი. სად ხარ, თურმე, რა ყრია ეროსა და ქუშტარაში. როსტომამაც დააპირა მერვე კლასიდან გამოსვლა, საზღვაო სასწავლებელში გამიშვითო, ეხვეწებოდა მშობლებს. მამამისმა უთხრა, გიჩვენებ მე შენ ზღვასო, მაინცდამაინც წყალში გინდა ხომ დაიბრჩოო, დაგახრჩობ აგერ ბარემ ჩემი ხელით, ზღვაში საძებარი აღარ მეყოლებიო. ჩაასხა მოზრდილ ტაშტში ორი ვედრო წყალი, ჩააყოფინა შიგ როსტომას თავი და, გელაპარაკები, ახრჩობდა კაკალ კაცს. რალას იზამდა საწყალი ბიჭი, გააგრძელა სწავლა, დაამთავრა სკოლა და შევიდა უმაღლესში. პროფესორია დღეს. ამასწინათ შეხვედრა მოვაწყვეთ, სკოლის დამთავრების ოცი წლისთავი. მიმიბატიეცს ტყუილად, სამადლოდ,

თორემ მე ხუთი წლის მერვეში დამვათავრე სალაშოს სკოლა. ამხანაგები იყვნენ მაინც და აღარ გამომტოვეს, მაგრამ ვის ვუჩანდი თვალში. როსტომა კი სუფრის თავში იჯდა გაბღენძილი. შეიდჯერ მაინც აღდეგრძელეს, სკოლა, კლასი, სოფელი, რაიონი ასახელაო... „იქნება მაინც შეზღაურობა ერჩივნა?“ — იკითხა ნანამ, ფრანგული ენის მასწავლებელმა. „როგორ გეკადრება! არ ვკითხე, გგონია? მეც მაინტერესებდა მაგ საკითხი. სულელი ვიყავიო, მითხრა, დაედვიარ ამ დალოცვილ მიწაზე მშვიდობიანად და ქე ვარო. მამაჩემს ვენაცვალე იმ კოყრიან ხელებშიო... ჩემს საქმეს რაღა ეშველება ახლა, თორემ ჩემს შვილებს არ ვათქმევინებ ჩემზე აუგს. არ დაეტოვებ უსწავლელს. აბა, ერთი ნუ ისწავლიან, ნუ დამიჯერებენ და როსტომას რომ შეახურებდა მამამისი, ის მონაგონი იქნება...“ გაიოზი საათზე იხედება, იწურება დიდი დასვენება. კაკალა ისევ თავის დირექტორზე ლაპარაკობს. გაიოზი თავშეკავებულად, თავაზიანად იღიმება. ხანდახან თავს დაუქნევს, ნიშნად იმისა, რომ ყურადღებით უსმენს. „რა თქმა უნდა, — ჩაურთავს ზოგჯერ, — ცხადია...“ კაკალასაც მიაჩნია, რომ გაიოზი მისი თანამოაზრეა: „ოო, მაგარი იყო... ვაჟაკი... წესრიგიც ჰქონდა... ეე? ვახსოვს, ქუტიძე რომ დავიპირეთ, მასწავლებელს მაგიდაზე ოქროს საათი რომ აართვა? იმის მაგივრად, რომ მილიცია გამოეძახებინა და ქურდი ჩაეზარებინა, კაბინეტში შეიყვანა და... არ ვახსოვს? ახალი იყო მაშინ, მაგრამ ასეთი რამ მაინც არ უნდა დაემართოს დირექტორს. მთელი სკოლა იცინოდა მერე. სკოლა? მთელი სოფელი. შეიყვანა კაბინეტში და, ჯერ კი ისმოდა ყვირილი, როგორ გაბედეს, ისე აითო და ასეთო, შემომაკვდებო. მაგრამ მერე მიწყდა ლაპარაკი. ვდგავართ კაბინეტის კარებთან გაფაციცებული, ნეტა მართლა ხომ არ შემოაკვდა, რატომ არაფერი ისმისო. ბოლოს ფრთხილად შევალეთ კარი და რას ვხედავთ, სხე-



დან და შაშს თამაშობენ. მერე ქუტი-
ძე თვითონ იცინოდა, ქვეყანას მოსდო
ეს ამბავი. თუ მომიგებ, არ გაგრიცხავ,
თვარა შენით წადი, გადადი სადმე, მი-
თხრაო. მეც მოვუგე და მაპატიო, აბა
რალას იზამდაო“.

ისტორიის მასწავლებელი დინჯი,
უჩქარებელი კაცი იყო, არ გადადგამ-
და მოუფიქრებელ ნაბიჯს, იშვიათად
იტყოდა რამეს, რაც სათქმელი არ იყო,
რადგან დაცდილი ჰქონდა, ყოველთვის
ფიჩი უჯდებოდა ერთი ზედმეტი სიტ-
ყვაც კი. ახლაც ასე დაემართა. ხუთნი
თუ ექვსნი ისხდნენ სუფრასთან. არავინ
არ იყო უცხო და გარეშე. აღდგარქე-
ლეს და ვილაყამ პირში უთხრა, თქვენს
სკოლაში ამ ბოლო დროს დისციპლინა
მეტისმეტად მოიკოჭლებსო. მაშინ თქვა
გაიოზმა, უფრო სწორად, წამოცდა,
ჩვენი სკოლა მალე მთელ რაიონში სა-
ნიმუშო გახდება, ოღონდ ჯერ დირექ-
ტორმა, პეტრე ჰანიშვილმა, ბარგი უნ-
და აიკრასო. „ბარგი აიკრას? — იცი-
ხა წესრიგის დამწუნებელმა, — ხსნიან
თუ?“ წყალი აქვს შემდგარიო, თქვა
გაიოზმა და მაშინვე იწანა. დღეს კი
პეტრემ კაბინეტში დაუძახა და ჰკითხა,
რამე ახალი ამბავი ხომ არ გაგიგიაო.
ეს კითხვა ისეთი ტონით იყო დასმული,
მაშინვე მიხვდა გაიოზი, რა ამბავიც
ჰქონდა დირექტორს მხედველობაში.
„რა ამბავი?“ „რა ვიცი, თურმე წყალი
მქონია შემდგარი და...“ გაიოზმა გვე-
რღზე გაიხედა. უნებურად აარიდა მზე-
რა პეტრეს გამკოლ. წვრილ თვალებს.
პეტრე სახეში უმზერდა. დირექტორს
არ უყვარდა გაიოზი. გაცნობისთანავე,
სკოლაში მოსვლის პირველ დღესვე
კუდი თვლით შეხედა. ამას, ეტყობა,
თვითონ უნდოდა დირექტორობაო, გა-
იფიქრა მაშინ და ეს აზრი შემდეგ კი-
დეც უფრო განუმტკიცდა.

— უნდა იცოდე ამოდენა კაცმა, რას
ლაპარაკობ.

ჯარგად ვიცი, რასაც ვლაპარაკობო,
ჩაიბურტყუნა გაიოზმა, ისე რომ პოზა
არ შეუცვლია, ფანჯარაში იცქირებოდა.

სკოლის ეზოში ცოდვის კედლის
გოგოები წივილ-კივილით გარბოდნენ,
ერთმანეთს ეფარებოდნენ. მშველელს
უხმობდნენ. ვაი მას, ვისაც გუნდა მო-
ხედებოდა. მზიანი, თბილი დღე იყო.
სწრაფად დნებოდა თოვლი. ბიჭები ტა-
ლახიან, ტყვიასავით დამძიმებულ
თოვლს მაგრად წურავდნენ, დაუნდო-
ბლად, შეუბრალებლად ესროდნენ ერ-
თმანეთს, დიდსა და პატარას. შუი-
ლით მიფრინავდა გუნდა, ტრიალებდა
და წყლის შხეფებს ისროდა. „მხეცე-
ბი! — ფიქრობდა გაიოზი, — აი, ნამ-
დვილი მხეცები“. სადღაც მინამ დიწკ-
რიალა და აღტაცების ყიფიაც გაისმა.
„უხარიათ კიდევ, — გაიოვო გულში
ისტორიის მასწავლებელმა, — არავინაა
პატრონი და რა ენაღვლებათ“. პეტრე
კარს მივარდა. „ახლავე მომგვარეთ!“
— იყვირა და ისევ კაბინეტში შემო-
ბრუნდა. ამიხსენი მაინც, მიძარბა გაი-
ოზს მშვიდი ხმით, რა წყალი მაქვს შემ-
დგარი, როდის და რატომ უნდა ავიყრა
ბარგი. ასეთი უსაშველო რა დავაშა-
ვეო. „რატომ? — იფეთქა გაიოზმა, —
არ იცი ვითომ? ამ სკოლაში ძალიან პა-
ტრონს რომ ვერა ცნობს, იმიტომ. სკო-
ლა კი არა ბაზარია, საქვეყნოდ ვართ
გალანძლული, თავმოჭრილი“. „ასეა ვი-
თომ? კარგი, ეთქვათ ასეა... ვინი ბრა-
ლუა მერე?“ „ვერ ხედები, ხომ?“ „ვე-
რა“. „თვითონ ხარ ყველაფერში დამ-
ნაშავე. თვითონ, სკოლის დირექტორი,
ხელმძღვანელი“. „შენ კი, მასწავლე-
ბელს არაფერი მოგეთხოვება? ყველა-
ფერზე მე უნდა ვაგო პასუხი? ყველა-
ფერი მე უნდა გავაკეთო?“ „კი, ბატო-
ნო, მეც მომეთხოვება. ვინ ამბობს,
არაო. მაგრამ შენ დირექტორი ხარ და
შეაკრად უნდა მოსთხოვო ყველას, ესაა
შენი მოვალეობა. პირველ რიგში კი
ჩვენ — მასწავლებლებს. სწორედ აქე-
დან უნდა დაგვეყო“.

ახ, ასე? რჩევისათვის დიდი მადლო-
ბაო, უთხრა პეტრემ. ახლავე დავიწყებ.
სწორედ შენით. აბა, ერთი გაკვეთი-
ლების გეგმა მაჩვენე. არ გაქვს? არ გე-
ქნება, ცხადია. გაიოზ ნაკაბიძეს როგორ

ეკადრება გაკვეთილების გეგმა დაწეროს. მისი უმაღლესი მოწოდებაა სხვებს ჰკუთასწავლოს. გეგმის დასაწერად როგორ გაცდება. იქნება არც ის იცოდა, დღეს მორიგე რომ იყო და სხვებზე ადრე უნდა გამოცხადებულიყო სკოლაში? არც ეს ეკადრებოდა ალბათ. გაიოზი დუმდა. მისი დუმილი კიდევ უფრო აღიზიანებდა დირექტორს. ნელ-ნელა აუწია ხმას. გაიოზმა შეახსენა, ნუ მიყვირი, ყრუ არა ვარო. პეტრე წამით გაჩუმდა. ახედ-დახედა გაიოზს. მერე ხმადაბლა, წყნარად განაგრძო, დაჯეკი, ახსნა-განმარტება დამიწერე, რატომ არა გაქვს გაკვეთილების გეგმა, შრომის დისციპლინას რატომ არღვევო.

დირექტორის კაბინეტიდან რომ გამოდდი, სასწავლო ნაწილის ჯამგე ამოუდგა მხარში, გაკვეთილზე უნდა დაგესწროო. აშკარა იყო, მის წინააღმდეგ ერთიანი იერიში იწყებოდა. უსიტყვოდ აიღო მეშვიდე კლასის ეურნალი. მამ ასე, ახლა ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდება, ენახოთ, ვინ ვის... გაკვეთილი შეტისშეტად უფერული და უხეირო გამოუვიდა. თვითონვე გრძნობდა ამას. გუშინ თბილისში იყო, დილის მატარებლით ჩამოვიდა და პირდაპირ სკოლისაკენ გამოსწია. არც შეუვლია შინ, ისედაც აგვიანდებოდა. გეგმაც იმიტომ არ ჰქონდა. კარგად შეურჩიეს დრო.

ლექსო წერდა და წერდა. არ გაუჩე-რებია ხელი მთელი ორმოცდახუთი წუთი. რა ჰქონდა მაინც ამდენი საწერი, რა ნახა ასეთი? მოსწავლეებს კონსპექტები შეუმოწმა, ჩაინიშნა რაღაც. წამით თუ ასწევდა თავს, კლასს შოათივალეირებდა მოკუტრული თვალებით. ბეკი იყო და როცა სათვალე არ ეკეთა, თვალებს უცნაურად ჰუტავდა, სახეს მანჯავდა და თან თავს აკანტურებდა. ხელს მაინც არ აჩერებდა, კლასს ათვალეირებდა და წერას განაგრძობდა. დიდი ამბავი, გაკვეთილი თუ არ გამოუვიდა. კაცმა რომ თქვას, ლექსო ცუდი კაცი არ იყო. არ სჩვეოდა მიყე-

რძობა, სიმართლის თქმის უყვარლად ტყუილ-უბრალოდ არავის აუშარდებოდა, თავის სათქმელს ყველას თამამად ეუბნებოდა, დიდსაც და პატარასაც. მართალი კაცი იყო, ნაკითხი, განათლებული, პატიოსანი, პირდაპირი. რაში დასჭირდა ახლა, პეტრეს დუდუჯზე რომ ცეკვავს? ან იქნება ეჩვენება და სულაც არაა საქმე ისე, როგორც მას ჰგონია? სხვა დროსაც ხომ დასწრებია გაკვეთილზე, სხვებსაც ხომ ესწრება. ესაა მისი მოვალეობა. წერა კი საერთოდ უყვარს. რვეული რომ არ გაავსოს, არ შეუძლია. ყველაფერს იწერს და ინიშნავს, ყველა წერილმანს. იქნება ახლა სულ სხვა რამეს წერს? სხვაგან ჰქრის იქნებ მისი გონება? წეროს, ბატონო, რაც უნდა და რამდენიც უნდა. არავინ უშლის. გაიოზს მალე დაავიწყდა კიდევ, სასწავლო ნაწილის ჯამგე რომ ეჯდა გაკვეთილზე. ზურიკო გამოიძახა, ზურიკო ნაკაიძე. ამ ბიჭის იმედი ყოველთვის ჰქონდა. ხუთოსანია პირველი კლასიდან. ერთი ოთხიანიც არ მიუღია ჯერ. ასეც უნდა იყოს. ზურიკოზე ნაკლები არც მეორეა, — ირაკლი. იგი შეექვსე კლასშია. ისიც ხუთოსანია. ლექსომ თავი ასწია და ზურიკოს დააკვირდა, ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა. კარგი ბიჭი ჰყავს გაიოზს. ზურიკო სხაპასხუპით, თამამად ლაპარაკობდა: „მონღოლების მთელი ძლიერება სამხედრო წესრიგს ემყარებოდა. თემუჩინმა თავისი ურდო სამხედრო ბანაკად აქცია. მამაკაცები დაყო ათეულებად, ასეულებად და ათასეულებად. ერთის დანაშაულისათვის ათს აგებინებდა პასუხს, ათივეს გაიმეტებდა სასიკვდილოდ, შეუბრალებლად გაწყვეტდა ასეულსაც კი“... მიდი, მიდი, ზურიკო. რა სწრაფად გარბის დრო. თითქოს გუშინ იყო, აკვანში რომ ჩხაოდნენ ორივენი. გაიოზს უნებურად თავისი მიხვეულ-მოხვეული, აღმართ-დაღმართიანი ცხოვრების გზა წარმოუდგა თვალწინ. მისთვის ფათერაკიანი გამოდგა დამოუკიდებელი ცხოვრების პირველივე წელი. ისტორიის მასწავ-



ლუბლის დიპლომით ხელში იგი მეზობელი სოფლის რეაქციონ სკოლაში გაგზავნეს სამუშაოდ. ინსტიტუტში გამოირჩეოდა ყოფაქცევითა და სწავლით. ყველას იმედი ჰქონდა, ლექტორებსაც და ამხანაგებსაც, რომ გაიოზი „შორს წავიდოდა“, მალე დაწინაურდებოდა სკოლაში ან სხვა სარბიელზე. მაგრამ სკოლამ პირველსავე წელს გაუცრუა იმედი გაიოზს. ყველაფერში კი მერვე კლასი იყო დამნაშავე. ადრე გაიოზი ვერასგზით ვერ წარმოიდგენდა, რომ ერთად თავმოყრილს ნახავდა ამდენ უქნარა, თავხედ, უზრდელ, არანორმალურ ბავშვს. ეს რა ხალხს შევეყარეო, ფიქრობდა გაკვირვებული, საიდან მოვიდნენ, სად გაიზარდნენო. პირველ დღესვე, პირველივე გაკვეთილზე დაუშვა შეცდომა, მოსწავლეებს მეგობრულად გადაუშალა გული, დამწყები, გამოუცდელი მასწავლებელი ვარ და თქვენი მხარდაჭერის იმედი მაქვსო. მართალია, ახლახან უმადლესი დავამთავრე, მაგრამ ნამდვილი ინსტიტუტი ჩემთვის ახლა იწყებაო, თქვენგან ბევრი რამის სწავლას ვაპირებო. ერთმანეთს პატივი ვცეთ, ვისწავლოთ და ვიმეგობროთო. მერე რამდენიმე ეპიზოდი გარხენა თავისი ბავშვობიდან და სტუდენტობიდან. რა გულუბრყვილო იყო მაშინ გაიოზი, რა იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე. გვარიანად აცინა და ამხიარულა მოსწავლეები იმ პირველ, საბედისწერო გაკვეთილზე. ბავშვებმა იფიქრეს, ეს მთლად ჩვენი ჰქუის ყოფილო და თვითონაც გაიხსენეს მხიარული ამბები. ერთი სიტყვით, პირველმა გაკვეთილმა დიდი ურთიერთგაგებისა და პატივისცემის ატმოსფეროში ჩაიარა. შემდეგი გაკვეთილიდან კი გაიოზის ჭვარცმა დაიწყო, ასე რომ, ახალბედა მასწავლებელი მალე სულ სხვა ხმაზე აქიყციკდა. მისი ყვირილი მთელ სკოლას აზანზარებდა, მაგრამ „პატარა მეგობრებზე“ არაფერი აღარ მოქმედებდა. გაიოზი გააფთრებული დარბოდა მერხებს შორის, ვის ჰოჩორზე წაავლებდა ხელს და დაითრევდა, ვის ღონიერად

შეანჯღრევდა, ვის ყურს მუხრავდა. ვის გარეთ გააგდებდა, ვის დირექტორთან შეიყვანდა ან მშობელს დაუბარებდა. ამ კლასში ამო იყო ყველაფერი. რის მეგობრობა, რის ურთიერთპატივისცემა. გაკვეთილი ისე არ გავიდოდა, ნერვებაშლილი, თავმოძლებული მასწავლებლისათვის ბავშვებს რამე ოინი არ მოეწყობო: ხან ცარცით გაუთხუპნიდნენ სკამს, ხან მელანს შეასხამდნენ ახალთახალ ხალათზე, ხან დაფისკენ მიბრუნებულს სველ ქალაღს მოარტყამდნენ ყურისძირში წიპწიპათი, ხან თოფისწამლით დატენილ ვაზნას ჩაუგდებდნენ ღუმელში და მთელ სკოლას ფეხზე დააყენებდნენ, ხან გაკვეთილიდან გაეპარებოდნენ. ბოლოს გაიოზმა ველარ მოითმინა და ერთ-ერთ მოსწავლეს, რომელიც ყველაზე მეტად იყო თავაშვებული და გაათავებებული, სილა გაართყა. ეს გართყმა უფრო სიმბოლური იყო, ვიდრე მტკივნეული, მაგრამ ბიჭს ახალი მასწავლებელი გულზე არ ეხატებოდა და მასზე ჭაერის ამოყრა მოინდომა. — იმდენი ისრისა ცხვირი, იმდენი უხახუნა მერხს, რომ სისხლი წამოიღინა, რითაც მაშინვე მოითხუპნა სახელოები და გაიოზს დიდის ამბით დაემუქრა, ამას არ გაპატიებ, ახლაც წავალ და გიჩვილებო. გაიოზმა იმ დღესვე დაწერა განცხადება, ოჯახური პირობების გამო სკოლას თავს ვანებებო და პასუხისთვის არც დაუცდია, შინისაკენ გასწია. ამის შემდეგ სკოლის გახსენებაზეც კი ტანში უსიამოვნოდ აყრეოლებდა. რაც კი შეეძლო, ცდილობდა ამოეშანთა თავისი ცხოვრებიდან ის რამდენიმე თვე, მასწავლებლობას რომ შესწირა. საშინელი თაობა მოდისო, იტყოდა ხოლმე, რა გვეშველება, ესენი რომ გაიზრდებიანო. ცოლი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, არ იზიარებდა გაიოზის აზრს მომავალ თაობაზე. გაიზრდებიან და სავსებით ჩვეულებრივი ადამიანები იქნებიანო, ამტკიცებდა იგი. მოსწონდა თავისი პროფესია. გაიოზს აზრი არც მან შემდეგ

საქართველოში
შეგზავნილია

შეუცვლია, მასწავლებლობის მიტოვებიდან ათიოდე წლის შემდეგ იმ ბიჭს რომ შეხვდა, ვინაც სკოლა შეაბულა. ბიჭი კი არა, უკვე ვაჟაკი იყო, ჩამოყალიბებული, თავაზიანი, განათლებული. ყოველშემთხვევაში საზოგადოებაზე ასეთ შთაბეჭდილებას ახდენდა. სახელად ბაადური ერქვა (გაიოზს არც ახსოვდა მისი სახელი). გაიოზი რესტორანში იჯდა და სადილობდა. რესტორანში ხალხმრავლობა იყო. შორეულ კუთხეში კარგა მოზრდილი კამპანია შეყრილიყო და ისმოდა ხმამაღალი სადღეგრძელოები. ის იყო, გაიოზმა სადილობა დაამთავრა და ადგომას აპირებდა, რომ ოფიციალტი გამოცხადდა მასთან და შამპანური მოართვა, ბაადურმა გამოგიგზავნათო, თან ხელით ანიშნა ხალხმრავალ კამპანიაზე. გაიოზმა თავის ნაცნობ-მეგობრებს შორის ერთი ბაადურიც ვერ აღმოაჩინა და მომტანს უთხრა, მისამართი შეგეშალათო. თქვენ ხომ გაიოზ ნაკაიძე ბრძანდებითო, ჰკითხა ოფიციალტი, მაშინ არავითარი შეცდომა არაა, ეს ლენო ბაადურმა ნამდვილად თქვენ გამოგიგზავნათო. ამ ლაპარაკში იყვნენ, რომ თვითონ ბაადურიც მოვიდა და გაიოზმა, როგორც იქნა, ამოიწყო მასში მისი სკოლიდან გამძევებული მოსწავლე. ბაადური არაფრით არ მოეშვა, თავისი მასწავლებელი სუფრაზე მიიწვია, საპატიო ადგილას დასვა და ფეხზე ამდგარმა მთელი რესტორნის გასაგონად განაცხადა, გაიოზ ნაკაიძე ჩემი ყოფილი პედაგოგია და თუ კაცი გამოვედი, თუ მეც გავიკვლიე ამ ცხოვრებაში გზა და პატიოსნად ვდგავარ საზოგადოების სამსახურში, მისი დამსახურებააო. გაიოზისთვის ისე მოულოდნელი იყო ეს განცხადება, რომ დაიბნა, წამით გულიც კი აუჩუყდა და კინაღამ შეიცვალა თავისი აკვირებული რწმენა. მასწავლებლობა არც ისე ცუდი საქმე ყოფილაო, გაივლო წამით გულში, მაგრამ გარეთ გამოსული, მარტო მიმავალი სულ სხვა რამეს ფიქრობდა: ისევ ისეთი ურცხვი და უტიფარი დარჩენილა ეს ჩვენი კა-

ცად გამოსული და საზოგადოებრივ სამსახურში ჩამდგარი ბაადური, როგორც ამ ათი წლის წინ იყო. საიდან დაასვენა ეს თვითონაც არ იცოდა. ცოტა არ იყოს, ნანობდა კიდევ, ეს ჩემი შეხედულება იქვე, სუფრაზე თამამად რატომ არ გამოვთქვითო. რამდენჯერაც გაახსენდებოდა ბაადური, სულ წუხდა, რატომ გული არ მოვიფხანე, ნეტავ კიდევ შემხედებოდესო. ნატვრა მალე აუსრულდა. ორიოდ თვის შემდეგ რაიკომში დაიბარეს რაღაც საქმეზე. ავტობუსიდან რომ ჩამოვიდა, ქალაქის პარკის ჭიშკართან ბაადური დაინახა, გაზეთის ჭიხურთან იდგა, ვიტრინას ყურადღებით ათვალიერებდა, დროდადრო საათზე მოუთმენლად იხედებოდა. გაზეთის გამყიდველს ელოდა. ბაადურმა მაშინვე შენიშნა რაიკომის შენობისაკენ ჩქარი ნაბიჯით მიმავალი გაიოზი და მოწიწებით დაუკრა თავი. გაიოზს ეჩქარებოდა, მაგრამ ამ შემთხვევის ხელიდან გაშვებაც არ უნდოდა. ქუჩა გადმოსჭრა, ბაადურს არც კი მიესალმა, პარკში შევიდეთო, შესთავაზა, ორიოდ სიტყვა მაქვს სათქმელიო. ბაადურიც შეჰყვა. კარგ გუნებაზე იყო, რაიონული გაზეთის დღევანდელ ნომერში მასზე მოზრდილი ნარკვევი უნდა ყოფილიყო დაბეჭდილი. ამიტომაც ულოდებოდა ასე მოუთმენლად კიოსკერს, უნდოდა ერთი ათიოდე ცალი გაზეთი ეყიდა. ნაცნობ-მეგობრებს დაუფრთხვებდა, ურიგო არ იქნებოდა, თუ ერთ ცალსაც თავის ყოფილ მასწავლებელს აჩუქებდა. უეჭველია, გაზეთი გამოწერილი ექნება, მაგრამ ხომ შეიძლება ამ წერილს ყურადღება არ მიექციოს და წაუყითხავი დარჩესო, გაივლო გულში. ერთხანს მდუმარედ დადიოდნენ პარკში. ბაადური სმენად იყო ჭეცული, გაიოზს კი, რით დაეწყო, არ იცოდა. ისიც კი გაიფიქრა წამით, იქნება არც კი ღირს ამაზე ლაპარაკიო. შერეულებს ჰკითხა, მეხსიერება როგორი გაქვსო. არ ვემდურით, მიუგო გაკვირვებულმა ბაადურმა. „ჩემი მასწავლებლობა გახსოვს?“ „როგორ არა, პატივ-



ცემულო“. „როგორ გეყო თავხედობა, სუფრაზე რომ მიმიპატიყე მაშინ?“ ბა-
ადური დაიბნა, სახეზე წამოენთო:
„თავხედობა? თავხედობა რა შუ-
აშია, ბატონო გაიოზ? თქვენი პა-
ტივისცემა მინდოდა“. „ვითომ პა-
ტივს მცემ, ხომ?“ „როგორ არ გცემთ
პატივს, მასწავლებელი ბრძანდებო-
დით ჩემი“. „იცი, რას გეტყვი, ყმა-
წვილო? მე პირადად მიმიფურთხებია
შენი პატივისცემისათვის და შენი პურ-
მარილისთვისაც... მაშინ არაფერი გით-
ხარი იმდენ ხალხში, თორემ ღირსი კი
იყავი... ძალიან ცდები, თუ გგონია,
რომ შენგან როდისმე კაცი გამოვა...
რაც იყავი ათი წლის წინ, ის იქნები
ოცი წლის შემდეგაც... ვიზრდებით და
ვბერდებით მარტო. არაფერი იცვლება
მეტი. ვერ მოატყუებ შენ ვერავის ამ
ქვეყანაზე“. ამ სიტყვებით დაუმშვიდო-
ბებლად შიატოვა ბაადური და თავის
საქმეზე გასწია.

სკოლიდან წასული კარგა ხანს სასო-
ფლო საბჭოს მდივნად მუშაობდა. იჯდა
თავმჯდომარის კაბინეტის გვერდით პა-
ტარა ოთახში, სადაც ერთი მაგიდა,
რამდენიმე სკამი და ქაღალდებით გა-
მოტენილი ორი კარადა ძლივს ეტეო-
და და განუწყვეტლოვ რაღაცას წერდა.
ვის ახალი პასპორტი სჭირდებოდა, ვის
ჩაწერა ან ამოწერა, ვის ცნობა საცხო-
ვრებელი ადგილიდან. აშკარად არ მო-
სწონდა თავისი სამუშაო და არც მალა-
ვდა ამას. ცოლი ურჩევდა, ისევ მას-
წავლებლობა გირჩევნია, სთხოვე განა-
თლების განყოფილების გამგეს, იქნება
რომელიმე სკოლაში ისტორიის გაკვე-
თილები გამოჩნდესო. გაიოზი ზიზლით
აიქნევდა ხელს, სამხეცეში ჩემი ნებით
მეორედ თავს აღარ შევეყოფო. რა შუა-
შია სამხეცე? შეეპასუხებოდა დალი,
ბავშვები სულაც არ არიან მხეცეში.
ბავშვები უბრალოდ ბავშვები არიან,
მორჩა და გათავდა. უნდა მიუდგე, სა-
ერთო ენა გამოძებნოო. შენ როგორც
გინდა მიუდექი, არ გიშლიო, ეტყოდა
გაიოზი, მე კი თავი დამანებეო. მე ჩე-
მი ორი მოზვერი (ირაკლი და ზური-

კო) მეყოფა. ამ ორს გამარჯობდი მე,
როგორც სჭირია, ამ ორზე პასუხს თავ-
ვით ვაგებო. დალი ეკამათებოდა ქმარს,
ცდილობდა დაეყოლიებინა, მაგრამ გა-
იოზი პრინციპული კაცი იყო, აზრს
ადვილად ვერ შეაცვლევინებდი. ერთი
კი იყო, თავის დაპირებას, ჩემს შვი-
ლებს მე თვითონ მოვუვლიო, პირნათ-
ლად ასრულებდა. ბიჭებს მკაცრად ეპ-
ყრობოდა. აქ გამოადგა თავისი მწარე
გამოცდილება. არ ათამამებდა მათ, არ
ანებიერებდა. ბიჭებს მამის ეშინოდათ;
მის უბრალო ხმის აწევაზე, უბრალო
გამოხედვაზეც კი მუხლები უკანკალე-
ბდათ. ნამეტანს შვრებაო, ფიქრობდა
დალი, მაგრამ გაიოზმა იცოდა, რასაც
აკეთებდა. კაცმა რომ თქვას, შვილებზე
ნაკლებად არც ქალს ეშინოდა მისი.
იშვიათად უბედავდა სიტყვის შებრუ-
ნებას, სულ თვალეში შეპყურებდა, რა
გაუხარდება და რა ეწყინებო. თვითო-
ნაც ვერ მიმხვდარიყო, რით დათრგუნა
და დაიმორჩილა ქმარმა ასე.

„თუ არ დაგვებმარებით, დღეს ჩვენ
ამოგველეტენ და ხვალ კი — თქვენო,
განუცხადეს ყივჩაღთა ელჩებმა რუსე-
თის მთავრებს. მთავრებმა გადაწყვი-
ტეს დახმარებოდნენ ყივჩაღებს. ბრძო-
ლა მოხდა მდინარე კალკასთან...“

ლექსომ წამით შეაჩერა წერა და
თვალეზმოჭურული ზურიკოს დააკვი-
რდა. ოდნავ შესამჩნევად ილიმებოდა.
შეატყობდი, ნასიამოვნები იყო. მად-
ლობა ღმერთს, ამ კაცს ძლივს რაღაც
მოეწონაო, გაბვლო გულში გაიოზმა.

საბჭოში მდივნად მუშაობამ მალე
გაუწყალა გული. უფრო მეტიც — ყე-
ლში ამოუვიდა. აღარ შეეძლო მეტი.
უკვე გაქცევაზე ფიქრობდა. ამას უწი-
ნასწარმეტყველებდნენ ინსტიტუტში
ლექტორები და ამხანაგები? ეს იყო
შორს წასვლა? დაწინაურდა, როგორ
არა! მიდი და დაწინაურდი, თუ ბიჭი
ხარ! კოლმეურნეობაში ბრიგადირის
ადგილი გამოჩნდა და თავმჯდომარემ
უთხრა, თუ გირჩევნია, გადმოდიო. ერ-
ჩივნა, როგორ არა. გარეთ მაინც გაიე-
ლიდა, სუფთა ჰაერზე; ამას ისიც დაე-

საქართველო

მთხვა, რომ საბჭოს თავმჯდომარესთან რაღაც ჩახლართულ, საეჭვო საქმეზე ჩხუბი მოუვიდა, კაბინეტის გასაღები მიუტვლო და კოლმეურნეობაში გადავიდა. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიოზს არც აქ გაუმართლა. მის პატარა ბრიგადაში ათიოდე შრომისუნარიანი მამაკაცი იყო და ათივე ზარმაცი, მუქთახორა, ლოთი და ყვიამყრალი. კეტით უნდა გამოგერეკათ სამუშაოზე. კარგად რომ მოშუადღევედებოდა, მაშინლა გამოძვრებოდნენ სახლებიდან მხარზე თოხგადებულები, ღელის პირას კაკლის ჩრდილში შეიყრებოდნენ, მოზრდილ ქვებზე ჩამოსხდებოდნენ, ან რბილ ბალახში წამოწვებოდნენ, გააბოლებდნენ, დაიწყებდნენ ყბელობას, ხორხოცს. საათნახევარს წაიშუშავედნენ, მერე ყანის ბოლოში სუფრას გაშლიდნენ და დალამდებოდა ამასობაში. აღელვებულ, აღშფოთებულ, განრისხებულ ბრიგადირს ასე ამშვიდებდნენ: ხვალაც ამ თვისაა, აჩქარებით სოფელი არავის მოუტყამია, ვინც იჩქარა, კი გეცოდინება, სადაც მივიდაო... გამომთვრალეები გასწევდნენ შინისაკენ და მერე დღეს თავიდან იწყებოდა ყველაფერი. იქით თავმჯდომარე ლანძღავდა გაიოზს, ბრიგადა ჩამორჩაო, აქეთ კოლმეურნეები — ეს ვინ ოხერია, რას დაგვჩხავის თავზე, მაგას ხომ არ ეშლებოდა რამე, ბრიგადირია, თავი დიდი ვინმე ხომ არ ჰგონიაო.

დილიდან საღამომდე მხარზე ბრიგადირის ჩანთით, ფეხზე ჯარისკაცული ჩექმებით, ბირკითა და ხოზიკით დაფარული ტანსაცმლით დარბოდა გაიოზი ჩაის პლანტაციებში, სიმინდის ყანებში, ციტრუსების ბაღებში. შუადღით და საღამოთი მიმღებ პუნქტზე წამითაც არ უნდა მოეშორებინა მზერა მწონავისთვის, რომელსაც მეჩაიების გაღლეტაზე ჰქონდა თვალი და ყური გაფაციცებული. ზოგი მეჩაიე აქეთ ცდილობდა ბრიგადირის მოტყუებას, კოლექტივის ჩაის კერძოდ ჩაბარებას. მერე იმაზე უნდა ეზრუნა, მოკრეფილი ფოთოლი დროზე ჩატანათ ჩაის ფაბრი-

კაში. ზოგჯერ მიმღები პუნქტის ფარადული მოკრეფილი, გადაუზიდავი ფოთლით ივსებოდა. ჩაი ფუჭდებოდა, მაგრამ ფაბრიკას არ მიჰქონდა, რადგან არც იქ იყო ტევა. დაიწყებოდა ერთი ჩხუბი და დავიდარება. ყველა ბრიგადირს ატეხდა ზურგზე ჯოხს, დიდიც და პატარაც. წინ წყალი და უკან მეწყერიო, ფიქრობდა გაიოზი, ვაის გავეყარე და უის შევეყარეო... მერე თავმჯდომარე უნდა გამოცვალონო, ატყდა მითქმა-მოთქმა. ერთ საღამოს გაიოზი რაიკომის მდივანს ესტუმრა ბინაზე. სთხოვა, თუ ძალიან გადაღლილი არა ხართ, ან საქმით არა ხართ დაკავებული, ერთი საათი ჩემთვის გაიმეტეთო. პირად საქმეზე არ მოვსულვარ, მთელი სოფლის გაჭირვებაზე გაწუხებთო. მდივანი ხანშიშესული, ავადმყოფი კაცი იყო. გული აწუხებდა. ძველისძველმა, ომში მიღებულმა ჭრილობებმაც გაუხსენა ბოლო დროს. მარტო იყო შინ. მთელი ოჯახი მთის კურორტზე გაკრეფილიყო. მობრძანდით, შეიპატივა გაიოზი სახლში, სტუმარს ვლებულობთო. კონიაკი და თხილით სავსე ვაზა დადგა მაგიდაზე. გაიოზს კონიაკი დაუსხა. თავისთვის ჭიქა არ გამოუტანია. არ სვამდა. გულს უფრთხილდებოდა. კეთილი იყოს ჩემი ფეხი თქვენს ოჯახშიო, თქვა გაიოზმა და ოდნავ მოსვე კონიაკი. მერე გაეცნო, პედაგოგიური ინსტიტუტი დავამთავრე, ისტორიკოსი ვარო. სოფელ ვარათის კოლმეურნეობაში ბრიგადირად ვმუშაობო. მდივანი ყურადღებით უსმენდა. ხანდახან თვლები მიეღულებოდა, დაღლილი იყო, ეტყობა, დასვენება უნდოდა, მაგრამ მაინც ყურადღებით უსმენდა, არ აწყვეტინებდა. თან ფიქრობდა რაღაცას. ეტყობა, შეეძლო ერთდროულად ფიქრი დამოსმენა. იქნება ძილიც? მაგრამ არა, არ ეძინა. „ეს იგი, შენ ამტკიცებ, რომ ვარათში საქმე ძალიან ცუდადაა?“ „ძალიან ცუდად, — თქვა სტუმარმა დაბეჯითებით, — უარესად აღარ შეიძლება. თვალს უხვევენ ქვეყანას, დიდსა და პატარას. ამაში კარ-

გად არიან გაწაფული. მე ბრიგადირი ვარ და, დამერწმუნეთ, არაფერს არ ვიგონებ. ყველაფერს საკუთარი თვალთ ვხედავ. „იქნება გეჩვენება?“ გაიოზს კარგად ენიშნა, რომ მასპინძელმა შენობით მიმართა. „არ მეჩვენება, პატივცემულო, სამწუხაროდ, არაფერი არ მეჩვენება. რა არის აქ მოსახევენებელი. ვხედავ ყველაფერს... არსად არაა წესრიგი, არცერთ უბანზე, არცერთ ბრიგადაში. არც შინ, არც გარეთ. დაილუპა სოფელი, გათახირდა ხალხი. არავის არაფერის არ რცხვენია, არავინ არაფერს არ თაკილობს. „მიზეზი?“ „ხელმძღვანელობა... ცუდი, უხეირო ხელმძღვანელობა... გამგეობა, გამგეობის თავმჯდომარე, ბრიგადირები. გაათაღლითეს, გააზარმაცეს ხალხი. ნახეთ ერთი, როგორი ჩაი იკრიფება. მწონავი არ იწუნებს, იმიტომ, რომ ბლომად იპარავს. იპარავს რამდენსაც უნდა... კაცი არაფერს ეუბნება. ხომ იცის მკრეფავმა, რაც მიაქვს ასაწონად. ევერო მიიქვს, ნამდვილი ევერო. როგორ ამოიღებს ხმას, ოღონდ არ დაუწუნონ. მწონავს ფაბრიკაზე ართმევენ იმდენს, რამდენიც უნდათ. იმიტომ არც იქ ამბობს ვინმე რამეს. მე ჩემს ბრიგადაში არ დავანებებ მწონავს ქურდობა; იქვე ვზივარ და კონტროლს ვუწევ. იმიტომ მიღებას აჭიანურებს... რაც მიიღო, ისიც ვერ ჩააბარა ფაბრიკაში, რადგან არაფერი ჰქონდა გასაჩუქებელი. არაფერი გავატანე ზედმეტი. ხალხიც ამიჩანყდა, ზემოდანაც მლანძღავენ. ეს ვინა, საიდან მოვიდა, სადაური წესები მოიტანა, მოგვაცილეთ, წაიღოს, სადაც უნდა, თავისი ახალი კანონებით. ყველგან, ყველას თვალში მე გამოვედი ცუდი კაცი. ახლა ციტრუსების ბაღები ნახეთ — მოუვლელი, გაუთოხნავი, დაუბარავი, შეუწამლავი გვიმრაში, ეკალბარდა და აწწლშია ჩამალული. რას გამოისხამს, ის მიკვირს, როგორ არ ხმება. ტორფი და ნაკელი წლობით ყრია ნაპირებზე და არავინ ფიქრობს პლანტაციებში შეტანაზე, ჰაობის მყრალი ბალახის სქელი ფენითაა დაფარუ-

ლი. ჩაიარეთ ერთი, მწვანე ტორფი და ნაკელი დაინახავთ, სულ ტორფი და ნაკელი. სარეველა ბალახის გასაბარებლად მოზიდეს იმ სიმორიდან? სხვა ბრიგადირები კი ბიჭები არიან, თვალს ხუჭავენ. მე ვერ ვითმენ ამ ბედოვლათობას და შევძელი ხალხს. ნაყოფი დამწიფდება თუ არა, ქურდობაც გაჩაღდება. ტომრებით ეზიდებიან ღამ-ღამობით. ზოგჯერ არც დღისით ეშინიათ. თვითონ ყარაულები ყველაზე მეტს იპარავენ. არავინაა მათი პატრონი. მთელი ღამეები არ მძინავს. ერთხელ ყარაულმა თოფიც კი შესროლა. განგებ... მიცნო, როგორ არა, მაგრამ შეშინება უნდოდა ჩემი. ქურდი მეგონო, დაიწყო მერე თავის მართლება. კიდევ კარგი, საკმოდ შორს ვიყავი და არ მომწვდა საფანტი. მანაც იცოდა, რომ ვერ მომწვდებოდა საფანტი, თორემ რას გაბედავდა. შემაშინა თავისი ქკუთი. კრეფა რომ დაიწყება, მაშინ რა ხდება, ნულარ იკითხავთ... შრომის ორგანიზაცია ხომ ჩაშლილია, არაფერი რომ არ შევლის ისე... შარშან ნახევარიც ვერ მოკრიფეთ ციტრუსი. თოვლმა მოგვისწრო. ზოგი ხეზე დალა ფორთოხალი და მანდარინი, ზოგი მოკრეფილი, მინდორში დაყრილი. გამოტანაც ვერ შევძელით... რამდენი ერთი ჩამოვთვალა... დაქცივის, ბატონო, სოფელი, მე არ ვიცი, ვინაა ჩვენი პატრონი“.

მდივანი აღვა, ბოლთას ცემა დაიწყო. გაიოზი გაჩუმდა. სათქმელი თქვა, სული მოითქვა. ახლა რაც მოხდება, მოხდეს. ახლალა იგრძნო, შესამჩნევად ლელავდა, პირიც გაშრობოდა. კიდევ მოსვა კონიაკი, შეუპატიებლად. თბილიც გატეხა. დაუჩერებს ვითომ? შეიძლება არც დაუჩეროს. ანდა მტკიცებას მოსთხოვს, საბუთებს, ფაქტებს. რას დაამტკიცებ. გაიოზი მტყუნანი გამოვა, ცილისმწამებელი. მაგრამ თუ მდივანს არ უნდა, ვერ მოატყუებენ, ვერავინ ვერაფერსაც ვერ დაუშლავს.

მდივანმა სიარული შეწყვიტა, გაიოზს თვალბეჭედა. ერთხანს უმზერდა. თითქოს სურდა ამგვარად გა-

მოეცნო, სიმართლეს ამბობდა სტუმარი თუ ტყუილს. გაიოზმა გაუსწორა თვალი, კონიაკმა სიმხნე შემატა, დაამშვიდა. საგულისხმოაო, თქვა მდივანმა და ისევ განაგრძო ოთახში სიარული. „რა ეშველება მაგ საქმეს?“ — ჰკითხა ბოლოს. „თავმჯდომარე არ ვარაგა“. „რა გაქვს მხედველობაში? რატომ არ ვარაგა?“ „ძალიან რბილი კაცია. ცდილობს არავის აწყენინოს. არც მწვადი დასწვას, არც შამფური. ასე საქმე არ გაკეთდება“. „კარგი, გამოვევლით თავმჯდომარეს. მაგრამ ახალი გართმევს თავს საქმეს? გამოასწორებს ხარვეზებს?“ „გამოასწორებს, რაა გამოუსწორებელი. ოღონდ ისეთი უნდა იყოს, როგორც საჭიროა“. ყველაფერი გასაგებიაო, ჩაილაპარაკა მდივანმა, მაგ საქმეს მიეხედავთო. რატომღაც მადლობა გადაუხადა და ისევ შეუვსო ჭიქა. წასვლის წინ ერთიც დალიე, ახალგაზრდა კაცი ხარ, არ გაწყენსო. ახლა გაიოზმა გადაუხადა მადლობა, რომ მომისმინეთ და გამოიგეთო. მდივანმა გარეთ გამოაცილა, კართან დაემშვიდობა, ხელი ჩამოართვა და უკებ ჰკითხა: „მეინც როგორია საჭირო?“ გაიოზი წამით დაიბნა, ვერ მიხვდა, რას ეკითხებოდნენ. მდივანმა დააზუსტა, როგორ ფიქრობ შენ, როგორი თავმჯდომარეა საჭიროო. „პრინციპული, ენერგიული, ნაკლოვანებებთან შეურიგებელი, მტკიცე, პატიოსანი და, რაც მთავარია, უშიშარი...“ „არის თქვენთან ასეთი ხალხი, თუ სხვაგან უნდა ვეძებოთ?“ „სხვაგან ძებნა რა აუცილებელია...“ „შეენ?“ „თუ მენდობით, არ შეგარცხვენთ“.

გაიოზი კმაყოფილი დაბრუნდა შინ. კმაყოფილება ცოტაა, იგი ბედნიერი იყო. მოუთმენლად ელოდა, რომ უახლოეს დროში მოვლენები სასიკეთოდ შეებრუნდებოდა, მაგრამ მოხდა სავესებით მოულოდნელი რამ, მდივანი უეცრად ავად გახდა, უთხრეს, ინფარქტის ნიშნები გაქვსო და უჩაჩეს, ყველაფერი მიეტოვებინა და სასწრაფოდ სამკურნალოდ წასულიყო. მკურნალობა

გაუგრძელდა. ამასობაში ეზრდებოდა მჯდომარე გამოცვალეს. ახალი ცოტა უფრო ენერგიული და პრინციპული კი იყო, ვიდრე ძველი, მაგრამ დიდი არაფერი, კოლმეურნეობაში ცხოვრება ძველი კალაპოტით მიედინებოდა. თითქმის არაფერი შეცვლილა. სულ მალე რაიკომის მდივანიც გადაიყვანეს უფრო წყნარ სამუშაოზე. მის მაგივრად ახალი დანიშნეს, ბევრად უფრო ახალგაზრდა, მაგრამ დიდად განათლებული კაცი. ცნობილი უანგარობითა და პატიოსნებით. გაიოზმა რამდენიმე თვეს კიდევ მოითმინა და მერე მასთანაც მივიდა იმავე საკითხზე. გრძნობდა, ამას უკვე აზრი აღარ ჰქონდა, მაგრამ კოლმეურნეობიდან მაინც აპირებდა წასვლას და, რაც მომივა, მომივიდესო ფიქრობდა. მდივანმა ერთხანს უსმინა, მერე მოუთმენლობა დაეტყო, რამდენჯერმე შეაწყვეტინა, შეამოკლებინა სათქმელი. ბოლოს უთხრა, თქვენთვის შეუფერებელ სამუშაოზე ხართ, ისტორიკოსის საქმე ბრივადირობა არააო. გირჩევთ თქვენი სოფლის სკოლაში გადახვიდეთ ისტორიის მასწავლებლად ჩემი რეკომენდაციით. იქ ადგილი თავისუფლდება, თქვენს მასწავლებელი მუზეუმის დირექტორად უნდა გადმოვიყვანოო.

ასე დაბრუნდა გაიოზი სკოლაში, მაგრამ ეს სულ სხვა გაიოზი იყო. მან ამჯერად საოცრად ადვილად მიიღწია იმას, რომ მის გაკვეთილზე უნებართვოდ თავსაც ვერავინ მოაბრუნებდა. ახლა უკვე ეცილებოდა თავის აკვირებულ შიშზე, ათიოდე წლის წინანდელ მარცხზე. რა ადვილი ყოფილა ყველაფერიო, ფიქრობდა გაოცებული. ჩემი მოწოდება სწორედ პედაგოგობა ყოფილაო. მის გაკვეთილზე მთელ სკოლაში სანიმუშო წესრიგი იყო. თუმცა ხანდახან მაინც „გამოყოფდა“ ვინმე თავს, მოსწავლეებს „კბილებს მოუსინჯავდა“, მაგრამ გაიოზი ფრთხილად იყო. უფროს კლასებში რამდენიმე მეტისმეტად „კერკეტი კაკალიც“ შეხვდა. განსაკუთრებით ერთი შეათეკლასელი.

სხვათაშორის მასაც ბაადური ერჭვა. ეს ბედისწერას ჰგავდა. ბაადურ თოიძე მთელ სკოლაში ყველაზე ურჩი და „მოუთვინიერებელი“ მოსწავლე იყო. მის თავხედობას საზღვარი არ ჰქონდა. როცა უნდოდა, მაშინ შემოდებოდა და გადიოდა გაკვეთილიდან. მასწავლებლებს არ ეუბებოდა და შუა გაკვეთილზე მოულოდნელად ხმამალა, თავისუფლად, გამომწვევად დაიწყებდა ლაპარაკს, სტვენას, ლილინს. ისტორიის ახალ მასწავლებელსაც აშკარად აბუჩად იგდებდა. გაიოზს ამ დროს ბრაზისაგან ცახცახი აიტანდა და ძლივს იკავებდა თავს რომ მოსწავლეს მუშტებით არ მივარდნოდა. მან გაიკითხა-გამოიკითხა თოიძის ამბავი და უთხრეს, ყველასთან ასეთია ეს ბიჭი, მაგრამ რა კქნათ, ვუძღებთო. არა, გაიოზი ვერ „გაუძღებდა“. ან უნდა მორჩულებულიყო ეს ახალი ბაადური, ან გაიოზი მეთათე კლასში ფეხს ვერ შედგამდა. ერთ დღეს აღარ ეყო მოთმინება და ბაადურს კარგა მაგარი სილა „აქამა“. ეს გარტყმა ამჯერად სულაც არ ყოფილა სიმბოლური. მთელი წუთი გავიდა, სანამ მოულოდნელი დარტყმით გაბრუნებული ბიჭი გონზე მოვიდა. გარტყმა ასე არ უნდაო, იყვირა მერე, წელში გაიშართა და მასწავლებელს გამეტებით ამოჰკრა მუშტი ნიკაპქვეშ. გაიოზი უკან გადაქანდა და მეორე მოსწავლეს რომ ხელი არ ეტაცა და არ შეეკავებინა, იატაკზე გაიშხლართებოდა ყველას თვალწინ. რომ გამოერკვა, ბიჭი უკვე კარებში იდგა. ხმამალა. უტიფრად მიიძახა. უარესი მოგხედება. თუ ჰქუთი არ იქნებოო და გაუჩინარდა.

ეს ამბავი, რა თქმა უნდა, მაშინვე გახმაურდა. გაიოზი კატეგორიულად მოითხოვდა ბაადურ თოიძის სკოლიდან გარიცხვას. დირექტორმა კი თვით გაიოზი გაამტყუნა. შენი უტაქტობით ისე გაიტყეხ სახელი, ამ სკოლაში გაჩერებას არ გირჩევო. გაიოზი არსად არ წასულა. თოიძეც დარჩა სკოლაში, თუმცა ისტორიის გაკვეთილს მასწავლო წლის ბოლომდე აღარ დასწრებია. ამა-

ზე გაიოზი არაფერს არ მშობდა. სჯობდა მისთვის. სამიანიც კი „აჩუქა“ ბიჭს წლის ბოლოს და გამოცდაზე მოსვლის საშუალება მისცა. გამოცდაზე კი უსიტყვოდ, უყოყმანოდ დაუწერა ორიანი და უთხრა, სანამ ჩემზე იქნება დამოკიდებული, საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობას ვერ ეღირსებო.

„...ქალაქის დამცველები ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ. მონღოლებმა ქალაქი აიღეს, მაგრამ დიდი ზარალი ნახეს და მას ბოროტი ქალაქი უწოდეს; დაანგრეს და მიწასთან გაასწორეს, მცხოვრებლები კი დახოცეს...“

შემდეგ კარგა ხანს ისხდნენ ლექსოს კაბინეტში. მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, უთხრა ლექსომ, რომ შენ განზრახ დაარღვიე გაკვეთილის ჩატარების ყველა ელემენტარული წესი. ვინმე რომ დაგესწროს განათლების სამინისტროდან ან განყოფილებიდან და ასეთი გაკვეთილი მოისმინოს, თავი მოგვეჭრებო.

გაიოზს არაფერი უთქვამს. იგი ფიქრებშია გაიტაცა და ისე გაირბინა ორმოცდახუთმა წუთმა, არაფერი გაუგია. ახალი მასალის გადაცემაც კი ვერ მოასწრო.

ეს გაკვეთილი არ იყო, განაგრძობდა მასწავლო ნაწილის გამგე, ეს იყო ლექცია. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ზურვიკო სანიმუშო მოსწავლეა და ყოველთვის ყველაფერი იცის. მაგრამ რაში გვეჭირდებოდა ჩვენ ზურვიკოს მოხსენება მონღოლების შემოსევის თემაზე? ლექსომ თავისი რვეული გადაშალა და ახლა ყოველ წერილმანის გარჩევასა და შეფასებას შეუდგა. რა საჭირო იყო ყოველთვის ეს? არ გამოუვიდა გაკვეთილი. რა იყო აქ ამდენი სალაპარაკო და საწერი? დღეს ხომ არ გაიცნეს ერთმანეთი; ამდენი ხანია, ერთ სკოლაში მუშაობენ, ერთ სოფელში ცხოვრობენ. ძალიან კარგად იცის გაიოზმა, როგორი უნდა იყოს გაკვეთილი. არ სჭირდება ამდენი დარიგება და ჰქუთის სწავლება. კურსები უნდა გაიაროს? დახე-

ლოცვების კურსები? კი ბატონო, გავი-
ვლის. კიდევ რას გვიჩვენებ, ბატონო
ლექსო? კიდევ რა სურს პეტრე ჭანი-
შვილს? აჰ, რას მელაპარაკებით! თუ-
რამე არც ის მოსწონს სასწავლო ნაწი-
ლის გამგეს, რომ ისტორიის სასწავლე-
ბელი მკაცრია. მეტისმეტად მკაცრია?
მივცეთ მოსწავლეებს უფლება, რომ გა-
კეთილზე იცეკონ? ხმამალა ილაპა-
რაკონ, გამოვიდნენ და შემოვიდნენ,
როცა მოეპრიანებათ. გაჭაგრება რო-
გორ შეიძლება. რომ ეწყინოს ბავშვს?
გული რომ ეტკინოს? თავზე ხელი უნ-
და გადავუსვათ, მოვეფეროთ. მოსწავ-
ლეები მხიარულად უნდა იყვნენ. კარ-
გი განწყობა უნდა ჰქონდეთ. მაშინ
უფრო ადვილად სწავლობენ. თუ აღე-
ლებულია, დაეაწყნაროთ, თუ ნაწყე-
ნია, ან გაბრაზებულია, დაეამშვიდოთ.
მასწავლებელს კი რკინის ნერვები
აქვს. ფოლადის მათულები... მასწავ-
ლებელს მუშტიც რომ შემოჰქარა ხან-
დახან ყბაში, არ აწყენს. „მაგ საქმეში
შენ მართალი არ იყავი, ჩემო გაიოზ.
მოსწავლე იქამდე მიიყვანე, რომ ხელი
შემოგიბრუნა“ „ოჰო-ჰო! საცოდავი
ბაადურ თოიძე. დაჩაგრეს, გააწვალეს.
ყოველნაირად ავიწროებდა ისტორიის
მასწავლებელი. ანგელოსი იყო, მაგრამ
მასაც აევსო მოთმინების ფილა... ასე-
თები სიერთოდ არ უნდა გააჩეროთ
სკოლაში. ერთ დღესაც კი. აი, როდის
ვიქნებით მართალი. თქვენ კი ეფერე-
ბოდით. „უძლებდით“. ყველაფერი შე-
რჩა და გაუვიდა გაფუჭებულს და გა-
დაგვარებულს. თვითონ წაახდინეთ, გა-
აფუჭეთ და მთელი სკოლა გააფუჭები-
ნეთ. ახლაც არ მესმის, რატომ აღშ-
ფოთდით მაინც, გამოცდაზე ორიანი
რომ დავუწერე“. „ორიანზე არ იყო
საქმე... არ იყავი შენ მთლად მართალი
მაგ მოსწავლის მიმართ“. „როგორ, იქ-
ნება იცოდა რამე ისტორიაში?“ „დიდი
არაფერი, მაგრამ თოიძეზე სუსტებს
შენ სამიანი დავუწერე. ბევრი იყო ასე-
თი. ეს ყველამ დანიხა. ასეთი რამ არ
უხდება მასწავლებელს“. „არ უხდება,
ხომ? მას კი ყველაფერი უხდებოდა,

რასაც სჩადიოდა? წლებში მისწავლაზე
მთელი სკოლა ჭეარს აცვა და მასაც
სხვებივით მიელო შეღავათი?“

ვერ სცნობს დღეს ლექსოს. ადრეც
ხშირად უკამათიათ, ამ თემაზეც ულა-
პარაკიათ, მაგრამ ახლა მაინც სულ
სხვა პანჯზე მღერის სასწავლო ნაწი-
ლის გამგე. იქნება ეჩვენება? არა, აშ-
კარაა, რომ ისა და ჭანიშვილი შეთანხ-
მებულად მოქმედებენ. არ ეკადრება
ეს ლექსოს. რა? კიდევ დარჩა რამე
სათქმელი? ოღონდ არ უნდა ეწყინოს?
გაუგოს? გაუგო, როგორ არა. გაიოზს
ბევრი რამ უთქმელდაც ესმის... „მა-
ლიან გთხოვ, ისე მიიღო, როგორც მე-
გობრული რჩევა, ან თხოვნა... არავინ
ამბობს იმას, რომ შენ ცუდი პედაგოგი,
ან ცუდი კაცი ხარ... შეცდომები კი
მოგივიდა. ეს უნდა ვალიაროთ, მაგრამ
შეცდომებს ასწორებენ. შეცდომებზე
სწავლობენ“. ლექსო წამით გაჩუმდა,
გაიოზს თვალეში შეხედა. „მიდი, მი-
დი“ — შეაგულიანა გაიოზმა. „ჰო. სად
შეეჩერდი?“ „შეცდომებზე ვსწავლობ-
თ“ „რა თქმა უნდა... ბაადურ თოი-
ძის ამბავი კმაროდა მარტო, მაგრამ
სხვაც დაემატა... მეცხრეკლასელი გო-
გო კუთხეში დააყენე მთელი ორმოც-
დახუთი წუთი, თამარიკო მეტუზლა, მო-
რიგეობას რატომ არ ასრულებ, და-
ფასთან სველი ჩვარი რატომ არ დეე-
სო. მთელ კლასში ყველაზე საცოდავი
გოგო. სხვა რომ ყოფილიყო, ზაირა ბა-
ჩელიძე ან ესმა ქარჩავა, კიდევ ჰო, მა-
ინცდამაინც გულთან არ მიიტანდნენ,
მზია მუჯირი, ანტონა მუჯირის გოგო,
ფეხით გაუშვი შინ კონსპექტი რატომ
დაგჩაო. თან ავტობუსზე დაქდომა
აუკრძალე. დღის ბოლომდე ძლივს მო-
აღწია სკოლაში. ან ეაკო ბურძგლა?
ბონდოს ბიჭი, ჩვენი დურგლის. მეექვ-
სე კლასამდე ბავშვმა ისე მოაღწია, ხუ-
თიანის გარდა ნიშანი არ იცოდა. შენ
ადექი და ორიანი დავუწერე. ვითომდა
პრინციპული ვარო. არავის არაფერს
არ ვაპატიებ და ყველას ერთნაირად
ვთხოვო. რა მოხდა მერე, რომ არ იყო-
და აკეთილი. ერთხელ შეეშალა ხე-

ლი. ბავშვი გაიქცა და სამი დღე ნათესავეებთან იმალებოდა, მამაჩემი მომკლავსო. „წამით გაჩუმდა ლექსო, სათვალე მოძებნა, ცხვირზე დაიკოსა და ასე დააკვირდა გაიოზს. რა უცნაური ჩვეულება აქვს ამ კაცს, იტყვის რაღაცას და ისე შემოგაშტერდება, თითქოს პირველად გხედავსო. „ბონდო სულ იმას გვახსენებს ყველას, ჩემს შვილებს მკაცრად მოსთხოვით, არაფერი არ აპატიოთ, არ გაფუჭდნენო“. „მოთხოვნაც არის და მოთხოვნაც... ის რაც არ იცის ბონდომ — დურგალმა, უნდა იცოდეს პედაგოგმა გაიოზ ნაკაძემ. ისეთი ბავშვები, როგორც კაკო ბურძგლავა, პატივებით არ ფუჭდებიან“. „სხვები? სხვები ზომ დაინახავენ, რომ ერთის მიმართ ლმობიერი ვარ, მეორის მიმართ არა“. „დაინახონ მერე. იმასაც მიხვდნენ, რომ მათ დაიმსახურეს ეს ლმობიერი მოპყრობა“. „რისთვის დაგვირდა ახლა შენ მაგ ამბების გახსენება, ლექსო? პირდაპირ თქვი. „რისთვის და... ამ კუთხით თუ ვიმსჯელებთ, შენი ავტორიტეტი ამ სკოლაში არ დგას სათანადო დონეზე. ზომ არ იქნებოდა შენთვის უმჯობესი, რომ ახალსოფლის სკოლაში გადასულიყავი? არც შორსაა. იქაური მასწავლებელი ჩვენთან გადმოვა. გაცვლით ადგილებს. თითქმის არაფერი შეიცვლება, ხელფასიც იგივე დაგრჩებათ. ძალს ვერავინ დაგატანს, რა თქმა უნდა, მაგრამ იქნება ასე აჯობოს...“

— კარგად ვიცი, მე, რა სჯობია, — თქვა გაიოზმა, — ასეთი რჩევით მეტს თავს ნულარ შეიწუხებ, ბატონო ლექსო.

ასე დამთავრდა ეს საუბარი. ჭიუტი კაცია, ასე ადვილად როგორ დაიყოლიებო, გაიფიქრა ლექსომ. ცოტა არ იყოს, ნანობდა, ღირეჭტორს რომ დაუჭერა და კიდევ ერთხელ შესთავაზა გაიოზს მეზობელ სკოლაში გადასვლა. ასე რომ აჯობებდა, ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ ისიც მშვენივრად იცოდა, გაიოზი არაფრით არ დათანხმდებოდა.

ვარათის საშუალო სკოლას ქება-დი-

დებით არასდროს არ ანებივრებდნენ. პირიქით, იყო თუ არა საჭირო, მუდამ ლანძღავდნენ და ცუდის ნიშნად ასახელებდნენ ყველგან. ასე იყო პეტრეს მოსვლამდეც. უთბრეს კიდევ, როცა მოდიოდა, იქ ბევრი საქმე დაგზვდებო. პეტრეს არ ეშინოდა „ბევრი საქმის“, მოუხაროდა კიდევ, ვნახავ ერთი, რა აუღებელი ციხეაო. მაგრამ ჩამოსვლისთანავე დაინახა, რომ სულაც არ წვიმდა ისე, როგორც ქუხდა. სავსებით ჩვეულებრივი სკოლა იყო, ჩვეულებრივი მოსწავლეებითა და მასწავლებლებით. ნეტა ამ სკოლას სალანძღავი რა სჭირდაო, უყვირდა. მაინც ლანძღავდნენ, პეტრეს ჩამოსვლის შემდეგაც. პატარა შემთხვევას, სულ უმნიშვნელო ამბავს უშველებელ კუდს გამოაბამდნენ და მთელი რაიონის საჭოროად გახდიდნენ. ვისაც ეკითხებოდა და არ ეკითხებოდა, ყველას თავის მოვალეობად მიაჩნდა, ვარათის სკოლის საქმეები გაერჩია. მართო „რევოლვერის საქმე“ რად ღირდა. ხმა გავარდა, თითქოს ვართელ მოსწავლეს შუა გაკვეთილზე ჩიბიდან რევოლვერი ამოეღოს და ჰერში ესროლოს. ატყდა ჩვეულებისამებრ მითქმამოთქმა. მილიციიდანაც კი მოვიდნენ, — რევოლვერს ეძებდნენ. პეტრემ ძლივს დააჭერა ისინი (დააჭერა კი?), რომ, ჯერ ერთი, გაკვეთილზე არ მომხდარა ეს ამბავი და, მეორეც, რევოლვერი სულაც არ გავარდნილა; სათამაშო დამბაჩა იყო, ძველებური, თუმცა გვარიანად ჰგავდა ნამდვილ დამბაჩას და კარგა მაგარ ხმასაც გამოსცემდა. სულ ეს იყო. პეტრემ თავისი თვალებით ნახა ის „იარალი“. მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ახლა და სხვა დროსაც, ამგვარ მითქმამოთქმას განზრახ ავრცელებდნენ გაიოზი და მისი თანამოაზრეები. მათ კარგად იცოდნენ, რაც მოხდა სინამდვილეში, მაგრამ სჭირდებოდათ ეს აღრზაური. მილიციაშიც მათ დარეკეს. იყო ერთი მეტად არასასიამოვნო, პირდაპირ საგანგაშო შემთხვევა, როცა მოსწავლემ მასწავლებელს გაართყა, უფრო სწორად, ხელი შეუბ-

რუნა. (თვითონ გაიოზ ნაკაიძე გახლდათ ის მასწავლებელი), მაგრამ რატომ მიიყვანა ამ ზომამდე მოსწავლე? შემდეგ დაბეჭდილებით მოითხოვდა იმ მოსწავლის გარიცხვას. თუ არა, მე დავტოვებ სკოლასო, გაიძაბოდა. რა კარგია: თუ არ გარიცხავთ! მერე სად უშვებ, ქუჩაში? იქ სასიკეთოს რას ისწავლან? (წადი მეტი, ვუთხარი, შენი წასვლა ახლა მართლა სკოზია-მეტი...) არ წავიდა. მანგიტოფონიც მოიპარეს რუსული ენის კაბინეტიდან. მაგრამ მარტო ვარათის სკოლაში ხდება ამგვარი რამ? სხვა სკოლებში არასდროს არაფერი მოუპარავთ? ისიც საკითხავია, ნამდვილად მოსწავლეებმა მოიპარეს თუ არა. ვინ დაამტკიცა, რომ მოსწავლეებმა მოიპარეს? არც ის იყო სასიამოვნო ამბავი, მეათეკლასელი გოგო მესამე სართულიდან რომ გადმოხტა და ფეხიც იტყინა. იტყინა კი არა, მოიტეხა. კიდევ კარგად გადარჩა. მერე გამოირკვა, ერთი ბიჭი უყვარდა თურმე, თანაკლასელი. ბიჭი დაპირებია, რომ დავამთავრებთ სკოლას, ცოლად შევირთავო. მერე კი გადაუთქვამს, დედაჩემი უარზეაო... ამის გამო ჯვარს აცვეს სკოლა. ერთი მასწავლებელიც არ დარჩენილა საყვედურის გარეშე. დირექტორი კინალამ მოხსნეს. პეტრეს ახლაც არ ესმის, რა შუაში იყო დირექტორი, ან მასწავლებლები, ან სკოლა, საერთოდ. ცხადია, ცუდია, შეყვარებული მეათეკლასელები სკოლის ფანჯრებიდან რომ დაიწყებენ ხტომას, მაგრამ განა უარესი არ მომხდარა სიყვარულის გამო? ჩვენს შორის დარჩეს და არის რაღაც კარგი ამასიც.

ბევრი ლანძღვა-გინება შეგვდა პეტრე ჭანიშვილს, ბევრი „მაგარ-მაგარი“ აკადრეს და, უმეტეს შემთხვევაში (ასე სჩეროდა მას), სულ ტყუილუბრალოდ. ფიქრა კიდევ რამდენჯერმე, დირექტორობა ჩემი საქმე არაა, დავწერ განცხადებას და წავალო. ამ აზრს თითქმის უკვე შეგუებული იყო და მხოლოდ ხელსაყრელ შემთხვევას უცდიდა, მაგრამ მართლა რომ მოუხდა განცხადების

დაწერა, ძალიან გამწარდა. მტრის მტრის სასტიკად, უსინდისოდ მოტყუებულად იგრძნო თავი. არა, ასე წასვლა ნამდვილად არ უნდოდა. გულუბრყვილოდ, სულელურად გაება მახეში. როგორ არ იფიქრა, რომ გაიოზ ნაკაიძე ჩასაფრებული ჰყავდა და ამ შემთხვევას აუცილებლად გამოიყენებდა. როცა იმ საცოდავ გოგოს სკოლაში მუშაობის ყალბი ცნობა მოსცა, მთელი პედკოლექტივი ჩემად უზდიდა მადლობას, ობოლია, უპატრონო და მისი გულისთვის კანონის დარღვევაც არ იქნება დიდი ცოდვაო. გაიოზ ნაკაიძესაც შეატყო სახზე ერთგვარი კმაყოფილება და სიხარულიც კი. თურმე არ იკითხავთ, რა უხაროდა? — მახეში რომ ჩადგა ფეხი დირექტორმა. ახლა კი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ან უნდა დაეწერა განცხადება და თავისი ნებით წასულიყო, ან საქმე გამელავნებოდა, პეტრეს მაინც მოხსნიდნენ და იმ ობოლ გოგოსაც გამოაგდებდნენ ინსტიტუტიდან ყალბი ცნობის მიტანისათვის.

ურჩიეს, ახალ მასწავლო წლამდე გადროვებთ, გაიხედ-გამოიხედ, სადმე ადგილი მოქებნეთ. რა თქმა უნდა, შეცდომ ვარათის საშუალო სკოლაშიც დარჩენილიყო უბრალო მასწავლებლად, მაგრამ პეტრეს ამაზე ფიქრიც ეზარებოდა. მასწავლებლობა სკოლაში, სადაც დირექტორი გაიოზ ნაკაიძე იქნება? ამას სიყვდილი ერჩივნა. სკოლაში დარჩენა კი არა, წლის ბოლომდე როგორ გაძლებდა აქ, ვერ წარმოედგინა. მაინც ხომ წამსვლელი ვარ და ბარემ ავდგები და წავალო, ფიქრობდა, რაღას ვუცდიო. მით უმეტეს, შემცვლელი უკვე ადგილზე იყო. პეტრემ საიმედო წყაროებიდან იცოდა, რომ ახალ დირექტორად გაიოზ ნაკაიძე უნდა დანიშნულიყო. მიავნო კიდევ საცვლევ ინსტიტუტში შესაფერ სამსახურს, მაგრამ ახლა გაიოზის გაულანძღვად არ უნდოდა წასვლა. უნდოდა პირში, საჩაროდ, მთელი პედკოლექტივის გასაგონად ეთქვა მისთვის ყველაფერი, რასაც მასზე ფიქრობდა. მხოლოდ ეს თუ

მოთხანდა გულს. აშკარა იყო, გაიოზი გრძობდა ამას და გაურბოდა. ბოლოს მაინც ველარ მოითმინა პეტრემ, გაიოზი კაბინეტში შეიპატოქა და ჰკითხა, სინდისი მაინც თუ გაწუხებსო. ცოტათი კი მაწუხებსო, მიუგო გაიოზმა, უნდა პატიოსნად ეალიაროო. მაგრამ საქმეს ასე სჭირდებოდა. სჭირდებოდა კი არა, ასე იყო აუცილებელი და თუ გამოიგებ, დაგიფასებო. ჩემს საქციელში შენ მარტო ცუდს ხედავ, იმიტომ, რომ კარგის დანახვა არ გინდაო. „ხუმრობ? რომელ კარგზე ლაპარაკობ. არაფერი მესმის!“ — წამოიძახა გაოცებულმა პეტრემ. „როგორ ვერ ამჩნევ, რომ სკოლის საქმე სულ უკან უკან მიდის? სოფელი შეშფოთებულია, რა გვეშველება, შვილები გველუბებო. გადი ერთი, გაიკითხ-გამოიკითხე. იქნება პირში არაფერს გეუბნებიან, შორიდან მიაყურე... კი, ბატონო, არ უსერიათ რევოლუციური გაკვეთილზე, მაგრამ ხმა ხომ გავარდა? ხომ დაიჭერეს? იმიტომ, რომ ჩვენს სკოლაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ჩვენს სკოლაზე ყველაფერს დაიჭერებენ. მთელ რაიონში ლაპარაკობენ, რომ ჩვენთან მოსწავლეები მასწავლებლებს სცემენ. ამაზე მეტი შერცხენა რაღა გინდა. იყო შემთხვევა თუ არა? იყო და თითქოს არაფერი. ხელიგანს ყველაფერი შერჩა, მასწავლებელი გამტყუნდა. ამის შემდეგ ყველაფრის უფლებას რომ აძლევენ თავს, რა გასაკვირია. დაგვძლიეს, დაგვაძარცხეს. სადღაა ხათრი, სინდისი-ნამუსი, მორიდება, უფროსის პატივისცემა. ერთმანეთს რომ დანებით დასდევენ? ხინთიბიძემ რომ ჭაში დასჭრა? ის რაღა იყო? მადლობა ღმერთს, არ აღმოაჩნდა მძიმე ჭრილობა, მალე მორჩა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, რომ ერთმანეთი დაეხოცათ. სად წავსულიყავით მაშინ? მერვეკლასელმა ლაწირაკებმა ერთმანეთი მოსაკლავად გაიმეტეს და ამას სკოლა ჰქვია. სპორტდარბაზში ევამლის ყუმბარა რომ შეავდეს? ყველას ხანძარი გვეგონა. სახანძრო მანქანებით გაივსო აქაურობა. ტყუილად შევაწუხეთ, მო-

გაციდინეთ იმდენი ხალხი. მაგნიტოფონი რომ მოიპარეს რუსული ენის კაბინეტიდან? ყოველდღე რომ კარების საკეტების გამოცვლა გვიხდებო? ეურნალები ორიანებით რომაა სავსე? გაკვეთილებიდან რომ სისტემატურად იპარებიან, რომ აცდენენ, აგვიანებენ. თითქმის ყველა ვაჟი პაპიროსს რომ ეწევა, რომ სვამენ კიდევ? სიყვარულობანას თამაშობენ, გოგოებს ცოლად შერთვას პირდებიან, ატყუებენ... მე ბოლოსდაბოლოს დაერწმუნდი, რომ შენ ამ სკოლის ხელმძღვანელად არ გამოდგები. სიყვარულით კი უყვარხარ თანამშრომლებს და მოსწავლეებსაც... თუ კი ამას სიყვარული ჰქვია, მაგრამ რა ფასი აქვს ასეთ სიყვარულს? ასეთი სიყვარული ვის რაში სჭირდება, ვის არგია. რაც გვაკეთე, ყველაფერი საქმისთვის გავაკეთე. სკოლა უნდა გადავარჩინო. ან გადავარჩენ, ჩავაყენებ წესრიგში, ან მეც წავალ, სხვას დაუთმობ ადგილს. იმ გოგოს ინსტიტუტიდან გამოგდება არც მე მინდა. დარწმუნებული ვარ, შენ არც მიიყვან იქამდე საქმეს. უბრალოდ, შენი ნებით წახვალ.

დიდად კეთილშობილური განზრახვა გქონიაო, უთხრა პეტრემ, მაგ მამულიშვილურ საქმეში ღმერთმა ხელი მოგიმართოსო. ამის შემდეგ ბევრი აღარ დაუყოვნებია, თავის ახალ სამსახურში გადავიდა. გაიოზი კი შეუდგა ვართის საშუალო სკოლის წესრიგში ჩაყენებას. პირველ დღესვე დაადგმევინა მდივნის გამოსამახებელი ელექტროზარი (ქანიშვილი, როცა საქმე ჰქონდა, თვითონ მიდიოდა მდივანთან; ელექტროზარის დამონტაჟება რატომღაც აზრად არ მოსდიოდა). სწორედ ელექტროზარის წკრიალი სამასწავლებლოში (მდივანი სამასწავლებლოში იჯდა) იქცა სკოლაში ახალი ცხოვრების დაწყების სიგნალად. შემდეგ გაიოზმა მთელი სოფელი, კოლმეურნეობა დაიხმარა და სკოლას ახალი, კაპიტალური ღობე შემოავლო, ისეთი მტკიცე, მაღალი და მიუვალი, რომ ჩიტაც ვერ

გადაფრინდებოდა ზედ. ყველამ უნდა გაიგოს, დაინახოს და მიხედეს, თქვა მაშინ გაიოზმა, რომ ჩვენი ეზო უწმინდესი ადგილია სოფელში, სადაც მხოლოდ ჭიშკრიდან შედიან და გამოდიან და არა ისე, როგორც ეს ზოგიერთს უნდა და ეპრიანებაო. ეს სიტყვები, პირველ რიგში, ცხადია მოსწავლეებს შეეხებოდა, რომლებიც ქანიშვილის დროს გაკვეთილებიდან საკმაოდ ხშირად იპარებოდნენ და არავინ იცოდა, სად დაეხეტებოდნენ ამის შემდეგ. მოსწავლეებს დაურვიდათ ფოტოსურათიანი ბილეთები, ჭიშკართან კი მკაცრი მორიგეობა დაწესდა, სადაც შესვლისა და გამოსვლისას მოსწავლეს ხელში ბილეთი უნდა სჭეროდა სურათზე გადაშლილი. თვითონ გაიოზ ნაკაიძის ვაჟებს ზურციკოსა და ირაკლისაც კი ვერ შემოუშვებდნენ სკოლის ეზოში უბილეთოდ. ამ „ბილეთომანიამ“ (ასე ეძახდა მას ლექსო) პირველ ხანებში ბევრი უხერხულობა გამოიწვია. ბავშვებს ეკარგებოდათ ბილეთები, ამას კი გაცდენები მოსდევდა, გაცდენებს მშობლების გამოძახება, მოსწავლეების დასჯა და სხვა და სხვა... მაგრამ თანდათან ყველაფერი მოგვარდა. ბავშვებმა ისწავლეს ბილეთების მოვლა, შეეჩვივნენ მის ტარებას. გაიოზი თვითონ ამოწმებდა ყოველდღე, თუ როგორ სრულდებოდა მორიგეობა ეზოში, დერეფნებში, კლასებში, ბუფეტში. კლასებსა და კაბინეტებში დაამონტაჟებინა მოსასმენი აპარატები, რამაც დიდად გაუადვილა მუშაობა; მას შეეძლო ახლა თავისი კაბინეტიდან გამოუსვლელად გაეგო, თუ რა ხდებოდა ნებისმიერ ოთახში, თვალყური ედევნებინა, მოესმინა. კლასის ხელმძღვანელები მკაცრად გააფრთხილა, რომ არცერთი მოსწავლე არ დაეშვათ სკოლაში ფორმის ტანსაცმლის გარეშე. დროდადრო გაეჩხრიკათ მოსწავლეებისათვის ჩანთები, ჩიბები, მერხები, ჩამოერთმიათ მათთვის ყველაფერი ის, რაც მოსწავლეს არ სჭირდებოდა და არ შეეფერებოდა. ამ ღონისძიების შემდეგ გაიოზის კაბინეტის

ერთ-ერთ კარადაში მთელს ქველმოქმედებას გაჩნდა შურდულების, პაპიროსების, სარკეების, სავარცხლების, ნაირ-ნაირი თოჯინებისა და სხვა სათამაშოების, საინთებლების, კარტების, სათამაშო დამბაჩების... მოწვეულ იქნა მშობელთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა გაერთიანებული კრება, სადაც დირექტორმა საჯაროდ განაცხადა, რომ დღემდე სკოლაში ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში სერიოზულ შეცდომებსა და ხარვეზებს ჰქონდა ადგილი, რომ აუცილებელი იყო მათი გამოსწორება და ამ მიზნით საჭიროებდა სოფლის მშრომელებისა და ხელმძღვანელობის აქტიურ დახმარებასა და მხარდაჭერას. დირექტორის სიტყვა კრებამ დიდი ყურადღებით მოისმინა და საჭირო დახმარებაც აღუთქვა. ასე გაჩაღდა მუშაობა და საქმეც დაიძრა მკედარი წერტილიდან, მაგრამ მარტო დაძვრა არ ემართა; წინსვლის ტემპები მეტისმეტად დაბალი იყო (ასე ეჩვენებოდა დირექტორს). მოსწავლეები ისევ აფუჭებდნენ კარებს, ტეხდნენ ფანჯრის მინებს, ამტვრევდნენ მერხებსა და სკამებს, ჭლახინდნენ კედლებზე ათას სისაძაგლეს, ერთხელ კი ეურნალიც მოიპარეს, რასაც მთელი დავიდარაბა მოჰყვა. დირექტორი დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერი ეს განზრახ კეთდებოდა, რათა მისი წამოწყება ჩაეშალათ. დამნაშავეები ფრთხილად მოქმედებდნენ, კარგად იცოდნენ, რომ თუ გამომკვლავნდებოდნენ, გაიოზი მათ თავზე ხელს არ გადაუსვამდა. კილაცამ კვამლის ყუმბარა იშოვა და კვლავ შეაგდო სპორტდარბაზში. ამჯერად მეხანძრეები აღარ გამოუძახიათ რაიონის ცენტრიდან. უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, თვით მოსწავლეებები იყვნენ „მოსარჩულეები“: ქანიშვილს მეტისმეტად განებივრებული ჰყავდა ისინი: ფეხზე ადგომაც კი ეზარებოდათ, დირექტორი სამასწავლებლოში რომ შევიდოდა. ადრე დირექტორის კაბინეტი სამასწავლებლოსაგან მხოლოდ სიმციროთ თუ განსხვავდებოდა, მოსწავლეებები იქაც

შინაურულად გრძობდნენ თავს და აქაც. დირექტორიც ხან იქ იჯდა და ხან აქ. თავისუფალ დროს იგი უმეტეს წილად სამასწავლებლოში ატარებდა კოსტა გოთუასთან ჰადრაკის თამაშში (რატომ უნდა ჰქონოდა დირექტორის თავისუფალი დრო?). ამიტომაც იყო, რომ მასწავლებლები პირველ ხანებში გაიოზნანაც მეტისმეტად თავისუფლად გრძობდნენ თავს, უბედავდნენ შელაპარაკებას, შეხუმრებას, შენიშვნებსა და საყვედურებზე უქმყოფილებას გამოთქვამდნენ, იბუტებოდნენ, თავს იმართლებდნენ, დირექტორის დავალებას, ბრძანებას ზოგჯერ არც ასრულებდნენ, თავს არიდებდნენ... გაიოზნა მედგრად, უშიშრად, უკომპრომისოდ შეუტია მათ. იცოდა, რომ სწორედ აქ წყდებოდა გამარჯვების ბედი. ვისაც არ უნდა, თავისი მოვალეობა შეასრულოს, დაწეროს განცხადება და წავიდეს, მორჩა და გათავდა! მოსწავლეებს რა უნდა მოეთხოვოთ, როცა მასწავლებლები არღვევენ წესრიგს, არღვევენ უხეშად, ყოველ ნაბიჯზე! არა, ასე მუშაობა საქმეს არ არგებს, ასე მომავალ თაობას ვერ აღვზრდით. მასწავლებლები თვითონ იგვიანებენ, აცდენენ გაკვეთილებს. ისევ და ისევ არ სრულდება მორიგეობა. დასვენებებზე მოსწავლეები თავის ნებაზე არიან მიშვებულნი. ფაქტები? რამდენიც გინდათ: დღეს ანდროს ფიზულტურის გაკვეთილზე თვითონ არ ეცვა ფორმის ტანსაცმელი. მორიგეების დოკლაპიობის გამო მეორე გაკვეთილი გამოვიდა სამი წუთით გვიან. გუშინ მეექვსე გაკვეთილზე ლექსომ მთელი ათი წუთით ადრე დატოვა კლასი. ფრანგული ენის მასწავლებელმა გუშინწინ ორნახევარი წუთით დააგვიანა პირველ გაკვეთილზე შესვლა. ავტობუსმა დააგვიანა? ავტობუსებზე ვერ ავაწყო მე სკოლის მუშაობას. რაო? ლექსოს შინიდან დაურეკეს? დედამისს გულის შეტევა ჰქონდა? მიზებებს ბევრს მოვიფიქრებთ, არაა ძნელი საქმე. წარა-მარა გაკვეთილების მიტოვება რომ არ შეიძლება, სასწავლო ნაწი-

ლის გამგემ სხვაზე მეტად უნდა იყო-დეს. რას მელაპარაკებით! თურმე პიონერხელმძღვანელი დაუტოვებია კლასში. ამას ვინ ამბობს, გამოცდილი მასწავლებელი... შუაზე გაწვევტილი გაკვეთილი, გაკვეთილი არაა და მისი ღირებულება გამოეჭვითება ხელფასიდან...

მეორე უბედურება ის იყო, რომ ზოგი მასწავლებელი პირდაპირ ემწეო იყო მოსწავლეთა წინაშე. საშინელ ხმაურსა და აურზაურში უხდებოდათ მათ გაკვეთილების ჩატარება (ფაქტიურად ისინი არავითარ გაკვეთილებს არ ატარებდნენ: შედიოდნენ კლასში, უძლებდნენ ორმოცდახუთწუთიან ჯოჯოხეთს და გამოდიოდნენ გარეთ, რომ ათიოდე წუთით სული მოეთქვათ). ასეთი იყო მათემატიკის მასწავლებელი ნატო ზოიძე. იგი თითქმის ყოველი კლასიდან ატარებული გამოდიოდა და დასვენებაზე ცრემლების შეშრობას ძლივს ასწრებდა. ან რას სწავლობდნენ მისგან, ან როგორ გაძლო ასე ამდენხანს, არავინ იცოდა. გაიოზნა უკვირდა, ეს ქალი რატომ მიდის ნადრევედ სამარეში, პროფესიას რატომ არ გამოიცვლისო. სხვა რომ არაფერი, ძალიან ცუდად იყო სკოლაში მათემატიკის სწავლების საქმე. უფრო სწორად, არავითარი მათემატიკის სწავლება არ იყო. ვის რა უნდა ვაეგონა მის გაკვეთილზე, ვის რა უნდა ესწავლა? გაიოზნა ნატო კაბინეტში დაიბარა და უთხრა, რამე უნდა იღონო, მათემატიკის სწავლება ჩაშლილი გაქვსო. თუ მდგომარეობა არ შეიცვლება, მე შენ გაკვეთილებზე ვერ დაგიშვებო. ქალმა ტირილი დაიწყო: „რა კენა, პატივცემულო დირექტორო... მიშველოთ იქნება რაიმე“. „მე ვერაფერს გიშველი. სხვა სკოლაში უნდა გადახვიდე“. „მერე? სხვა სკოლაში რომ გადავალ, იქ ვითომ მომისმენენ მოსწავლეები?“ იქ მაგრად უნდა დახვდეთ, უთხრა გაიოზნა, პირველი დღიდანვე უნდა გამოიყენო აქაური მწარე გამოცდილება, არ გაათამაშო ბავშვები, არ გაიშინაურო, არ სკო-

დო მათთან შეგობრობა. თავი შორს დაიჭირეო.

— ზოგი რომ ახერხებს, ბატონო გაიოზ?

— რას ახერხებს?

— ბავშვებთან კიდევ შეგობრობს და როცა საჭიროა, უჭერებენ და ემორჩილებიან კიდევ ისინი...

— შეიძლება ვილაც კი ახერხებდეს. მაგრამ ათასში ერთხელ... შენ ვერასდროს ვერ შესძლებ მაგას. ნუ წახვალ რისკზე. თორემ იქაც დალუბავ საქმეს. და, საერთოდ, თუ იქაც არაფერი გამოგივიდა, ვირჩევ, პროფესია გამოიკვალო. ბოლოსდაბოლოს შინ ჯდომა სჯობია ასეთ მასწავლებლობას. ოჯახი გაქვს, ქმარშვილი გყავს. შენი ქმარი თვითონ ამბობს, ვეხვეწები, თავი დაანებე, რისთვის იტანჯები, ოჯახს მიხედე, ნერვები დაიწყნარეო...

ნატომ ტირილი შეწყვიტა. ჰკუთში დაუჭდა გაიოზის რჩევა. მერე წყნარად განაგრძეს საუბარი. დირექტორმა ზოგიერთი თავისი მასწავლებელი და ლექტორი გაიხსენა. ერთი ლექტორი გვყავდა, მეტისმეტად შეუხედავი და საცოდავი, არც მკაცრი იყო, არც გაჯავრება ეხერხებოდა, მაგრამ ისეთი საზარელი თვალები ჰქონდა, შემოგვხედავდა და ადგილზე გვაშეშებდაო. მეორე იყო და იმდენი ლაპარაკი და ქაქანი უყვარდა, იმდენს ჭაჭანებდა მუდამ, ხმას რას ამოგვალებინებდაო. ზოგი როგორ ამყარებს წესრიგს და ზოგი როგორ. წესრიგი კი აუცილებელია. რა დიდი მკოდნე და განათლებულიც არ უნდა იყო, თუ არ მოგისმინეს და არ ისწავლეს შენგან, ვის რაში არგებარო. ნატომაც გაიხსენა ერთი თავისი ლექტორი, რომლის ლექციაზეც მთელი კურსი ერთიანდებოდა და თითქმის ასი სტუდენტი იყრიდა თავს აუდიტორიაში. ოო, რა საშინელი კაცი იყო. სხვა ლექტორი რომ ათკაციან ჯგუფს ძლივს უვლიდა, მისი ლექციების დროს იმოდენა დარბაზში ბუზის გაფრენასაც კი გაიგონებდი. უხეში იყო, მოურიდებელი, უზრდელი, ურც-

ხვი. იმდენი ხალხის წინაშე მსჯელობდა რალო მიზეზის გამო ისეთი სიტყვებით ვაგლანძღავდა, ისე ვაგასწორებდა მიწასთან, სიკვდილს მოგანატრებდა. ვაი შენს დღეს, თუ თავს ცუდად დაამახსოვრებდი, გამოცდაზე ტყავს ვაგაძრობდა... დავეცინოდა, ვამასხარავებდა, ნიშანს ხომ არ ვვალირსებდა და არა. გვძულდა ჭირივით, დასანახავად გვძულდა. ოთხმოცდაათ წუთიან ლექციას ისე ჩააბრიგინებდა, სულს არ მოითქვამდა. თუ შეჩერდებოდა, ისევ ჩვენს გასალანძღავად და გასათათხავად. თუმცა ისე ვიყავით შეშინებული, ისე გულგახეთქილები ვისხედით მის ლექციებზე, ამის მიზეზს თითქმის არასდროს არ ვაძლევდით. ვისხედით წყნარად, მაგრამ რად ვინდა მერე. მას ვინ უსმენდა. ვისხედით და თვალგახელილებს, გაჯგომლებს გვეძინა. მთელი წელი გვიკითხავდა ლექციებს, მაგრამ ტყუილად ირჯებოდა თვითონაც და ჩვენც სულ ტყუილად ვამეჯავებდა. სიტყვაც არ დაგვიმახსოვრებია და დაგვარჩენია მისი ნათქვამი. წიგნი ჰქონდა ერთი გამოცემული, ის დავიზუთხეთ და იმით ჩავაბარეთ გამოცდა.

— ესე იგი გძულდათ, — დაინტერესდა გაიოზი, — წყნარად კი ისხედით, მაგრამ სიტყვაც არ გესმოდათ მისი...

— კი, ბატონო, ასე იყო...

გაიოზი უცებ სკამიდან წამოხტა და კაბინეტში სირბილი დაიწყო. ამ დინჯი, მშვიდი და აუნქარებელი კაცისაგან ასეთი აღელვება, ასეთი შფოთვა ნატოსთვის ყოვლად გაუგებარი იყო. გაიოზი გაცხარებით იქნევდა ხელებს და ყვიროდა:

— ხედავთ, თურმე რაში ყოფილა საქმე? თურმე წყნარად კი ისხდნენ, მაგრამ მაინც არაფერი ესმოდათ, იმიტომ, რომ სძულდათ ის კაცი... ვინ ვასწავლათ, საიდან გაიგეთ, რომ სიტუაცილს სიყვარული სჯობია?!

ნეტა რამ გადარია ეს კაცი, ასეთი რა ვთქვიო, ფიქრობდა ნატო. მანაც გაიხსენა სტუდენტობა და მეც გავიხსენეო.

მათემატიკის მასწავლებელს მოსწონდა ახალი დირექტორის პრინციპულობა, სიმკაცრე. მისი აზრით, ჭანიშვილი, ცოტა არ იყოს, ლიბერალობდა და ესეც მიაჩნდა მას ერთ-ერთ მიზეზად იმი-სა, მასწავლებლობა მარტივობად რომ ექცა.

ნატო დუმდა და შეშინებული უსმენ-და გაიოხს, რომელიც თითქოს ვიღაც უხილავს ეკამათებოდა, ებრძოდა, რა-ღაცას უმტკიცებდა:

— გიყვარდეთ, ბატონო, ბავშვები... ვინმემ დაგიშალათ? თუ კი მოახერხებთ, მათაც შეაყვარეთ თავი, მაგრამ თავზე ნურავის დაისვამთ, თორემ ძვირი დაგიჯდებათ. ამას ჩაგჩიჩინებთ, მეტს არაფერს. მოზარდი თუ თავზე წამოგაქდა, მერე მან არც სიყვარული იცის, არც ზრდილობა, არც სინდის-ნამუსი. მე პირადად შენზე ლმობიერი, გულმოწყალე, კეთილი მასწავლებელი არ მეგულებს ამ სკოლაში. გიყვარს ახალგაზრდობა, ექვი არ შეპარება, იმი-ტომ ვერ მიღიხარ სკოლიდან, თუმცა ჭოჯობეთია შენთვის აქაურობა. მაგრამ ერთი ისიც ვიკითხოთ, იმათ თუ უყვარხარ და გცემენ პატივს? შენ თუ რამე გეჩვენება არ ვიცი, მე კი კარგად ვხე-დავ, რომ ფეხებით გაგთელავენ და წა-რბსაც არ შეიხრიან. გაგთელეს კი-დეც... გახსოვს? შევამოწმეთ თუ არა ჩვენ ეს? დარწმუნდი თუ არა ბოლოს-დაბოლოს?

ოო, ღმერთო... შეამოწმეს, როგორ არა. ნატო წინააღმდეგი იყო. არაფრით არ უნდოდა ამის გაკეთება. რა საჭი-როაო... გაიოხმა არ დაიშალა. საქმის-თვის მჭირდებაო, ექსპერიმენტს ვატა-რებო. ვაი ამ შემოწმებას. მაშინ იყო, ნატო ზოიძე პირველად რომ დაფიქრდა, ალბათ მართლა დროა ქმარს დაუქვე-რო, სკოლას თავი დავანებოო. თრიო-დე კვირის წინ მოხდა ეს ამბავი. გაი-ოხმა შეათე კლასის ორგანიზატორს ჩუმად უთხრა, დღეს ნატო მასწავლებ-ლის დაბადების დღეა, აბა თქვენ იცით, დაამახსოვრეთ ეს დღე, ნუ გა-ამწარებთ, ნუ აატირებთ, ნუ იხმალ-

რებთ, წყნარად ისხედით და უსმინე-თო. მასწავლებლებმა სასწრაფოდ იშოვეს ყვავილები, დაფაზე დიდრონი ასოე-ბით დაწერეს: „პატივცემულო ნატო მასწავლებლო, გილოცავთ დაბადების დღეს“. ერთი პატარა წიგნიც აჩუქეს წარ-წერით, მეთექვსმეტეებისაგან სახსოვრა-დო. მერე მასწავლებელს სთხოვეს, თქვენ-სი სტუდენტობიდან რამე გვიამბეთო. გუ-ლაჩუქებულმა, ბედნიერმა ნატო მას-წავლებელმაც დაიწყო. მაგრამ ეს იყო და ეს, ვინ მოუსმინა, ვინ დაამთავრე-ბინა, ატყდა ჩვეულებრივი აურზაუ-რი...

— ხომ არ დაგიწყებია? ყოველი შემთხვევისათვის, მე ჩაწერილი მაქვს ის გაკვეთილი, — გაიოხი კარდასთან მივიდა, მაგნიტოფონი გადმოიღო, ჩა-ნაწერი მოძებნა.

— არა, არა, მახსოვს... რა საჭიროა... გეხვეწებით... ბატონო გაიოხ.

— საჭიროა, თუნდაც იმიტომ, რომ მერე, ხუთი ან ათი წლის შემდეგ ეს დღევანდელი ბაადურები ანგელოზებად რომ მოგაჩვენებენ თავს, შეახსენო, დაუმტკიცო, რომ ანგელოზები კი არა ტარტაროზები, ჭალათები არიან...

ნატომ სახეზე ხელები აიფარა და კი-დეც ერთხელ ჩაურბინა თვალწინ იმ გა-კვეთილმა, რომელიც მართლაც არა-სოდეს არ დაავიწყდება, რადგან მაშინ ერთდროულად იგრძნო მასწავლებლის თვალებში ანთებული სიყვარული და პატივისცემა და იქვე დიდი დამცირე-ბა, უდიდესი ტყვილი მოზარდების გულქვაობისა და უსულგულობის გა-მო.

„დოლიძე!.. ნეტა ხომ არ დაყრუე-და ეს ბიჭი. ანზორ, დაქეტი შენს ად-გილზე. როყვა! ბარამიძე! ნუ დაგაკიწ-ყდებათ, გაკვეთილზე რომ ხართ. ნუგ-ხარ, მოსცილდი, ბიჭო, მაგ გოგოებს.“ „მე არაფერს ვაშავებ მასწავლებლო.“ „რას მიყვირი მასწავლებლო. ყრუ კი არა ვარ, მართლა.“ „მომამორე, მას-წავლებლო. ეს გადარეული, თორემ ჩავარტყამ თავში რაღაცას... მეტი კი არ ვიცი მე.“ „ჩამარტყამ კი არა... ბე-



ბიაშენს ჩაარტყვი, თუ კარგია“. „მომეცო, ბიჭო, ეტრნალი, დადე ახლავე მაგიდაზე“. „ნუ მომდევი, მასწავლებლო, ხომ იცი, ვერ დამეწვიო“. „არაფერი არ ჩაწერო მანდ, თორემ ინანებ“. „მეაქვია, წადი, დირექტორი მოიყვანე“. „მეტი საქმე არა მაქვს“. „ცუდს არაფერს არ ჩაწერ, მასწავლებლო“. „ღმერთო, რა შეშველება... ჭონი, გადი ახლავე გარეთ!“

„რა ბრძანე, მასწ?“

„გადა მეტქი“.

„ჰოო, კარგი რა მასწ, ნუ იცი უბრალო რამეზე გაბრაზება. რა დროს გასვლაა. ისე, მოსწავლის გარეთ გაგდება მაინცდამაინც კარგი საქმე ვერაა. ასე გამოიგია მე“.

„ტირის შგონია, ეს საცოდავი“.

„ე. ბიჭო. დააწყნარეთ ვილაყამ. გამოიფუჭა გული ყოველდღე მაგის ქვითინმა“.

„კაი. გაჩუმდით, ბავშვებო. ცოდვია, ბოლოსდაბოლოს“.

„იტირებს, იტირებს და გაჩუმდება“.

„რომ არ გაჩუმდეს?“

„აბა. ერთწუთიანი დღეშილით პატივივეთ ჩვენს იუბილარს...“

„მასწავლებლო, ხეია იხახის ფიზკულტურაში წერიტი გამოცდა იქნებაო, მართალია?“

გაიოხმა მაგნიტოფონი გამორთო და ისევ კარადაში შეინახა.

— გაკვეთილი რომ დამთავრდა, შენ ყვავილები და ნაჩუქარი წიგნი სამასწავლებლოში წამოიღე და სიამაყით უჩვენებდი კოლეგებს. მეათეკლასელებმა დაბადების დღე მომილოცესო... იმის მაგივრად, რომ უკვე, ელასში იატაკზე დაგეყარა და ფეხით დაგესრისა, ყველას თვალწინ იქნება მაშინ მაინც მიძხვდაროვნენ, რომ ნატო მასწავლებლსაც აქვს თავმოყვარეობა.

უფრო მეტიც, ნატომ შინ წაიღო ის ყვავილები, ვახაში ჩადო და წყალი ჩატანა. ვახა თვალსაჩინო ადგილას ედო და როცა დრო ჰქონდა, შეჰყურებდა და ტკბარლმწარე მოგონებებს ეძლეოდა.

— ლექსოს რომ ჰკითხო, დირექტო-

რმა ადვილი გზა გამოძებნა, აკეთებს, თურმე ყველას შეუძლია, ამაზე ადვილი არაფერი ყოფილა...

ახლავა მიხვდა ნატო, რომ დირექტორი სწორედ ლექსოს ეკამათებოდა და ედავებოდა ასე გაცხარებით. ლექსო საკმაოდ მოურიდებლად ებენდა ხოლმე ახალ დირექტორს. საამისოდ იგი იყენებდა ყოველგვარ ხელსაყრელ შემთხვევას. ასე იყო ამასწინათ ჰედასაბჭოზეც. რამდენიმე კვირის წინ ერთ მასწავლებელს გაკვეთილზე დავესწარიო, თქვა ლექსომ, იგი მოუშვადებლად იყო მოსული და, ცხადია, არც გაკვეთილი ვარგოდაო, მაგრამ მოსწავლეები მაინც წყნარად ისხდნენო. რატომ? (მაშინვე მიხვდა ყველა, თუ ვინ იყო ეს მასწავლებელი) იმიტომ რომ მასწავლებლის ეშინოდათ, ან მასწავლებლის, ან ჩემი, ან ორივესი ერთად, ან უბრალოდ, სტუმარს ერიდებოდნენ. ეს შიში ან შორიდება რომ არ ყოფილიყო, ისინი ალბათ ახმაურდებოდნენ, რაც იქნებოდა მათი პროტესტი ცუდი გაკვეთილის გამო. ასეთი პროტესტი საქმეს ზიანს არ მოუტანს, პირიქით, იგი გვაიძულებს სრულყოფით ჩვენს მუშაობის შინაარსი და ფორმა...

— თურმე უწყსრიგობა, ხმაური გაკვეთილზე, მოსწავლეების უზრდელიობა და თავხედობა კი არ აფერხებს, არამედ წინ სწევს სასწავლო-სააღმზრდელი მუშაობას... რა ადვილად, რა კონტად გამოდის ყველაფერი. ამას ამბობს სასწავლო ნაწილის გამგე, რომელსაც დირექტორობაც კი შესთავაზეს, მაგრამ არ იტურვა. თავმდაბალი კაცია, შორს დგას პატივმოყვარეობისაგან. რატომ ისტრუვება? იცოდა, რა ძნელი საქმეც იყო. მან უფრო ადვილი საქმე აირჩია — ხელის შეშლა...

ნატომ საათზე დაიხედა და წამოდგა, გაკვეთილი ჰქონდა.

— სხვა სკოლაში კი იქნება ჩემი ადგილი, ბატონო გაიოხ?

— მოვახერხებთ რამეს. გადავეცვლით. მთავარია შენი თანხმობა.

ნატო თანახმა იყო. გაიოხმა გადაწ-

ყვიტა დღესვე ენახა განათლების განყოფილების გამგე და ეთხოვა მისთვის ამ საქმის დაბოლოება, მოეძებნა მათემატიკის მასწავლებელი, რომელიც ნატოს ადგილს გაუცვლიდა. იმ დღეს სხვა გადაუდებელი საქმეებიც ჰქონდა დირექტორს რაიონის ცენტრში. შუადღე იყო, გაჩერებასთან იდგა და ავტობუსს ელოდა. ამ დროს „ეტიკული“ ჩამოიქროლა და გაჩერდა. მძღოლმა სარკმილიდან თავი გამოჰყო, გაიოხს ხელით ანიშნებდა, აქეთ ხომ არ მოდიხარო. გაიოხმა ბიძინა დარჩია იცნო, თავისი დეიდაშვილი. ბიძინა ამ რამდენიმე წლის წინ რაიონში ცნობილი სპორტსმენი იყო, ხშირად რესპუბლიკის პირველობაზეც კი გამოდიოდა ჭიდაობასა და კრიკში. ფიზკულტურის ტექნიკაში დაამთავრა და ის იყო, მუშაობდა უნდა დაეწყო, რომ ჩხუბი მოუვიდა და სამი კაცი შემოეღახა, თითო თვით ჩააწვინა სამივე. ბიძინა დაიჭირეს და ხუთღვინათვის სამი წლით ჩასვეს ციხეში. მართალია, ჩხუბი მას არ აუტეხია, პირიქით, გაშველების მიზნით ჩაერია ჩხუბში, მაგრამ ნამეტანი მოუვიდა და სასამართლოზე ადვილად დაუმტყიცეს, რომ გასაშველებლად სამი კაცის ასე უმოწყალოდ მიზევება აუცილებელი არ იყო. ასეთ გაშველებას სჯობდა, სულაც არ გაეარებოდა მოჩხუბრებს. „ეტიკული“ მამამისის იყო. ომში დასაბრუნებულმა, ავადმყოფმა კაცმა ბიძინას დაპატიმრება ვერ აიტანა, თუ სხვა მიზეზი იყო, ლოგინად ჩავარდა, ფეხები წაერთვა. ამის შემდეგ ცოტათი კი მომჯობინდა, მაგრამ უყვარჯნებოდ მაინც ვერ დადიოდა. ბიძინას ახლახან მოეხადა პატიმრობა და უსაქმოდ დაეხეტებოდა.

გაიოხი მანქანაში ჩაქდა.

— გავიგე, დირექტორი გამხდარხარ, მართალია? — ჰკითხა ბიძინამ.

— მართალია, — მიუგო გაიოხმა.

— შენ იცი, მე ფიზკულტურის მასწავლებელი რომ ვარ?

— ვიცი... ქართული ჭიდაობის შემსწავლელ წრეს მოგცემ.

— ხელფასი?

— ასი მანეთი...

— ხვალვე მოვალ... ოღონდ ყოველდღე ნუ მომიყვან სკოლაში ასი მანეთისთვის.

— სწორედ ყოველდღე მოხვალ, შენი მანქანით. ას მანეთზე არ გაგაჩერებ. ამ დღეებში სამეურნეო ნაწილის გამგე აპირებს წასვლას. კარგ დროს შემხვდი. მის ადგილსაც შენ მოგცემ.

ბიძინა მართლაც მეორე დღესვე გამოცხადდა სკოლაში და ამის შემდეგ დირექტორი მას წუთითაც არ იცილებდა. ერთად მოდიოდნენ სკოლაში (ბიძინა გამოუვლიდა შინიდან მომავალი) და ერთად ამთავრებდნენ მუშაობას. დირექტორმა მძღოლიც იშოვა და მანქანაცო, ხუმრობდა ლექსო. ასეც იყო. გაიოხს ათასი საქმე ჰქონდა, ათასგან იყო წაასვლელ-წამოსასვლელი და ბიძინა თავისი მანქანით ძალიან გამოადგა. როცა გაიოხი სკოლაში იყო, ბიძინაც თითქმის მუდამ სამასწავლებლოში იქდა და ელოდა, როდის დასჭირდებოდა დირექტორს, როდის გამოიძახებდა. ერთი შემთხვევის შემდეგ კი თვით კაბინეტშიც შინაური კაცი გახდა. მეცხრე კლასში სწავლობდა ერთი თავზეხელაღებული ბიჭი — ზაზა დოლიძე. დოლიძე „ძველებიჭობდა“, არავის არ ეპუებოდა და ზოგჯერ გაკვეთილზე პაპიროსსაც კი გააბოლებდა ხოლმე. რაიონის თითქმის ყველა სკოლა ჰქონდა მოვლილი და ბოლოს ჰანიშვილთან ჰპოვა თავშესაფარი. მასწავლებლები ეხვეწებოდნენ, ოღონდ გაკვეთილზე ნუ შემოხვალ და სამიანს არ დაგამადლებთო. არც დადიოდა. ხუთიოდე წუთით თუ შემოვივლიდა ხოლმე, ამხანაგებს მოინახულებდა და ნებართვას არც ეთხოვდა, ისე ტოვებდა გაკვეთილს. გაიოხმა დოლიძე კაბინეტში დაიბარა, გადაწყვიტა სერიოზულად მოლაპარაკებოდა მას. დირექტორი მთელი ნახევარი საათი ელაპარაკებოდა, უყვიროდა, ემუქრებოდა, ჰუუას არიგებდა, ის კი დონიჭმემოყრილი იდგა, ილიმებოდა და ფანჯარაში

რქვირებოდა. გაიოზი მოთმინებიდან გამოვიდა, ბიჭს მივარდა, მკლავში ხელი ჩაავლო და მაგრად შეანჯღრია, გესმია თუ არა რასაც გელაპარაკები, გინდა თუ არა სკოლაში ყოფნაო. დოლიძემ დირექტორს მკერდზე ჰკრა ხელი, მერე ფანჯრის რაფაზე შეხტა, შენ და შენი სკოლაყო, შეუკურთხა გაიოზს, მინა შეუბლით გაამსხვრია და ეზოში გადახტა. ამის შემდეგ დოლიძე აღარ გამოჩენილა სკოლაში. დირექტორმა მშობელი დაიბარა, საბუთები გაატანა და უთხრა, გარიცხვით არ ვრიცხავ, მაგრამ ამ სკოლაში არც მე მინდა, რომ მოვიდეს და იმედი მაქვს, არც მას მოვენატრებითო. ეს ამბავი იმ დღესვე უამბო გაიოზმა ბიძინას და უთხრა, როცა მოსწავლეებთან შექნება „ლაპარაკი“, შენც შემოდი კაბინეტში და ყურადღებით იყავი, ვინმე სხვაც არ გადამიხტეს ფანჯრიდან, კისერი რომ არ მოიტეხოს და ხათაბალაში არ გავეხვიოო. ბიძინას დასწრება ასეთ „სასამართლოებზე“ ზოგიერთ თავხედზე დამამშვიდებლად მოქმედებდა. ეს მალე შენიშნა გაიოზმა. ჩასკენილი, დაკუნთული ბიძინა შთამბეჭდავად გამოიყურებოდა და წარსულიც შთამბეჭდავი ჰქონდა: ის ზომ რამდენჯერმე რაიონის ჩემპიონი იყო ჭიდაობასა და კრივში. მოსწავლეებმა, რა თქმა უნდა, მალე ისიც გაიგეს, რომ მან მარტომ სამი კაცი მიხეგვა და ამის გამო ნაამართლევი იყო. ბიძინა იმ დღესაც დირექტორის კაბინეტში იჯდა, კაკალა მასწავლებელმა მეთექვსისეული მერაბ ბარამიძე რომ შემოიყვანა. ერთი გამოიგეთ, რა დავუშავე ამ ყმაწვილს, სული რომ ამომართვაო, სთხოვა კაკალამ გაიოზს. მაღალი, გამხდარი ყმაწვილი იყო. ერთი შეხედვით ისეთი საცოდავი და საწყალი გეგონებოდათ, იფიქრებდით, ჭიანჭველას ფეხს არ დააბიჯებსო. გაიოზი ბიჭთან ახლოს მივიდა, მკაცრად ახედ-დახედა. მერაბ ბარამიძეზე სხვა მასწავლებლებიც გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას.

— რას ერჩი, ყმაწვილო, ამ პატიო-

სან ადამიანს, — ჰკითხა ^{ერქვირებულში} ~~მეხვეტირებულში~~ — რას ვაუმწარე სიცოცხლე. ოცდახუთი წელია მასწავლებელია. ათასობით შენისთანა ახალგაზრდა გამოუზრდია...

— მაგისტანა? — შესძახა კაკალამ. — მაგისტანა მტრისას. დამილუპავს ქვეყანა და ეგ არის.

— იქნება გინდა რამე ჩვენგან? — ეკლავ ჰკითხა გაიოზმა.

— არაფერი არ მინდა მე... რა უნდა მინდოდეს?

გაიოზმა კაკალა გაუშვა, ბარამიძეს ჩვენ მოველაპარაკებითო და ბიჭს მიუბრუნდა:

— შენ ყოფილხარ ამ სკოლაში ყველაზე უფროსი, ყველაზე ძლიერი. არავის არაფრად ავღებ, არავინ თვალში არ გიჩანს... ჰაპიროსს ზომ ეწევი?

— რის ჰაპიროსი. არაფერსაც არ ვეწევი.

— ამოაწყვე ერთი, რა გაქვს მაგ ჭიბეებში.

— არაფერიც არ მაქვს.

— მაჩვენე.

ბიჭმა ერთი ჭიბე გადმოაბრუნა.

— მეორეც.

ბიჭმა ამჯერად თავი შეიკავა. გაიოზი მაგიდასთან მივიდა, დაჯდა, ქალაღი და კალამი მოიმარჯვა.

— წუხელ კინოში იყავი დამის სენსზე?

— მე? კი ვიყავი.

— სხვები? ჩამოთვალე... ნუ გეშინია, არ გაგამხელ. ვიციო ჩვენ საიდუმლოს შენახვა.

ბიჭს არაფერი უთქვამს.

— მარტო იყავი?

— კი, მარტო.

— სად დალიე?

— რა ბრძანეთ, მასწო?

— ნასვამი ზომ იყავი-მეთქი.

— რის ნასვამი. როდის იყო, მე რომ ვსვამდი?

— არ ყოფილა ჭერ, ზომ?

— არ ყოფილა.

— მამაშენს რამდენი დარჩა?

— რა ვიცი მე.

— არ იცი, როდის გამოვა მამაშენი?

შენც ციხისკენ მიგეჩქარებენ გგონია, უწლოვანი ხარ და ყველაფერს გააპატიებენ?

— შენც ხომ იყეკი ციხეში, მაგრამ ახლა აქ ხარ... მეც წავალ იქ, არ შეშინა.

— გაძალღებს ვინმე, წადიო? რა აუცილებელია იქ წასვლა? რა სიკეთეა იქ? რომ დაატარებ მაგ ეანგიან დანას, ხომ იცი შენი ქუთა-გონების ამბავი, დაჭრი ვინმეს... და თავს წააგებ.

— მე თავს არავის დაკაჩაგვრინებ. ხელს ვერაფერს ვერ მახლებს...

— ზოგს უხდება ყურის აწვევა, ჩემო მერაბ... სიკეთე გვინდა შენთვის... გვინდა ადამიანი გამოხვიდე.

ბიძინა ოთახში დადიოდა და თან თვალს არ აცილებდა ბარამიძეს, ბიჭიც თვალს ადევნებდა მის ყოველ მოძრაობას, ფრთხილობდა, არ მომვარდესო. ბიძინამ მაინც უშოვა დრო, ხელი დაუჭირა. სწრაფად გადაუგრიბა, დანა წაართვა და მაგიდაზე დადო.

— ამის იმედი გქონდა?

— ხელი არ მახლო, თორემ ჩაგისაფრდები სადმე თოფით.

— მიდი, მიდი, გადმოაბრუნე ახლა მაგ ჩიბე. იარაღი მეტი აღარ გექნება თან. სახლში თუ გაქვს თოფ-ზარბაზანი, თავის დროზე იმასაც ვნახავთ.

ბიჭმა სიგარეტების კოლოფი ამოიღო და მაგიდაზე დადო.

— ამ დანას დირექტორს ვაჩვენებ და ვეტყვი, რომ დაჭრას მიპირებდი, როგორ ფიქრობ, გაგაჩერებს სკოლაში?

— კარგად ვიცი, რასაც იზამს.

ამ დროს გაიოზიც შემოვიდა, ბიძინამ დანას გაზეთი მიაფარა.

— გააგებინე რამე?

— მოვტეხე რქა... აი, ეს სიგარეტები ედო ჩიბეში.

— მეტი არაფერი?

— არა.

— მაგ ყმაწვილზე ამბავი მომივიდა, შეიარაღებული დადისო, როგორც შარავზის ყაჩაღის წესია. გამოცდილება აქვს უკვე ყაჩაღობის. შარშანწინ, მერვე კლასში რომ იყო, დანით შეაშინა

— ორ წელში, თუ არ დაუმატეს.

— რატომ უნდა დაუმატონ?

— რა ვიცი... ზომ დაუმატეს ერთხელ.

— შეხვდებით თქვენ ციხეში ერთმანეთს. მამაშენზე ნაკლები არ ხარ შენ. კოჭებში გატყობ... წააჭარბო ვიდევ იქნება.

— ვერაფერსაც ვერ მატყობ...

გაიოზი ადგა, ოთახში გაიარ-გამოიარა. მერე ბიძინას მიუბრუნდა:

— ხედავ, რა ვაფეიცია? ვერ ვატყობ, თურმე. არც ჩიბეების ჩვენება ეხალისება. ალბათ მორცხვობს ჩემთან. მე გავალ და შენ გაჩვენოს იქნება.

გაიოზი გავიდა.

ბიძინა ადგა და ბიჭს მიუახლოვდა.

— არ გცოდნია ჩვენი წესები.

— ვიცი. — თქვა ბიჭმა.

— ამა რაღას ითრევ ფეხს. აქ ვინც შემოვა, თავისას ვერ გაიტანს.

— არაფერი არ მაქვს მე გასატანი.

— ჩიბეში რა გიღვეს?

— რა თქვენი საქმეა, რა მიღვეს მე ჩიბეში?

— ჩვენი საქმეცაა, როცა ისეთი რამეებით იტენით ჩიბეებს. მოსწავლეს რომ არ შეეფერება.

— მე ისეთი არაფერი მაქვს, მოსწავლეს რომ არ შეეფერება.

— პირადად უნდა დავრწმუნდე.

ბიძინა უფრო ახლოს მივიდა. ბარამიძემ სწრაფად ჩაიფო მარჯვენა ხელი ჩიბეში.

— არ მოხვიდე, თორემ ინანებ.

ბიძინა შეჩერდა.

— ბიჭოს! აკი ეთქვი, შენ რაღაც ისეთი გიღვეს ჩიბეში, მოსწავლეს რომ არ შეეფერება-მეთქი.

— კარგად ვიცი მე, რისთვისაც მოგიყვანა დირექტორმა ჩვენს სკოლაში. ხელი არ დამაკარო, თორემ დანით დაგჭრი, ან ჩაგისაფრდები სადმე და თოფს გეპერი.

ბიძინა ერთხანს დუმდა და ბიჭს თვალებში უმზერდა, მერე სიცილით უთხრა:

— კი ყოფილხარ მამაშენის შვილი...

ერთი ახალგაზრდა მოსწავლე და ჭინისი გახდა. მერე კი, როცა საქმე გაიხსნა, გამოცვალაო, იძახდა. რის მუქარა, რის დანაო. მერე მიფუჩქიდა ეს ამბავი. მე იმდღევე გავრიცხავდი და მილიციისკენ გავეგზავნიდი. მაშინ ისწავლიდა კეთას.

გაიოზმა ბიჭს ხელი მოკიდა, მაგიდასთან სკამზე დასვა, წინ ქალაღი და კალამი დაუდო:

— თუ გინდა, ყველაფერი გაპატიოთ, ჩამოწერე ახლა, ვინ ეწევა, ვინ აფუქებს კარებზე საკეტებს, ვინ მოიპარა მაგნიტოფონი. ვინ უშლის ხელს შენს კლასში მასწავლებლებს გაკვეთილზე.

ბარამიძე სწრაფად წამოდგა.

— მე არაფერი არ ვიცი...

— შენ გგონია, მე არ ვიცი? ამ აპარატს ხედავ? სად რა ხდება, ყველაფერს ვისმენ. ისეთი ხალხიც გვეყავს, ვინც შენსავით არ მალავს ამხანაგების სიგლახეს და თავის დროზე ვეატყობინება ყველაფერს. შენ გგონია, მაგით კარგ საქმეს უკეთებ? ეს მეგობრობა კი არა მტრობაა. ქურდები ჩვენ უკვე ვიპოვეთ. შენი თანაკლასელებია. მალე გაიგებ მათი გარიცხვის ამბავს. ისიც კარგად ვიცი. ვინ ეწევა, ვინ ამტვრევს სკამებს და მაგიდებს, ვინ ჭლახინა აედლებზე, ყველას მოვუვლით... წადი ახლა.

ბიჭი გავიდა.

— რა ტყუილად იწუხებ თავს, მაგისგან რა უნდა გაიგო?

— ყველა არაა ასე ჭიუტი, — გაიოზი კარადაა გადასწვდა და საქაღალდე გადმოიღო. — სავსეა.

— შედეგი?

— დიდ დანაშაულზე ერთმანეთს არ ამხელენ. ჭერჭერობით. ეცოდებათ ამხანაგები. მაგრამ წვრილმან ცოდვებს მაინც და მაინც არ მალავენ. ცხადია, წინასწარ ვარწმუნებ, რომ საიდუმლოს შევუცნახავ.

— რად გინდა მერე, რაში გპირდება?

— მპირდება. მინდა ერთმანეთს

ემინოდეთ. აქ მთელი ბანდაა. სწრაფად იმათ ვაწერინებ ამ ქალაღებს, საეკვოდ რომ მეჩვენება. ერთმანეთს რომ აღარ ენდობიან, ბანდაც დაიშლება.

— ჰოო...

ამჟამად იყო, ბიძინას არ მოსწონდა ეს ამბავი.

— მე ამ სკოლაში წესრიგი უნდა დავამყარო, ჩემო ბიძინა, რაღაც არ უნდა დამიჭდეს.

გაიოზმა მიაღწია მიზანს, სკოლაში მართლაც დაამყარა წესრიგი, თუმცა ამისთვის იძულებული გახდა ორი მოსწავლე გაერიცხა. პირველს — ჯონი (ანუ ჭუანშერი) ქილიფთარს მაგნიტოფონის მოპარვა და გაყიდვა ედებოდა ბრალად. ჯონი ამტკიცებდა, მე არ მომიპარავს, ერთ ადგილას ვიპოვეო (ადგილსაც ასახელებდა), რაც ყოვლად დაუჭერებლად მიიჩნეეს. როგორ, ქურდმა მაგნიტოფონი სკოლიდან გამოიტანა და სადღაც ნაძვის ძირში დადო უპატრონოდ, რომ შემდეგ ჭუანშერი ქილიფთარს ეპოვა და მეზობელ სოფელში გაეყიდა? რატომ სკოლაში არ მოიტანეო, ჰკითხა გაიოზმა, ხომ იცოდი, რომ მოპარული იყო და ვეძებდიო. მაინც არ დამიჭერებდიო, მიუგო ჯონიმ. ქურდად მაინც მე ჩამთვლიდით, ამიტომ ვამჩობინე წამელო და გამეყიდაო. არ გასულა ერთი კვირაც და ქილიფთარს ნუგზარ გორგილაძეც მიაყოლეს. აკაღა მასწავლებელი ამტკიცებდა, დავინახე, გორგილაძე ერთ-ერთი კარის აკეთის ქუჭრუტანაში ასანთის ღერს რომ ჩრიდაო. ნუგზარს მაშინვე სტაცეს ხელი. დირექტორმა გორგილაძე კაბინეტში რომ გამოიხაზა და ცხვირწინ სკოლიდან გარიცხვის ბრძანება აუფრიალა, ნუგზარი პატარა ბავშვივით ატირდა, მე არაფერ შუაში ვარო. მე დავინახე საეკეტის ქუჭრუტანაში ჩაჩხერილი ასანთის ღერი და გამოვლებას ვაპირებდიო. გაიოზს წამით შეეცოდა კიდევ იგი, რომ ზღუქუნებდა და მუშტებით რომ იწმენდა ცრემლებს, იჭნება მართლა შემთხვევით მოხვდა ამ ხათაბალაშიო. მაგრამ მაშინვე დასძ-

ლია ეს სისუსტე. არა, უკანდახევა აღარ შეიძლებოდა. ამ საქმეზე მას ვილაყ სასწრაფოდ უნდა დაესაჯა. უნდა დაესაჯა სამავალითოდ, თუნდაც უღანაშეულო. ისე ამ უმსგავსოებას ბოლო არ მოეღებოდა. რამდენიმე მოსწავლის გარიცხვა რომ მოუხდებოდა, წინასწარვე იცოდა, „კანდიდატები“ ჯერ კიდევ ჭანიშვილის წასვლამდე ჰყავდა შეჩვეული. მათ შორის იყვნენ ნუგზარ გორგილაძე და ჭუანშერ ქილიფთარიც. გაიოზი კმაყოფილი იყო იმით, რომ „ბადეში“ სწორედ ესენი მოყვენენ. ეკვი არ ეპარებოდა, რომ მათი გარიცხვით „ბანდის“ მოთავეებს მოიცილებდა. ჭუანშერის მამა კოლმეფურნეობის მოლარე იყო, დედა კი — გამყიდველი სასურსათო მაღაზიაში. გაიოზის აზრით, ერთიცა და მეორეც კარგა მაგრად გამოქეცილი თაღლითები იყვნენ და შეილიც ღირსეული მემკვიდრე ეზრდებოდათ, თუმცა ჯერჯერობით მშობლებს შეილისგან კარგი დღე არ აღებათ, რადგან ვანებზირეს, ვათავებედეს და ახლა არაფერს აღარ უჯერებდათ, სწავლას თავი ანება, ტან-ფეხზე კი ყველაფერს საუკეთესოს მოითხოვდა. მთელ სკოლაში ყველაზე უკეთესად იცვამდა და ამით აშკარად თავი მოჰქონდა, იბღინებოდა. იბრანებოდა, საზღვარი არ ჰქონდა მის ბაქიობასა და პოზიორობას. მასთან მასწავლებლებს მთელი ბრძოლები ჰქონდათ ვადანახადი ფორმის ტანსაცმლის ჩაცმის თაობაზე. ფეხზე ხომ მუდამ საზღვარგარეთული, მაღალქუსლიანი „ფორმის“ ფეხსაცმელი ეცვა, ვინ იცის, სად და როგორ წაყიდი. მუდამ „ფულიანი“ იყო და ამითაც გვარიანად დიდგულობდა. ამხანაგებს არ სძულდათ, რადგან ფულის ზარცვა უყვარდა. ძუნწი არ იყო. ბუფეტში ხშირად მთელ კლასს პატივებდა. თუ ვინმე ფულს სთხოვდა, უყოყმანოდ აძლევდა და უკან არასდროს ართმევდა. განსაკუთრებით აუტანელი იყო იგი გაკვეთილზე, რადგან მუდამ გოგოებთან დაჯდომას ცდილობდა და საკმაოდ უზრდელად, თავ-

ხედურად, მოურიდებლად უყურებდა მათ. მასწავლებლებს არც კი ამჩნევდა. გოგოებს თმებში მოჰჩაწავდა, ფეხს დაუღებდა, ხელებს გადაუგრებდა და როცა აღშფოთებული მასწავლებელი წესრიგისაკენ მოუწოდებდა, გაკვირებული წამოიძახებდა, ჩემთან რა გინდა, თვითონ მაწუხებენო. გაიოზს სძულდა ეს ბიჭი, თუმცა ძალიან კარგად იცოდა, რომ ეს გრძნობა ყოვლად შეუფერებელი იყო პედაგოგისათვის. ბიჭის გამო მისი მშობლებიც კი შესძულდა, რომლებთანაც ადრე მეგობრობდა კიდევ; დედა ნათესავადაც კი ერგებოდა. განსაკუთრებით ერთი შემთხვევის შემდეგ აიყარა გული ჭუანშერზე. ეს მოხდა ორიოდ წლის წინ. სასწავლო წელი ახალდაწყებული იყო, ცხელოდა, ბავშვები ჩვეულებისამებრ მაინც ბევრს დარბოდნენ ეზოში და წყლის ონკანსაც ხშირად აკოთხავდნენ წყურვილის მოაკლავად. დიდი დასვენება იყო, გაიოზი ეზოში მორიგეობდა და კარვად დინახა, როგორ მიიბრინა ჭუანშერმა ონკანთან. შეუბრალებლად ჰკრა ხელი მეთხეკლაკელ გოგონას, რომელიც რის ვაივაგლაზით მიწვდომდა ონკანს და წყალს სვამდა, იქვე ტალახიან თხრილში გადააყარავა და წამითაც არ შეწყობებულა თავისი საქციელის შედეგით, არზეინად შეუღდა წყლის სმას. ამ საქმეს რომ შორჩა, ერთი კი მოხედა დამკირებისა და ტკივილისაგან აჩხავლებულ გოგოს, რომელსაც ვერაფრით ვერ მოეხერხებინა წამოდგომა და იქვე ვილაყ მეცბრეკლასელ გოგოს აედევნა ღრეკითა და მანკვით. ამის დანახავზე გაიოზს გულზე ცეცხლი შემოენთო. ბიჭს ხელი სტაცა, დირექტორთან შეათრია. მშობელი გამოაძახებინა და კატეგორიულად მოითხოვა, მისთვის ყოფაქცევაში ნიშანი დაეკლოთ. მაგრამ რა გამოვიდა, მშობლებმა იმდენი მოახერხეს, რომ მეთხეკლასელ გოგოს, რომელსაც ფეხი ჰქონდა ნაღრძობი და ამის გამო მთელ კვირას აცდენდა სკოლა, ათქმევიწენს, ჩემით დავეცი, ხელი ჩემთვის არავის

უკაცოს. გაიოზმა მშვენივრად იცოდა, რომ ჯონი ქილიფთარის გარიცხვას მთელი დავიდარაბა მოჰყვებოდა, რომ მისი „ყოვლისშემძლე“ მშობლები ყოველთაგან შვეიცდებოდნენ დირექტორის კამბუტუნებას, რომ მან თავიდანვე ათჯ ლწუნა ბავშვი და უსამართლო სისასტიკეს იჩენდა მია მიმართ. მაგრამ იგი მზად იყო ბრძოლისათვის. სჯეროდა, რომ მართალი იყო. განათლების განყოფილება გამგესაც ყველაფერი დაწვრილებით აუხსნა და დაარწმუნა ამ საჩუქლის აუცილებლობაში. ეს ბიჭი ერთ დღეს პროკურორად მოგვევლინებო, უთხრა ხუმრობით, მაგრამ მინდა იქამდე გზა ცოტათი მაინც გავუკრძელო. საქმე ის იყო, რომ ჭუანშერს უკვე ამორჩეული ჰქონდა თავისი მომავალი პროფესია, იურიდიულზე უნდა ისწავლო, გაიძახოდა. „პატრონი“ უკვე ნაშოვნი ჰყავს მამაჩემს (ფასსაც ასახელებდა), ამდენი და ამდენი მოგვინოვებს და ფული უკვე გადადებული გვაქვსო. ეგ კი არა, უმადლესში რომ მოვეწყობი, „უიგულიც უნდა მიყიდონო. ასე დამპირდნენ და რომ არ შემისრულონ, მამაჩემს და ეედანემს სახლში გამოვწყავო. რა თქმა უნდა. ყველამ იცოდა სკოლაში, რომ ჭუანშერ ქილიფთარი უსინდისო ტრამპა იყო, მაგრამ ისიც იცოდნენ, მისი მშობლები გამალებით რომ ეძებდნენ ბიჭისთვის „პატრონს“ და არც მალე ვდნენ ამას. სხვათაშორის მეორე გარცხულიც, ნუგზარ გორგილაძეც, „მოავალი იურისტი“ იყო. (დიდი გაცეკებით ვითხულობდა დეტექტიურ ლიტერატურას. სხვა წიგნები მისთვის არ არსებობდა. სკოლის სახელმძღვანელოებში საერთოდ არც იხედებოდა). დედამისის მტკიცებით (რასაც არც ნუგზარი უარყოფდა), ბიჭს დედაქალაქში ბიბა ჰყავდა დიდი კაცი (მამა არ ჰყავდა, მას ცოლშვილი ადრე მიეტოვებინა და კაცმა არ იცოდა მისი ასავალ-დასავალი) და იმ ბიბას ერთი სული ჰქონდა, როდის ჩაუვიდოდა ძმისწული სიმწიფის ატესტატით ხელში, რომ მისთვის

იურიდიული ფაკულტეტის მსტუდენტის ბილეთი ჩაებარებინა. ნუგზარმა დიდი ტანჯვითა და ვაი-ვაგლახით რვა კლასი რომ დაამთავრა, დირექტორისა და კლასის ხელმძღვანელის რჩევით გადაწყვიტა სწავლა პროფტექნიკუმში გაეგრძელებინა. რაიონულ გაზეთშიც გამოქვეყნდა პეტრე ჰანიშვილის წერილი, ჩვენი სკოლის ესა და ეს მოსწავლეები პროფტექნიკუმში აპირებენ სწავლასო. მეორე დღესვე მოვარდა სკოლაში ნუგზარის დედა, ერთი წივილ-კივილი ატება, შვილი ხომ დამიღუპეთ, ახლა მაზლსაც მიღუპავეთო, მან რომ ეს წერილი ნახოს, გული გაუსკდებო. ასე დარჩა ნუგზარი საშუალო სკოლაში. ახლა კი, მისი სკოლიდან გარიცხვის შემდეგ ალბათ მისი მოთიური ბიბიაც გამოიღებდა ხმას, თუმცა მასზე უფრო გაიოზს დედამისის ისტერიკების ეშინოდა. მაგრამ რა უნდა ექნა; საქმე, რომელსაც მან ასე ენერჯიულად მოკიდა ხელი, მსხვერპლს მოითხოვდა.

საქმე, როგორც იქნა, აეწყო; სკოლაში წესრიგი დამყარდა; დროც თავისი გზით მიემართებოდა. გაიოზის ვაჟები, ზურიკო და ირაკლიც წამოიზარდნენ, დაამთავრეს საშუალო სკოლა. ისინი საუკეთესონი იყვნენ სკოლაში ყოფაქცევითა და სწავლით და არც უმაღლესში გამოცდების ჩაბარება გასჭირვებიათ. სკოლა ამყობდა ამ ჰაბტუკებით. რამდენჯერმე შეხვედრაც კი მოუწყვეს სხვა სტუდენტებთან ერთად. ვართელი მოსწავლეებისათვის ისინი სკოლის დამთავრების შემდეგაც სანიმუშო, მისათითებელ, მისაბამ ახალგაზრდებად რჩებოდნენ. გაიოზიც სამართლიანად ამყობდა თავისი შვილებით, სკოლით. ბევრი ლაპარაკი და ტრამპი არ უყვარდა, მაგრამ ზოგჯერ მაინც წამოსკდებოდა, სკოლა სკოლას დაეამსგავსეთო. ამას თანამშრომლებიც აღიარებდნენ; დირექტორმა შეუძლებელი შეძლო, ამბობდნენ შინ და გარეთ. ერთი სიტყვით, პედკოლექტივი აჰყვა გაიოზს, თუმცა აქაც იყო გამონაკლისი — ლექ-



სო ცენტრატე, სასწავლო ნაწილის გა-
მგე. იგი სულ ბუზღუნებდა და არცთუ
იშვიათად შეეყამათებოდა ხოლმე დი-
რექტორს. მაგრამ მის წინააღმდეგობას
გაიოზი თანდათან შეეჩვია და იტანდა.
მით უმეტეს, კოლექტივი დირექტორის
მხარეზე იყო. ამას გაიოზი თავისი სი-
მართლით ხსნიდა, ლექსო კი „მრისხანე
ბატონის“ წინაშე შეშითა და პირმოთ-
ნეობით. ლექსოსთან ურთიერთობა
მაინც ერთ დონეზე იდგა, არ უმჯობეს-
დებოდა, მაგრამ არც მწვევდებოდა.
სულ სხვაგვარად ჩაიხლართა საქმე ქი-
მიის ახალგაზრდა მასწავლებელ მანანა
რამიშვილთან. გაიოზს მთავარი სიძნე-
ლეები და წინააღმდეგობები უკვე უკან
ჰქონდა მოტოვებული, უკვე იშვიდა
თავისი დაუღალავი, შეუბოვარი ბრძო-
ლის პირველ შედეგებს, სკოლაში მან-
ანა რამიშვილი რომ გამოჩნდა. ინსტი-
ტუტიდან პირდაპირ ვარათის სკოლაში
გამოეშვათ. მეზობელ რაიონში ცხოვ-
რობდა, ოციოდე კილომეტრზე ვარა-
თიდან. პირველ დღეს ძმა მოჰყვა —
ისივე ქიმიის მასწავლებელი, ათიოდე
წლით უფროსი იყო თავის დაზე, უკვე
იცოდა, რაც იყო მასწავლებლობა, ამ
ძნელი პროფესიის სიტყბოცა და სიმ-
წარეც გამოეცადა და უმცროს დას
დარიგებებს აძლევდა, რომელიც აშკა-
რად აღელვებული, დამფრთხალი, შე-
შინებული ჩანდა. გაიოზმა და-ძმა კაბი-
ნეტში შეიპატიჟა, დაბრძანდითო შეს-
თავაზა მათ და ახალბედა მასწავლე-
ბელს ყოველგვარ სიკეთეს შეპირდა:
ასოც მანეთამდე ხელფასს, სრულ განა-
კეთს, ერთ-ერთი კლასის ხელმძღვანე-
ლობას, ბლომად საზოგადოებრივ და-
ვალეებს, ბინას აქვე, სკოლის გვერ-
დით (შეეძლო დღესვე დაბინავებული-
ყო) და მკაცრ, მაგრამ სამართლიან დი-
რექტორს, რომელიც მკაცრია მხოლოდ
იმათ მიმართ, ვინც თავის მოვალეობას
გულგრილად, უგულოდ ეკიდება. ეს...
ეს ბუნებრივიაო, ამოილულლულა მანა-
ნამ. შემდეგ გაიოზმა „სახალხო განა-
თლების“ ერთ-ერთ ბოლო ნომერში მო-
თავსებულ წერილზე დაიწყო ლაპარა-

კი, რომლის ავტორიც დირექტორი იყო.
რიგითი მასწავლებლების ურთიერთო-
ბას არკვევდა. გაიოზმა ავტორი გააყ-
რიტიკა და მანანას მიმართა, იმედია,
წერილი წაკითხული გაქვთო. არაო,
ალიარა მანანამ, „სახალხო განათლება“
გამოწერილი არა მაქვსო. „ეს როგორ?
— გაუყვირდა გაიოზს, — მასწავლებე-
ლი და „სახალხო განათლების“ გარე-
შე?“ „რა ვიცი, — თქვა მანანამ, —
ჩემს თანაყურსელებს ეს გაზეთი არა-
ვის არ ჰქონდა გამოწერილი... ბიბლიო-
თეკაში თუ გადავათვალიერებდით ხან-
დახან... ისიც იშვიათად“. „ეს ვერ მო-
გიწონეთ... ვერა, ეს ვერ მოგიწონეთ.
ეს უკვე უპასუხისმგებლობაა... იქნება
პატივს არ სცემთ თქვენს პროფესიას?“
შემდეგ, შინ რომ ბრუნდებოდნენ, მან-
ანა გაყვირებული ეკითხებოდა თავის
ძმას, ნეტა რა კაცია ეს ჩემი დირექტო-
რი და „სახალხო განათლებაზე“ ლაპა-
რაკი რაში დასჭირდაო. ძმა მხრებს
იჩეჩავდა. „მე ვიცი, — თქვა მანანამ,
— მე მაშინვე მიხვდით“. „აბა?“ „ეს კა-
ცი აუტანელი იქნება. ეს კაცი სისხლს
გამიშრობს“. „საოცარია, საიდან დაას-
კვენი ეს?“ „ნუთუ ვერ ხვდები? შენ
ხომ უკვე გამოცდილი მასწავლებელი
ხარ“. „ვერაფერს ვხვდები“. „საშინელი
კაცია“. „კარგი ერთი, რა უცნაური აზ-
რები მოგდის თავში. ჩვეულებრივი დი-
რექტორია, მასზე ცუდს არავინ ამბობს.
პირიქით“. „მან მშვენივრად იცოდა, —
თქვა მანანამ, — რომ სტუდენტები სუ-
ლაც არ იკლავენ თავს „სახალხო განა-
თლების“ კითხვით. არც იწერენ... მშვე-
ნივრად იცოდა, რომ ის წერილი წაკი-
თხული არ მექნებოდა... ყველაფერი
მისთვის დასჭირდა, რომ ჩემთვის საყ-
ველური ეთქვა. წარმოგიდგენია? პირველ
დღესვე... პირველ დღესვე, გაცნობის-
თანვე მათრაზი გაატკაცუნა, როგორც
მომთინიერებელმა ცირკში...“ „გაჩუ-
მდი მანანა, — გაუწყრა ძმა, — თვი-
თონაც არ იცი, რას მიედ-მოვლები. აქ
ცირკი არაა, აქ სკოლაა“. „ცირკიც იქ-
ნება, აი, ნახავ თუ არა“.

მანანას არ მოეწონა თავისი დირექ-

ტორი. ამაში არაფერი იყო უცნაური. პირველი შთაბეჭდილებები ხშირად გვატყუებს. უცნაური ის იყო, რომ არც გაიოხს დაუჭდა ჭკუაში ქიმიის ახალი მასწავლებელი. ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო მიზეზს. რალაც არ მოეწონა მასში და რა იყო ეს „რალაც“, ვერ გამოეცნო. გაიცნო თუ არა, შეხედა თუ არა თვალბეჭდში, გაურკვეველი საფრთხე, შიში იგრძნო. რალაც მეტისმეტად ურჩი, ჭიუტი გამოხედდა ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ აღელვებული და შეშინებული იყო. იქნება მოეჩვენა? აბა, რა ურჩი და ჭიუტი გამოხედდა უნდა ჰქონოდა ამ თითის ტოლა, კურდღლის ბავჯისავით დამფრთხალ გოგოს? უბრალოდ, ისე აეწყო საჭმე ამ რამდენიმე წელს, რომ სკოლიდან არავინ წასულა და არც ახალი მომატებიათ. პირველი ახალი მასწავლებელი მანანა იყო. ამიტომაც მოეჩვენა ეს დირექტორს, ამიტომ გაჰქრა რალაც გაურკვეველი საფრთხის მოახლოების გრძნობამ.

ცუდი წინათგრძნობა გამართლდა. მანანამ ხუთი თვეც ვერ გაძლო სკოლაში. ეს სკოლა კი არა ყაზარმააო, მიახალა პირში გაიოხს. მერე მასწავლებლებს მიმართა, თქვენთან ყოფნა და მუშაობა ჩემი ადამიანური ღირსებებისათვის დამამცირებლად მიმაჩნიაო; ნეტა სანამ უნდა ითმინოთ ამ თქვენი მომთვიანიერებლის მათრახის ტყაცუნი და თვალბეჭდის ბრიალიო. ეტყობა ისე ხართ შეჩვეული, უამისოდ ვერც კი გაგიძლიათო. ასე ჩამოაყალიბა მანანა რამიშვილმა თავისი შეხედულება ვართის სკოლის დირექტორსა და პედაგოგიურ კოლექტივზე; აბა, კარგად მეყოლეთო, დაემშვიდობა ყველას და ლექსოს ქიმიის კაბინეტის გასაღები ჩააბარა. ამის შემდეგ იგი სათოფეზეც არ გაეარებია ვართის. დამწყები მასწავლებელი როგორ გააქციეთო, ახალ კადრებთან მუშაობა არ გცოდნიაო, უსაყვედურეს გაიოხს განათლების განყოფილებაში. დამწყებიც არის და დამწყებიცო, იმართლა თავი გაიოხმა, ეს გო-

გო დამწყები მასწავლებელი კია, მაგრამ კაი ჩამოყალიბებული გიყია და მაგასთან მუშაობას მტერს არ ვუხსურებო. ეს ვინ გამომიგზავნეთ, სად გამოიხრიეთ, სად იპოვეთო. მაგ გოგოს პეტრე ჭანიშვილისთან „ცხვარიც“ ვერ გაიტანდა, მე კი, მოგეხსენებათ, ტყუილბრალოდ თავზე ხელს არავის გადავუსვამ და საქმის ფეხებზე დაკიდებას ვერავის ვაპატიებო. იმ გოგოს ვერაფრით ვერ შევაგნებინე, რომ არ შეიძლება გაკეთილზე დაგვიანება, გაცდენა, დირექციისა და კოლეგების აბუჩად აგდება. რაც მოეპრიანებოდა, იმას აკეთებდა. მარჯვნივ წადიო, რომ გეთქვა, უხნეო ბავშვივით, აუცილებლად მარცხნივ გაუხვევდა. ერთს ეტყოდი და ათს გიბასუხებდა. ნეტა რა ოჯახში გაიზარდა, ვინ გაზარდა, სად ისწავლა და რა ისწავლაო, მაგის ჭკუაზე რომ წავსულიყავი, ძლივს წაღმა შემოტრიალებული საქმე ისევე უჯღღმა უნდა მეტარებინაო. თავს უშველა და თავისით წავიდა, თორემ იმდენი შენიშვნები და საყვედურები დაუგროვდა, გაგდებას არაფერი უქლდაო.

მოგვარდა ესეც. მანანას სხვა სკოლაში უშოვეს ადგილი; იქ მან, როგორც ამბობდნენ, სავსებით გამოიცივალა ზნე-ვართში სხვა მასწავლებელი მოვიდა. წაღმა მიბრუნებული საქმე წაღმა მიდიოდა. მოსწავლეები არ იპარებოდნენ გაკვეთილებიდან, არ ატირებდნენ მასწავლებლებს, არ ბტებოდნენ ფანჯრებიდან, არ ატრიალებდნენ დანებს, არ თამაშობდნენ კარტს, არ ეწეოდნენ პაპიროსს, არ იპარავდნენ მაგნიტოფონებს. გაიოხი კმაყოფილი იყო. კმაყოფილი იყვნენ პედაგოგები და მშობლებიც, მათი შვილების ბედი საიმედო კაცს ეპყრა ხელთ. მხოლოდ ლექსო ბუზღუნებდა ხანდახან, ეს იყო და ეს. ისევე გრძელდებოდა გაზეთში კამათი თემაზე — „დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი“, რასაც გაიოხი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს, იქნება ჩემთვის რამე საგულისხმოს წავაწყდეთო. ერთ წერილს, რომელსაც ერჭვა



„დირექტორი — ჩემი მეგობარი“, ლექსო ცენტრამე აწერდა ხელს. ეს წერილი გაიოზმა სულმოუთქმელად ჩაიკითხა თავიდან ბოლომდე. ლექსო ყვებოდა, თუ როგორ გააგდო ვიღაც დირექტორმა სკოლიდან დამწყები მასწავლებელი, რომელიც უცოდველ კრავად ჰყავდა წარმოდგენილი, დირექტორს კი ნამდვილ ურჩხულად ხატავდა. აშკარა იყო, გაიოზი და მანანა იყენენ იმ წერილში ნაგულისხმევი. ეს შემთხვევა გამოდგება იმის მაგალითად, ასკენიდა ავტორი, თუ როგორ არ უნდა მოეპყრას დირექტორი მასწავლებელსო. ასეთი საქციელით მან შეიძლება ახალბედა მასწავლებელს გამოუსწორებელი ტრამვა მიაყენოს, პროფესია შეაძულოს, ცხოვრებაში გზა-კვალი აუბნოსო. ეს იყო ვერაგული დარტყმა ლექსოსაგან, ზურგში ჩაცემული დანა. აი, რით დამთავრდა მისი გაუთავებელი ბუზღენი. ვინ ვერ მიხვდებოდა, თუ ვისზე იყო წერილში ლაპარაკი, ან ვის დაარწმუნებდი, რომ უსინდისო ტყუილი, საზიზღარი ცილიწამება არ იყო ყველაფერი. მაშინვე გამოიძახა ლექსო კაბინეტში. სასწავლო ნაწილის გამგე რომ შემოვიდა, იგი ისევ გაზეთში თავჩარგული იჯდა, მეორედ თუ მესამედ კითხულობდა უკვე. საოცარია, როდის დაგროვდა ამდენი მტრობა და ღვარძლი, ამდენი ბოროტება ამ კაცში. თუმცა აქი აღრევე არ მოსდიოდა მას გაიოზი თვალში, ხომ შესთავაზა კიდევ, სხვა სკოლაში გადადი, აქ სახელგატეხილი ხარო. მაგრამ გაიოზი დარწმუნებული იყო, რომ ლექსო ამას პეტრე ჭანიშვილის დავალებით ეუბნებოდა... მესმის პირადი ანტიპათია, მაგრამ საქვეყნო საქმე? ვერც კი გაიგო ფიქრებში ჩაფლულმა გაიოზმა, როდის შემოვიდა ლექსო. იგი კარებთან იდგა ერთხანს, მერე წყნარად ჩაახველა და თქვა: „გისმენთ, ბატონო დირექტორო“. „წავიკითხე შენი წერილი. კარგია, კარგად წერ... ნამდვილი ეტრნალისტის ნიჭი გაქვს. არ უნდა ჩარჩენილიყავი სკოლაში. ირონია არ იგონდო-

ბოდა დირექტორის ხმაში... მათ ვითომ, ბატონო გაიოზ? „რა თქმა უნდა. სათაური კია ცოტა უცნაური. მეგობარიო, ამბობ და სინამდვილეში ურჩხულია ვიღაც... ალბათ კონკრეტული ვინმე გყავს მხედველობაში, ხომ?“ ლექსო გაკვირვებული უმზერდა სახეში გაიოზს, რომელიც ისევ გაზეთს ჩასჩერებოდა, თვალებს მალავდა თითქოს. რა კატა-თავგობანას მეთამაშება, გაივლო გულში, ნუთუ ვერ ხვდება, წერილი მასზე რომ მაქვს დაწერილი? „ცხადია, — თქვა ლექსომ, — ეს ხომ აშკარაა. როგორ ვერ იცანით. ჩვენს სკოლაზეა ლაპარაკი. სხვათაშორის წერილის პირველ ვარიანტში შეუცვლელად მეწერა გვარები. სკოლაც იყო მითითებული. უარი მიბოძრეს დაბეჭდვაზე. ამ სახით ვერ დაბეჭდავთო. ჭერ ფაქტები უნდა შემოწმდესო. არა და ასეთი რამ როგორ უნდა შემოწმდეს, არ ვიცი. თუ მოვლენ და მასწავლებლებს დაჰკითხავენ, შენს წინააღმდეგ ხმას არავინ არ ამოიღებს და ეს ბუნებრივიცაა. ყველა მანანას გაამტყუნებს. თუნდაც იმიტომ, რომ მანანა წასულია, შენ კი სკოლის დირექტორი ხარ“. გაიოზი ცოტა ხანს ხმას არ იღებდა. ლექსო ფეხზე იდგა. როგორც იქნა ასწია თავი გაიოზმა, თვალეში შეხედა ლექსოს. „არ გრცხვენია, ლექსო? ასეთი რამ თვით მანანას რომ დაეწერა, როგორმე აპატიებდა კაცი. გამოუცდელია. არ გაეგება სკოლის სპეციფიკა. შენ როგორ დაგემართა ეს, ამ ხნის პედაგოგს? შენ მაინც ხომ ხედავ, რა ვიყავით და რა ვართ დღეს“. „შენ თავ მოგაქვს, რომ სამართლიანი ხარ, მაგრამ რამიშვილს რომ ანგარიშს უსწორებდი, დაგავიწყდა შენი სამართლიანობა“. „ფაქტი? პაერზე ნუ ლაპარაკობ“. „გახსოვს, მოსწავლეთა არდადეგებზე მანანამ ერთი დღე რომ გააცდინა? ამისთვის მან საყვედური მიიღო. დაექვითა ხელფასიდან. იმ დღეს არც ნანა — უცხო ენის მასწავლებელი ყოფილა სკოლაში“. „ნანას განცხადება ჰქონდა დატოვებული“. „ტყუილია, გა-

ნცხადება დააწერინე მას შემდეგ, მანანას საყვედური რომ გაუფორმე. გაცდენას შენ არავის არ აბატებ, მაგრამ განკებ გააქეთე ეს. ამ ხერხით გოგონები ერთმანეთს დაუპირისპირე. ასეთი ოინებით მანანა მთელ კოლექტივს ათვალწუნებინე“.

გაიოზი ადგა, სიგარეტს მოუყიდა და ფანჯარასთან მივიდა. ლექსო ამ შემთხვევაში მართალი იყო. რას გამოაპარებ. ლექსო ყველაფერს ხედავს. ავსაც და კარგსაც. იცის, რა დიდი საქმეც გააკეთა გაიოზმა, მაგრამ თვალებს ხუჭავს. არ უნდა აღიაროს. ისე გამოროტდა და ღვარძლიანი გახდა, რომ თეთრი შავად უნდა დაინახოს. თუკი ყველაფერს ხედებოდა, რა ეშმაკობასაც მიმართავდა დირექტორი, რომ თავხედი, კანდიერი, პედაგოგობისათვის მოუმწიფებელი გოგო სკოლიდან გაეძევიბინა, ისიც უნდა დაენახა, რამიშვილი ჭიბრში რომ ედგა დირექტორს, გამომწვევად რომ იქცეოდა, წაღმა დაყენებულ საქმეს უკუღმა აბრუნებდა, წესრიგსა და დისციპლინას ძირს უთხრიდა. სწორედ რომ მოგზავნილივით იქცეოდა. გაიოზს ჯერ ეგონა, ცელქობსო, თანდათან მიხვდება, რა სერიოზულ პროფესიასთან აქვს საქმე და დადინჯდებაო, მაგრამ არა, მანანა შეგნებულად იქცეოდა ასე. შეგნებულად წიხლადა, აბუჩად იგდებდა, ამასხარავებდა, დასციწოდა ყველაფერს, რასაც გაიოზმა მთელი თავისი ძალ-ღონე შეაღია. დირექტორი რომ შეახსენებდა, დღეს გაკვეთილზე შესვლა ორი წუთით დაგაგვიანდაო, შემდეგ გაკვეთილზე ხუთ წუთს დაგვიანებდა. ამას აქეთებდა განკებ, ყველას დასანახად, დემონსტრაციულად. ეს კიდევ არაფერი, დირექტორს მოსწავლეთა წინაშე დასციწოდა, სახელს უტებდა, ავტორიტეტს უღაზავდა. ერთხელ წაასწრო კიდევ, მსახიობობდა გაკვეთილზე, მერე სად, მეთუე კლასში, მასხარაობდა: „აბა, ბავშვებო, თუ გამოიცნობთ, ვინ დადის ასე? ასე ვინ იხედება. ასე ვინ ლაპარაკობს?“ უსიკცხვილოდ ბაძავდა დირე-

ქტორს. მოსწავლეები იცნებდნენ, ხარებდნენ, ტაშს უკრავდნენ. და უკებ სიჩუმე ჩამოვარდა. ეტყობა, მიხვდნენ, რომ კლასი მოსასმენ აპარატში იყო ჩართული. მოსწავლეებელმა გაკვირვებით იკითხა: „რა მოგივდათ? რატომ გაჩუმდით?“ „ჩართულია, მასწ.“ ჩურჩულით უთხრა ვილაყამ. „რაო? ჩართულია? რაღა გაეწყობა, ბოდინი უნდა მოვეუხადოთ. აბა, ყველამ ერთხმად: ბო-დი-ში ბატონო და პატივცემულო დირექტორო, ერთხმად, უფრო ხმამაღლა: ბო-დი-ში... ასე. აბა, ერთხელ კიდევ ერთხმად: ჩვენს დირექტორს გაუმარ-ჯოს! კარგია. ახლა გაკვეთილი... აბა, ასწიოს ხელი, ვინ არ იცის გაკვეთილი... ვინ არ იცის-მეთქი... მიქატაძე! რაო, შენ გაკვეთილი არ იცი? პო და დაუშვი ხელი...“ გაიოზმა ჩაიწერა ის გაკვეთილი. თუ ვინმეს აინტერესებს, შეუძლია მოუსმინოს. აი, როგორი მასწავლებელი იყო მანანა რამიშვილი. აი, რისთვის პოფლობდა დროს ქიმიის მასწავლებელი მეთუე კლასში. რამდენჯერმე დაიბარა კაბინეტში მანანა, პირადად ესაუბრა, დააროგა, გააფრთხილა, დაემუქრა კიდევ. ასე რომ, ვერაფერს გახდა, მასწავლებელი მიუგზავნა, — კაკალა, გამიგე, რატომ იქცევა ასე, რა უნდაო. თვითონაც არ ვიცი, რა მემართებაო. უბასუხნია კაკალასთვის. ამ სკოლაში ფეხს რომ შემოვდგამ, რატომღაც მინდა ყველაფერი უკუღმა გავაკეთოო. ამას ამბობს ოცდაათი წლის ქალიშვილი, რომელიც ხუთ წელს ინსტიტუტში სწავლობდა და წითელი დიპლომი ჩამოიტანა. ჩვენც რომ ასე მოვიქცეთ, რა გამოვა, სკოლა რას დაემსგავსებაო, უკითხავს კაკალას. თქვენ ასე ვერ მოიქცევითო. რატომ გგონიაო? თქვენ ვერ გახედავთო. ესე იგი შენ გვყავხარ ერთადერთი მამაცი და გამხედავი, ერთადერთი უშიშარი და გულადი? კი, ჯერჯერობით ასეაო. ჯერ-ჯერ-ობით... და მეჩვენება, რომ შორს არ არის ის დღე, მეც თქვენ რომ დაგემსგავსებითო... მაგრამ იქამდე გავიქცევი აქედანო... აი, ვინ ბრძანდე-

ბოდა მანანა რამიშვილი, ვისაც ლექსო ასე თავგამოდებით იცავს.

ეს ყველაფერი იცის ლექსომ. ყველაფერს ხედავდა, მაგრამ მაინც უაზროდ ჩოტობს, თვალებს ხუჭავს სიმართლის წინაშე. გვარები მაინც ჩაეწერა, მაშინ უჩივლებდა, ცილისწამებისათვის პასუხს მოსთხოვდა. ახლა რა ეშველება ამ საქმეს? სასწრაფოდ უნდა მოიწვიოს მშობელთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა გაერთიანებული კრება. საჭაროდ მოაწყობს ამ წერილის განხილვას. მთელი სოფლის წინაშე მოახდევინებს ბოდიშს ლექსო ცენტრათეს. იქ, იმდენ ხალხში ხომ ვეღარ დაიწყებს ჩოტად მტყიცებას, თეთრი შავია და შავი თეთრიო. თვითონვე ხომ აღიარა, წერილში ჩვენს სკოლაში მომხდარ ამბავს ვგულისხმობდიო. ახლა საჭაროდ მოუხდება იმის დამტყიცება, თუ რამდენად შეესაბამება წერილში აღწერილი ჭეშმარიტებას. ვნახავთ იმასაც, როგორ დაამტყიცებს. მაშინ თვითონვე მიხვდება ალბათ, რომ დროა ვართის სკოლიდან წავიდეს. პენსიამდე არც ისე ბევრი დარჩა. შეუძლია მუშაობა გააგრძელოს რომელიმე მეზობელი სოფლის სკოლაში. თუნდაც ნოტიეთში რეაწლიანი სკოლის დირექტორად. ეს ადგილი მას შესთავაზეს კიდევ ამასწინათ. ნოტიეთის სკოლაში ჭერ კიდევ არ დაუნიშნავთ ახალი დირექტორი. თუ მაინცდამაინც არ ისურვებს წასვლას, დარჩეს, გაიოხს საწინააღმდეგო არაფერი ექნება, მაგრამ მაშინ „ზნე“ უნდა გამოიკვალოს, როგორც მოქცეა მანანა რამიშვილი თავის ახალ სამუშაოზე.

გაიოხი სასწრაფოდ მოეთათბირა მასწავლებლებს, კრებაც დანიშნა მომავალი კვირისთვის. ეს იყო ერთადერთი გამოსავალი იმ საჩოთირო მდგომარეობიდან, რომელშიც იგი აღმოჩნდა ლექსოს თავხედური, ცილისწამებლური წერილის გამო. არც თუ ცუდი გამოსავალი; გაიოხი წინასწარ ზეიმობდა წარმატებას ამ კრებაზე, მაგრამ მას დაავიწყდა ერთი რამ, რომ ბედი მაინც-

დამაინც არ სწყალობდა. ყველაზე დიდ ვერაგობა და სიმუხთლვე სწორედ ახლა ელოდა მას ბედისაგან. აბა რას იფიქრებდა გაიოხი, ან ვინ იფიქრებდა იმას, რომ მისი ვაჟები, ზურგიო და ირაკლი, რომელთაც წარჩინებით, სანიმუშო ყოფაქცევითა და წარმატებით დაამთავრეს საშუალო სკოლა, გახდნენ სტუდენტები, სოფლისა და სკოლის „საამაყო წარმომადგენლები“ დედაქალაქში, მოულოდნელად საბრალდებო სკამზე აღმოჩნდებოდნენ. მშობლის მწუხარება და დარდი ხომ უზომო იყო, ამას დაემატებოდა სკოლის, პედაგოგების ოჯახის საქვეყნო შერცხვენა, თავის მოჭრა. განქიქება. გაიოხი იყო ერთიცა და მეორეც, სკოლაც და ოჯახიც. ვინ აპატიებდა, ვინ დაინდობდა, ვინ შეიბრალებდა.

იმ დღეს გვიანამდე შემორჩა გაიოხი სკოლაში, კაბინეტში იჯდა და ისევე იმ კრებაზე ფიქრობდა, რომელსაც მისი შელახული ავტორიტეტი უნდა აღედგინა. დღის წესრიგს ადგენდა, ფიქრობდა იმაზე, თუ რა უნდა ეთქვა, საიდან უნდა დაეწყო. სიტყვებით უნდა გამოსულიყვნენ მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები, ყველაფერი წინასწარ უნდა დაგეგმილიყო, მომზადებულიყო. განათლების განყოფილებიდან, რაიკომიდანაც უნდა მოეწვია სტუმრები. გაიოხი სიგარეტს აბოლებდა, კაბინეტში ბოლთას სცემდა, ხან მაგიდას მიუჭლებოდა, რალაცას ჩაიწერდა, ჩაინიშნავდა. ყველაფერი კარგად აეწყო, კარგად მიდიოდა, კრება მას სრულ წარმატებას, საბოლოო გამარჯვებას უქადდა. ამ დროს ტელეფონმა დაიწკრილა, უურმილი აიღო. რაიონის ცენტრიდან რეკავდნენ, პროკურატორიდან. „დიახ... გაიოხ ნაკაიძე ვარ. დირექტორი... სკოლის დირექტორი. აქ? რაიონში? ჩვენს რაიონში? როგორ გეკადრებათ! აშკარა გაუგებრობაა. ჩემი ბიჭები თბილისში არიან. სწავლობენ. რა თქმა უნდა, აბა სად იქნებიან... ეჭვიც არ მეპარება. არა, ეს შეუძლებელია. სხვები იქნებიან... ცოტა ხდ-

ბა? დამალეს ბატონო, საკუთარი სახელი, სხვისი მიითვისეს. სკდთან მაინც, იქნება გამოუვლედთ რამე. იცნეს?... როგორ თუ იცნეს... უმცროსი საავადმყოფოშია? ფეხი აქვს მოტეხილი? ცოცხალი არ უნდა გადარჩენილიყო, იქვე მომკვდარიყო. ის ჯობდა. ზურიკო თქვენთან ზის? გადარჩა? არაფერი აქვს ნატყენი?... აი, მე შოვალ და ვნახავთ, თუ არაფერი ექნება ნატყენი... მაშინ ვეღარ გადარჩება ასე ადვილად... უარზეა? არ უნდა ჩემთან შეხვედრა? რა გასაკვირია!!

გამომძიებელი გრიგოლ შაინიძე საკმაოდ ახლოს იცნობდა გაიოზ ნაკაიძესა და მის ცოლ-შვილს. ისინი სტუდენტობის ამხანაგები იყვნენ. პირველ-მეორე კურსზე გრიგოლი ისტორიულზე სწავლობდა გაიოზთან ერთად, მერე კი თურქიულზე გადავიდა, მაგრამ მაინც ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. გრიგოლი რამდენჯერმე ნამყოფიც იყო გაიოზის ოჯახში. იცოდა, რა მკაცრად ზრდიდა იგი თავის ვაჟებს და მის გაცეხებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა იმ ორ ახალგაზრდაში, თბილისიდან მანქანა რომ გამოიტაცეს და გზაზე ავარია მოახდინეს, ზურიკო და ირაკლი ნაკაიძეები შეიკნო. შაინიძე კარგა ხნის გამომძიებელი იყო, უმაღლესის დამთავრების შემდეგ პირდაპირ პროკურატურაში გამოგზავნეს სამუშაოდ, ათასი ჯურის დამნაშავე შეხვედროდა ამ ხნის მანძილზე. გამოცდილება დიდი ჰქონდა და ადვილად პოულობდა კავშირს დამნაშავეს აღზრდას, ოჯახს, სკოლას, გარემოსა და ჩიდენილ დანაშაულს შორის. ზოგი არეულ-დარეულ, უზნეო ოჯახში იყო გაზრდილი, ზოგს მამა ჰყავდა ლოთი და ქვეყნის ამკლები, ზოგს დედა — ხელმრუდი და მოხეტიალე; ზოგს წესიერი მშობლები ჰყავდა, მაგრამ შეილს ანებივრებდნენ, ყველა სურვილსა და კაპრიზს უსრულებდნენ და ასე წაახდინეს მოზარდი. ამ შემთხვევაში კი გრიგოლ შაინიძე ამაოდ იმტვრედა თავს, ვერ იქნა და ვერ აღმოა-

ჩინა დანაშაულის ფესვები. ზურაბიძე გამომძიებლს ლექსო ცენტრატეც დაესწრო. მას რაიონული გაზეთის რედაქციამ დაავალა ეს შემთხვევა პრესაში გაეშუქებინა და პროკურატურას სათანადო ნებართვა სთხოვა, რაზედაც უარი ვერ უთხრეს. ლექსო ხშირად აქვეყნებდა აღზრდის თემაზე წერილებს რაიონულ და ცენტრალურ პრესაში, იყო ეურნალისტთა კავშირის წევრი და ამავე დროს, ასწავლიდა იმ სკოლაში, სადაც ზურიკო და ირაკლი ნაკაიძეები აღიზარდნენ და რედაქციაში დაასვენეს, რომ ამ თემაზე წერილს მასზე უკეთესად ვერაფერს დაწერდა. ირაკლი ჯერ ისევე საავადმყოფოში იწვა და ალბათ კარგა ხანს მოუხდებოდა იქ წოლა, რადგან ბარძაყის ძვალი ჰქონდა დამსხვრეული. ზურიკო სალ-სალამათად გადარჩენილი იმ საშინელ ავარიას. მარტო შუბლი ჰქონდა გააწურული და მარცხენა თვალი ჩალურჯებული და გასიებული, თუმცა აქ ავარია არაფერ შუაში იყო; გაიოზმა იმ საღამოსვე ინახულა შვილი, გააფთრებული მივარდა და სცემა. ძლივს მოაცილა მილიციულმა. მოსაკლავია და ბარემ მე მომაკვლევინეთო, ყვიროდა და ისევე და ისევე მიიწევდა მისკენ. ძლივს დააწყნარეს და გაიყვანეს. ზურიკომ გამომძიებელს შესჩივლა, გაიოზ ნაკაიძესთან შეხვედრაზე მე უარი ვთქვი და მაინც გამიყვანესო. ის მომვარდა და ცემა დამიწყო, მილიციელი კი იქ იდგა და ხმაც არ ამოუღია. ეს სადაური კანონია... მაშინღა ჩადგა შუაში, ხელის გამოღებას რომ ვაპირებდიო. „თუ არ ვცდები, გაიოზ ნაკაიძე შენი ღვიძლი მამაა!“ ბრაზი შემოენთო გულზე შაინიძეს.

— არის, არ უარყვოფ.

— კიდევ კარგი... მერე მამას ხელს შეუბრუნებდი?

ზურიკო ცოტახანს დუმდა, მერე ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— ცოტაღა დამაკლდა.

— გესმით, ბატონო ლექსო? ცოტა დააკლდა, თორემ მამას ხელს შეუბრუნ-

ნება. აი, როგორი შვილები გვეზრდებოდა...

— რახან ჩაგვაცვა და დაგვახურა, რადგან გვაჭმევს და გვასმევს, ჩვენი დამცირებისა და გათელვის უფლებაც გაინაღდა?

— ადრე თუ გცემდა, ბავშვობაში?

— არა...

„რატომ გადაგვარდნენ ასე? როგორ? როდის?“ ფიქრობდა შაინიძე. მასაც ჰყავდა შვილები, ორი ქალი და ორიც ვაჟი. უფროსი გოგო გათხოვილი იყო, ადრე გათხოვდა, გაიპარა სახლიდან, მაგრამ გაუმართლა — კარგ ოჯახში მოხვდა. მომდევნო — ისიც ქალი, სამედიცინო ტექნიკუმში სწავლობდა. ბიჭები ჯერ სკოლაში იყვნენ. ახლა კარგები არიან, დამჯერე, ბეჭითი. ნუთუ რომ გაიზრდებიან, მათაც მოელით ასეთი საფრთხე? წუხდა შაინიძე. რამდენი ხანი იქნება, რაც ესენი ოჯახიდან წავიდნენ, რაც მშობლების ზედამხედველობა მოაკლდათ? სულ რაღაც ორი თუ სამი წელი. ასე როგორ მოელოთ ბოლო? როდისღა მოასწრეს?... თუმცა ამათ, ეტყობა, ცოტა იდრე დაუწყიათ, აქი თვითონვე აღიარებს, რაც თავი მახსოვს, სულ იმას ვცდილობდი, რამე დამეშავებინა, გამეფუჭებინაო. ალბათ რაღაც კომპლექსი აქვს ასეთი. კაცმა რომ თქვას, ერთი გამოცდილი ფსიქოლოგი ჩვენც გვჭირდება აქ, პროკურატურაში. „თქვენ, ძმები, ყოველთვის სანიმუშო იყავით სწავლით, ყოფაქცევით“, — მიმართა ლექსომ ზურიკოს. „სწავლით კი“. „ყოფაქცევითაც“...

— ერთხელ თქვენ წამასწარიტ, სიგარეტს რომ ვეწეოდი კლასში. მამაჩემის დირექტორობის დროს ამას სხვა ვინმე იშვიათად თუ გაბედავდა. მეც სწორედ ამიტომ მოვწიე. ყველას დასანახავად. შემხედვით, არაფრის არ მეშინია-მეთქი... თქვენც შეშინიშნეთ.

— ერთხელ ვინ არ შეცდებოდა.

— რატომ ერთხელ? მეშვიდე კლასიდან მოყოლებული მე ხშირად ვეწეოდი... ერთხელ თქვენ დერეფანში შეგვეჩეხეთ, მე და ირაკლის

რუსული ენის კაბინეტიდან. რუსული მაგნიტოფონი რომ მოგვჭონდა. რატომღაც არ გაგვაშვილეთ, თუმცა იმ მაგნიტოფონის გამო ერთი მოსწავლე გარიცხეს სკოლიდან. მე იმედოვნებ, რომ თქვენ სიმართლეს იტყობდით და ჯონი ქილიფთარს გარიცხვას გადაარჩენდით.

— როგორ? — წამოიძახა ლექსომ, — მაგნიტოფონი თქვენ მოიპარეთ?

— მართლა არ იცოდით?

— ხუმრობ? რას ვიფიქრებდი, რომ თქვენ... ასეთი წესიერები, ხუთოსანი მოსწავლეები, მისათითებელი ბავშვები ამას გააკეთებდით?

ხომ არ ტყუის ეს ბიჭი? ნუთუ გაიოზი ვერაფერს ამჩნევდა? როგორ რჩებოდა მუდამ ასე დაუსჯელი? შეუმჩნეველი? აქი თვითონვე ამბობს, არ ჩადენილა სკოლაში რამე სერიოზული დანაშაული, რომ მასში მონაწილეობა არ მქონოდაო: იმ დღეს კარის ჭურჭლტანაში თვითონ ჩაუტენია ასანთის ლერი, რისთვისაც გორგილაძე გარიცხეს. სპორტდარბაზშიც მას შეუგდია კვამლის ყუმბარა, თანაც ორჯერ...

— ქილიფთარმა არ იცოდა, მაგნიტოფონი შენ რომ მოიპარე?

— ალბათ იცოდა. მაგნიტოფონი მან კარტის თამაშში მომიგო.

— არ გაგამხილა?

— არა.

— შენ თვითონ გეტყვა.

— არ მეყო ვაჟაკობა... თუმცა სწორედ მაგ მიზნით მოვიპარე, შემდეგ, ძებნა რომ გაჩაღდება, ვალიარებ-მეთქი. ძალიან მინდოდა ამის გაკეთება. კარგა ხანს მესიზმრებოდა: აი, მივდივარ, მივდივარ და ყველას გასაგონად ვამბობ, მაგნიტოფონი მე მოვიპარე, ქილიფთარს ნუ გარიცხავთ-მეთქი. ვერ შევძელი. როგორც ყოველთვის... გადამწყვეტ მომენტში ჩვენ მუდამ მხალეები ვიყავით, მეც და ჩემი ძმაც... ფათერაქში პირველნი ვყოფდით ცხვირს, მაგრამ ბურჭებისაკენაც პირველნი გავრბოდით.

— მე კი მგონია, რომ მხალა და

მშობარას გაუტყრდებდა დღისით, მზისით კაბინეტის კარის გატეხვა და მაგნიტოფონის მოპარვა, — თქვა შაინიძემ, — აქ რაღაც სხვა ამბავია.

— მხდალი ყოველთვის პირველი ცდილობს დაუმტყიცოს მთელ ქვეყანას, რომ არაფრის არ ეშინია, — თქვა ზურციკომ.

ხომ შეიძლება ეს ბიჭი ავად იყოს? შეიძლება, როგორ არა. ამის ნიშნები აშკარაა. ცახცახებს, თვალები ავადმყოფურად უელავს. თუ ავადმყოფობა დაუმტყიცდა, სასჯელსაც გადარჩება. მარტო მაინც უოფილიყო. ძმას რაღა ვუყოთ? ნუთუ შეიძლება ძმები ერთდროულად დაავადდნენ ერთი და იგივე ფსიქიური სენით? უმცროსთან ჭერ კიდევ ვერ მოახერხა კარგად გასაუბრება, ამას კი რაღაც აშკარად უჭირს... რაო? ეს რომელი თოკი მოელანდა ახლა? რაც თავი ახსოვს, თურმე მუდამ სულს უხუთავდა ეს თოკი... გაფუჭების, დამსხვრევის, დანაშაულის ჩადენის სურვილიც მაშინ გასჩენია პირველად, ეს თოკი რომ გაიცინობიერა. «გჭერიათ როდისმე ხელში თოკი, რომლის მეორე ბოლო უსუსურ ხბოს ან თიკანს აქვს ყელში წაბმული? შენ მიღიხარ შენი გზით, არც კი იხედები უკან, თიკანი კი ამაოდ ცდილობს, არ დაგემორჩილოს, საცოდავად ფარჩხავს ფეხებს, ენა გადმოუვლია, სული ეხუთება, იხრჩობა. შენ ვერც კი გრძნობ ამ გააფთრებულ, სასოწარკვეთილ წინააღმდეგობას. ხბოც უნდა გამოგყვეს, დაგემორჩილოს, რა გზა აქვს მეტი. მეც ასე ვიყავი მუდამ... უმწეოდ ვფარჩხავდი ფეხებს და კისერიც სულ გადატყავებული მქონდა. ამაოდ ვუძალიანდებოდი, ამაოდ ვაქიციანებდი თავს, რაც უფრო გავჭიუტდებოდი, თოკიც უფრო მომიჭერდა. ამ დროს მე ჰქვებს ვუშენდი სკოლის ფანჯრებს, თქვენ კი ამბობთ, სანიმუშო ყოფაქცევა გქონდაო».

— აბა როგორღა მოხდა, — კითხვა ლექსომ, — რომ ერთხელაც არ ყოფილა შემთხვევა, სკოლაში მოუშაადებე-

ლი მოსულიყავი? გაკვეთილები არ გესწავლა?

— როგორ არა. ასეთი შემთხვევაც ბევრი იყო. ბევრჯერ გადამიწყვეტია: აი, მივალ სკოლაში, არაფერს არ ვუპასუხებ მასწავლებლებს. შინ ექვს ორიანს მოვიტან და მამაჩემი რომ მკითხავს, თუ რა მოხდა, თამამად ვეტყვი, არ მინდა სწავლა და ის მოხდა-მეთქი... მაგრამ როგორც კი ხარი დაირეკებოდა და მასწავლებელი შემოვიდოდა კლასში, მაშინვე ამიტანდა შიში... გაშმაგებული მივევარდებოდი ჩანთას და სანამ მასწავლებელი სიას ამოიკითხავდა, მე უკვე მზად მქონდა გაკვეთილი.

ზურციკო სურას მისწვდა, წყალი დაისხა და დალია. მერე ჭიბეზე მოისვა ხელი, სიგარეტს ეძებდა, ვერ იპოვა. «სიგარეტი ხომ არ გექნებათ?» იკითხა უმისამართოდ. შაინიძე არ ეწეოდა, არც ლექსო. გამომძიებელი ადგა და კარდასთან მივიდა: «კი მქონდა საღლიც ერთი კოლოფი». კარგა ხანს ეძებდა, როგორც იქნა, იპოვა და ზურციკოს გაუწოდა. ზურციკომ ერთი ცალი ამოიღო. «გმადლობთ». «სულ გქონდეს, მე არ ვეწევი». «გმადლობთ, დიდი მადლობა».

თურმე შიშით სწავლობდა... მერე ცუდია ეს შიში? ასეთი შიში არავის არ აწყენს. არა, ცხადია, მხდალი არ უნდა იყო კაცი. გამბედავი უნდა იყო, თამამი, რად ვარგა, მუდამ მუხლები რომ გიკანკალებს და კურდღელივით ბუნჩებში იმალები. მაგრამ შიში, რომელიც აიძულებს ბავშვს კარგად ისწავლოს, უფროსებს დაუჭეროს, არაფერი გააფუჭოს, რატომ უნდა იყოს ცუდი? ხმადაბლა ჩაილაპარაკა შაინიძემ, თითქოს თავის თავს ეკითხებოდა. ზურციკომ შემოხედა, მერე ცხარედ თქვა, სწორედ შიშია, ადამიანს რომ რყენის და ათახსირებსო... ამას არ უარყოფო, დაეთანხმა შაინიძე, მაგრამ შიში ხომ სხვადასხვანაირია, არც გრიგოლ შაინიძის მამა იყო რბილი კაცი. პირიქით, მკაცრი იყო, მაგარი. ცამეტი შვილი ჰყავდა და აბა სხვანაირად როგორ მოველო მათ-

თვის? სცემდა კიდევ ბავშვებს. სასტიკად სცემდა, ქამრითაც კი. მამა თუ შინ იყო, ისე გაისუსებოდნენ ცამეტივე, ისე მიიქნებოდნენ, ისე მიიშალებოდნენ, იფიქრებდით, სახლში ერთი ბავშვიც არ ჰქონებოდა. ფეხის წვერებზე დადიოდნენ ყველანი. ხმამალა გაციონებასაც ვერ ბედავდნენ, ხმასაც არ ამოიღებდნენ, ნაბიჯსაც ვერ გადადგამდნენ მამის ნებართვის გარეშე... არაა ადვილი ცამეტი სულის მოვლა. რა გამოვა, ყველამ თავის ნებაზე თუ გაიწია. გლეხი იყო, უბრალო გლეხი, მაგრამ იყოდა კაცმა თავისი საქმე. არაფერი ეშლებოდა იმ დროის პირობაზე, რა თქმა უნდა. შვილები დაზარდა, თავთავის გზაზე დააყენა ყველა. „და მაინც არასდროს არ გქონიათ იმის შეგრძნება, თითქოს კისერში თოკი გაქვთ წაჭერილი და სული გეხუთებათ? „ჭკითხა ზურგიომ. შაინიძემ კისერი მოისრისა უნებურად: „არაერთაბი თოკი, ყმაწვილო“. „იციოთ რა? — თქვა ზურგიომ და სიგარეტი საფერფლეზე დაასრისა, — ჩემს მეზობელს ჰყავდა ერთი ძროხა... დიდი, ქვიანი, თვინიერი ძროხა... ჩამოიყვანა საიდანღაც. სამუქელ თოთობაძეზე ვამბობ ზატონო ლექსო, იცნობთ თქვენ, პენსიონერია... სულ ხელზე ჰყავდა თავისი ძროხა; არაფერი საქმე არ ჰქონდა მეტი, ძროხას აბალახებდა, მიჰყავდა და მოჰყავდა, თოკით ამოვებდა. სამუქელი ჰატარა, გააზხდარი კაცია, ძროხა კი დიდი, ძლიერი იყო. სულ გვიკვირდა ბავშვებს, ამოდენა ცხოველს როგორ იმორჩილებოდა. საითაც სამუქელი გაუხვევდა, ძროხაც იქით მიჰყვებოდა გოშინასავით. ბუზის მოსაგერიებლადაც კი ძალიან ფრთხილად მოხრიდა კისერს, თორემ ერთი ღონიერად რომ მოეჭნია თავი, სამუქელს ხის კენწეროზე შეტყორცნიდა ბურთივით. ერთ სხეულად ქცეულიყვნენ ძროხაც, სამუქელიც და თოკიც...“ „იცი, რას გეტყვი, ყმაწვილო? — მიმართა შაინიძემ ზურგიოს, — ის შენი უგუნური თიჯანი რომ თავის ნებაზე მიუშვა იცი სად წავა? მგელის ქვეშა ჰქამს“.

ბაზე მიუშვა იცი სად წავა? მგელის ქვეშა ჰქამს“.

წამით დუმილი ჩამოვარდა. ზურიომ ისევე მოუკიდა სიგარეტს.

— მანქანა სად მოიპარეთ და რა მიზნით? — ჰკითხა შაინიძემ.

— თბილისში. პატრონი პურის მაღაზიაში შევიდა. კარები არ დაუკეტავს, გასაღებიც არ გამოუღია. ჩქარობდა. რას იფიქრებდა, ისე გავთავხედდებოდით, რომ ფეხდაფეხ შევასწრებდით მანქანაში. მართვა ადრევე ვიცოდი, მაშაჩემის დეიდაშვილმა, ბიძინა დარჩიამ მასწავლა.

— მოტივი იგივე...

— რა ბრძანეთ?

— თოკის გაწყვეტა გინდოდათ, თავისუფლად განავარდნა.

— რა თქმა უნდა... მაგრამ გზაში ბუნჯონი გაგვითავდა. რიგში ჩავდექით. მაშინვე მივხედით, რომ ჩვენი „სიმაშაც“ უკვე ჩანავლული იყო. უკვე ორივენი ვფიქრობდით, რომ დრო იყო მანქანა მიგვეტოვებინა და ბუჩქებისავენ მოგვეკურცხლა... მანქანის პატრონი ხომ ინსპექციას ფეხზე დააყენებდა და სადაც იყო დაგვიჭერდნენ.

— თოკი?

— დიახ... დაიძაბა, დაიჭიმა. აგეტკივდა კისერი. მთელი ნახევარი საათი მაინც ვიდექით. ის იყო ირაკლისთვის უნდა შეთქვა, გაქცევის დროა-მეთქი, რომ ვილაც ტიპი ჩამოგვიდგა წინ. თავხედურად წაგვართვა რიგი. არც ბოდიში მოუხდია, არც არაფერი. არც კი გამოუხედავს ჩვენკენ. არა და ვილაც ლაწირაყი იყო, ყაფანდარა, მკერდზე ძლიერ მოგვეწებებოდა. ჩემს წინ რატომ მიდიხარ მეთქი რომ ვკითხე, გაბრაზებულმა შემომხედა, დაკვირვებით შეგვათვალაოერა ჯერ მე, მერე ირაკლი, აგდებულად გვითხრა: „იცი, რას გეტყვი, სიმონ? მე ცოტა მეჩქარება“. მეტი არაფერი, მშვიდად, აუჩქარებლად ჩაასხა. ცოტა ბენჯინი გადმოვღვარა, ჩვარი ამოიღო და გულმოდგინედ დაუწყეო წმენდა. კარგად რომ ააპრილა, ჩვარი შეინახა, ჩაჭდა და წავიდა. უკ

ნიდან ყვიროდნენ, ვინაა, ურიგოდ რატომ უშვებთო. მე და ირავლი სირცხვილიაა და სიბრაზისაგან ერთმანეთს თვალებს ვერ ვუსწორებდით. ჩემი ძმა კრიეში ვარჯიშობს, ჰილდობაშიც. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ხუთ კაცს ისე გალახავს, მუშტს არ მოიხვედრებს. არც მე მაკლია ჭან-ლონე. ირავლი აფეთქდა, შეიგინა და დამიღრიალა: «გარეკე, შე მათხოვარო. გარეკე, დაეწიე იმ მაიმუნს!» გავრეკეთ. კარგა ხანი ვდიეთ. «მოუმატე, სიმონ, მოუმატე!» მახელუბდა ირავლი. ისე ვიყავით გაცოფებული, სადაც დავეწოდი, იქვე ჩავჭყულტდით მანქანაში.

— დანარჩენი ვიცი, — თქვა შაინძემ, — დაეწიეთ, გაუსწარიტ და მანქანა წინ გადაუყენეთ. მან დამუხრუჭება ვერ მოასწრო და დაგეჭახათ. ირავლიმ ფეხი მოიტება. ის კაციც საავადმყოფოში წევს, გულმკერდი შენგრეული აქვს და თუ ცოცხალი გადარჩა, ხეიბრად დარჩება.

— რომ არ დაგეჭახებოდა, ცემათ მოვკლავდით.

— ასეთი სისასტიკე მაინც გაუგებარია.

— მხდალები ძალიან სასტიკები არიან. ბოლმას აგროვებენ, დიდხანს ინახავენ, გულში იხვევენ. მათ სძულთ ყველა და ყველაფერი. შურიტა და სიძულვილით არიან დატენილი. ყველაზე საშიში კი ის არის, რომ საეუთარი თავი სძულთ და როცა მოთმინების ფილა აევისებათ, მზად არიან ყველაფერი გაანადგურონ.

ამ ბიჭს როგორმე ვუშველი, ფიქრობდა გამომძიებელი გრიგოლ შაინძე, გაიოზის სტუდენტობის ამხანაგი. ავადმყოფობას ადვილად დაუჭერებენ. მე ვალდებული ვარ, ვუშველო, თუმცა იმის ღირსია, შარვალი ჩახადო და ჭამარით სცემო ერთ ადგილას; მათრახით უნდა აუტყრელო გავა, აი, რისი ღირსია ეს ჭაბუკი. მაგრამ მეორე ძმა როგორ აპყვა? ეს თუ გაგიყდა, იმას რალა მოუვიდა? რატომ არ სტაცა ხელი? რატომ ძალით არ ჩამოსვა მანქანიდან?

ვინ იცის, ალბათ სცადა კიდევ, მაგრამ ვერ მოერია, ისევე ჩაყოლა ამჯობინა. იქნება გზადაგზა უფრო მოეხერხებინა ეს. ხომ აპირებდნენ მანქანის მიტოვებას, ის შემთხვევა რომ არა... მაშინ ისევე გადაეკრა გონებაზე ბინდი. უმცროსი ძმა ბევრს ცდილობდა, მაგრამ ვერაფერს გახდა, საქვსთან ხომ ეს იჭდა... გათვალისწინებული იქნება, ცხადია, ისიც, რომ მუდამ გამოირჩეოდა სწავლით, ყოფაქცევით. არის ბეჭითი, სანიმუშო სტუდენტი. მშობლები — პედაგოგები. ვის რას მისცემს ასეთი ახალგაზრდის კანონის მთელი სიმკაცრით დასჯა? გასამართლება, ციხეში ჩასმა? ავადმყოფობა ყველას თავსაა. მკურნალობა სჭირდება და არა დასჯა რაც შეეხება ირავლის, იგი სავსებით უცოდველია. იგი ძმას მხოლოდ იმ მიზნით გაჰყვა, რომ როგორმე ეშველა მისთვის. უგუნურობისაგან დაეფარა, შეეჩერებინა. მაგრამ ვერაფერი ვერ მოახერხა, უბედურება თავიდან ვერ აიცილა...

ახალგაზრდა ჩვენც ვიყავითო, უთხრა ზურიკოს შაინძემ, ერთ დროს ჩვენც გექონია სურვილი, ჩაკვედინა რაიმე თავბედური, თითქმის გიჟური. არის რალაც ასაკი... მერე აღამიანი მწიფდება და, ცხადია, ასეთი სურვილები აღარ უჩნდება... მაგრამ ზოგი ამ დროს აჭარბებს, საკმაოდ მძიმე დანაშაულს სჩადის. დანაშაულს კი სასჯელი მოსდევს და ერთი უგუნური ნაბიჯის გამო შეიძლება აღამიანს მთელი ცხოვრება გაუმზრუდდეს... რა არ ხდება. ერთი რამ კი ნამდვილად გაუგებარია ჩემთვის, რომ ცდილობ ზოგი რამ გაიოზს გადააბრალო, იმ აღამიანს, რომელსაც ყველაზე მეტად უნდა სცემდე პატივს, მამას, აღმზრდელს, ვინც დღეღამე შენზე ფიქრობს. ეს დიდი უსამართლობაა. მესმის, გინდა თავი მსხვერპლად მოგვაჩვენო, უმანკო კრავად. მამაზე განაწყენებული ხარ, ვერ გიპატივბია მისთვის, რომ თავი ვერ შეიკავა და გაგარტყა (თუმცა პირველი შემთხვევა ყოფილა); ცდაც კი იმისა, რომ ამ გზით

სასჯელი შეიშუსებუქო, დიდი ზნეობრივი დანაშაულია. მე, რა თქმა უნდა, გაიოზის ხათრით ვეცდები, რომ სასჯელი მართლაც შევიშუსებუქდეს, მაგრამ ასეთ რამეს ვერასოდეს ვერ გაპატიებ.

— გინდათ დაგიმტკიცოთ, რომ სულაც არ მინდა სასჯელი შევიშუსებუქდეს?

— დამიმტკიცე.

— მაშინ იცოდეთ, რომ ეს საქმე არაა ჩვენი პირველი დანაშაული. იქამდე ჩვენ სამი მანქანა გავიტაცეთ და გავქურდეთ.

— ვინ თქვენ?

— მე და ირაკლიმ.

— სხვებიც დასახელე.

— ვინ სხვები?

— ვინც თქვენთან იყო... თქვენს ბანდაში.

— სხვა არავინ ყოფილა. მოვიპარეთ მაგნიტოფონები, რადიომიმღებები, რაც ადვილი წასაღები იყო. არ ვტყუი... შემოწმება ადვილად შეიძლება. იმ მანქანების ნომრებიც კი მიწერია საღლაც... ან ირაკლის ჰკითხეთ, ზეპირად ახსოვს.

შაინიძე კარგა ხანს დუმდა, დაკითხვის ოქმს ჩამტერებოდა. მერე სასწრაფოდ გადაჩხანა რალაც. წამოხტა, ოთახში სიარულს მოჰყვა. აჩქარებით ლაპარაკობდა, დაბეჭითებით: „არ ყოფილა არავითარი ჭურდობა... არავითარი ნომრები. გასაგებია, ზურიკო? ყველაფერი მოგონილია, ზღაპარია ყველაფერი. დავიწყე ეგ, მორჩა და გათავდა“.

ჰკუთხა ეს ამის შემდეგ? ჰკუთხე მყოფი ამას იტყოდა? მთავარია, რას იტყვის მერე. შეუძლებელია, ორივე მხა ერთნაირად იყვნენ გაგიყებულები. ეს რა უბედურებაა! საწყალი გაიოზი! ქალბატონი დალი ნამდვილად ვერ გადაიტანს. წვეს თურმე. ეს ამბავი რომ გაიგო, ჩაწოლილა და ველარ წამომდგარა მერე. ამ ჰკუთხარძობმა გაიგო და თითქოს არაფერი. როგორ გაფუჭდა

ასე? როდის? რატომ? საიდან მოვიდა, ასეთი ვის დაემსგავსა. „გესმის შენ, ზურიკო? დედამენი ვერ გადაიტანს. ველარ ადგება ლოგინიდან. თუ კი ის კაცი გადარჩა... გადაარჩენენ ალბათ... არ გაგწირავს ღმერთი. შენ კი არა, გაიოზს არ გასწირავს, ქალბატონ დალის... გესმის? შენ ავად ხარ. არავითარი სხვა დანაშაული არ ყოფილა. არც ბავშვობაში, არც მერე. ირაკლი კი სავესებით უდანაშაულოა. იმიტომ ჩაჯდა მანქანაში შენთან ერთად, რომ შენთვის ხელი შეეშალა...“ ახლა ზურიკო წამოხტა თავისი სკამიდან, ციხიანივით კანკალებდა, თვალებს აბრიალებდა: „რაო? ყველაფერი თქვენს სურვილზე უნდა გაკეთდეს? გაიოზ ნაკაიძის ჰკუთხე? ციხეში ჩაჯდომის უფლებაც არა მაქვს? არ გამოგივათ! ჩემს დანაშაულს ყველას ვერ მიაფუჩეჩებთ... არ გამოგივათ!..“ მალე დაწყნარდა, თავის ადგილას დაჯდა. სიგარეტს მოუკიდა. შაინიძეც დაჯდა, ახლა იგი წყნარად ათვალეირებდა თავის ჩანაწერებს.

ვართის საშუალო სკოლის დირექტორი გაიოზ ნაკაიძე თავის კაბინეტში ჩაეკტილიყო. სასოწარკვეთილი კედლებს აწყდებოდა, გმინავდა, ბლუჯა-ბლუჯად ჩამოჰქონდა ისედაც შეთხელებული თმა. საღლა იყო მისი სიმშვიდე, თავშეკაეება, სიღინჯე, თავდაჯერება. ან რა თავდაჯერებაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როცა ასეთი უბედურება დაატყდა თავს: მისი საამაყო ვაეები—ზურიკო და ირაკლი საბრალდებო სკამზე ისხდნენ, მეუღლე დალი ლოგინიდან ველარ დგებოდა, ხოლო სკოლაში, მთელ სოფელში, რაიონში ხელიდან ხელში გადადიოდა გაზეთის ის ნომერი, რომელშიც გამოჰქვეყნებული იყო ლექსო ცენტერაძის სტატია „დირექტორი — ჩემი მეგობარი“.

გაიოზმა გადაწყვიტა წასულიყო სკოლიდან.

ახლა უკვე საბოლოოდ.

პრიზოლ პრეზაჟი

3. ი. ლენინი—საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს უმაღლესი

1922 წელს მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის იუბილეოა წელია. 7 ნოემბერს ვადდესანწაუღეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 65 და 38 დეკემბერს აღწინააღმდეგ სსრ კავშირის 60 წლისთავს. რაც უფრო მეტი დრო გადის 1917 და 1922 წლებს ამ დღისწესანაწინავე თარიღებიდან, მით უფრო ნათელი ხდება დიდი ოქტომბრისა და მისი პირველის საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს უდიდესი საწინაო და საერთაშორისო მნიშვნელობა. კუმარიატად განუზომელია ვ. ი. ლენინის როლი ისეთი ურთულესი პირობებების გადაწყვეტაში, როგორც იყო ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება და სსრ კავშირის შექმნა. ჩვენი მიზანია გავახსენოთ მკითხველს ზოგი რამ ამ უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი მოვლენებიდან.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისა და საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნისათვის ისტორიული წინამძღვრები კანონზომიერად მზადდებოდა საუკუნეების მანძილზე. როცა ჩვენი უაღრესად მრავალეროვანი ქვეყნის ხალხები რუსეთის იმპერიაში ერთიანდებოდნენ უცხოელი დამპყრობლებისა და შინაგანი მავკრებლების, ყოველგვარი ექსპლოატატორების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის, ეს წინასწარ პირობებს ქმნიდა მშრომელთა გამარჯვებისათვის. ვ. ი. ლენინმა რომ პრილეტარული რევოლუციის მარქსისტული თეორია განავითარა, თავდაპირველად ერთს ან რამდენიმე ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა დაასაბუთა და ბოლშევიზმის ეროვნული პროგრამა შეიმუშავა, ეს ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისა და საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის უზაღო მომზადება იყო.

ვ. ი. ლენინი მარქსიზმის პრინციპული პოციებიდან ებრძოდა ბურჟუაზიულ ფედერაციას, რადგან კაპიტალიზმის პირობებში ეროვნული ჩაჯვრის შენიღბულ სახელმწიფოებრავ ფორმას — ბურჟუაზიულ ფედერაციას ეს არა, ეროვნულ სახელმწიფოს თვლიდა ტიპურ, ნორმალურ მოვლენად და 1914 წელს წერდა:

„მთელი დასავლეთი ევროპისათვის, უფრო მეტიც: მთელი ცივილიზებული მსოფლიოსათვის ტიპურ, ნორმალურ მოვლენას კაპიტალიტურ პერიოდში ეროვნული სახელმწიფო წარმოადგენს“ (თხზ., ტ. 20. გვ. 483).

ზოლო მრავალეროვანი სახელმწიფო კაპიტალიზმის პირობებში აჩანორმალურია, რადგან იგი ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის გამო მხოლოდ ხალხთა ჩაჯვრის საფუძველზე შეიძლება იყოს აგებული.

ვ. ი. ლენინმა მარქსიზმის შემოქმედებითი განვითარებისა და გამდიდრების გზით შეიმუშავა, მოქმედების სახელმძღვანელო სისტემა ჩამოაყალიბა სოციალისტური ფედერაციისა და ავტონომიის პრინციპები, საიდანაც დოკუმტრად, სავსებით კანონზომიერად გამოიმდინარეობს, რომ სოციალიზმისათვის ტიპურ, ნორმალურ მოვლენად შეიძლება შეიგინოთ კაპიტალიზმის უღლისაგან განთავისუფლებული მუშეებისა და გლეხების ახალი ტიპის სოციალისტური მრავალეროვანი სახელმწიფოები, ზოლო მათ შორის შეუთანხმებლობა — აჩანორმალურად; ამიტომ არის, რომ საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ლენინური ხელმძღვანელობა მთელი თანამიმდევრობით იბრძვის წინეთის



სახელი რესპუბლიკა და ეველა სოციალისტურ ქვეყანასთან ნორმალური ურთიერთობისთვის.

ასეთი დისკუსიის სისწორებს ამატებენ მთელი ისტორიული გამოცდილება და თანამედროვეობა.

ხალხთა ჩაგვრის საფუძველზე შექმნილმა მრავალპარტიანმა ავტორიარულმა სისტემამ ვერ გაუძლო პირველი მსოფლიო ომის მძიმე გამოცდის და აღიზარა, დაიშალა ცალკე სახელმწიფოებად. იმპერიალისტური რუსეთიც დატყვევდა. მაგრამ ოქტომბრის რევოლუციამ გაათავისუფლა ჩვენი ქვეყნის ხალხები და შექმნა ავტონომიური პირობები რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის (რსფსრ) შექმნისა და მრავალპარტიან სსრ კავშირის ჩამოყალიბებისათვის.

„ახლა ენახოთ, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი 1918 წლის იანვარში, — რა მოგვცა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ახალმა სოციალისტურმა პრინციპმა... ჩვენ ვპოქმედებდით უდიპლომატებოდ, არ მივმართავდით ძველ სერებს, რომლებსაც იყენებდნენ იმპერიალისტები, მაგრამ უდიდესი შედეგი თავადვეს გვაქვს — რევოლუციის გამარჯვება და გამარჯვებულთა შემოერთება ჩვენთან ერთ მძლავრ რევოლუციურ ფედერაციად, ჩვენ ვპრძინებლობთ არა განცალკევებით, ჭველი რიგის სასტიკი კანონის თანახმად, არამედ იმით, რომ ვერთიანებთ ყველა მშრომელს ცალკეული ინტერესების, კლასობრივი შეგნების გასწვევებითა უკუთრ. და ჩვენი კავშირი, ჩვენი ახალი სახელმწიფო უფრო მჭიდროა ძალმომრეობის ბელისუფლებასზე... აი ჩვენი ფედერაციის საფუძველია, და მეღმოდ ვარ დარწმუნებული, რომ რევოლუციური რუსეთის ირგვლივ სულ უფრო და უფრო შემოიკრებიება თავისუფალი ერების ცალკეული სხვადასხვა ფედერაცია. სრული ნებაყოფლობით, სიბრუნის და მახვილის გამოუყენებლად, გაზრდება ეს ფედერაცია და იგი უძლიერდება. მისი უძლიერელობის საწინდარია ის კანონები, ის სახელმწიფო წყობილება, რომელსაც კვიშით ჩვენს ქვეყანაში“ (იხვ., ტ. 26, გვ. 561, 562).

დაიდ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ რსფსრ 7 ოლქში ჩამოყალიბდა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების გაერთიანების გზით. მაგრამ ისეთი ფედერაციის შექმნა, როგორც არის სსრ კავშირი, ასე სწრაფად შეუძლებელი იყო, კომუნისტური პარტია და ახალწარმოშობილი საბჭოთა სახელმწიფო რსფსრ-ში ავტონომიურ საფუძველზე აერთიანებდნენ ხალხებს, რომლებსაც წინათ არ გააჩნდათ დამოუკიდებელი სახელმწიფოები და არავითარი ავტონომია, სსრ კავშირში კი უნდა გაერთიანებულიყვნენ დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკები, რომლებსაც საუკუნეების განმავლობაში მქონდათ თავიანთი სახელმწიფოებრი-

ობა. ამიტომ ისეთი სახელმწიფოთა ერთად კავშირში გაერთიანება, როგორც არის უკრაინა, ბელარუსია, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი და სხვები, აუტკარებლად უნდა მოხდარიყო, უდიდესი ურადღებობითა და მზარუნველობით, ზედმიწევნით ფრთხილად მოციქებულად. ვ. ი. ლენინი 1919 წლის დეკემბერში წერდა:

„ჩვენ გვზურს ერების ნებაყოფლობითი კავშირი, ისეთი კავშირი, რომელიც არ დაუშვებდა ერთი ერის არავითარ ძალმომრეობას მეორე ერისადმი, — ასეთი კავშირი, რომელიც დამყარებული იქნებოდა სრულ წესისაზე, მშური ერთიანობის სათელ შეგნებაზე, სახსნებით ნებაყოფლობით თანხმობაზე. ასეთი კავშირის ერთბაშად განხორცილება შეუძლებელია; ასეთი კავშირამდე უნდა მივყავართ მუშაობამ უდიდესი მოთმინებითა და ხიფათობლით, რომ საქმე არ გვაფუტოთ, უნდობლობა არ გამოვინჯოთ, რომ აღმოვუხვრათ უნდობლობა, დატოვებული მემამულებებისა და კაბიტალისტების, ეგრძე საუთნებისა და მისი გაცულის და ვადამდის გამო გამოწვეული საუკუნობრივი ჩაგვრით“ (იხვ., ტ. 20, გვ. 84).

ვ. ი. ლენინის შეთაერთობით ჩვენმა პარტიამ ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე უდიდესი მუშაობა გასწია საბჭოთა მრავალპარტიან სახელმწიფოს შესაქმნელად. ლენინის უყვადი საქმის ერთგულმა განმგრძობმა ლ. ი. ბრეჟნევმა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავზე აღნიშნა, რომ ამ მუშაობაში ყველაზე აქტიური მონაწილეობა მიიღეს პარტიის თავისა. ჩინო მოღვაწეებმა — მ. ი. კალინინმა და ფ. ე. ძერჟინსკიმ, ი. მ. სვერდლოვმა და ი. ბ. სტალინმა, ს. მ. კაროვმა და გ. კ. ორჯონიკიძემ, მ. ვ. ფრუნზემ და ს. გ. შაშინამ, გ. ი. პეტროვსკიმ და ა. გ. ჩერვიაკოვმა, ნ. ნარინკოვმა და ა. ტაჩაგოდინმა, ვ. ი. სტალინმა და მ. გ. ცხაკაიამ და ბევრმა სხვა მხანაგმა.

სოციალისტური მრავალპარტიანი სახელმწიფოს შექმნის ისტორიულ საქმეში პარტიამ ჩააქსოვა თავისი რევოლუციური ენერჯია, თავისი უდიდესი შრომა და ნებისყოფა“ (ლენინური კურსი, ტ. 4, გვ. 49).

რკ (ბ) X კრებობამ აღნიშნა, რომ საბჭოთა წყობილების დამყარებამ, პარტიის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა შეცვალეს უბოერთობა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ეროვნების მშრომელ მასებს შორის, ძირი გამოუთარებს ეროვნულ ჩაგვრას და მოუპოვებს არს მუშებს მათ სხვაობმელ თანამომეობა წესობა.

დიდი ლენინის პარტიის დაუღალავი მუშაობა მასებში, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მუშენლობის ფასდაუდებელი გამოცდილება, რომელიც 1917-1922 წლებში შეიძინეს რუსეთის, უკრაინის, ბელარუსიისა და აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკებმა, გაერთიანებითი მომ-

რახის მძღვარი ტალა, რომელიც უკვლა საბ. კოთა რესპუბლიკიდან მოდიოდა, გზას უკაფავდა ერთიანი სოციალისტური მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნას.

მაგრამ აუცილებელი იყო კავშირის სახელმწიფოებრივი ფორმების, საერთო საკავშირო ორგანიზებისა და რესპუბლიკების უფლებების ისეთი თანაფარდობის გამოწვევა, რომელიც მსხვილმეტრად უზრუნველყოფდა ხსრ კავშირის წარმატებით შექმნას.

„1922 წლის შემოდგომაზე ამ საკითხზე განადგებულ დისკუსიაში, — ხაზს უხვამს ლ. ი. ბრეგვაში, — გამოვლინდა სხვადასხვა ტენდენციები. ზოგიერთს შეხატდებოდა. მაინც დაეკანაუფილებულიყავით რაღაც რესპუბლიკათა კონფედერაციის შესავსით, არ შეგვექმნა ერთიანი საერთო სახელმწიფოებრივი ორგანიზება, რომელიც აღპურვადი იქნებოდნენ დიდი რწმუნებულებებით. სხვები ვთავაზობდნენ ევრეთ წოდებულ „ავტონომიზაციას“, ესე იგი უკვლა მოქმე რესპუბლიკის შესვლას ავტონომიის უფლებებით რუხეთის ზუს რესპუბლიკის შემადგენლობაში. სპირო იყო ღვინის გვინა, რომ გვდაგვევლაბა სიოივე ეს მდღარი ტენდენცია, გვეპოვანა ერთადერთი სწორი გზა“ (იქვე, გვ. 56).

ეს გზა იპოვა ვ. ი. ღვინინა. ავადყოფნის მიუხედავად, ღვინინა შესძლო შეემუშავებინა ერთადერთი სწორი გეგმა — შეგვექმნა ერთიანი მრავალეროვანი საკავშირო სახელმწიფო, თანაწიროფლებიანა სახეობა რესპუბლიკების ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე, რომლისათვის უკვე სავსებით მომზადდა აუცილებელი პირობები.

სოციალისტური ფედერაციისა და ავტონომიის ღვინინა პრინციპების შემოქმედებითად გათვალისწინების, რსფსრის გამოცდილების გამოყენების საფუძველზე შექმნა ავტონომიური ნაწილები სხვა დამოუკიდებელ სახეობა რესპუბლიკებშიც. მაგალითად, სახეობა საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სახეობა სოციალისტური რესპუბლიკა ქერ დამოუკიდებელ სახელმწიფოებშიც. ბოღრ 1921 წლიდან ავტონომიურ რესპუბლიკად გაფორმდა. აქარლები სხვა ერს არ წარმოადგენენ. ისინი თავიდანვე ქართველები არიან, მაგრამ მიზნაშეწინილი ვახდა აქარის ავტონომიურ რესპუბლიკად ჩამოყალიბება. ეს განაპირობა იმან, რომ აქარაში სამი საუკუნე ბატონობდნენ თურქი დამპყრობლები, რომლებიც ცდილობდნენ აქარლებს გათურქებას, იურქულ წეს-ჩვეულებებზე გადაყვანას და ახიზილაციას. ამიტომ მათი საკითხის გადაწყვეტას ჩვენი პარტია ღვინინა მწრუნველობითა და სიფრთხილით მიუღვა.

ა. ბ. სტალინმა რამ (ბ) XII ყრილობაზე აღნიშნა: „საქმარისია ერთი მყარე შეცდომა ჩავადინო პარტია ქვეყანაში, აქარისტანში (192

ათი მცხოვრები), და ეს გამოქვეყნდა კრებულში თურქეთში, გამოხმარებას პოვეს მიელ აღმოსავლეთში, ვინაიდან თურქეთი აღმოსავლეთთან შეიძროდ არის დაკავშირებული“ (თხზ., ტ. 5, გვ. 807).

სახეობა საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიურ ოლქად ჩამოყალიბდა სამხრეთ ოსეთი.

ახე ვადაიდა პარტული ნახიქები საქართველოში ერთვული საკითხის ღვინინა გადაწყვეტილისთვის.

სერგო ორგანიკიემ საქართველოს კომპარტიის I ყრილობაზე (1922 წ., იანვარი) ასეთი სიტყვებით მიმართა საქართველოს კომუნისტებს: „ნაციონალური საკითხი საქართველოში უაღრესად რთული საკითხია... საქართველომ ეს საკითხი სისახელოდ გადაწყვიტა... ამგანად თქვენ უკვლანი მოქმენი ხართ საქართველოში მოსახლე უკვლა ხალხს შორის მწური მეგობრობისა. თქვენ მიეცი თფხაზეთის დამოუკიდებლობა, მან გაფიცხადო, რომ მტკიცედ ხერს სახეობა საქართველოსთან ერთად იყოს. თქვენ მიეცი აქარას ავტონომია — და მიელი აქარელი ხალხი თქვენთან არის... ბოღრის, თქვენ მიეცი სამხრეთ ოსეთს ფართი ავტონომია, და თავისუფლების მოუყარე ოს ხალხს, რომელმაც არაერთხელ აღმართა აქანუების დროში მწწევიკების დროს, ახლა უაღრესად შეიძრო და მწური ერთიანობა აქვს ბუზურ-გღებურ საქართველობაში“ (სტალინის და სიტყვები ორ ტომად, ტ. I, გვ. 278, 280).

სახეობა მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სახეობა რესპუბლიკების ამიერკავკასიის სახეობა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკად გაერთიანებას, რაც განხორციელდა ვ. ი. ღვინინის ინიციატივითა და მითითებით. ღვინინა ქერ კლდე 1921 წლის 14 აპრილს კავკასიის კომუნისტებისადმი სადირექტივო წერილში ხაზგასმით აღნიშნავდა:

„მწურვადელ მივეხალმები რა კავკასიის სახეობა რესპუბლიკებს, ნების ვაძლევ თავს გამოკრევა იმედი, რომ მათი შეიძრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არსახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შერღლებული ერთვული მწვიდობიანობის ნაწილს... შეინარჩუნო და გაავითარო სახეობა ზეღისუფლება, როგორც სოციალიზმზე ვარდამავალი საფებური, მწელი, მაგრამ საესებით შესაძლებელი ამოცანა. ამ ამოცანის წარმატებანი გადაწყვეტად უკვლა უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ამიერკავკასიის კომუნისტებმა შევიწრო თავანთი მდგომარეობის, თავანთი რესპუბლიკების მდგომარეობის თავისებურება“ (თხზ., ტ. 22, გვ. 397).

ამიერკავკასიის კომუნისტებმა გაითვალისწინეს ვ. ი. ღვინინის უკვლა მითითება, დასძლიეს



ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიებს, შე-
წევრების, მუსავატისტებს, დაშაკების წი-
კონისტრია მემკვიდრეობა, ნაციონალ-რევოლუცი-
ონისტების წინააღმდეგობა და მშრომელთა ფართო
მასების მხარდაჭერით ჩამოყალიბებს ამიერკავ-
კასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური
რესპუბლიკა, რომელშიც იარსება 1922 წლიდან
1988 წლამდე და მნიშვნელოვანი როლი შეას-
რულა სსრ კავშირის შექმნასა და განმტკიცე-
ბაში.

3. ი. ლენინმა შეაქაზა ჩვენს ქვეყანაში ეროვ-
ნული საკითხის გადაწყვეტის პირველი შედე-
გები და 1922 წლის 10 ნოემბერს აღნიშნა, რომ
ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ჩვენი ბოლო
წლის გამოცდილება „იხეო სახელმწიფოში,
რომელიც იხე მრავალ ეროვნებას შეიცავს, რა-
მდენიც არა მგონია სხვა ქვეყნებში მოიპოვე-
ბოდეს, სავსებით გვარწმუნებს იმაში, რომ ასეთ
შემთხვევაში ერთადერთი სწორი დამოკიდებუ-
ლება ერთი ინტერესებისადმი იქნება მათი შექ-
ნიანლურად დაკმაყოფილება და იხეთი პირო-
ბების შექმნა, რომლებიც გამოირიცხავენ კონ-
ფლიქტების ყოველგვარ შესაძლებლობას ამ ნი-
ადაგზე, ჩვენმა გამოცდილებამ შექმნა ჩვენში
ურყევი რწმენა, რომ მხოლოდ უღიადები ყურა-
დების გამოჩენა სხვადასხვა ერის ინტერესები-
სადმი სპობს ნიადაგს კონფლიქტებისათვის,
სპობს ურთიერთ უნდობლობას, სპობს ყოველ-
გვარი ინტრიგების შიშს. კმინის ამ ნდობას, გან-
საკუთრებით სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე მუ-
შეხასა და გლეხების მხრივ, ურომლისოდ ამ-
სოლოდტურად შეუძლებელია როგორც მშვიდო-
ბიანი ურთიერთობა ხალხებს შორის, ისე რამ-
დენადმე წარმატებითი განვითარება ყოველივე
იმაში, რაც კი საფულისხმი რამ არის თანამედ-
როვე ცივილიზაციაში“ (თხზ., ტ. 88, გვ. 465-
468).

ამ როგორ გულმოდგინედ და უდიდები ყუ-
რადღებით უღებებოდა 3. ი. ლენინი საბჭოთა
მრავალპარტიანი სახელმწიფოს შექმნის საკითხს,
თანაც ბოდიშს იხდიდა მუშათა კლასის წინაშე
იმათთვის, რომ ავადყოფილობის გამო „საკამოდ
დენარგოულად და საკამოდ მკვეთრად“ ვერ ჩავე-
რივ უხადადებულ ავტონომიაციის საკითხში
(თხზ., ტ. 88, გვ. 468).

3. ი. ლენინმა შეაქაზა გამოკითხვა „ავტო-
ნომიაციის“ პროტესტის მომხრეები, რომლებიც
უხედავდნენ საკითხის მხოლოდ ერთ მხარეს —
„ავტონომიური ნაციონალიზმის საფრთხეს და ებ-
რობდნენ მას, მეორე მხარეს — დიდშეპრობე-
ლური შოკინიზმის გამოვლინებებს კი ქერპოვნად
ვერ აუხებდნენ. ლენინი მთელი საზუსტით თი-
ვალისწინებდა ნაციონალიზმის ორივე მხარეს,
მთავარ საფრთხედ თვლიდა ველეკორუსულ
შოკინიზმს და მის წინააღმდეგ ეწეოდა „საკა-
დრო-სასიცოცხლო ბრძოლას“ (თხზ., ტ. 88, გვ.
468) და მუთითებდა: „მნიშვნელოვანია, რომ

ჩვენ არ ვაძლევდით საზრდოს „დაშრობე-
ბელში“, კი არ ვხაზობდით მათს და მხოლოდ ე-
ხლობას, არამედ ვაშენებდით კიდევ
ახალ ხართულს, თანახმარტულ-
დებთან რესპუბლიკათა ფედერაციას“ (ლენი-
ნის კრებული, X X X V I, გვ. 498).

3. ი. ლენინის დამსტრომელი ზრუნვისა და
გენიალური მითითებების საფუძველზე რკ(ბ)
ცენტრალური კომიტეტის 1922 წ. ოქტომ-
ბრის პლენუმმა სავსებით მიზანშეწონილად
სცნო რუსეთისა და ამიერკავკასიის სხტრ-ების,
უკრაინისა და ბულგარების სსრ-ის ერთიან შრა-
ვადროვან სახელმწიფოდ — საბჭოთა სოცია-
ლისტური რესპუბლიკების კავშირად გაერთიან-
ება. პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილება
მთლიანად და სავსებით მოიწონეს საბჭოთა რე-
სპუბლიკების საბჭოების ურლობებში. სრულად
რუსეთის საბჭოების X ურლობის დასტრვის
წინ (1922 წ. 28 დეკემბერი) მ. ი. კალინინმა
თქვა:

„ჩვენთვის, საბჭოების X ურლობის დედ-
გატებისათვის, საბჭოთა რესპუბლიკების მუ-
შურ-გლენური კლასის წარმომადგენლებისათვის,
განა ჩვენთვის ძვირფასი არ არის სახელი
რსტხსრ?! იგი ძვირფასია ჩვენთვის. ეს სახე-
ლი მოპოვებულია ომების კარცეცხლში. ამ
ბრძოლებში მყიფე მსხვერპლი როდ გაიღეს
ჩვენი ქვეყნის მუშებმა და გლეხებმა. მე ვხე-
დავ, როგორ ფრიალებს ჩვენს თავზე წითელი
დროში, რომელზეც გამოსახულია ზუთი წმიდა.
თაწმიდა ასო რსტხსრ, და ჩვენ, საბჭოების X
ურლობის დედგატები, მთელი საბჭოთა რუ-
სეთის ფედერაციის სრულუფლებიანი წარმომ-
ადგენელი, ამ ძვირფას, ბრძოლებით და გამარჯ-
ვებებით მოხლო, მუშათა და გლეხთა უამრავი
მსხვერპლით განმტკიცებულ დროშას ვებრით
საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის წინაშე. ჩვენ
ვხედავთ, როგორ ფრიალებს უკვე საბჭოთა
რესპუბლიკების კავშირის ახალი წითელი დრო-
ში. მე ვხედავ, ამხანაგებო, ამ დროშას ამხანაგ
ლენინის ზღვში. მაშ წინ, ამხანაგებო, უფრო
მადლა აღმართეთ მის დროში, რათა მას სტყავდ-
ნენ მსოფლიოს ყველა მშრომელნი და ჩაგრუ-
ლნი“ (რჩ. ნაწ. ოთხ ტომად. ტ. I, გვ. 668).

1922 წლის 28 დეკემბერს მოხკოვში გაიმარ-
თა საბჭოების I სრულიად საკავშირო ურლო-
ბა, რომელზეც მოხსენებით „საბჭოთა სოცია-
ლისტური რესპუბლიკების შექმნის შესახებ“ გა-
მოვიდა ა. ზ. სტალინი და განაცხადა: „დედგან-
დელი დღე არის არა მარტო შედგენა შევამე-
ბის დღე, იგი ამასთან ერთად არის დღე ახალი
რუსეთის ზემიხისა ძველ რუსეთზე... დღე-
ვანდელი დღე არის საუთნო დღე ახალი
რუსეთისა, რომელშიც დაამხზებია ნაციონალ-
ური ჩაგრის ბოროლები, მოაწყო გამარჯვება
კაბიტალები, შექმნა პროლეტარიატის დიქტატურ-

საქართველოში
საბჭოთა რევოლუციის
მეორე ეტაპი

რა, გამოადგინა აღმოსავლეთის ხალხები, ადაფრთხილეს დასავლეთის მოწყობის, გადაეცა წინააღმდეგობის პარტიული დროშიდან სახელმწიფო დროში და შეზღუდვა ამ დროის ვარჯიშით საბჭოთა რესპუბლიკების ხალხები იმისათვის, რომ გაერთიანდნენ ისინი ერთ სახელმწიფოდ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად" (იხ. ტ. 5, გვ. 174).

ამავე დღეს ურალში დაამტკიცა დეკლარაცია ახელმწიფოებმა სსრ კავშირის შექმნის შესახებ. სსრ კავშირის სახალხო კომისარია ს. ბუბოვს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ვ. ი. ლენინი, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ — მ. ი. კალდინი.

ახე შეიქმნა ძველამოსილი საბჭოთა მრავალეროვნო სოციალისტური სახელმწიფო — ლენინური ერთეული პოლიტიკის ტრადიციები, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ცხოველყოფილი პრინციპების კლასიკური განსახიერება.

ვ. ი. ლენინი 1922 წლის 21 დეკემბერსაც დაუბრუნდა სსრ კავშირის შექმნის საკითხს, ხაზგასმით აღნიშნა მისი საერთაშორისო მნიშვნელობა და მიგვიითთა: „განამტკიცოთ სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი; ამ დონის მიზნების შესახებ ეცემა არ შეიძლება იყოს. ჩვენ იგი გვესაბუჯობა, როგორც ესპერანტო მსოფლიო კომუნისტურ პროლეტარიატს მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად და მისი ინტერესებისათვის თავის დასაცავად“ (იხ. ტ. 28, გვ. 498-494).

ვ. ი. ლენინმა ამავე ხტენოგრაფიულ ჩანაწერში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სსრ კავშირის სამხედრო და დიპლომატიური ამარტების წყაფად კომუნისტებით განმტკიცებას, ცალკეული სახალხო კომისარიატების სრული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას, უწყარტის წესების შემოღებას ერთეული ენების ხმარების თავისუფლებისათვის სხვადასხვაეროვნებთან რესპუბლიკებში და მოიხილვა მშური, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ურყევი პრინციპებიდან გამომდინარე, დახმარება იმერკალიანიის უღელქვეშე შეოფი ჩაგრული ხალხებისადმი, რომლებსაც უწყურიათ გამოადგინენ „იხტორიის ავანცენაზე უახლოეს მომავალში, ჩვენს კვლადაკვალ“ (იქვე, გვ. 494).

სსრ კავშირის შექმნამ და განმტკიცებამ, შემდგენი მთელი რიგი ახალი მოკავშირე რესპუბლიკების ჩამოყალიბებამ და ამ კავშირში შესვლამ გაამარტავა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძალები და შეამძლვებლბანა. დღემს საბჭოთა მრავალეროვნო სახელმწიფო, რომელიც განვითარებული სოციალიზმის აწენების შედეგად პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოდან საერთო-სახალხო სოციალისტურ კომუნისმის მშენებელ უღელკვალ სახელმწიფოდ გადაიქცა,

მე, როგორც პედაგოგი, მომავალ მხატვრებთან ხელოვნების სხვადასხვა დარგებზე საუბრისას სამრეწველო გრაფიკასთან (საერთოდ დიზაინთან) დაკავშირებულ საკითხებსაც ვეხები ხოლმე. ამდენად ახალი პუბლიკაციის გამოჩენასთან დაკავშირებით სრულიად ბუნებრივად მჭონდა რაიმე საინტერესო, ჩემთვის უცნობი ინფორმაციის მიღების მოლოდინი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულ ენაზე ამგვარი ხასიათის მონოგრაფია არ არსებობს, თვით ხელოვნების ეს დარგიც ახალია, ჩვენში იგი ახლა იკრებს ძალს და მის შესახებ ყოველი წიგნის გამოჩენა უფროდ დაინტერესებს ამ საქმესთან დაკავშირებულ ნებისმიერ ადამიანს.

წიგნს მარტივი სტრუქტურა აქვს. იგი შესრულებულია ერთი მთლიანი სტატიის სახით (შესავლის, დასკვნისა და სარჩევის გარეშე). იწყება ზოგადი ნაწილით, რომელსაც ვარკვეულწილად შესავლის მოვალეობაც აკისრია; შემდეგ რატომღაც მოდის რეკლამის დახასიათება, ამას მოყვება გრაფიკის ზოგიერთი სახეობათა, მათ შორის სამრეწველო გრაფიკის დარგების ანალიზი. სულ ბოლოს მოცემულია საფორმო ნიმუშთა ტაბულის სია. წიგნში შიგდაშიგ ჩართულია ფერადი ტაბულები, ეტრეტების ნიმუშები და საფორმო ნიმუშთა ფოტოგამოსახულებები.

შეიძლება საქმეში ჩაუხებლად ოპონენტს ვაუჩნდეს ისეთი აზრი, თითქოს ჩვენ რაიმე მიზეზით წინასწარვე უარყოფითი განწყობილებით შეედგომოდეთ რეკლამის წერას. სრულიადაც არა. ეს წერილი უფრო ვაკვირებამ დაგვიწერინა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ წიგნის გამოკვლა ათასგვარი უწყებრივი ბარიერის დაძლევის გეგმისაა. ამას მატებდა რედაქტორება-რეცენზორების საქმიად ხანგრძლივი პროცესი; ეს კი იმისათვის კეთდება, რომ საბოლოო გამოშვებისას თვითონვე დაკლებული პოლიგრაფიული წიგნი, სამწუხაროდ, ცალკეული უზუსტობანი თუ კალმისმიერი შეცდომანი მაინც გაიპარება ხოლმე რიც გამოკვებში. მაგრამ, დამთავრებებით, აღბნა, რომ ძნელად თუ მოხდება. მთელი წიგნი, მისი თითქმის ყველა გვერდი ვეკარ შეცდომათა ნაკრებს წარმოადგენ-

დეს. დაახლოებით ამგვარ მდგომარეობაში გვაქვს საქმე სარეკლამო წიგნში. ძნელად თუ წარმოიდგენს ადამიანი, რომ ერთი მცირე მოცულობის ნაშრომში ამდენი ულოკიკობა, მცდარი აზრი და ტექნიკური წუნი შეიძლება გამარულდეთ.

ჩვენი გაოცება დაიწყო წიგნის პირველივე აბზაკიდან, სადაც ავტორი საქმიად პოპულარულად მსჯელობს სილამაზისადმი ადამიანის სწრაფვის თნდაყოლილ უნარზე და ამ საფუძველზე „წვეტიანი კეთი“ ნახატების შექმნის საეჭვო ეფრისაზე. მაგრამ ამას კიდევ არა უშავდა, რომ ამ ავტორის ასეთი განცხადება: „სილამაზის გრძნობამ უქარნაბა ადამიანს შეექმნა ხელოვნების შეუდარებელი ნიმუშები. ძველი საბერძნეთი იყო ეს თუ ეგვიპტე, ბრწყინვალე რომი თუ მრისხანე ინკვიზიციით შეპყრობილი ესპანეთი, ყველგან ჩნდებოდნენ მხატვრები და ქმნიდნენ კანდაკებებს, წერდნენ ტილოებს, ვარსკვლავსა და ლითონზე და ა.ღ.ღ.ღ. ამიტომაც შეცნიერებას, რომელიც შეისწავლის სილამაზესა და მშვენიერებას, — ესთეტიკა ეწოდება“ (გვ. 3). ამ აბზაკში რამდენი სიტყვა-ცაა თითქმის იმდენივე შეცდომა გვხვდება. ჩერ ერთი „ხელოვნების შეუდარებელი ნიმუშების შექმნას“ ბევრი რამ ესპორიება გარდა სილამაზის გრძნობისა, მეორეც, რა გამოთქმაა — „ჩნდებოდნენ მხატვრები“ და რაც უმთავრესია, საიდან გაჩნდა ამ კონტექსტში დასკვნა ესთეტიკის შეცნიერების რაობის შესახებ? ესაა კლასიკური ნიმუში ილიასეული ცნობილი „ხელოვნების ფებისა“. ყოველდ ვაუგებარია ზემოხსენებულ აბზაკში განვითარებული მსჯელობიდან როგორ გამოვიყანა ავტორმა ასეთი „ეკალიფიკური დასკვნა“.

მომდევნო გვერდზე ავტორი გვიხასიათებს თანამედროვე პოლიგრაფიულ მრეწველობაში დანერგული რეკლამის ბეჭდვის სახეებს (ფიქტრობთ სრულიად უადგილოდ) და გვარწმუნებს რომ „...განსახილველი საკითხის ნათელსაყოფად აუცილებელია გრაფიკის საერთო დახასიათება“ (გვ. 4) მოველოდ, რომ ავტორი აქ მაინც ისაუბრებდა გრაფიკაზე, როგორც სახვითი ხელოვნების ერთ-ერთ დარგზე, დაახასიათებდა მის ცალკეულ ჟანრებს, გამოყოფდა სამრეწველო გრაფიკის და ვაკვარევედა მის რაობაში, არსში, სპეციფიკაში. არაფერი ამდგავარი!

შეპირების მერე ავტორი რატომღაც პირდაპირ ესტამპის დახასიათებაზე გადადის, ამას მოსდევს გრაფიკის დახასიათება და ა. შ.

სიმართლე უნდა ითქვას, ამ გვერდების კითხვისას (გვ. 5-7) იმდენად დავიბენი, რომ მიხლოდა საერთოდ ხელი ამეღო წინამდებარე წერილის დაწერაზე. საქმე იმაშია, რომ აქ თითქმის ყოველ სტრიქონში სრული ქაოსია. ვერ ვაიგებ ამ დარგებში რომელია მთავარი და რა-

მელი დაქვემდებარებული. ჩემის აზრით, აქ საუბარი უნდა დაწყებულიყო გრაფიკის, როგორც სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი დარგის დაზნისათვის, ხოლო როცა მის სახეობებზე გადავიდოდეთ ავტორი უბრაველესად დახტურ გრაფიკაზე უნდა გაჩერებულიყო. შემდეგ კი თანდათანობით სხვა დარგების მოკლე დაზნისათვის მივყავ...

გაუგებარია, რატომ იწვევს ავტორი გრაფიკის დაზნისათვის ესტამპით (ალბათ ფიქრობს, რომ ესტამპი გრაფიკის უმთავრესი დარგია?) ან რას ნიშნავს, მაგალითად, მე-4, მე-5 გვერდებზე განვითარებული მსჯელობა, „სადაც ოფორტი და ლითონზე გრავერების სხვა ხერხები, მათთან ერთად ქილოგრაფიკა“ გაგებულა, როგორც ესტამპის სახეები? საინტერესოა, რომელ სახელმძღვანელოში ამოიკითხა ავტორმა ამგვარი რამე თუნდაც მე-9 გვერდზე ავტორი, სადაც ავტორი წერს „განვიხილავთ ლითონზე გრავერის სამ ძირითად სახეს, ესენია: ოფორტი, მშრალი ნემსი და აკვატინტა. გამოდის, რომ საივზე ეს სახეობა არის ლითონზე გრავერების ძირითადი სახეები, მაშინ როცა ნებისმიერ სახელმძღვანელოში მშრალი ნემსი, აკვატინტა და ბეჭის სხვა იწოდება ოფორტის ცალკეულ სახეობებად.

საგანგებოდ არ ვჩერდებით ცალკეულ უხსტობებზე. ვიტყვით მხოლოდ რომ აქაც საგალალო მდგომარეობაა. ცნებები არასწორადაა გაგებული (მაგ. ლათინური წარმოშობის სიტყვა „აკვატინტა“ ავტორის იტალიური ჰგონია).

მე-9 აკვატინტის ტექნიკის ისე აღწერს ავტორი, რომ გაუგებარი რჩება რა უნდა ამბობდეს მხატვარმა ამ წესით მომზადებული დაფიდან. ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი ნახატზე და მისი შესრულების თავისებურებაზე. აქვე გაეთებული სრულიად გაუგებარი დასკვნა: „აკვატინტა იშვიათად იხმარება გრავერებაში, ხშირად ოფორტთან ან მშრალ ნემსთან ერთად“ (გვ. 7). გაურკვეველია, რისი თქმა უნდა ავტორს. წინადადების პირველი ნაწილი ასე თუ ისე გასაგებია, მაგრამ მცდარ აზრს გამოხატავს, მეორე ნაწილი კი საერთოდ უაზრო ფრაზაა. აკვატინტა იშვიათად იხმარება კი არა და თუ კვალიფიციურ ავტორებს დაუყურებთ: «Из всех известных способов гравирования тона в офорте акватинта является главным и самым распространённым» (ვ. მ. ზენცოვი, ვ. ვ. ივანოვიჩი).

მე-9 გვერდზე ავტორი წერს: „ლითოგრაფია ბურონულად ნიშნავს ქვას“. წინადადების გრამატიკულ სტრუქტურაზე რომ აღარავფიქროვებოდა, ის მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი სწორად არ არის გაგებული. ამ სიტყვაში ქვას შეესატყვისება ბერძნული lithos, ხოლო მისი მეორე ნაწილი grapho ნიშნავს ვერს, ვ. ი. ქვაზე წერა, ქვაზე ვერს და ა. შ.

მე-8 გვერდზე ავტორი ამგვარად ამბობს: „ეს არის ხელოვნების დარგი, რომელიც ძალიან მჭიდროდაა დაკავშირებული ყოველდღიურ ცხოვრებასთან და ადამიანის სემპიარობასთან. რეკლამა და სამომხმარებლო საქონლის შეფუთვა, პოლიგრაფიული გამოცემა და ვიზუალური კომუნიკაციის საშუალება მხატვრის ხელში გადაიქცევა გრაფიკული ხელოვნების ნაწარმოებად. ამგვარად, სამრეწველო გრაფიკა უფროდებდა ადამიანის ესთეტიკური აღზრდის აქტიურ ფორმად“. უნდა გულახდილად ვაღიარო, რომ ცოტა რამე უხელოვანი და უზრუნველყოფილი კომუნიკაციის საშუალება სრულიად უადგილოა. იქნებ ესენიც სამრეწველო გრაფიკის ქვესახეობებად მიიჩნია ავტორს? ან ეს მსჯელობა რაღას ნიშნავს, რომ თითქმის „...პოლიგრაფიული გამოცემა და ვიზუალური კომუნიკაციის საშუალება მხატვრის ხელში გადაიქცევა გრაფიკული ხელოვნების ნიმუშად“? საკვირველია, ღმერთმანი!

მე-9 გვერდზე ავტორი აგრძელებს საუბარს სამრეწველო გრაფიკის შესახებ და ნათქვამიდან მოაყოლებს ფრაზას: „ტექნიკური ესთეტიკის განვითარების ამოცანაა უმასხოს ცხოვრების თანამედროვე მხატვრულ და სულიერ მოთხოვნებს“. საკვირველია, რატომ შემოიღებს ავტორმა ახალი ცნება „ტექნიკური ესთეტიკა“? მე ამ ცნების უფლებამოსილება კი არ მაქვს, უბრალოდ, აქამდე ამ საკითხზე რატომღაც საუბარი არ ყოფილა. ამასთანავე აქ სხვა საკითხებიცაა გასარკვევი. როგორც ჩანს ავტორი მიიჩნევს, რომ სამრეწველო გრაფიკა და ტექნიკური ესთეტიკა იდენტური ცნებებია. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ ავტორი ამ ერთი სრულიად უადგილო ფრაზის შემდეგ ტერმინ „ტექნიკურ ესთეტიკაზე“ აღარ ჩერდება და ისევ სამრეწველო გრაფიკაზე გადადის.

შემდგომ, მე-9 გვერდზე ავტორი მოკლედ მოგვითხრობს 1963 წელს შექმნილი ტექნიკური ესთეტიკის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სამრეწველო გრაფიკის განყოფილების მუშაობაზე და იქვე გვაშინებს, რომ „საფორმო ნიშნის კონსტრუირება დაფუძნებულია ტექნოლოგიურ, ესთეტიკურ, ფსიქოლოგიურ და ვიზუალურ მოთხოვნებზე, რომლებსაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვავეცნობით“ (გვ. 10). ავტორი მოულოდნელად გადადის ახალ საკითხზე, კერძოდ საფორმო ნიშნის შექმნის სპეციფიკაზე, მაგრამ აქაც ბეჭის რამ ბერძნულია მოკლედ, მაგალითად: „საფორმო ნიშნების კონსტრუირებისას ყურადღება უნდა მიექცეს მისი ფორმის სისადავესა

და კონკრეტული ნიშნის მოხმარების გადაწყვეტას" (გვ. 10). საინტერესოა, რას უნდა ნიშნავდეს „ნიშნის მოხმარების გადაწყვეტა“? იქვე: „ესთეტიკური მოთხოვნა მოიცავს მხატვრული გამოსახვისა და ნიშნის კომპოზიციურ სტრუქტურას... ბუნდოვანი აგრეთვე — „შრიფტული საფორმო ნიშნები შედგება ფორმის სახელის ერთი ან რამდენიმე პირველი ასოს“...

მე-11 გვერდზე ვკითხულობთ: „ეიზნაურის მოთხოვნა მოიცავს ნიშნის აღქმას, ათვისების სიზუსტესა და სისწრაფეს“. მართალია, ამ ფრაზის შინაარსიც გაუგებარია, მაგრამ საინტერესო იქნებოდა ავტორის ფსიქოლოგიურ მოთხოვნებზე ეთქვა ორიოდ სიტყვა, არადა შეგვხიზდა კი!

საფორმო ნიშნებზე საუბრის შემდეგ ავტორი გადადის რეკლამის დახასიათებაზე. გვიხსნის, რა დანიშნულება აქვს მას, რა განსხვავებაა კაპიტალისტური და სოციალისტური ქვეყნების რეკლამის შორის. აქვე გვამცნობს, რომ თურმე: „რეკლამის თანამედროვე მეთოდებმა ითვლება აფიშები, პლაკატები, ბიულეტენები, პრასპექტები, პრესა, რადიო-განცხადებები, ტელეხელვა, შექ-რეკლამა და სხვა“ (გვ. 11). სხვას რომ თავი დავანებოთ, არა გგონია პრესა და ტელეხელვა რეკლამის მეთოდები იყოს. საერთოდ, აქვს კი რეკლამის მეთოდები?

ამის შემდეგ ავტორი ახასიათებს შეფუთვის, როგორც პროდუქციის დაცვა-შენახვის, მისი ტრანსპორტირების საშუალებას, შერე გადადის ტარის დახასიათებაზე, ამას მოყვება ბანდეროლის, პლაკატის, საფორმო სტილისა და ბოლოს ბუკლეტის დახასიათება. ეს გვერდები (13-18) საესეა ერთობლივით. მაგალითად: „სამშენი და გამომწვნი მუშეთული საქონელი ააღვიადებს ვაჭრობის მუშაეთა შრომას, ახალისებს მყიდველს, პასუხობს მის ესთეტიკურ მოთხოვნას და პროდუქციის რეალიზაციას“ (გვ. 13). შემდეგ: „შეფუთვისას ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა ნავეთობის ფორმის შესაბამისობა. საჩუქრებისათვის უნდა გამოვიყენოთ უფრო დახვეწილი და ნატაფი ფორმები“ (გვ. 14). რას გვეუბნება აქ ავტორი? რა ფორმების შესაბამისობაზეა ლაპარაკი?

იქვე: „შეფუთვის პროექტირებაში განსაკუთრებით ითვალისწინებენ მის გამძლეობას, მოხერხებულობას, მომხმარებლობას ავტომობილებული მოშაადებისათვის“. შესაძლოა აქ ზოგი ტერმინი ისეთია, რომ მხოლოდ მხატვარ დიზაინერებს ესმოდათ მისი მნიშვნელობა? მაშინ ჩვენ ისღა დავგერჩინა ბოდიში მოვუხადოთ ავტორს, მაგრამ პირადად ჩემთვის ფრაზა „...ითვალისწინებენ... მომხმარებლობას ავტომობილებული მოშაადებისათვის“ გაუგებარია.

იქვე: „უყვლა ამ საჭიარისათვის (ლაპარაკია მანქანის სამთავამდიდრებელი კომპონატის, მერტაპოლიტენის და გ. დიპიტროვის სახელო-

ბის საავიაციო ქარხნის შესახებ) გამოხატულია ბელია მხოლოდ და მხოლოდ საკვანა...“

აქ აღბათ სიტყვა აკლია. ჩვენი აზრით უნდა იყოს „უყვლა ამ საჭიარის საფორმო სტილისათვის დამახასიათებელია...“ და ა. შ. რადგან სწორად დახასიათებულია ავტორის განხილვის საგანი:

უნდა ითქვას, რომ ერთობლები წიგნის არც ერთ გვერდს არ აკლია, მაგრამ ამ მხრივ მაინც გამოირჩევა დასაწყისი და დასასრული. დასაწყისზე უკვე გვქონდა საუბარი. ტექსტის ბოლო მე-18 გვერდი კი ამის საუკეთესო მაგალითია. აქ ავტორი საუბრობს ბუკლეტის შესახებ, ორიოდ სიტყვით გვიხსნის, თუ როგორ ფორმდება იგი და იქვე, მომდევნო აბზაცში მოულოდნელად გვამცნობს:

„ზნირად გადაწყვეტ როლს თამაშობს ნამცხვრის, ფილა-შოკოლადისა და სხვა ტბილულის შესახეთი ქაღალდის დეკორატიული გაფორმება. დასახლებასთან და სხვა საინფორმაციო წარჩურებთან ერთად, აქ გამოყენებულია ან დეკორატიული მოტივი“. გაარკვეთ ახლა, თუ რაში ან რატომ თამაშობს ზნირად გადაწყვეტ როლს ნამცხვრის, ფილა-შოკოლადის და სხვა ტბილულის შესახეთი ქაღალდის დეკორატიული გაფორმება. სრულიად გაუგებარია, რა ხდება აქ. აზრი არც წინა წინადადებას ეხმარება და აღარც მომდევნოს. გაუგებარია აგრეთვე, რატომ მოყვა ეს მსჯელობა ბუკლეტის განმარტებას, მათ ზომ საერთო არაფერი აქვთ. რაც შეეხება მომდევნო ფრაზას, რომ „დასახლებასთან ერთად აქ გამოყენებულია ან დეკორატიული მოტივი — ეს „ან“ მოდით წიგნის კორექტილის დავაბრალთ თორემ ეს გამოდის. -- სულ დაეხმევიოთ.

ამ გვერდზე სხვა ერთობლებიც გვხვდება, თავს ნებას მიეცემ ბოლო ორი აბზაცი უცვლელად მოვიტანო.

წინამდებარე ნაშრომი, — წერს ავტორი, — წარმოადგენს თანამედროვე სამრეწველო გრაფიკის დანიშნულების, მისი ესთეტიკურ, ტექნიკური და მხატვრულ მხარეთა შესწავლის ცდას (მოხსნის მასშტაბებს დავაყრდნობთ — თ. ა.). ეს კვლევა მიმდინარეობდა ტექნიკური ესთეტიკის საკავშირო-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში შექმნილი ნიმუშების მაგალითზე. დღევანდელ პირობებში სამრეწველო გრაფიკამ ფართო გასაქანი პოვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი საესეობა დასუბობს თავის ესთეტიკურ და ფუნქციურ დანიშნულებებს.

ყოველ წელს ახლდება სავაჭრო საქონლის ასორტიმენტი, იზრდება მოთხოვნილება დახვეწილი გემოვნებით შესრულებული რეკლამისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება შრიფტს, რომელიც მხატვრული გაფორმების მნიშვნელოვანი ნაწილია. ასეთი ფორმები, მათი ზომები განისაზღ-

ერება საქონლის გარეგანი სახითა და დანიშნულების მხრივ.

ამავე ინსტიტუტში იქმნება საფირმო ნიშნებიც.

ეს ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიტანეთ, რომ ორიოდ სიტყვა ვთქვათ წიგნის დანიშნულებაზე. როგორც ციტატიდან ჩანს, ავტორს იგი წარმოდგენილი ჰქონია კვლევად და თანაც როგორი მასშტაბისა! შეიძლება ვუღებოდეთ, მაგრამ კვლევის პრეტენზია ამ მასალას არ უნდა ჰქონდეს. აქ ფაქტობრივად ნაკვლავი არაფერია, ცნობილი დებულებებია მოტანილი და ისიც საკმაოდ ვალატირებად. თუნდაც ეს ბოლო ამონაწერი განვიხილოთ — განსაზღვრა თუ არა კვლევის მიზანი, ავტორი გადადის იმის მტკიცებაზე, რომ სამრეწველო გრაფიკა სავსებით პასუხობს თავის ესთეტიკურ და ფუნქციურ მოთხოვნებს. რა მოთხოვნებზეა აქ ლაპარაკი? სამრეწველო გრაფიკა თავის თავს უყენებს ამ მოთხოვნებს, თუ ტექნიკური ესთეტიკა უყენებს მას გარკვეულ მოთხოვნებს, ან იქნებ საზოგადოების სოციალურ შეკითხვაზეა ლაპარაკი? აქვე ავტორი სრულიად უადგილოდ გადადის შრიფტზე და გვაუწყებს, რომ „ასოთა ფორმები, მათი ზომები განსაზღვრება, საქონლის გარეგანი სახითა და დანიშნულების მხრივ“. ეს „მხრივ“ რაღაა, რა ქართულია ეს? იქვე ავტორი გვაუწყებს, რომ „ამავე ინსტიტუტში იქმნება საფირმო ნიშნებიც“ და მოაქვს საფირმო ნიშნულთა თუ ნიშნულთა ტაბულის სია. თვით ტაბულა კი სხვადასხვა საქონლის ფრაგმენტების ნიმუშებთან ერთად ჩართულია წიგნში სურათების სახით. უბედურება იმაშია, რომ ტაბულა და ტაბულის სია არ ემთხვევა ერთმანეთს. ტაბულაზე მოცემულია 56 სურათი საფირმო ნიშნების გამოსახულებით, ტაბულის სიაში კი მხოლოდ 54 სურათის დასახელებაა აღნიშნული. ამასთანავე აღრეულია ნუმერაცია, 34-ე სურათი საერთოდ გამოტოვებულია; 33-დან გადადის — 35-ზე, ამასთანავე, თითქმის არც ერთი ნომერი ტაბულასაც არ ემთხვევა. მაგალითად, ავტორი მე-17 გვერდზე აღწერს საქართველოს რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქკონდიტრის“ საფირმო ნიშანს და მიუთითებს — იხილეთ სურათი № 50. აღწერილი ნიშნული კი ტაბულაზე 41-ე ნომერია. ამავე გვერდზე იგი აღწერს ცანის სამთომეტალურგორი კომბინატის საფირმო ნიშანს და მიუთითებს 65-ე სურათზე, მაშინ როცა ტაბულაზე სულ 56 სურათია. წერილშიანია? შეიძლება, მაგრამ თუ წიგნის

მთლიან ხარვეზებს გავითვალისწინებთ, აღმოჩნდება, რომ ეს ლაფსუსი დიდი ჯიხურის მატარებელია.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ წიგნი დაწერილია ცუდი ქართულით, თითქმის ყოველ გვერდზე გვხვდება გაუმართავი ფრაზები, უსაბურო გამოთქმები. ნიმუშები საკმაოდ მოვიტანეთ, კიდევ შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, საკმარისია. საერთოდ მთელი წიგნი თეზისურ ბასიანს ატარებს. წინადადებები ერთმანეთს არ ემის, ხშირად ერთმანეთის მიუღებელი ყოველგვარი შინაგანი ლოგიკის გარეშე სრულიად სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობს.

წიგნის მთავარ ნაკლად მიიჩნევა ის მიგვაჩნია, რომ ავტორს არ აქვს ერთიანი მეთოდოლოგიური პოზიცია, ვერ იცავს საკვლავი პრობლემის ჩარჩოებს, იგარდნობა უსისტემოება, მთავარისა და მეორეხარისხოვანის დიალექტიკის იგნორირება.

ჩვენი აზრით, ავტორს ჯერ უნდა მოეხერხებინა სამრეწველო გრაფიკის ადგილის გააზრება გრაფიკული ხელოვნების საერთო სისტემაში, შემდეგ კი მის სახეობათა ესთეტიკურ-ფუნქციონალური, ანალიზი მოეცა.

გრაფიკის სხვადასხვა სახეების ტექნიკის აღწერა სრულიად ზედმეტად გვეჩვენება. ეს რომ სახელმძღვანელო წიგნი ყოფილიყო მაშინ გასაგები იქნებოდა ამგვარი მიდგომა. ყოველ შემთხვევაში ჯერ უნდა მოცემულიყო სამრეწველო გრაფიკის ცალკეული სახეების კლასიფიკაცია და შემდეგ თუნდაც ტექნიკაზე შეიძლება შეჩერება, ეხლა კი რა გამოდის, წიგნიდან ფაქტობრივად მიიჩნევა არ ჩანს რა დარგები თუ ქვესახეობანი გააჩნია სამრეწველო გრაფიკას. ბევრ მათგანზე კი სიტყვაც არაა ნათქვამი (მაგალითად, ფრაგმენტზე).

როგორც აღვნიშნეთ, ამჟამად მართლაც ბევრი კარგი წიგნი ისტამბდება, მაგრამ წიგნის გამოცემა სრულიადაც არაა იოლი საქმე. არც მისი დაწერა და ავტორობაა ადვილი. არა სურვილითა ერთითა... შეიქმნება კარგი წიგნი. საჭიროა ღრმად კომპეტენტობა და მეტი პასუხისმგებლობა, რათა უნებლიედ არ აღმოჩნდეთ მკვლარი მოსაზრებების გამავრცელებლის როლი.

სამრეწველო გრაფიკის (საერთოდ დიზაინის) პრობლემატკა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია თანამედროვე ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში და ამ საკითხზე აუცილებლად უნდა დაიწეროს კარგი წიგნი.

ოლოლები ოლოლებს ეძრაებინან

თქმა არ უნდა, თუ შიში არ გაძაბუნებს, უღრან ტყეში ღამით სიარულიც სასიამოვნოა. ფოთლების ნემოზე რბილად მიაბიჯებ, კრილა, გრილ ჰაერს სუნთქავ და ხეთა ეწეწროებიდან უსაბუდედ გამომტყერალ მოვარის შუქს თვალს ნება-ნება უხუჭავ. ჰოდა, თუ შევესუელად ბუს მსგავს ფრინველებს დააფრთხობს შენი ფეხის ხმა და ტოტებიდან წამოშლის, უნდა იცოდნენ ეს უწყინარი ფრინველები ოლოლები არიან. „ოლოლივით კაცო“, — იტყვიან ქართლში; „ოლოლივით უწყინარი და სათუთი კაცი იყო“, — იტყვიან კახეთში.

ოლოლის გაჩენას ქართული ზღაპარი ასე ხსნის: გერებმა ხბო დაკარგეს და დედინაცვლისგან დახეულ ტყეში ვაგზავნილებმა ღმერთს ფრინველებად გახდომა სთხოვეს. ასე გაჩნდნენ ოლოლები. მას შერე ხბოს დაეძებენ და დროდადრო ერთმანეთს გასძახებენ:

„თვე-დო-რე!“

„უუუ“

„იპოვე?“

„ვერა, ვე-რაა!“

ღადო მრეღაშვილის ახალი ნაწარმოების ცენტრალურ პერიონაეს, მეთაველასელ ჰუმბეს ძილბურანში მკაფიოდ ჩაესმის, თუ როგორ დაიძახა ჰალიდან ოლოლმა:

— თვედორეე!

— უუუ! — გამოხმაურა შერე.

— იპოვე?

— ვერ-რაა, ვე-რააა!

და ბიჭმა საშინელი სიხარტოვე, მიუსაფრობა იკრძოქ

გულზე საოცარი ნაღველი შემოაიწია.

ოლოლმა კიდევ დაიძახა:

— თვედორეეე!

და უცებ მიხედა ბიჭი, რომ მას ეძახდნენ“.

ღიახ, არც ის არის შემთხვევითი, რომ ამ ცენტრალურ პერიონაეს თედო—თვედორე ჰქვია. იგი მთელი თხზულების მანძილზე ჩვენს თვალწინ საქმიანობს, ფუსფუსებს, ჯაბრობს, სწავლობს; მისი სულის დაღვინების მომსწრენი და შირველნიც ჩვენა ვართ. ეს იმიტომ, რომ ასე ინება ავტორმა. იგი ჩვენთან ერთად ნაბიჯ-ნაბიჯ, კვალდაკვალ მიჰყვება გმირს, გვაშენინებს მის ფიქრებს, საუბარს... ასე ვეცნობით თედო სანდოშვილს, ოლოლივით ჰუმბეს, რომლისა და რომლის მსგავსთა მზარზუელად გადაიარეს ომისდროინდელი სოფლის მკაცრმა დღეებმა, შიმშილის, სიცოცხლისა და მიუსაფრობის წლებმა.

პატრიოსანი, გამრჩე ოჯახის შვილს მუყათობა ახასიათებს და კაცურ-კაცობაც, ძირითადი—

ღადო მრეღაშვილი, „ოლოლები“, ნაკადული, თბ., 1988.

ეს იყო ძველი წლების მკაცრი გამოცდების დარქვა. უმთავრესი კი მინც ამ უდაბიანო და უღვთო წლებში კაცად და ადამიანად დარჩენა გახლდათ. ამიტომაცაა, რომ თვედორე ასე გულმოდგინედ დაპეტეტურებს თავს საკუთარ სინდის-ნამუსს, ადამიანად რჩება მაშინაც კი, როცა ცხოვრება უკაცური საქმისაყენ მიათავსწინებს, მორვევიით დაატრიალებს, თავგზას ატუნებს. და თუ ოლოლი ოლოლს დაეძებს, ოლოლივით ბიჭი ოლოლივით კეთილ ადამიანებს უხალავდება, მათთან კრავს კავშირს, მათი გობის თანაზიარი ხდება, მათი ჭირისა და ღზინის ჰამანს ეწევა. მას სულზე მეტად შეუყვარებია თანაკლასელი, განუყრელი მეგობარი ფურხა, ბებერი მეწისქვილე — ნიკა პაპა, სოფლის საბჭოს თავმჯდომარის შერე ყაჩაღი და დღვეტრიად უსამართლოდ მონათლული, სინამდვილეში კი საკუთარი ღირსებისა და კაცობის დამცველი, ადამიანობის ეტალონი — ცალხელა. ცხოვრების დიდი სკოლა გამოიარა ომის რამდენიმე წელიწადში თედომ. ოჯახისა და წვრილი დამძის გამოყვება მის კისერს აწეა, ბოლოს, ადამიანებში ჰუმანიტეტი ოლოლკაცების ამოცნობაც ისწავლა. გაუმტყუნა ღიანას სიყვარულმა, ზელიდან გამოეცალა საოცნებო რიტა, შვიცნო საწყობის გამებს ვერაგი ბუნება, გამოაშკარავა ჰუმანიტეტი მტაცებლები და ყაჩაღები, ბოლო ოლოლები ოლოლებად დარჩნენ მისთვის; ვერაგითარი ეჭვი და ცილისწამება ვერ შოგრიდა მის თვალში ნიკა პაპასა და ცალხელას; ჰუმბეს გზაზე ისევ ცისკრის ვარსკვლავად ბრწყინავს თუში იამზებს სახე. სწორედ მაშინ, როცა ბიჭი, ის-ის იყო, უნდა დარწმუნებულყო ცალხელას ავკაცობაში, სოფლისა და ხალხისაგან შიტოვებულ უშვილძირო ნიკა პაპას დამარხვაში საშველად „უბრალი“ თავად გამოეცხადა ცალი ზელით შეკრკეუბო, გააპატიოსნა მკედარი და ბიჭთან ერთად დაასაფლავა. შერე მეწისქვილის ახალბედა შევიგრილ დაამუნათა, ნიკა პაპას საქმეც უნდა გააგრძელო და მისი ოლოლკაცობაცო: „ახლა ნიკა ძიას შემეგვიდრე შენა ხარ. უნდა ყველაფერი იცოდე. დაიხსომე: სიკვდილის შემრტეც ნიკა ძია პირნათელი უნდა იყოს კაცთან და ღმერთთან...“ ბოლოს ღვინის ჰიქას თავი წაუტყია და რჩევა-დარიგებებიც მისცა ახალბედა მეწისქვილს.

— ებლა შესანდობარი დავლიოთ. — ფეხზე მდგარმა კაცმა ხშიადის ნატუნზე დააწვეთა ღვინო. — შენ არ იცი, ამ კაცის დაკავრვით რა დეკარგე.

— ვიცი. ოლოლივით კაცი იყო. — თქვა ბიჭმა. — ღარების თავთან რომ ბებერი წნორის ტოტა ვადმოფართოხლო, არ მომატრეენა, წყლის სმის დროს ზედ ჩიტები სხდებიანო; იქ წაეი ცხოვრობს, არ მოკვლა, ეგეც ბუნებისა გა-

ჩენილია; ქალში ნედლი არაფერი მოსკრა, ხველი მოკრიფე, ძირს ნაყარით; ნამდვილი ოლოი იყო; კაცმა არ იცის, ოთხმოცდაცამეტი წელი რა დაკარგა და რას ეძებდა. შგონია, სულ სიკეთეს დაეძებდა ვველან...

— ჩვენ ყველანი ოლოლები ვართ, — თქვა მძიმედ კაცმა, — ყველას რაღაცა დაგვკარგვია და ვეძებთ...

ბიჭი ახლა უფრო გააოცა ამ კაცის ზმამ. ამ მწიხვ, წისქვილივით გრუხუნა ზმამი იმდენი წუხილი და უსაშველო ნაღველი იყო, გული მოეწერა.

— მაგრამ შენ მაინც არ იცი, მგ კაცის დაკარგვით რა დაკარგე.

— ვიცი, — თავდაც ყრუდ თქვა ბიჭმა. — ვიცი და ისიც ვიცი, რომ დღეიდან მე უნდა ვიყო შენთვის ნიკა პაპა.

ყაბლს თვალბეში სითბო ჩაუდგა. სახეზე ნათელმა გადაკრა და ბიჭს მოეჭვენა, რომ შავმა წვერ-უღვაშმა გაიღიმა.

სანამ ხალხი ყველაფერს გაიგებდეს, ჩასწვდობდეს ცალხელს ტრავდას, უსამართლოდ ჩიკმოცხებული კაცის შავებდს, მანამდე თვლი მ იეს სიმართლე. წისქვილი გამოცხადებულ იაშებს იგი აგებინებს: — „ეს ყველაფერი ტყელია. ოლოლივით კაცი იყო, ალაღმართლი და უწყინარი... რაღაც დაეკარგა და ეძებდა...“ ამაში გოგო მხოლოდ მაშინ დარწმუნდა, როცა ბიჭმა წისქვილის მახლობლად პაპა ნიკას საფლავთან მეორე საფლავის აბენა და აღუხანა: უღრან ტყეში ზელისფლავის სახელით ყაბალდ მოკლული უღანაშულო ცალხელი აქ მე გადმოვასაფლავო: „გათენებამდე ვთხარე საფლავი... გათენებისას ჩავსუვენე შავ... აი, ორნი არიან... ოლოლებივით... მხოლოდ ეგ არი, ერთს უცვე აქვს ის ჭვა. რომელიც ეკუთვნოდა, მეორეს — არა“.

ოლოლის სიმბოლოს მთლიანად ასრულებს და გასაგებს ხდის ეპილოგი. აღვანელი თუშის — იაშებს მამის უბოში ჟურხანსა და თედოს შიერ დამწყებულ და მერე მიტოვებულ ჭას ახლა თედო და იაშე თბრიან. წყალს ეძებენ. ვერც მიუღვნიან. მაგრამ სწამთ: მადიებელი ჭკოვებს, და ისინიც, ამ რწმენით ანთებულნი, ეძებენ.

— თვე-დო-რევე! — ისმის ჭის თავზე ქალის წყრილა კრინი.

— უუუუუ! — ამოიგრავინებს ორმოდან ბიჭის დაღვინებული ზმა.

— იპოვევე?! — ვე-რა. ვე-რაა!

ცნობილი ჭოშანის „ყაბახის“ ავტორის საყმაწვილო პრობლემები დიდად აინტერესებს და სწორედ ამის დასტურია მისი პოპულარული „იფალითობა ბიჭები“, ხოლო „ოლოლებში“ თედოს მხატვრული სახის სრულქმნით სამშალო ასაკის ახალგაზრდათა სტუდიური ფორმირების უბუნარი მომენტებია წინა პლანზე წამოყენული.

ცენტრალური გმირის გარდა, ნაწარმოების თით-

ქმის ყველა მნიშვნელოვანი პერსონაჟი მკვეთრად ოდ დასასომებელი სახეა, მწერლის კალმის სილონიერზე მეტველებს ისიც, რომ ნებისმიერ ხერხს, ლიტერატურის თეორიაში რომ სპეციალური სახელი მოეძებნება, იგი სიტუაციას უფარდებს და სახის გამოყვეთის სამსახურში მარჯვდ აყენებს. ნაცადი ოსტატის ხელი ვტყობა თედოს, ჟურხანს, ნიკა პაპას, ცალხელს, საწყობის გამგე ვალიოს, ლიანჯეს და სხვების პორტრეტებს, მათი შინაგანი სულიერი სამყაროს გამოსახვის მანერას. პერსონაჟები იხატებიან საუბარში, დიალოგში, მოქმედების შედეგად, ზოგჯერ მიმოიკითა ე. მათი ესა თუ ის რეაქცია ამა თუ იმ მოვლენასა და ფაქტზე დღწილად განსაზღვრავს გმირთა ენობათა, მათი სულის შეფთვით შტრიხებს.

მიზანწრაფულია აღწერები, პეიზაჟები, დიალოგი, თვით ენობრივი ქსოვილიც. მწერალი უოველნაირად ცდილობს არც ერთი პეიზაჟი არ გამოვლდეს თვითონ ზურბი. პეიზაჟიც ამბის განვითარების საქმეში ჰყავს ჩაყენებული და კონტექსტისდა მიხედვით უნდა გაეიაზროთ მისი ფუნქცია, თუმცა, როგორც ცალკე სურათიც, ცლებშიმზიდველი როდია. თედო ფიქრობს საოცნებო ლიანჯეს, მისი ოჯახის გამოუვალ ეკონომიკურ მდგომარეობაზე; ოცნებობს, რომ ჭის თბრია სფასურად მიღებული მატყლით, უველით, ფქვილით დაიტვირთება, საკეთარ ოჯახსაც გააბარებს და ერთ ზნელ ღამეს ლიანსაც მიუტანს ფქვილსა და ვველს... და როგორ ჰყავს ყველაფერი ეს ღვთისადმი აღღვენლი ვედრებას — მოწყვალ თვალთ გადმოხედლის ტანჯულით. მაგრამ ეს ზომ ოცნებაა და მერე არაფერი. აი, აქ მწერალი რთავს ასეთ შესაფერის პეიზაჟს: „თედომ თავი აწია და კვაკსიონს გაბედა. მზეს უკვე მიეტოვებინა მწვერვალთა საფლო და ალავერდის გუშმათზე იყდა. მბრწყინავი ჭვარი მზად გამდნარიყო მცხუნვარ სხივებში და ახლა შორით მითაა ვალავანს მიმჭვნილი, ცაში აზიდული თეთრი ტამარი ისე მოჩანდა, როგორც დედამიწის სახატესთან ქვეყნის სავედრებლად დანთებული თეთრი სანთელი...“

კონტენტური მნიშვნელობაც აქვს და თავისთავადიც ასეთ პასეს: „ვარსკვლავებით მოფიქრებულ ცას ადუნტრუებული ღამე დროადროს აკინძის ღლივით შეაწვევდებ რომელიმე ვარსკვლავს და სამყაროს უსასრულობაში ისროდა“.

როგორც აღინიშნა, ლადო მრელაშვილისათვის ყოველი ზერბი იმდენადია სარგებლანი, რამდენადაც წაადგება იგი ხასიათის გახსნას, პიროვნების გამოჩინებას. ამ მხრივ ავტორი დიალოგს ყველაზე მეტ ვესპლოტატაციას უწევს და ეს ზერბი უკეთესადაც ემორჩილება. საერთოდ, დიალოგის აგება რთული საქმეა: აქ ერთმანეთს უნდა შეუწონანწორდეს ბევრი რამ — გემოვნება, ზომიერება, ენობრივი მომენტი (დიალექტი და სალიტერატურო ქართული). ყველაფერი

ეს სანიშნოდა შეთანაზომიერებული მრავალ-
გან. აი, ამის ერთი მაგალითი:

„ხოკრუა დუერა, დუერა და თავი გაიქნია.

— მაშ, შე ვერ მიცანი?

ბიჭმა იუარა.

— კოკრეთელი ვარ, ხოკრუა. — შერე დაეჭ-
ვდა: — მაშ, მეთევზე ხოკრუა არ გაგიგია?

— არა.

—საიდანა ხარ, კაცო?!

— ორბეთიდან.

— ვისი ხარ, ორბეთელი?

— სანდოშვილიანთ გიორგისი ვარ.

— მეტურჭლისა?

— მეტურჭლისა. — ბიჭს გიუვიკრდა.

— კაი მაშა გყოლია. — ხოკრუა დარჩეულ
ჩენჩზე ჩამოქდა.

ბიჭს ვაუხარდა. ხოკრუა ახლა მის თვალში
შეიკვალა.

— ხოკრუა ნამდვილი სახელია?

— არა, ხალხი შეძახის. ხალხი კი რასაც გეძა-
ხის, ნამდვილი სახელიც ის არის.

— შე როგორ დაგიძახო?

— მეც ხოკრუა დამიძახე, თუ ხალხში ურე-
ფხარ. იგრე კი — ვანუა მქვიან.

— თუმცა გგონია, ხალხში არ ეურვევივარ,
შინაც ხოკრუს დაგიძახებ. აქ კარგად იყვე-
თება მეთევზის პიროვნება, ბიჭის შედგარი ბუ-
ნება.

მეაფიო და დამაჯერებელ სახეთა ხატვას დი-
დად წასდგომია მახვილი, ერთი შეხედვით, მო-
ულოდნელი, მაგრამ სწორედ რომ უპრიანი
შედარებანი. თედოს შამის „შებლზე წამოწეუ-
ლი ნაბღის ქელიდან შვაი თმის თხელი ქოჩო-
რი ისე მოუჩანდა, თითქოს შიგ მერტბალი შეშ-
ქარა და ცალი ფრთა გარეთ დარჩენილი“.
მწერალმა კარგად იცის, რომ უფუნქციო შედა-
რება თვითმონეტრი ჩამ არის. მეთევზე ხოკ-
რუს მიერ მოტანილი შედარება მასვე — ამ
ქართულტრია და დაღარა პიროვნებას უნდა
ახსიათებდეს, უწინარეს ყოვლისა. სწორედ ეს
იქნებოდა შედარების დატეირთვა ახალი ფუნქ-
ციით. ნაწარმოებში ეს ზერხებდა ხოკრუს მი-
ერ მოხმობილი შედარება თუმცა ზუსტია, ოღონდ
მასავით უნამსი და უაღგლოა. ეს შედარება
მის უხიაკ ბუნებას უსევს ხაზს: კეთილ ნიკა
პასაზე, რომელიც სიკვდილის შემდეგ ფარდაგ-
ში გახვეული ჰქვ. იგი ასე ხოტონიკობს: —
„სტეირს რა ეშმაკი მიაქვამს, ფარდაში ქაბაბი-
ვით არი გახვეულიო“.

ლადო მარეაშვილი ზედმიწევნით იცნობს
ხალხურ ანდაზა-თქმებს. ზოგიერთი მათგანი ქე-
როვნად გამოიუყენებია, რითაც სილონიერე ემა-
ტება მის ისედაც დალიანსა და ხალვათ ფრაზას.
ამვე დროს, ხალხური სიბრძნის ნიმუშებთან ერ-
თოდ კიდევ შეხვედრის ესთერიკურ სიამოვნებას
გვაძლევს: „შეცხვარება თუ: რომ მყოდნიდა,
მგელი კლან ჩამოვარდებოდა, ძალს გულად-
მა დაეაწვენდიო“.

თხზულების ენობრივი ქსოვილიც უფრო მკაფიო
მეკრივიც არის და ელასტიურიც. ხალხს ხალ-
ხურ, სილაპარაკო, მუხლად ფრაზებს ტყვადი
ლიაქტურტი ელემენტო გაერევა ალაგ-ალაგ.
ოღონდ ისე კი, რომ კონტექსტში ყოველთვის
ადვილად გასაგები და იოლად ამოსაცნობია. მათ
განმარტებას სპეციალური ლექსიკონი არ სჭი-
რდება. ეს ამტკიცებს: მწერალს იმდენად უხვად
მოეპოვება ენობრივი მოსაქცევები, რომ ენაზე
ძალდატანება გამოიხილებულია. მის ღონიერ სინ-
ტაქსში ფაქიზად ენაცვლება ერთრის ხალხუ-
რი სამეტყველო ფრაზა და აეტორისეული სიტ-
ყვათქმნალობა: „იესო ქრისტე არა ვარ, ყველგან
წყლები ამოვართლიშინო“. „შერე მოწვევითა
აქნია ტანს და უნაგრებო მსუბუქედ აიზიდა“:
„ცოტა ტანის პიტლავი ჰკაიო და შეატოვე“:
„უწაღნიოდ ლოკავდა“; „დახშირბინდა“; „ამუ-
ბისტარებული მზე“; „წამომხარათეძოვდა მიწო-
ლილი ერგელო“; „ურემო წისკვილის დერფენის-
კენ შიპბოლოვა“; „ფლუტრლიანი დღე სილაპე-
საკენ გადაიღმერია“; „ჩხირს ჩაუგულმოდგინე-
და“; „სხივისაწერიო“; „გუნჯალ-გუნჯალი ზნობი
ბეწეი თვალესსაც კი უფარავდა?“ — აქეთ ამი-
ტომაც დაეგვეთ“.

მწერალმა კარგად იცის, რომ ხშირად პერსო-
ნაჟის მეაფიო სახეს მისი ენობრივი პორტრეტი
ქმნის. ამიტომაცაა, რომ აზერბაიჯანელი ორუფ-
ალიას დასაბატეად ლინგვისტური ფენომენი
მოიშველია. თუმცა ეს კაცი ეპიზოდურად გამო-
ჩნდება, მაინც მეაფიოდ იხატება ჰვენს ცნო-
ბიერებაში სწორედ ენობრივი და მხოლოდ ენო-
ბრივი ხატვის პრინციპის გამოყენებით. ჰვენს
თითქოსდა ყურთი ჩაგვექმის მისი აზერბაიჯანული
აქტუენტო თქმული ქართული ფრაზები: „ბაღში
არავინ შაზერეს, ყონად, იმ ქვირასას ზალიან
მაზარალეს... ნახვეარი ჯამეს, ნახვეარი ჩიღეში
ელარა“. სხვაგან ასე მეტყველებს: „გული არ გა-
იხედო. ყელი კასი ხარ ნეეთი—არი, ფეული—
არი, კასიო—არი. ვაშკასი კასი ხარ, გული არ გა-
იღებო“. ამ კიდევ „გული ფრთი ნადირია, გული
შიერია, არაფერი ქაბო. ზალიან მაშაზალია გე-
ლო“.

ჩვენ, კაცნი, ცხოვრების ულრანში ალაღბე-
დზე სიარულისას ხშირად ვაფრთხობთ ოლოლ-
კაცებს: ზოგჯერ მტაცებელი ფრაზებზედაც კი
გვეჩვენებენ ისინი. და ასე გვიღელდება მოყ-
ვასისაღმი მოფრთხილების ენაო, სიყვარულის
ფაქტ ნიუანსებში შვდომის ენიკალურ, ოდენ
კაცისათვის მომადლებული თვისება.

ამ უთავბოლო მუთარათელში ყველანი რა-
დაცას ვყარავთ და შემდეგ დავეძებთ. ზოგჯერ
ვპოულობთ, ხშირად — ვერა. ლადო მარეაშ-
ვილის პერსონაჟებიც დაივიწყებ დაკარგულს, ად-
ამიანთა ურთიერთობებსა და საგნთა ორომტრი-
ალიზ გზის გაგნება ბეერგზის უტობი. მაგრამ
აეტორის შეწეობით მაინც იმედნულად ცლი-
ლობენ, ამ ხშირბინდიდან ნათელ გზაწერილზე
გამოსვლას. ოლოლივით მართალი და ყეთილი

საქართველოში
მეცნიერებათა
აკადემიის მიერ

კაცის არსებობა თავისთავად იმდენს არაფერს ნიშნავს, რამდენსაც ჩვენება იმ გზისა, რომელიც ამ კაცმა თავისგან ფათერაკებსა და სულიერ საცთურთან კიდობს გამოიარა და წეთისოფლის ტალახში არც ზელი და არც ფეხი არ გა-

უსვრია. დიხ, შთავარია სულის მოძებნის წვეშენება, რადგან აღაზიანის სულიც ისევე, როგორც მოვლენა, მხოლოდ მის მოძრაობასა და მდინარებაში შეიძლება შეიქნოს სრულყოფილად და მთლიანად.

მარგან თაბლიშვილი

გაზაფხული მოსდევს ზამთარს

მერმან ჩვენებრიამ პოეზიის მოყვარულთა ყურადღება გამოიჩინებინა შეიქცა თავისებური ლირიკული ხმით, პოეტური ფრაზის თავისებური ინტონაციით. მან თავის ბერძნული ლექსებითვე მოიტანა მშობლიური კოლხური პოეტური და მუსიკალური ფოლკლორის სურნელება — ნახი, გულშიჩამწედიანი განწყობილებანი. მკითხველმა ერთხელ კიდევ გაიგონა „მეგრული ნანას“ ტკივილიანი მოტყეები, დაინახა კოლხეთის დაბინდული ტყეები, ამ ტყეებში დაბადებული წითელთმიანი მოჩვენებები...

პოეტი, იმ პირველი ლექსების შემდეგ, კიდევ უფრო აღმწავებდა და აფარებდა თავისი პოეზიის კალამოტს — ამ კალამოტში თანდთან შემოდოლდნენ სხვადასხვა ზეობის პატარ-პატარა მდინარეები და ახალი ხმები, ახალი საღებავები შემოაქნა მერმან ჩვენებრიის პოეტურ სამყაროში. ასე შემოვიდა პოეტის შემოქმედებაში ფშავ-ხევსურეთის დაცარიელებული სოფლების ელდა, მესხეთ-ყაყაბეთის მიწის საფქრალი...

„გაზაფხული მოსდევს ზამთარს“ პოეტის ახალი ლექსების კრებულაა. წიგნი სამი ციკლისაგან შედგება: „დღას სოფელში ძველი ოდა“, „ოდისური სიმღერები“ და „ხევსურმა მიქო ფშაველი“.

მერმან ჩვენებრია იმ კრებულაშიც ერთგული რჩება იმ უშუალო სტილისა და ინტონაციისა, რომელზეც ზემოთ ვლაპარაკობდით და რომლისათვის იცნობს მას მკითხველი:

ციკლი „დღას სოფელში ძველი ოდა“ პოეტი ძირითადად მშობლიურ გარემოს გვიხატავს, ამ გარემოში წამოშლილი ფიქრებს გვიმგლავებს.

ეს გარემო ძირითადად, თანამედროვე ქართული სოფელია — მშობლიური, ნახი, მრავალჭირგადანახალი, ახალ ქარებთან და ახალ წიშებთან შესახვედრად გამზადებული.

უკვე გამოჩნდა სოფლის ჭალაკი,
ცრის გამღვლებით;
და იხილება ქვეყნის ტალახი,

დიან ურმები...

და ყანებიდან გააქვთ სიმინდი,
ისმის გინება,

გულს იჭამენ კაცი იმითი,
ცა — იბღვირება.

ცა შეზღს არ გახსნის კიდევ კაი ხანს,
როგორც წესია.

შორს კი მიშველი, ვით ანგელოსი,
ჩანს ეკლესია.

ეს ლექსი ტიპური მერმან ჩვენებრიის პოეზიაში. — არც ერთი მევირალა ფრაზა, არც ერთი თავმოსაწონად მოხმობილი მეტაფორა ან რითმა. აქ ყველა სიტყვა ზუსტად ასრულებს თავის „მოვალეობას“, თავის ადგილი უჭირავს კედელში. ტიპურია განწყობილების მზრიავე — ეს კოლხური გარემო, სადაც თუ წვიმები დაიწყო, „ცა შეზღს არ გახსნის კიდევ კაი ხანს“, და მთელ ამ წვიმიან გარემოს, ამ აფხვრულს და შემფოთებულ სოფელს თავზე დაუტრებს ეკლესია, ისიც დამორჩილება ამ შემოდგომას და „გატრეტლებულა“... მაგრამ ეკლესია ეკლესიაა და მას ლექსის ფინალში თავისი დიდი ფუნქცია აქვს — აქ, ამ ჭალაში, ამ სოფელში ღვთის მარადიული, მოწყალე და მოფიქრებული თვალი ტრიალებს, აქ ყველაფერი სიკეთისთვის და სიყვარულისთვის კეთდება.

კრებულის მეორე ციკლი — „ოდისური სიმღერები“ განსაკუთრებული ციკლია. წინათქმეაში პოეტი წერს, რომ ციკლს საფუძვლად დაედო მეგრული ხალხური ლექსები, მაგრამ მერმან ჩვენებრიის არა აქვს მთარგმნელის პრეტენზია, რადგან, როგორც ჩანს, ხალხური საყუთაროც ბევრი მიუმატა. ასე, რომ გამოვიდა განსაკუთრებული სახის შედეგი, რომელსაც ვერც თარგმანს დაარქმევ და ვერც ორიგინალურს.

ამ რამდენიმე წლის წინათ გამოვიდა დავით წერეთლის მიერ თარგმნილი „სიანური ხალხური ლექსები“. მაშინ რეცენზენტებმა აღნიშნეს, რომ მთარგმნელი მოერიდა ე.წ. ზუსტ თარგმანს, ბევრი რამ შეეცალა — მოუმატა ან გამოკლო ხალხურ ტექსტებს თარგმანში, მაგრამ,

2. ჩვენებრია. „გაზაფხული მოსდევს ზამთარს“. მერმან, 1981 წ.

არ შეუტყვია მთავარი — მკითხველმა მიიღო ის, რაზეც ლექსში ამუწებელი, რაც ღერძად აქვს თვითველ ლექსს.

ვფიქრობ, დაახლოებით ასეთი რამ მოხდა ახლაც. მერმან ჭგუბურიამ უდაოდ კარგად გვაგრძნობინა მეგრული ხალხური ლექსის ინტონაცია, ამ ლექსისთვის დამახასიათებელი ლირიზმი, გულიდან ლოცვასავით წამოსული სიმღერა:

ნანია, რა მწაბუა,
იწვე იღარ გემინოს;
ამის დასაფიწყარია —
გულის ძაფი გეტკინოს;
ამის დასაფიწყარია —
მოელოდე, არ ჩანდეს;
ამის დასაფიწყარია —
ვინც გიყვარდეს, არ გყავდეს;
ამის დასაფიწყარია —
ვინც გიყვარდეს, სხვას ჰყავდეს.

ჩემი აზრით, პოეტმა აუცილებლად უნდა გააგრძელოს ამ მიმართულებით მუშაობა და ცალკე წიგნად გამოსცეს ეს „თარგმანები“. ვფიქრობ, ამ წიგნის გამოცემით ძალიან საინტერესო მოვლენის მომწმენი გავხდებით.

პოეტს ცალკე ცოლად გაუერთიანებია ფშავ-ხევსურეთის შთაბეჭდილებებზე დაწერილი ლექსები. იგი დიდი სიყვარულით, დიდი მოყრდნელობით ხატავს ფშავსა და ხევსურეთს, მის დღევანდელ ბინადართ, აღარაა ის ფშავ-ხევსურეთი, სადაც ძველი მითები და ლეგენდები გათა-


მაშდა, სადაც დიდი ვაჟა-ფშაველას მემკვიდრეები აკვნები დაირწა. სიტყვა „დაცარიელება“ შხამავს აქაურობას.

ღამეა, ჩქაფუნობს არაგვი
და ტაფობს ამუწებს მთვარე;
მე ბარისახოდან გავცქერი
ამ სიზმრის მთებშია და ვალბეს.
გულს მიფორიაქებს წარსული,
მომავალს გავცქერი მდურკვით;
რომელი კეთხვია მიწაზე
ასე რომ მოგიწყვას გული!

სამწუხაროდ, ამ ციკლში საკმაოდია სუსტი ლექსებიც — გულს გაჩეთ ნათქვამი, ტურის-ტურლ შთაბეჭდილებებზე დაწერილი... ზოგ შემთხვევაში კი, ავტორი ვერ შელევია და, ტიპური სააღბომო ლექსები შეუტანია კრებულში („შებემრებით ჟარჯი ფხოველს“, „არაბულები ცხრა ძმანი“ და სხვ.), რაკი სააღბომო ლექსი ვახსენე, იმასაც დასძენ, რომ სააღბომო განწყობილებებით შექმნილი ლექსები სხვა ციკლებშიც შეიშვდა. ასეთი ლექსი კი შინაურთა კეთვნილად უნდა დარჩეს და არ უნდა გავგზავნოს ათი ათას კაცს (მ. ჭგუბურიას ლექსები ამ ტირაფითაა დასტავებული). ამ შხრივ წიგნის რედაქტორს უდაოდ მეტი მუშაობა მართებდა.

მ. ჭგუბურიას ახალ კრებულში ბევრი კარგი ლექსია დაბეჭდილი და ამ კრებულზე სწორედ კარგი ლექსების მიხედვით მსჯელობა გვმართებს.

პაატა პაატაშური



რედაქციის მისამართი:

თბილისი ქუჩისთავის მუხრანკეტი, № 12.

ტელეფონები: რედაქციას — 98-55-11,

მთ. რედ. მოადგილის — 98-55-13, განყოფი-

ლებების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ანაწილად 21. 09. 82 წ., ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 22. 11. 82 წ., ანაწილების ზომა
7¹/₄ X 12, ქალაქის ფორმატი 70 X 108,
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი
ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღსაჯამომცემლო
თაბები 16,58.

უე 00788. ტირაჟი 26800, შვეკვ. 2259. საქ. კა-
ცე-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლე-
ნინის ქ. № 14.

6¹⁵ / 1986



ფასი 80 კპპ.

0690360

76128

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ